ცოტნე დადიანის სახელობის სოხუმის
ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი

ვახტანგ ჭანია

# კონფლიქტი აფხაზეთში: ისტორიული კანონზომიერება თუ საბედისწერო შეცდომა?!

გამომცემლობა «ბედია»
თბილისი 2003

რედაქტორი:
ნანა ჭანტურია
მხატვრული რედაქტორი:
ჯონი ყვანია

კომპიუტერული მომსახურება: ლელა გელაშვილი,
ნინო დემურიშვილი,
თამუნა მინდორაძე.

I

„შეწევნითა ღმრთისათა და წარძღუანებითა პატიოსნისა ჯუარისათა და სიძველითა თქუენითა ვსძლოთ მტერთა და წინააღმდგომთა ჩუენთა“

„ჟამთააღმწერელი“

# თავი პირველი
# „საერთოკავკასიური სახლი“ მსოფლიო გეოპოლიტიკურ ჭრილში

„ათენელებო, თქვენ შეგიძლიათ ჩემს ბრალმდებელს
ან დაუჯეროთ ან არ დაუჯეროთ, შეგიძლიათ
გამამართლოთ ან სიცოცხლე მომისპოთ,
მაგრამ არ შეგიძლიათ მაიძულოთ - ჩემი რწმენის წინააღმდეგ ვიმოქმედო, თუნდაც ათასი სიკვდილით დამემუქროთ.“

ს ო კ რ ა ტ ე

არსებული დიპოლარული მსოფლიო, დამყარებული ძირითადად აშშ-სსრკ-ის კონფრონტაციის ბალანსზე და, აქედან გამომდინარე, გავლენის სფეროების გადანაწილების ტენდენციაზე, თანმიმდევრულად იცვლება მულტიპოლარულით (პოლიტიკურ-ეკონომიკური პოტენციალის კონცენტრაციისა და გავლენის მიხედვით გამოიყო ისეთი ცენტრები, როგორიცაა ევროპა, აშშ, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი, იაპონია). ამ პროცესმა მოიცვა კავკასიაც, როგორც მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული, სავაჭრო-სატრანზიტო და ენერგორესურსების რეზერვების მქონე რეგიონი. შესაბამისად, კავკასიის როლისა და ადგილის სწორ განსაზღვრას ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აქ მცხოვრები ხალხების მომავლისა და მათი სახელმწიფოებრივი განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით. ამიტომაც, ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოებრიობის სასიცოცხლო ინტერესები ორგანულად უკავშირდება, ერთი მხრივ, საქართველოს როლს „საერთოკავკასიურ სახლში", მეორეს მხრივ კი, თვით კავკასიის რეგიონის ინტეგრაციის ადგილს ევროპისა და, საერთოდ, მსოფლიო ურთიერთობათა სისტემაში.

სიტუაცია ამ მხრივ განსაკუთრებით გართულდა ბოლო ორი საუკუნის მანძილზე: გარედან ხელოვნურად მართვადმა მიგრაციამ და ავტოქტონური ხალხების ერთი ნაწილის რეგიონიდან ძალადატანებით გასახლების ინტენსიურმა პროცესმა, ტრადიციული მეურნეობის მოშლამ, რომელსაც თან სდევდა მათი ეროვნული იერსახის დაკარგვა, განადგურების პირამდე მიიყვანა ბუნება, კავკასიის ხალხებისათვის დამახასიათებელი სულიერი და კულტურული ღირებულებანი, განაპირობა „საერთოკავკასიური შეგნების" და რეგიონში ისტორიულად ჩამოყალიბებული ინტეგრაციული მოდელის დაშლა. ამ გარემოებას ტრაგიკული მნიშვნელობა აქვს კავკასიაში მცხოვრები ერებისთვის ევროპასთან მიმართებაშიც. ყოველი მათგანის პირდაპირი ჩართვა ევროპის ინტეგრაციულ პროცესებში, საკუთარი განუვითარებელი სამეურნეო ინფრასტრუქტურის და ბაზრის არარსებობის პირობებში, გამოიწვევს უარყოფით შედეგებს არა მარტო ეკონომიკური, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მათი პოლიტიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისითაც. აქედან გამომდინარე, კავკასიაში მცხოვრები ერების ინტერესები ობიექტურად განსაზღვრავენ

ახალი ტიპის კავკასიური ინტეგრაციის მოდელის – „საერთოკავკასიური სახლის“ ჩამოყალიბების აუცილებლობას. იგი უნდა დაეყრდნოს როგორც ტრადიციულ, ისტორიულად განპირობებულ კავკასიის ხალხთა კულტურულ და სულიერ ფასეულობებს, ასევე, თანამედროვე რეალობებს, ე. ი. უნდა მოხდეს მათი შეხამება-სინთეზი. ჩვენი ღრმა რწმენით, „საერთოკავკასიური სახლის“ ახლებურ მოდელს საფუძვლად უნდა დაედოს ქართული პოლიტიკურ აზროვნებაში ჯერ კიდევ XI ს-ში შემუშავებული კონცეფცია კავკასიელი ხალხების ძმობა-ერთობის შესახებ, რომლის კვინტესენციაა: ერთიანობა მრავალფეროვნებაში. აქედან გამომდინარე, „საერთოკავკასიურ სახლში“ საკუთარი ადგილი და უსაფრთხო განვითარების უფლება უნდა ჰქონდეს ჩვენს რეგიონში მცხოვრებ ყველა ერს, რომლისთვისაც აღორძინებულმა „საერთოკავკასიურმა შეგნებამ“ თავისუფლების გარანტის როლი უნდა შეასრულოს.

## §1. ერთიანი ეკოლოგიური შეგნება და „საერთოკავკასიური სახლი“

კავკასიის ხალხების განვითარების პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია რეგიონში ეკოლოგიური სიტუაციის, ე.ი. კავკასიის ენერგეტიკული, გეოლოგიური, ბიოგენოციტური, ბიოქიმიური რესურსების გაცნობიერების გარეშე. ეს კი მოითხოვს ადამიანისა და ბუნების შეწონასწორებულ ურთიერთქმედებას. ამ მიმართებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სისტემის „საზოგადოება-რეგიონის კლიმატი“ ფუნქციონირების პრობლემების შესწავლა, რომელიც უნდა დაეყრდნოს მეცნიერებას გლობალური ცვლილებების შესახებ..

სტაბილური კლიმატის შენარჩუნების პრობლემა მწვავედ დგას მთელი მსოფლიოს წინაშე. ამიტომ, ახლო პერსპექტივაზე გათვლილი (2010 წელი) გლობალური კლიმატური ცვლილებების პროგნოზირებული შედეგები დღესვე უნდა შეფასდეს და გააზრებულ იქნეს საქართველოსა და საერთოდ კავკასიის განვითარების ჭრილში.

აშშ-ის ცნობით, 2010 წლამდე პროგნოზირებული დათბობის შედეგად მოსალოდნელია ოკეანეებისა და ზღვების დონის აწევა 1,4-2,2 მ-ს ფარგლებში. როგორც ამერიკელი მეცნიერები აღნიშნავენ, ეს

კოლოსალურ ზიანს მიაყენებს მეურნეობას მთელ მსოფლიოში, რადგანაც ეკონომიკური პოტენციალის ძირითადი რესურსი განლაგებულია სწორედ სანაპირო ზონაში (ლ. ბროუნი, ვ. ჩანდლერი, ქ. ფლავიანი. „მსოფლიოს მდგომარეობა 1988 წელს" ნიუ-იორკი, ლონდონი, ნორტონი. 1988. ინგ. ენაზე). აღნიშნული კანონზომიერება ვრცელდება შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, რომლის სამეურნეო ობიექტებისა და საკომუნიკაციო სისტემის შეუფერხებელ ფუნქციონირებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და კავკასიისათვის.

კლიმატის შენარჩუნების პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობის ზრდის შეზღუდვასთან, რომელიც თავიდან აგვაცილებს მკვეთრ დათბობას. ეს პრობლემა მრავალსპექტრიანია და განვითარებული ქვეყნები მის გადაჭრას ცდილობენ ეკონომიკური, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებით. ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელება გულისხმობს სამრეწველო კომპლექსის რეკონსტრუქციას, ნაკლებად ენერგო და მასალატევადი ტექნოლოგიების დანერგვას, რაც შეუძლებელია დიდი კაპიტალდაბანდების გარეშე. ამიტომ, თუ რეალურად გავითვალისწინებთ საქართველოსა და კავკასიის შესაძლებლობებს, მაშინ რეგიონალური პოლიტიკა ამ სფეროში უმთავრესად საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომებით უნდა შემოიფარგლოს. საერთაშორისო გამოცდილება მიუთითებს, რომ ამ მხრივ საკმაოდ ეფექტური გზაა გადასახადის დაწესება ყველა იმ საწვავზე, რომელიც ატმოსფეროს გაჭუჭყიანებას იწვევს. უფრო მეტიც, საჭიროა საერთოკავკასიური ნორმატივების შემუშავება: ა) ავტომობილის საწვავის ეკონომიურობა; ბ) საცხოვრებელ სახლებში ენერგიის გამოყენება; გ) საყოფაცხოვრებო მოწყობილობის მოხმარება და აშ. რა თქმა უნდა, საჭიროა ისეთი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც მკაცრ კონტროლს გაუწევს ამ ნორმატივების დაცვას კავკასიის ფარგლებში.

ამ ღონისძიებებთან ერთად, საჭიროა საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ენერგეტიკის ორიენტაციის შეცვლა, რაც გულისხმობს მზის, ქარის, ბიომასის, გეოთერმული და ჰიდროენერგიის ინტენსიურ გამოყენებას, სითბური და ელექტრული ენერგიის ერთობლივ წარმოებაზე გადასვლას.

კავკასიისათვის უკვე საშიშ ზღვარს მიაღწია ტყის ჩეხვის მოც-

ულობამ და ტემპებმა. ნათელია, რომ ამ პრობლემის გადაჭრა ლოკალურ დონეზე ნაკლებად ეფექტურია, ამიტომ საჭიროა ერთიანი პროგრამის „კავკასიის მწვანე საფარის" შემუშავება, რომლის პარალელურად აუცილებელია ჩატარდეს კავკასიის ბუნებრივი რესურსების პასპორტიზაცია. ამ პროგრამების კოორდინაცია თავის თავზე უნდა იტვირთოს კავკასიის ეკოლოგიურმა ფონდმა.

ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა შეუძლებელია ერთიანი ეკოლოგიური შეგნების ჩამოყალიბების გარეშე. რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია კავკასიის ხალხების ტრადიციების აღდგენასთან. გამომდინარე ზემო აღნიშნულიდან, ვფიქრობთ, რომ კავკასიის პრობლემების შემსწავლელი ცენტრის სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური კვლევის პროგრამა ორიენტირებული უნდა იყოს შემდეგ მიმართულებებზე:

1) კავკასია, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსი და მასთან მიმართებაში საქართველოს ადგილი და როლი;

2) კავკასიისა და საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალი და მისი გამოყენების პერსპექტივები;

3) ბიოქიმიური ციკლები რეგიონში;

4) კავკასიის ბუნებრივი რესურსების, ფლორისა და ფაუნის განახლება-აღწარმოების პერსპექტივები;

5) ხალხთა განსახლება-მიგრაცია კავკასიაში და გარემომცველი სამყარო;

6) ეკოტოკსიკოლოგია;

7) კავკასიის ხალხების ჩვეულებანი და ტრადიციები ბუნების დაცვის სფეროში;

8) ეკოლოგიური სიტუაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები;

9) საზოგადოებრივი ცნობების ეკოლოგიზაციის პრობლემები.

თანამედროვე სიტუაციის მნიშვნელოვანი მომენტია მსოფლიოს ანთროპოგენური ცვალებადობა, რომელიც უკვე არამდგრადობის ზღვრამდეა მისული. ამიტომ კავკასიის ლანდშაფტის შენარჩუნების მიზნით ძალზე პერსპექტიულად გვეჩვენება 1988 წელს თელავში გეოგრაფების ვ. ა. შალნევის, ვ. ვ. საველიევის და არქიტექტორ ი. ა. ხომენკოს მიერ წამოყენებული იდეა „დიდი კავკასიის" ერთიან ეროვნულ პარკად გადაქცევის შესახებ (ჟურნ.

„ზნანიე სილა“, №№ 12, 1987 წელი. რუს. ენაზე). მდგომარეობას ის ართულებს, რომ პარკის ტერიტორია მრავალი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიას მოიცავს და არ არის გარკვეული, ვინ უნდა მართოს იგი. ჩვენი აზრით, საჭიროა საქართველოსა და ჩრდ. კავკასიის რესპუბლიკებს შორის მრავალმხრივი ხელშეკრულების დადება და მის საფუძველზე პარკის ერთობლივი მართვის სტრუქტურების ჩამოყალიბება.

საქართველოსთვის ამ ნაბიჯს საკმაო პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება: 1) დიდი ხნის შემდეგ ისევ შეიქმნება ჩრდ. კავკასიის ხალხებთან პირდაპირი თანამშრომლობის სტაბილური სისტემა, აღდგება საქართველოს ისტორიული ფუნქცია რეგიონში;

2) საერთო „ეკოლოგიური შეგნების“ გამომუშავება ჩრდ. კავკასიის ხალხებში განაპირობებს „საერთოკავკასიური შეგნების“ აღორძინებას;

3) პარკს ექნება ყველა შესაძლებლობა, გახდეს საერთაშორისო დონის დასვენების ცენტრი;

4) პარკის ტერიტორიაზე მოხვდება ჩრდ. კავკასიაში განლაგებული ქართული ისტორიული და მატერიალური კულტურის ძეგლები. შეიქმნება ხელსაყრელი პირობები მათი რესტავრაცია-ამოქმედებისათვის.

## §2 ლინგვისტიკური და ეთნოგრაფიული ასპექტი

როგორც ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი აღნიშნავდა, ენა არა მარტო კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ მსოფლმხედველობაც. მიუხედავად ტერიტორიული სიმცირისა, კავკასია ენათა უნიკალური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამიტომ კავკასიის ენოფონდის შენარჩუნება და განვითარება, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი საერთო უფლება და მოვალეობაა. ენა, სოციალური სინამდვილის აღქმისა და ასახვის საშუალებაცაა და, ამავე დროს, ყოველი ერის ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყაროც. ეს განაპირობებს კავკასიის ხალხების ენათა გენეზისის, მათი განვითარებისა და ტენდენციების პრობლემების კვლევის აუცილებლობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ერის „მე“, მისი მსოფლმხედველობა, ენის გარდა, ყველაზე უფრო მკაფიოდ მის წეს-ჩვეულებებსა და ფოლკლორში ვლინდება. აქედან გამომდინარე, ენა, როგორც სოციალური

ყოფის ფენომენი, წეს-ჩვეულებებთან და ფოლკლორთან ორგანულ კავშირში უნდა იყოს შესწავლილი. ამასთან ერთად, კავკასია ლინგვისტიკური, ეთნოგრაფიული კვლევის დროს არ უნდა განიხილებოდეს, როგორც გარე სამყაროსგან იზოლირებული სისტემა. კავკასიის ენობრივი ფონდი განიცდიდა გავლენას როგორც აზიური რეგიონის, ასევე, კავკასიის ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხებისაგან. ამ თვალსაზრისით საჭიროა აღდგეს ორმხრივი ენობრივ-კულტურული ურთიერთქმედების რეტროსპექტული სურათი. ასევე საინტერესო ინფორმაცია შეუძლია მოგვცეს კავკასიის მკვიდრი ერების „მიგრანტი" წარმომადგენლების ენის, ადათ-წესების და ფოლკლორის შესწავლამ (თურქეთში, ირანში, სირიაში, იორდანიაში და ა.შ.).

კავკასიის, როგორც ერთიანი ფენომენის გააზრება, შეუძლებელია კავკასიელი ხალხების ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების გათვალისწინების გარეშე. როგორც ილია ჭავჭავაძე წერდა, „ჩვეულება ერისათვის იგივე რჯულია, იგივე კანონია, მხოლოდ დაუწერელი. ჩვეულებას იგი უპირატესობა აქვს დაწერილის კანონის წინაშე, რომ ყოველთვის ცხოვრების ჭეშმარიტის საჭიროების დანაბადია და ყოველთვის უტყუარი წამალიც არის ამ საჭიროების" სწორედ „ცხოვრების ჭეშმარიტი საჭიროების" ტრადიციით, ქართველები ათ წლამდე ასაკის შვილებს ჩრდ. კავკასიის ხალხებში აძიძავებდნენ. ანალოგიური ფაქტი დასტურდება თუშებისა და აზერბაიჯანელების ურთიერთობაშიც. როგორც მ. კეკელია მიუთითებს: „მეზობელი ხალხის ზნე-ჩვეულებებში გათვითცნობიერებული და ენის მცოდნე მოზარდი გზად და ხიდად იდებოდა ამ ორი ხალხის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის" (მ. კეკელია. „ეროვნული ტრადიციების სოციალური ფუნქცია" თბ., 1989, გვ. 46). ზემოთ მითითებული მსგავსი ტრადიციები მრავლად მოიპოვება კავკასიის ხალხებში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მათ ცნობიერებაში ინდივიდუალური „მეს" იდენტიფიკაცია ხდებოდა არა მარტო საკუთარი ერის, არამედ მთლიანად კავკასიასთან მიმართებაშიც. ლეონტი მროველის კონცეფცია ამ რეალობის შეცნობისა და მასზე დაყრდნობით კავკასიელ ხალხებთან თანაცხოვრების პოლიტიკური და კულტურული მოდელის ჩამოყალიბების შესანიშნავი მაგალითია. ამრიგად, საკვლევი პროგრამა ამ სფეროში განისაზღვრება შემდეგი საკითხებით:

I. კავკასიელი ერების ენათა გენეზისის და მათი ურთიერთგავლენის პრობლემები;

II ენა და რელიგია;

III. კავკასია-ეთნოგრაფიული სურათი;

IV. ენობრივი პოლიტიკა კავკასიაში და მისი რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები;

V. საერთოკავკასიური ზნეობრივ-მორალური ნორმები.

## §3. ინფორმაციული და კომუნიკაციური ასპექტი

ადამიანის ყოფის არსისა და ბუნებასთან მისი ურთიერთობის საკითხები დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა აბსტრაქტულ დონეზე ფილოსოფიური ანალიზის საგანს. მაგრამ ასეთი მიდგომა არ იძლევა შესაძლებლობას, ობიექტურად შევაფასოთ და განვსაზღვროთ პოლისისტემის „კავკასიის ბუნება – ხალხთა საზოგადოება" ფუნქციონირების ოპტიმალური პარამეტრები. ამ ამოცანის გადაწყვეტა დაკავშირებულია კომპიუტერული ტექნიკისა და მათემატიკური მეთოდების გამოყენებასთან, რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩამოვაყალიბოთ კავკასიის გლობალური მოდელი.

დღეს მსოფლიო განვითარების ხასიათი ბევრად განისაზღვრება პროგრესული ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციური საშუალებების ცხოვრებაში დანერგვისა და გამოყენების ტემპებით. უკვე ლაპარაკობენ „ეკრანული" ტიპის კულტურაზე, რომლის გავრცელების ხასიათი კავკასიაში აუცილებლად უნდა დაეყრდნოს „ტრადიციულ" კულტურასა და ისტორიულ რეალობებს.

## §4. ერთიანი ეკონომიკური სივრცე და „საერთოკავკასიური სახლი"

მსოფლიო ინტეგრაციის პროცესში ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ჩრდ. კავკასიის ხალხების ჩართვა, ეკონომიკის ნაკლებად კონკურენტუნარიანობისა და უცხოური კაპიტალის მოძა-

ლების პირობებში, დიდ ზიანს მიაყენებს მათ თვითმყოფად კულ-ტურას. უფრო მეტიც, შეიძლება ფორმალური გახდეს მოპოვებული დამოუკიდებლობა. ეკონომიკური და სამხედრო ინტეგრაციის პირობებ-ში კი „გარე მსოფლიოდან" სხვადასხვა ხასიათის ზეწოლა თანაბრად ნაწილდება მთლიანად სისტემაზე (ე.ი. „საერთოკავკასიურ სახლზე"), რაც ამ შემთხვევაში მისი მდგრადობის ძირითადი პირობაა.

თუ შევაფასებთ მსოფლიოში ისეთი ცენტრების გეოპოლი-ტიკურ სიტუაციას, როგორიცაა ევროპა, აზია, წყნარი ოკეანის რეგიონი, მათი გეოგრაფიულ-ეკონომიკური სივრცობრივი განვი-თარების „სადერმაკაციო საზღვარი" უახლოეს პერსპექტივაში დაახ-ლოებით კავკასიზე გავა. ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებში ამერიკუ-ლი კაპიტალი დომინირებს. დომინანტურია იგი რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ამიტომ აზიურ ბაზარზე ამერიკუ-ლი გავლენის და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის მზარდი ინტერ-ესების უვნებელყოფა ევროპას მხოლოდ კავკასიის კონტროლით შეუძლია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსეთი მისი ეკონომიკის სისუსტის გამო გრძელ პერსპექტივაში კვლავაც იქნება ორიენ-ტირებული აზიისა და პოსტსაბჭოურ ბაზარზე, რაც, რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს მის მუდმივ „ყურადღებას" კავკასიისა და შავი ზღვისადმი. ამ-რიგად, ევროპული თანამეგობრობის წინაშე მწვავედ დგას შუალე-დური ბაზრის საკითხი, რომლის მოდელშიც ჯდება კავკასია. უდავოა, რომ ევროპულმა ინტეგრაციამ სხვა განზომილება შეიძინა ერთი მხრივ, გერმანიის გაერთიანების, ხოლო მეორე მხრივ, ევროკავშირ-ში რუსეთის თანმიმდევრული, მიზანმიმართული ინტეგრაციის შემ-დეგ, რაც სამომავლოდ ბევრწილად განსაზღვრავს ევროპის მაღალ ხვედრით წლს მსოფლიო ეკონომიკაში. ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფის პრობლემა ევროპის წინაშე დააყენებს კავკასიაში პოლიტიკური მოკავშირის მოძიების საკითხს. მოხდება სახელმწო-ფოთა ინტერესების თანხვედრა. ისტორიული და გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, ასეთი როლი მხოლოდ საქართველომ შეიძლება იტვირთოს. ეს მას შესაძლებლობას მისცემს, ჩრდილოელ და სამხრეთელ მეზობლებთან ურთიერთობაში მიაღწიოს სტრატე-გიული ინტერესების მისთვის ხელსაყრელ ბალანსს.

ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება რუსეთის ინტე-

გრაციის საკითხს საერთოევროპულ სახლში, რაზეც ბევრწილად არის დამოკიდებული კავკასიის მომავალი ბედი. რუსეთის ინტეგრაცია ევროპაში მოხსნიდა იმ პრობლემებს, რომელიც დგას ევროპული თანამეგობრობის წინაშე. რუსეთი ევროპასთან ინტეგრაციის შემთხვევაში მიიღებდა შესაძლებლობას დაენერგა საკუთარ ეკონომიკაში უახლესი ტექნოლოგიური სიახლენი, მოეზიდა მრეწველობაში მრავალმილიარდიანი ინვესტიციები. საქმის ამგვარი განვითარება როდი მოასწავებს რუსეთის ეკონომიკურ დამოკიდებულებას ევროპაზე. ევროპა აქ განიხილება, როგორც თანაბარუფლებიანი პარტნიორი, რომელიც რუსეთისადმი ეკონომიკური დახმარების ნაცვლად, მოსკოვისგან მიიღებს ენერგორესურსების მისთვის მისაღებ ბაზარს. შორეულ პერსპექტივაზე გათვლით ევროპის ეკონომიკა უკვე არ იქნება დამოკიდებული ენერგორესურსების ძირითად მატარებელ ქვეყნებზე (უფრო არაბული სამყარო). გეოპოლიტიკა რეალობაა და არა ვისმეს სურვილი. **სწორედ ეს რეალობა აიძულებს რუსეთს, წავიდეს ევროკავშირთან სერიოზულ დათმობაზე კავკასიაში. უპირველეს ყოვლისა, რუსეთმა უნდა შეწყვიტოს მხარდაჭერა სეპარატისტული რეჟიმებისადმი (აფხაზეთი, სამაჩაბლო, ყარაბახი); მეორე, დაუყონებლივ გაიყვანოს სამხედრო ბაზები საქართველოდან და სომხეთიდან; მესამე, შეწყვიტოს ჩეჩენი ხალხის გენოციდი; მეოთხე, რეალურად შეაფასოს ჩრდ. კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და მიზანმიმართული, თანმიმდევრული პოლიტიკის საფუძველზე ჩრდ. კავკასია დააბრუნოს საქართველოს გეოპოლიტიკურ სივრცეში. რუსეთი უნდა შეეგუოს იმ რეალობას, რომ კავკასია არის ევროპის განუყოფელი ისტორიულ-კულტურული ნაწილი და არა რუსეთის იმპერიის სამხრეთ რეგიონი.**

თავის მხრივ ევროპა რუსეთთან დაახლოების შემთხვევაში აისრულებს ისტორიულ ოცნებას – თავისი ინტერესების არეალში მოაქციოს კავკასია, გავიდეს შუა აზიაში და უშუალოდ საკუთარ კონტროლს დაუქვემდებაროს მისი აუთვისებელი ბაზარი. რუსეთ-ევროპის სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები აქ ემთხვევა ერთმანეთს. კერძოდ, **კავკასიაში რუსეთი სამხედრო თვალსაზრისით გაკოტრებულია (ანტირუსული ფსიქოზი კავკასიაში პათოლოგიურ სიძულვილამდეა მისული), ხოლო ეკონომიკური ბერკეტი იმდენად სუსტია, რომ რუსეთს არ ძალუძს, კავკასია მორჩილებაში იყოლიოს. ევროპული კაპიტალი კი გზას უკეტავს თურქეთს და ჩი-**

**ნეთს, დაამყაროს თავისი ჰეგემონია კავკასია-შუა აზიაში, რომელიც რუსეთისთვის სასიცოცხლო ეკონომიკურ სივრცედაა მიჩნეული.**

ამ თვალსაზრისით, ევროპის წინაშე დღის წესრიგში დგება სტრატეგიული მოკავშირის ძიების საკითხი კავკასიაში. ამ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს, ლამის უკვე ანეგდოტად მიჩნეული საქართველოს ე.წ. „მეგობარი ქვეყნების" ფაქტორი, რომელიც ჩვენში ე. შევარდნაძის პიროვნებასთან იყო გაიგივებული. თუ სახელმწიფოები გარე სამყაროსთან ურთიერთობებში აძლევენ პრიორიტეტს არა გეოპოლიტიკურ, არამედ სხვა ფაქტორებს (იდეურ-ზნეობრივს, ემოციურს...), ადრე თუ გვიან მათი ეს მიამიტიზმი კრახით მთავრდება და საბოლოო ჯამში ისინი ექცევიან უფრო ძლიერი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ. როცა სახელმწიფოთა ლიდერები თვლიან, რომ თითქოს ძალისმიერ პოლიტიკაში მათ ქვეყნებს შორის ჯანსაღი ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ „პირადი მეგობრული დამოკიდებულების" შედეგია, ეს არის უდიდესი შეცდომა და დილეტანტიზმი პოლიტიკაში. ამის უტყუარი დადასტურებაა მსოფლიო ცივილიზაციის ხუთიათასწლოვანი ისტორია.

ამრიგად, კავკასიაში ევროპის სტრატეგიული როლი უნდა განისაზღვროს არა პოლიტიკურ ლიდერთა შორის არსებული სიმპატია-ანტიპატიით, არამედ იგი უნდა დაეფუძნოს სხვადასხვა ფუნდამენტალურ ფაქტორს:

1. სტრატეგიული მოკავშირის ბუნებრივი ანუ გეოგრაფიული საზღვარი რუსეთთან, თურქეთთან და კავკასიის ყველა ქვეყანასთან;

2. პირდაპირი გასასვლელი შავ ზღვაზე, როგორც ევროპული კაპიტალის კავკასია-შუა აზიასა და, პირუკუ, შუა აზიის მილიონობით ტონა ტვირთის ევროპაში გადატანის იაფფასიანი საშუალება;

3. რუსეთის და ევროპის სტრატეგიული მოკავშირის გეოპოლიტიკური და კულტურული ინტერესების დამთხვევა ჩრდ. კავკასიაში.

4. რელიგიური ფაქტორი-სტრატეგიული მოკავშირის მართლმადიდებლურ-ქრისტიანული აღმსარებლობა, როგორც „პანისლამიზმის" და „პანთურქიზმის" ექსპანსიური იდეოლოგიის შემაკავებელი ბერკეტი ვოლგისპირეთის, შუა აზიის და ციმბირის თურქულენოვანი მოდგმის ხალხებში.

საქართველო ერთადერთია კავკასიის რესპუბლიკებიდან, რომელიც

სრულყოფილად აკმაყოფილებს ყველა ამ პირობას. ეს საქართველოს ისტორიული წარსულით ნაკარნახევი და გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე რეალობაა და არა ვისმე პოპულისტური ახირება. ევროპის მსხვილი კაპიტალდაბანდება, ინვესტიციები დაიცავს მას (ე. ი. საქართველოს) როგორც რუსეთის შესაძლო სამხედრო აგრესიისაგან, ასევე, თურქეთის სავარაუდო გაბატონებისაგან. კავკასიაში, თურქეთის დამკვიდრების შემთხვევაში, საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე შეექმნება. უფრო მეტიც, ქართველი ერის ფიზიკურ არსებობასაც დააყენებს კითხვის ქვეშ.

რაც შეეხება რუსეთის პოზიციას ევროპული კაპიტალის დომინანტურ როლზე კავკასია-შუა აზიის ბაზარზე, აქ რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი. როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთს, არც ეკონომიკური და არც სამხედრო თვალსაზრისით, არ ძალუძს კავკასია მორჩილებაში იყოლიოს. არადა, აშკარაა, რომ კავკასიაში რუსეთის ჩანაცვლება მოხდება აშშ-ის თანმიმდევრული და მიზანმიმართული ზეწოლის შედეგად.

**ვარაუდი პირველი:** დასავლეთის მხრიდან თურქეთის „კავკასიური პოლიტიკის" მხარდაჭერა. კარგს არაფერს უქადის რუსეთს. თურქეთი თავისი მრავალმილიარდიანი ინვესტიციებით ტერიტორიულ საფრთხეს შეუქმნის რუსეთს და ეს გასაგებიცაა: კავკასიაში თურქული კაპიტალის გაბატონების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება, ეთნიკურად და ენობრივად მონათესავე თურქული მოდგმის ხალხებთან (კავკასია, ვოლგისპირეთი და ციმბირი.) პირდაპირ კავშირზე გასვლა. ეს კი რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას პერმანენტულად დენთის კასრზე ამყოფებს.

**ვარაუდი მეორე:** აშშ, რომელიც საუკუნის პროექტების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი; ბაქო-თბილისი-ერზერუმი) ძირითადი დამფინანსებელია, რუსეთისაგან განსხვავებით, ეკონომიკური ბერკეტებით იმკვიდრებს თავს კავკასია-შუა აზიის ბაზარზე. ამასთან ერთად, აშშ, რომელიც რუსეთს და მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეს განიხილავს მხოლოდ, როგორც იაფფასიანი მუშა-ხელის, ნედლეულის წყაროს და ევრო-ამერიკული პროდუქციის გასაღების ბაზარს, უმძიმეს ეკონომიკურ დარტყმას აყენებს რუსეთს. ყოველივე ამან, შესაძლოა გამოიწვიოს რუსეთის ერთიანი ბაზრის მოშლა და რუსეთის სხვადასხვა მხარეებს შორის ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა. დეზინტეგრაციული პროცესები

ეკონომიკაში კი, არც მეტი, არც ნაკლები რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის თანდათანობითი დაშლის ტოლფასი ქმედება იქნება.

**ვარაუდი მესამე:** ევროპული კაპიტალის გაბატონება კავკასია-შუა აზიის რეგიონში, არც რელიგიური და არც ეთნიკური თვალ-საზრისით, არ შეუქმნის რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას არანაირ საფრთხეს. მით უმეტეს, რომ ევროპას არანაირი იმპერიული ამ-ბიციები არ ამოძრავებს რუსეთის ტერიტორიების მიმართ. რაც შეეხება ციმბირის გამოუყენებელ ბუნებრივი რესურსების დიდ რეზერვს და კავკასია-შუა აზიის აუთვისებელ ბაზარს, ევროპას, რუსეთთან დაახლოების შემთხვევაში, ეკონომიკურ კოლოსად აქცევს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ რუსეთთან დაახლოების შემთხვევაში ევროპას მიეცემა საშუალება, გავიდეს ენერგორესურსების მისთვის ჯისაღებ ბაზარზე. ამით ევროპა, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, არ იქნება დამოკიდებული ენერგორესურსების ძირითად მატარებელ ქვეყნებზე (უფრო არაბული სამყარო). მეორეს მხრივ, ევროპული კაპიტალი გზას გადაუკეტავს ჩინეთს და თურქეთს, დაამყაროს თავისი ჰეგემონია კავკასია-შუა აზიის რეგიონში. **ამ-რიგად, ალტერნატივის წინაშე მდგარი რუსეთი უპირობოდ უნდა დაყაბულდეს კავკასიის ქვეყნების ევროსტრუქტურებში გაწევრი-ანებას; რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანას კავკასიისდან; კავკასი-ის, როგორც ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცის ჩამოყალიბებას, რომელიც მთლიანად დასავლეთის მიერ იქნება მართვადი. უდავოა, რომ რუსეთის ინტერესები კავკასიაში დაცული უნდა იყოს. მაგრამ არა როგორც დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური ცენტრის სახით, არამედ ერთიანი ევროპის გეოპოლიტიკურ ინტერესებთან შესა-ბამისობაში.**

კავკასიაში ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა პირდაპირ კავშირშია გლობალიზაციის პროცესთან. გლობალიზაციაში ერ-თიანი მსოფლიო წესრიგის დამყარება იგულისხმება, რომელიც ყვე-ლაფრის უნიფიცირებას წარმოადგენს. ეს არის ერთიანი მსოფლიო მეურნეობა, ერთიანი მსოფლიო ხელისუფლება, ერთიანი კულტუ-რული ფასეულობანი და ა.შ. იქმნება იმისი საშიშროება, რომ საბაზრო ეკონომიკის კანონები არა მხოლოდ პერიფერიულ ბაზრად გვაქცევს (იაფი მუშახელისა და ნედლეულის წყაროდ, დაბალი ტექნოლოგიებისა და უხარისხო პროდუქციის გამსაღებლად) არამედ

ხელყოფს ჩვენს კულტურულ ფასეულობებს, სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასაც კი.

თანამედროვე ეპოქაში მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის გარეშე არსებობა, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია. მაგრამ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა განაპირობებს კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს შორის მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობის აუცილებლობას. იგულისხმება ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბება, სადაც მოხდება კავკასიაში მცხოვრები ხალხების ეკონომიკური ინტეგრაცია: ჩამოყალიბდება საერთოკავკასიური ბაზარი, ერთიანი საბაჟო ტარიფები, საერთო საფინანსო და საკრედიტო პოლიტიკა, მოხდება სოციალური პოლიტიკის კოორდინაცია.

**ამრიგად, კავკასიაში მცხოვრები ხალხების ეკონომიკური აღორძინების და სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი პირობაა: ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა. სტრატეგიული ეკონომიკური პარტნიორი არა პოლიტიკური ამბიციებიდან გამომდინარე უნდა შეირჩეს, არამედ კავკასიაში მცხოვრები ხალხების ეკონომიკური პოტენციალის, ბუნებრივი რესურსების, პროდუქციის გასაღების ბაზრის და სუპერსახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესების დაბალანსების და მათი კავკასიის ხალხებთან შესაბამისობაში მოყვანის გათვალისწინებით.**

## §5. „საერთოკავკასიური შეგნება“ ისტორიულ და კულტურულ ჭრილში

„საერთოკავკასიური სახლის“ ჩამოყალიბების პროცესი სივრცობრივთან ერთად დროის განზომილებითაც განისაზღვრება. აქვე მნიშვნელოვან ფაქტორსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება: „საერთოკავკასიური სახლი“, ერთის მხრივ, გულისხმობს იბერიულ-კავკასიურ ენაზე მეტყველ ხალხთა ცხოვრებას ერთიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმში, ხოლო, მეორე მხრივ, კავკასიაში მცხოვრებ არა იბერიულ-კავკასიური წარმოშობის ხალხებთან თანაარსებობას, თანამშრომლობას ისტორიული წარსულის და თანამედროვე გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით. ეს თანაარსებობა ეფუძნება სამ ფუნდამენტურ პრინციპს:

1. ეკოლოგიური ერთიანობის შეგნება; 2. საერთო ეკონომიკური სივრცე; 3. კავკასიის უშიშროების ერთიანი დოქტრინა.

„საერთოკავკასიური სახლი", თავისი ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, უპირველეს ყოვლისა, იმ ხალხების ერთ სახელმწიფოებრივ ორგანიზმში ცხოვრებას მოიაზრებდა, რომელნიც ენობრივი და გენეტიკური წარმოშობის თვალსაზრისით ნათესაობის ერთ ჯგუფს შედგენდნენ საუბარია ქართველური (ქართული, მეგრულ-ჭანური, სვანური), აფხაზურ-ადიღური (აფხაზური, აბაზური, ადიღური, ყაბარდოული, უბიხური), ნახური (ჩეჩნური, ინგუშური, ბაცბური) და დაღესტნური (ხუნძურ-ანდიურ-დიდოური, ლაკურ-დარგუული და ლეზგიური ენები) წარმოშობის ხალხებზე, რომელნიც მთლიანობაში იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახს შეადგენენ. ქართველთა და კავკასიის მთის ხალხთა ენობრივ-გენეტიკურ კავშირზე საინტერესო თვალსაზრისი აქვს გამოთქმული XI ს-ის ისტორიკოსს ლეონტი მროველს, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა ბევრად უფრო ადრინდელი პერიოდის მემატიანეთა ცნობებს: **„სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა-ამათ თკსთა ერთი იყო მამა სახელით თარგამოს_"** (იხ. „ქართლის ცხოვრება", ტ. I, გვ. 3). ლეონტი მროველის გენეალოგიურ სქემაში ჩამოთვლილი ყველა ხალხი (სომხების გარდა) ენობრივ-გენეტიკური წარმოშობის თვალსაზრისით იდენტურნი არიან იმ ერებისა, რომელნიც მეცნიერებაში იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოლაპარაკე ხალხებად არიან მიჩნეულნი. რაც შეეხება ლეონტი მროველთან მოხსენიებულ სომხებს: ქართულ მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჰაოსიანელებში იგულისხმება ისტორიული სომხეთის წინარე-მოსახლეობა-კავკასიური წარმოშობის ურარტუელები (რ. გორდეზიანი). ძვ. წ. აღ. VI ს-ში განადგურებული ურარტუს ადგილას დამკვიდრებული სომხები (ინდოევროპული წარმოშობის არმენიელები) გახდნენ ურარტუელების (კავკასიელების) პოლიტიკური (და არა ეთნიკური) მემკვიდრენი. საუკუნეების შემდგომ კი ისინი მიჩნეულნი იყვნენ, როგორც ეთნიკური მემკვიდრენიც. ყოველივე ამან, ცხადია, შესაბამისი ასახვა ჰპოვა ლეონტი მროველის კავკასიური გენეალოგიის სქემაში (იხ. რ. აბაშია. „იბერიულ-კავკასიურ ენათა და იბერიულ-კავკასიელ ხალხთა ნათესაობისა და უძველესი ისტორიის საკითხები" ჟურნ. „ბედია", 2000წ, № 6-7)

იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხები საუკუნეების მანძილზე იყვნენ საკუთარი ისტორიის, მთლიანად „კავკასიური ცივილიზაციის" განვითარების სუბიექტები. კულტურული მრავალფეროვნება ლოკალურ დონეებზე და მათი ურთიერთმოქმედება, გარეშე ძალთაგან დასაცავად სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობის მუდმივი საჭიროება განაპირობებდა კავკასიაში „ერთიანი კულტურულ-ინფორმაციული სივრცის" არსებობას. ასეთ სივრცეში ჩამოყალიბდა და ვითარდებოდა „საერთოკავკასიური შეგნება" კავკასიის „კულტურულ-ინფორმაციული სივრცის" ისტორიულ მოდელში ორი პლასტი შეიძლება გამოიყოს: 1. „საგნობრივი სამყარო", ე.ი. „ტექსტების სამყარო"; 2. „ადამიანთა სამყარო"(ადამიანთა საქმიანობის სამყარო). ტექსტობრივ სამყაროში ისტორიულად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა „ქართულმა ელემენტმა", ე. ი. ქართულმა ენამ და ქართულმა ანბანმა. ქართული ანბანი თითქმის იდეალურად ასახავს იბერიულ-კავკასიური მოდგმის ერების ენათა ბგერათწყობის რთულ პოლიფონიას. ქართული სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი და შედარებით სტაბილური განვითარების პირობებში (პოლიტიკურად ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო გულისხმობს ჯანსაღი კომუნიკაციური სისტემის არსებობას), სომხურისაგან განსხვავებით, ქართულმა ანბანმა და ენამ წამყვანი პოზიციები დაიჭირა კავკასიის ფარგლებში.

დასრულებული „გლობალური" ანუ „სივრცობრივი" ხასიათი ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში კავკასიამ მხოლოდ მაშინ მიიღო, როდესაც ჩამოყალიბდა ქრისტიანული, ერთიანი ქართული („საერთოკავკასიური") სახელმწიფო (X-XIV სს.). მივაქციოთ ყურადღება: XI ს-ის II ნახევრიდან კათალიკოს მელქისედეკ I დროს ინტენსიურად იშლება ქართველთა ქრისტიანული მისიონერული მოღვაწეობა ჩრდ. კავკასიაში. ამავე ეპოქას ეკუთვნის ქართული პოლიტიკური აზროვნების ბრწყინვალე დოქტრინა-„კავკასიის ხალხთა ძმობა-ერთობის" კონცეფცია. ქართული მესიანიზმის მესვეურნი საქართველოს გეოპოლიტიკური და „საერთოკავკასიური ინტერესებიდან" გამომდინარე, მთიელ კავკასიელ ხალხებთან მიმართებაში შემწყნარებლურ, ჰუმანისტურ პოლიტიკას ეყრდნობოდნენ. ლეონტი მროველის იდეამ „საერთოკავკასიური სახლის" კონცეფციის შესახებ თავისი ფართო მნიშვნელობა შეიძინა თამარის ეპოქაში. კერძოდ, იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოლაპარაკე და არა იბერი-

ულ-კავკასიური წარმოშობის ხალხებმა ერთიანი სამართლებრივი და კულტურულ-ინფორმაციული სივრცე შექმნეს ქართული სახელმწიფოს ფარგლებში, რაზეც ხაზგასმით მიუთითებს თამარის ისტორიკოსი: **„ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, დურძუკთა, კარნუ ქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იფნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“** („ქართლის ცხოვრება“. ტ II. თბ, 1959, გვ.147)

X-XIV სს. ქართულმა ქრისტიანულმა კულტურამ ძლიერ მოიკიდა ფეხი ჩრდ. კავკასიაში, რისი უტყუარი დადასტურებაა ათობით ქართული ქრისტიანული ტაძარი, რომლითაც მოფენილია მთელი ჩრდ. კავკასია. ამავე პერიოდში ფართო სარგებლობას იძენს ქართული ანბანი. თანდათანობით გზას იკაფავდა ჩრდ. კავკასიური ენებით გადმოცემული ტექსტების ჩაწერა ქართული დამწერლობით.

**ამრიგად, X-XIV სს-ში ჩრდ. კავკასიაში დომინანტური პოზიცია ეკავა „ქართოცენტრულ კულტურულ-ინფორმაციულ სივრცეს“.** X-XIV საუკუნეებში, ქრისტიანული სახელმწიფოებიდან საქართველოს გარდა ჩრდ. კავკასიაში აქტიურ პოლიტიკას ატარებდა ბიზანტია და, ნაწილობრივ, რუსეთი (ტმუტარაკანის სამთავრო). მაგრამ აქ აშკარად შეინიშნება ძირეული სხვაობა: ქართული ქრისტიანული კულტურა, იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოლაპარაკე და არა იბერიულ-კავკასიური წარმოშობის ხალხების ძმობა-ერთობაზე დაფუძნებული ერთიანი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკა, ობიექტურ წანამძღვრებს ქმნიდა კავკასიის ხალხებში ნაწილებად განსხეულებული სულის გასამთლიანებლად. ე.ი. კავკასიის გეოპოლიტიკური ერთიანობის გასაცნობიერებლად. ამ ფუნქციის შესრულება არ ძალუძდა არც ბიზანტიას და, მით უმეტეს, რუსეთს, რადგანაც გეოპოლიტიკურად მათ მუდამ კარდინალური პოზიცია ეჭირათ: „კავკასიის ჩაჭრა“ საკუთარი პოლიტიკური გავლენის სფეროში.

„საერთოკავკასიური შეგნების“ ერთიანობაში პირველი ბზარი შეიტანა ისლამმა, რომელმაც მე-XV საუკუნიდან თანდათანობით მოიკიდა ფეხი ჩრდ. კავკასიაში. აქვე ორ მომენტს უნდა მიექცეს ყურადღება: ისლამი, როგორც სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობა და ისლამი, როგორც ექსპანსიური იდეოლოგია. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ისლამი, არა მისიონერული, არამედ დამპყ-

რობლური ძალის საშუალებით გავრცელებული იდეოლოგიაა მთის კავკასიელ ხალხებში (ოქროს ურდო, თემურ ლენგი და სხვა). ჩრდ. კავკასიაში თემურ-ლენგის შემოსევამდე თეიმურაზ ბატონიშვილის აღწერით: **„ღლიღვნი, დურძუკნი, „ლეკნი ლეკოსის ნათესაობანი“ და სხვანი, „იფხენ ქრისტიანენი“ და ამავე დროს „იფხენ ენითა ქართულითა მოშზრახნი“** (იხ. თ. ბოცვაძე. „საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან“, თბ., 1968, გვ.19). **ხოლო თემურ-ლენგმა, „რომელმანაც დაიპყრა იგინი... დაუდგინა არაბნი მოლანი... განუწესა მათ რათა ასწავებდნენ ყრმათა მათთა წერილსა და არაბულისა ენისა, მისცა მათ ბრძანება ფიცხნი არღარა კითხვად და არღარა სწავლად ქართულისა წიგნისა...“** (იხ. თ. ბოცვაძე. დას. ნაშრ. გვ. 19). თემურ ლენგმა, შეასუსტა რა ქართული პოლიტიკის გავლენა ჩრდ. კავკასიაში, ამით დასაბამი დაუდო „საერთოკავკასიური შეგნების“ რღვევას. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ისლამს, როგორც სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობას, არ ძალუძს „საერთოკავკასიური შეგნების“ ტოტალური რღვევა. მაგრამ ისლამი მკვეთრად უპირისპირდება „საერთოკავკასიურ გეოპოლიტიკურ ინტერესებს“, როცა იგი ერწყმის რომელიმე ფართო მასშტაბის პოლიტიკურ მოძრაობას, ე.ი. ხდება ამ მოძრაობის იდეოლოგია. **ორი რელიგიის – ისლამის და ქრისტიანობის თანაარსებობა აფხაზებში, ოსებში, აჭარელ და ინგილოელ ქართველებში არ ცვლის საერთო სტატუს-კვოს კავკასიაში, რადგანაც ცნობიერება უპირატესობას ანიჭებს ეროვნულ და „საერთოკავკასიურ“ ფასეულობებს. თურქეთში მცხოვრები ქართველების, ლაზების, ჩრდ. კავკასიელების ცნობიერებაში ეროვნულობა და „საერთოკავკასიური შეგნება“ ჯერაც დომინანტობს რელიგიურზე.** მაგრამ საკმარისია, ისლამი იქცეს კავკასიის ფარგლებს გარეთ მდებარე გეოპოლიტიკური „ცენტრებიდან“ მომართულ პოლიტიკურ ან თუნდაც პოლიტიკურად „შეფერილი“ ფართო მოძრაობის იდეოლოგიად, რომ „საერთოკავკასიური“ და ეროვნული ცნობიერება ორად იხლიჩება – „დუალისტური“ ხდება. ხალხი, ერთის მხრივ, აიგივებს თავის თავს მუსულმანურ სამყაროსთან, მეორეს მხრივ, საკუთარ „მეს“-თან ანუ ეროვნულ კუთვნილებასთან. მუსულმანობა ამ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებს რელიგიურ ნიშანს, რადგანაც ის საერთოდ არც კი ცნობს ამა თუ იმ ადამიანის ეროვნულ კუთვნილებას და მთელს მსოფლიოს მხ-

ოლოდ მორწმუნეებად და ურჯულოებად ჰყოფს. ისლამური მსოფ-ლმხედველობისათვის ნიშანდობლივმა ამ სპეციფიკურობამ შესაძლოა შეაფერხოს „საერთოკავკასიური შეგნების" აღორძინება კავკასიაში, გამოიწვიოს პოლიტიკური დესტაბილიზაცია, რაც საფრთხის წინაშე დააყენებს ყველა კავკასიელ ერს, განურჩევლად სარწმუნოებისა.

როგორც ვხედავთ „საერთოკავკასიური შეგნება" X-XIV სს-ში ჩრდ. კავკასიაში არსებობდა „ქართული კულტურულ-ინფორმაციული სივრცის" საფუძველზე. ისლამის (არა, როგორც სარწმუნოებრივ- მსოფლმხედველობითი, არამედ უმთავრესად, როგორც კავკასიის ფარგლებს გარეთ გეოპოლიტიკური ცენტრებიდან მომართული პოლიტიკური იდეოლოგია) საფრთხე იმაშია, რომ იგი შლის ამ სივრცეს და, ამდენად, ბევრწილად განაპირობებს „საერთოკავკასიური შეგნების" საბოლოო მოშლას.

ის, რაც დაიწყო XV ს-ში ისლამური იდეოლოგიის დროშით, გაგრძელდა რუსული იმპერიის მიერ. თურქეთი და ირანი, ეს პირწმინდა აზიელი დამპყრობლები კავკასიაში, შეცვალა რუსეთის იმპერიამ **„აზიური ტანითა და ევროპული ხელებით"**. ბოლშევიზმმა კი კავკასიაში ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის სრული მოდერნიზება მოახდინა. ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ მოხსნა ძველი იმპერიული მოდელის იდეოლოგიური აპარატის წინააღმდეგობრიობა, რომელიც უმთავრესად, კავკასიის „ინდივიდუალისტურ ერთობას" ებრძოდა გარეგან ფაქტორზე დაყრდნობით (რუსული მმართველობის „მკაცრი" ფორმების დამკვიდრება, ადგილობრივ დიდგვაროვანთა წარმომადგენლების წახალისება-მოსყიდვა და ა.შ.). ყოვლისმომცველობისადმი, აბსოლუტურობისადმი თავისი მკვეთრად გამოხატული მისწრაფებით ბოლშევიზმი დაუპირისპირდა სწორედ „საერთოკავკასიურ ცნობიერებას" სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. ერთიანი საბჭოური „ზე-ნაციონალური" სახელმწიფოს შექმნა საფუძველშივე გულისხმობდა ამ სახელმწიფოს სოციალურ და ეროვნულ ერთფეროვნებას, როგორც მისი არსებობის მტკიცე გარანტს. აბსურდული ტერმინი „საბჭოური" სწორედ ამ კანონზომიერების გამოსახულებაა. „ლენინური სოციალიზმის" ეპოქაში იბერიულ-კავკასიურ ენებზე მეტყველ ხალხებს იგივე განაჩენი ჰქონდათ გამოტანილი, რაც ცარიზმის ეპოქაში: **"К одной цели (слияние**

**паний) из разных исходных пунктов, одни пойдут так, другие иначе"** (ვ. ი. ლენინი თხზ; ტ. 30, გვ 65. რუს. ენაზე). სამაგიეროდ, „ლენინური სოციალიზმის" ეპოქაში ყოველ ერს ჰქონდა უფლება, აერჩია „თვითასიმილაციის ეროვნული გზა"

როგორც ავღნიშნეთ მუსლიმანობამ მოიტანა არაბული ენა, დამწერლობა და ამით გააორა იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოლაპარაკე ხალხების „საერთოკავკასიური ცნობიერება" ხოლო ლენინიზმმა-მოდერნიზებულმა რუსიფიკატორულმა იდეოლოგიამ, ჩრდ. კავკასიის ხალხებში საბჭოური ცნობიერების საბოლოო დამკვიდრებით სცადა, ამ გაორებაში ეროვნული მეობა „რუსულ-საბჭოური" ერთობისადმი კუთვნილების გრძნობით შეეცვალა. ე.ი. რეამინირებული იმპერიული პოლიტიკა წარმართა კავკასიაში ისტორიულად ჩამოყალიბებული „ქართველოცენტრული კულტურულ-ინფორმაციული სივრცის" დასაშლელად. ამ გზით მნიშვნელოვანწილად მიაღწია კიდეც საწადელს. რუსულ ენაზე ერთაშორისო ურთიერთობათა ფუნქციის დაკანონება არა მარტო არასამართლებრივი იყო, არამედ მიზნად მხოლოდ ერთს ისახავდა: ნებისმიერ ფასად შენარჩუნებულიყო „რუსიზირებული კულტურულ-ინფორმაციული სივრცე" (ამ შემთხვევაში მოდერნიზებული იმპერიის იდეოლოგიური გარანტი). ყოველივე ამის შემდეგ, მკვეთრად შეიცვალა იბერიულ-კავკასიურ ენაზე მოლაპარაკე ხალხების კულტურული განვითარების კანონზომიერებანი და ხასიათი, რასაც დაემატა დემოგრაფიული ექსპანსიაც. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ იბერიულ-კავკასიურ ენაზე მოლაპარაკე ერები (და არა იბერიულ-კავკასიური წარმოშობის ხალხებიც) ბოლო დრომდე ერთმანეთზე ინფორმაციას, უმთავრესად, მოსკოვური პრესის და ტელევიზიის საშუალებით იღებდნენ და იღებენ კიდეც.

**კავკასიას ტერიტორიულად ერთიანი „გეოგრაფიული ბედისწერა" აქვს, რომელიც არ მოიცავს თავის თავში არანაირ „ბუნებრივ საზღვრებს". შესაბამისად, კავკასიაში არსებული კონფლიქტები სულაც არ არის იქ მცხოვრებ ხალხთა დაპირისპირება სივრცობრივი ექსპანსიის თვალსაზრისით, არამედ სხვადასხვა გეოპოლიტიკური ცენტრის ინტერესთა გამომხატველ ძალთა სიბრტყეში გადატანილი შეჯახება.**

ამრიგად, ისლამმა, როგორც კავკასიის ფარგლებს გარეთ გეო-

პოლიტიკური ცენტრებიდან მომართულმა პოლიტიკურმა იდეოლოგიამ (და არა როგორც სარწმუნოებამ) და ლენინიზმმა, როგორც მოდერნიზებულმა რუსიფიკატორულმა იდეოლოგიამ, შექმნეს ვაკუუმი ქართველი და იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოლაპარაკე ხალხების მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების განვითარებაში. დაირღვა იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოლაპარაკე ხალხების კულტურათა ისტორიული განვითარების ერთიანი, უწყვეტი ჯაჭვი.

ჩვენს პირობებში, თანამედროვე გეოპოლიტიკური რეალიებიდან გამომდინარე, „საერთოკავკასიურმა შეგნებამ" უფრო ფაროო დატვირთვა შეიძინა, ვიდრე მას ჰქონდა X-XIV სს-ში. შესაბამისად, **„საერთოკავკასიური შეგნება" არ არის კავკასიაში მცხოვრები არც ერთი ხალხის ეთნიკური თუ რელიგიური უპირატესობის ტვიფრით აღბეჭდილი იდეოლოგია. „საერთოკავკასიური შეგნება" ერთიანი „გეოგრაფიული ბედისწერით" და ისტორიული თანაცხოვრებით განპირობებული პოლიტიკური დოქტრინაა, რომელიც კავკასიაში მცხოვრები ყველა ხალხის (განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა და სარწმუნოებრივი აღმსარებლობისა) ენის, კულტურის, თვითმყოფადობის და ფიზიკური გადარჩენის საერთო პრინციპებზეა აგებული.**

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეძლება დავასკვნათ: „საერთოკავკასიური სახლის" (იგულისხმება, როგორც იბერიულ-კავკასიური ენებზე მოლაპარაკე და ასევე, არაიბერიულ-კავკასიური წარმოშობის ხალხები) ახლებური მოდელის შექმნა შეუძლებელია „საერთოკავკასიური შეგნების" აღორძინების გარეშე. სასიცოცხლო გარემო მისთვის კავკასიაში „საერთოკავკასიური კულტურულ-ინფორმაციული სივრცეა" იგია კავკასიის გეოპოლიტიკური ერთიანობის ერთ-ერთი მყარი გარანტი.

## §6 „რეგიონალური „დერჟავები" და „საერთოკავკასიური სახლი"

აშშ-ის სახელმწიფო მრჩეველი ეროვნული უშიშროების დარგში პოლ ვოლფოვიცი 1995 წელს წერდა აშშ-ის კონგრესს: „აშშ-

ის მთავარ გეოსტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს. ყოფილ პოსტ-კომუნისტურ სივრცეში არ დაუშვას ისეთი მსხვილი და დამოუკიდებელი სტრატეგიული წარმოქმნის შექმნა-ჩამოყალიბება, რომელსაც ექნება უნარი, აწარმოოს აშშ-სგან დამოუკიდებლად საკუთარი პოლიტიკა" კოსოვოს კონფლიქტი პირდაპირი გამოძახილია აშშ-ის იმ გლობალური გეოსტრატეგიული ამოცანისა, რომელიც მიზნად ისახავს ერთხელ და სამუდამოდ გაანადგუროს ევრაზიული გეოპოლიტიკური მონოლითი, არ დაუშვას რუსეთის ჰეგემონობა.

დღეს რუსეთის წინაშე მთელი სიმწვავით დგას ალტერნატივა: ან რუსეთი მკვდრეთით უნდა აღსდგეს, როგორც სახელმწიფო (ევრაზიული) სუპერსახელმწიფო, ანდა უპირობოდ დაყაბულდეს დასავლეთის მიერ შემოთავაზებულ ე.წ. „რეგიონალური დერჟავის" სტატუსს.

„რეგიონალური დერჟავა"-წარმოადგენს თანამედროვე გეოპოლიტიკურ კატეგორიას, რომლის პოლიტიკური ინტერესები შეზღუდულია იმ ქვეყნებზე ზეგავლენით, რომელნიც გეოგრაფიულად ემიჯნებიან მის (ე. ი. „რეგიონალური დერჟავის") საზღვრებს. „რეგიონალური დერჟავებია"- ინდოეთი, ჩინეთი, ირანი, თურქეთი, და ა.შ. „რეგიონალური დერჟავის" სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ მას არა აქვს პირდაპირი ზეგავლენა გლობალურ გეოპოლიტიკურ პროცესებზე (ძირითადად ექვემდებარება სუპერსახელმწიფოს სტრატეგიულ -ბალანსირებულ პოლიტიკას). „რეგიონალური დერჟავად" გადაქცევის შემთხვევაში, რუსეთი ვერ შეძლებს, იქონიოს პირდაპირი და გადამწყვეტი ზეგავლენა მსოფლიო გეოპოლიტიკურ პროცესებზე. ჩაიძირება შიდა ეთნიკურ და რელიგიურ კონფლიქტებში, რაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვევს რუსეთის დაშლას.

დღეს ფაქტია, რომ რუსეთმა თითქმის პირწმინდად წააგო ომი (როგორც პოლიტიკური, ასევე, სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით) აღმოსავლეთ ევროპაში და ამიტომაც იგი გეოპოლიტიკურ ინტერესთა ბალანსის გადაწყობისათვის იწყებს აშკარა გააქტიურებას კავკასიაში. ეს რუსული იმპერიული მოდელისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებაა. საკმარისია, თუნდაც, გავიხსენოთ პეტრე I პოლიტიკა კავკასიაში. საყურადღებოა, რომ კ. მარქსს საქართველო მიაჩნდა რუსეთის პოლონეთად კავკასიაში. (იხ. კ. მარქსი, ფრ. ენგელსი თხზ., ტ. XI, გვ 639. რუს. ენაზე). ამიტომ საქართველოში, რუსეთის დამარცხების შემთხვევაში, მარქსი და

ენგელსი მოელოდნენ „საყოველთაო აჯანყებას მთელს კავკასიაში“ (იხ. კ. მარქსი, ფრ. ენგელსი. თხზ., ტ. 9, გვ. 475 რუს. ენაზე). კ. მარქსის და ფ. ენგელსის წინასწარმეტყველება დღესაც ინარჩუნებს თავის ცხოველმყოფელობას. საკმარისია, საქართველო ამოვარდეს რუსეთის სამხედრო სტრატეგიული სივრციდან, რომ დაიწყება ჩრდ. კავკასიის ხალხების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის (როგორც ეს მოხდა 1918-1920 წწ.). ჩეჩნეთის მაგალითი უტყუარი დადასტურებაა ზემოთ თქმულისა.

რას უქადის საქართველოს რუსეთის ევრაზიული (სახმელეთო) სუპერსახელმწიფოდან „რეგიონალური დერჟავის“ სტატუსამდე დაქვეითება?! გამოიწვევს თუ არა ეს ძალთა ბალანსის დარღვევას კავკასიაში?! რამდენად მომგებიანია საქართველოსათვის და საერთოდ მთელი კავკასიისათვის რუსეთის პირწმინდად განდევნა კავკასიიდან და ამ რეგიონში აშშ-ის ერთპიროვნულად დამკვიდრება?!

რუსეთის დღეები კავკასიაში დათვლილია. ექვს არ იწვევს, რომ ხიშტებზე აგებულ ტერიტორიულ მთლიანობას მოჩვენებითი სტაბილურობის, დიდი მსხვერპლის და ეკონომიკური გაჩანაგების გარდა არაფერი არ მოაქვს რუსეთისათვის. და კიდევ ერთი! ე.წ. ჩეჩნურმა კომპანიამ უკურეაქცია გამოიწვია ჩრდ. კავკასიის რუსულენოვან მოსახლეობაში. რუსები მასიურად ტოვებენ ჩრდ. კავკასიას. თუ ასე გაგრძელდა (არადა, სხვა პირი ამ პროცესებს არ უჩანს), ჩრდ. კავკასიაში რუსები უმცირესობაში აღმოჩნდებიან. ასეთ შემთხვევაში, ტოტალური სიძულვილის გარემოცვაში მყოფი, კარგად შეიარაღებული მრავალთასიანი რუსული არმიაც კი უძლური იქნება, შეინარჩუნოს ჩრდ. კავკასიაში რუსეთის სამხედროს-ტრატეგიული სტატუს-კვო.

შესაბამისად, რუსეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს პერსპექტივაში მოსალოდნელ რეალობას, თუ ვინ შეავსებს იმ ვაკუუმს კავკასიაში, რეგიონიდან რუსეთის გამოსვლას რომ მოჰყვება: თურქეთი („პანისლამიზის“ და „პანთურქიზმის“ იდეით) თუ საქართველო („საერთოკავკასიური სახლის“ იდეით)?! **თუ კავკასიაში შექმნილ გეოპოლიტიკურ ვაკუუმს თურქეთი შეავსებს (ვექტორი: თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანი; თურქეთი-საქართველო-ჩრდ. კავკასია-ყალმუხეთი-ვოლგისპირეთის თურქული მოდგმის ხალხები; თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანი-ყალმუხეთი-შუა**

**აზიის თურქული მოდგმის ხალხები), ეს რუსეთის დაშლის და მისი სახელმწიფოებრივი კატასტროფის მომასწავებელიო იქნება. რუსეთი, ბუნებრივია, ამას არანაირად არ შეურიგდება.** შესაბამისად, კოსოვოს კონფლიქტი და ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესები აშშ-ის იმ გლობალური გეოსტრატეგიული პოლიტიკის ანარეკლია, რომელიც მიზნად ისახავს ერთხელ და სამუდამოდ გაანადგუროს ევრაზიული გეოპოლიტიკური მონოლითი-ტელეოკრატია (სახმელეთო ძლევამოსილება) რუსეთის სახით – ტალასოკრატიის (საზღვაო ძლევამოსილება) – აშშ-ბრიტანეთის სასარგებლოდ.

შესაბამისად, რუსეთმა აამოქმედა თავდაცვითი ბერკეტები: **1. მოსკოვმა კავკასიაში აამოქმედა შენელებული მოქმედების ნალმი-ეთნოკონფლიქტები; 2. დაიწყო კავკასიაში სტრატეგიული მოკავშირის-სომხეთის გამაღლებული შეიარაღება 3. მოსკოვის მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე (ყარაბახი, აფხაზეთი, სამაჩაბლო) „მუდმივი კონტროლის დაწესება", როგორც ანტირუსულად განწყობილ რესპუბლიკებზე მოსკოვის მხრიდან ზეწოლის შეუცვლელი მექანიზმი.**

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: რუსეთის „კავკასიურ პოლიტიკაში" ტრადიციულ მოკავშირედ მოიაზრება არა საქართველო (თავისი უნიკალური გეოგრაფიული ადგილმდებარეობით და ტრადიციული ისტორიულ-კულტურული მისიით კავკასიაში), არამედ სომხეთი. თუ სომხეთის სწრაფვა რუსეთისკენ იძულებთია (პანიკური შიში ისლამურ-თურქულ სამყაროსადმი), გაურკვეველია, რუსეთის მხრიდან კავკასიაში მოკავშირედ სომხეთის მოაზრება. რუსეთის პოზიცია ეყრდნობა შემდეგ არგუმენტებს: I. სომხეთი წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ ბაზას თურქული ექსპანსიის თავიდან ასაცილებლად, როგორც ჩრდილოეთის ასევე სამხრეთის მიმართულებით (იგულისხმება ვოლგისპირეთი და თურქულენოვანი შუა აზია); II. შემტევ გეოპოლიტიკურ ასპექტში სომხეთი მოიაზრება, როგორც ეთნო-კულტურული ერთობა, რომელიც უწყვეტლივ გრძელდება სამხრეთის მიმართულებით, თურქეთის ტერიტორიაზე, სადაც მდებარეობს ძველი სომხური მიწების დიდი ნაწილი; III. სომხების და ქურთების ენობრივი და რასობრივი ნათესაობა, რომელიც, შეიძლება, გამოიყენონ თურქეთის შიგნით გეოპოლიტიკური ძვრების პროვოცირებისათვის; (ა. დუგინი, „გეოპოლიტიკის საფუძვლები", მოსკოვი., 1977. რუს ენაზე).

სომხეთი ვერანაირად ვერ იქნება თურქული ექსპანსიური პოლიტიკის შემაკავებელი რგოლი, რადგანაც მას პირდაპირი შეხების წერტილი, ე. ი. გეოგრაფიული საზღვარი არ გააჩნია არც ერთი ჩრდ. კავკასიის რესპუბლიკასთან და არც გასასვლელი აქვს კასპის ზღვაზე; ასეთი ფუნქცია კიდეც რომ შეასრულოს სომხეთმა, ის „პანთურქიზმის" და „პანისლამიზმის" ჩამკეტის როლს მაინც ვერ ითამაშებს კავკასიაში, რადგანაც საქართველოს, როგორც თურქეთის მეზობელს, აქვს უშუალო გეოგრაფიული საზღვარი კავკასიის ყველა რესპუბლიკასთან. ასე, რომ „პანთურქიზმი" და „პანისლამიზმი" (სომხეთისაგან დამოუკიდებლად) აუცილებლობის შემთხვევაში თავისუფლად განვითარდება ვექტორით: თურქეთი-საქართველო-ჩრდ. კავკასია-ყალმუხეთი-ვოლგისპირეთის თურქული მოდგმის ხალხები; თუ გავითვალისწინებთ იმ რეალობას, რომ თურქეთის იურისდიქციაში მყოფი ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე მწირია სომხური მოსახლეობა (1895 და 1914 წწ. გენოციდის შედეგად თურქეთის სომხები ეთნიკურად ან განადგურდნენ ან ემიგრაციაში წავიდნენ), მათი მოაზრება რუსეთის მიერ თურქეთის შიგნით გეოპოლიტიკური ძვრების პროვოცირებისათვის მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკას; ისტორიულად სომხეთს არანაირი შეხების წერტილი არ ჰქონია ჩრდ. კავკასიასთან. ხოლო, რაც შეეხება სომხურ ენას, კულტურას, გრიგორიანულ სარწმუნოებას, ტრადიციულად ის უცხო და მიუღებელი იყო ჩრდ. კავკასიის ხალხებისათვის. მოკლედ, სომხეთი ვერც გეოგრაფიული, ვერც ისტორიული და ვერც კულტურული თვალსაზრისით ვერ შეძლებს „პანთურქიზმის" და „პანისლამიზმის" ჩამკეტი ქვეყნის როლი ითამაშოს და ვერც ჩრდ. კავკასიაში შექმნილი გეოპოლიტიკური ვაკუუმის შევსებას ვერ მოახერხებს შესაბამისად, ამ რეგიონიდან რუსეთის გასვლას რომ მოჰყვება. ეს უფრო პოლიტიკური ილუზიების სფეროს განეკუთვნება. კავკასიაზე კონტროლი რუსეთს (რაც, უპირველეს ყოვლისა, „პანთურქიზმის„ და „პანისლამიზმის" შემაკავებელი საიმედო ბერკეტების შექმნას მოითხოვს) შეუძლია მხოლოდ საქართველოს საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე პირობებში რუსეთის და საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს და, მეორეს მხრივ, „საერთოკავკასიური სახლი"-ს იდეას არც ისლამური ფუნდამენტალიზმი მოაქვს და არც „პანთურქიზმის" პლაცდარმის ფუნ-

ქცია კავკასიაში. ფაქტია, რომ მოსკოვი ამ ეტაპზე საერთოდ ვერ ჰგუობს კავკასიის ამოვარდნას რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული სივრციდან. მეტიც: **მოსკოვი საერთოდ ვერ აღიქვამს საქართველოს, როგორც გეოპოლიტიკურ პარტნიორს და მასთან თანამშრომლობის ნაცვლად სრული მორჩილების პოლიტიკას ახორციელებს.** შესაბამისად, მოსკოვი მის მიერ დროებით მიტაცებულ ტერიტორიებზე აწესებს მუდმივ კონტროლს (ე. წ. მონოეთნიკური დასახლების ფორმით), როგორც ანტირუსულად განწყობილ რესპუბლიკებზე მისი მხრიდან ზეწოლის შეუცვლელ მექანიზმს. ეს ტერიტორიებია: საქართველო-რუსეთ-ჩეჩნეთის მონაკვეთზე – შატილის რაიონი; საქართველო-რუსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე – ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა; საქართველო რუსეთის საზღვრის ჩრდილო-დასავლეთის მონაკვეთზე – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა; სამხრეთ საქართველოში – სომხებით კომპაქტურად დასახლებული მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორია.

იგივე ითქმის რუსეთ-ჩეჩნეთის ომზე, რომელშიც აშშ-ს თავისი ინტერესები აქვს. **ჯერ-ერთი,** წარმოქმნას ანტირუსული ფსიქოზი ჩრდ. კავკასიაში, რომელიც შექმნის ობიექტურ გარემოს ამიერკავკასიიდან რუსების გამოსადევნად; **მეორე,** „ჩეჩნური სინდრომი", როგორც დესტაბილიზაციის მუდმივი ფაქტორი, აშშ-ს იმისთვის ჭირდება, რომ შექმნას მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი: რუსეთს არ ძალუძს საკუთარი ძალებით დაამყაროს სტაბილიზაცია რეგიონში. შესაბამისად, შუა აზია-კავკასიის და აზერბაიჯანის ენერგორესურსების გადაქაჩვა ევროპაში უნდა მოხდეს არა რუსეთის, არამედ საქართველო-თურქეთის გზით. რუსეთი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. რუსეთს სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა ჩეჩენი ხალხის სრული ფიზიკური განადგურება. სხვა მხრივ, ჩეჩნების სრულ მორჩილებაზე ლაპარაკი წყლის ნაყვას ჰგავს. შესაბამისად, რუსეთმა აამოქმედა ცარიზმის ნაცადი პრინციპი: **"Есть чеченец, есть чеченский вопрос. Нет чеченца, нет чеченского вопроса".** ჩეჩენი ხალხის გენოციდი საქართველოს ყოფილ ხელისუფლებას ოდნავაც არ აღელვებდა. და ამაში უჩვეულო არაფერია: საქართველოს მართავდა არა ეროვნული, არამედ რუსეთის ყურმოჭრილი ხელისუფლება, მისი ნებისმიერი სურვილის უსიტყვო აღმსრულებელი. თუ რას უქადდა ასეთი „ყველაფერზე თავის კატუნის" პოლიტიკა საქართველოს მომავალში –

ეს ე.შევარდნაძის ხელისუფლებას ნაკლებად ადარდებდა.

მოკლედ, თუ რუსეთი დასჯერდა დასავლეთის მიერ შემოთავაზებული „რეგიონალური დერჟავის" სტატუსს, ეს თავისთავად მოასწავებს ნატოს თანმიმდევრულ შემოსვლას საქართველოში.

რუსეთი, რომელიც ყოველნაირად შეეწინააღმდეგება ნატოს შემოსვლას საქართველოში, გამოიყენებს ყველა მის ხელთ არსებულ მექანიზმს, რათა საქართველო მუდმივი კონფრონტაციის პირობებში ამყოფოს ისტორიულ მეზობლებთან. ხოლო შენელებული მოქმედების ნაღმები საქართველოში რომ მრავლად არის ჩადებული, ეს ცხადზე ცხადია.

**კავკასია, (თუ ის არ იქნება დასავლეთის მიერ აღქმული, როგორც ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცე) რუსეთის „რეგიონალურ დერჟავად" ჩამოყალიბების შემთხვევაში, სამი „ რეგიონალური დერჟავის" (რუსეთი, თურქეთი, ირანი) ურთიერთდაპირისპირების, სხვადასხვა გეოპოლიტიკური ცენტრის შეჯახების პოლიგონად გადაიქცევა. აქედან გამომდინარე, პერმანენტული ეთნიკურ-რელიგიური ხასიათის კონფლიქტები კავკასიაში, რომელიც კავკასიის ხალხების გენოფონდის განადგურებას და მოსახლეობის ეკონომიკურ და სულიერ გამოფიტვას გამოიწვევს.**

საქართველოს გეოპოლიტიკური ორიენტაციის საკითხი გათვლილი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. მეორეს მხრივ, **კავკასიაში რუსეთის გავლენის შესუსტების მიზნით დაუშვებელია დასავლეთის მხრიდან თურქეთის „კავკასიური პოლიტიკის" მხარდაჭერა, რაც კავკასიაში ტრადიციულად ჩადებულ რეგიონალურ ბალანსსაც დაარღვევს და, ამასთან ქართულ სახელმწიფოებრიობასაც ეჭვის ქვეშ დააყენებს.**

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს გეოპოლიტიკური პარტნიორობა შორეული პერსპექტივის საკითხია, დაუშვებელია, კავკასია აღქმულ იქნას, როგორც რუსეთისადმი მტრულად განწყობილი რეგიონი. რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული სივრციდან კავკასიის ამოვარდნას არ უნდა სდევდეს თან რუსეთის ბაზარზე უარის თქმა და კავკასია-შუა აზიის ბაზრიდან რუსეთის პირწმინდად მოკვეთა. კავკასია-შუა აზიის რეგიონის ბაზრის დაკარგვის შემთხვევაში რუსეთის ინტერესი საქართველოსადმი მინიმუმამდე შემცირდება, რაც აფხაზე-

ომის კონფლიქტის მოგვარებას უსაშველოდ გაწელავს. ამასთან ერთად, კავკასია-შუა აზიის ბაზარზე გაბატონებულ მდგომარეობას თანმიმდევრულად დაიკავებს ევრო-ამერიკული პროდუქცია. ქართული პროდუქციის გასაღების ბაზარი, ევრო-ამერიკულ სტანდარტებთან მიმართებაში ნაკლებად კონკურენტუნარიანობის გამო, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში რუსეთი იქნება. ამას ემატება სხვა რეალობაც: მსოფლიო ბანკი, ტრანსნაციონალური კაპიტალი საქართველოს (ისე, როგორც პოსტსაბჭოურ სივრცეს მთლიანობაში) განიხილავს, როგორც ევრო-ამერიკული პროდუქციის გასაღების ბაზარს. იოლად წარმოსადგენია ისიც, თუ რა სავალალო მდგომარეობაში ჩავარდება ქართული ეკონომიკა რუსეთის ბაზრის დაკარგვით. შესაბამისად, კავკასიის, რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული სივრციდან ამოღარდნის პარალელურად, უნდა მოხდეს რუსული კაპიტალის სერიოზული შემოდინება საქართველოში, რათა რუსეთი თავად იყოს დაინტერესებული სტაბილიზაციით კავკასიის რეგიონში.

ქართველი ერი ქრისტიანული ბუნებიდან გამომდინარე, უპირობოდ ორიენტირებული უნდა იყოს დასავლეთზე. რაც შეეხება ერთგულ და სამუდამო მოკავშირის დილემას: გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და ტრადიციული კულტურულ-ისტორიული მისიის გათვალისწინებით საქართველომ ორიენტაცია რა თქმა უნდა, ჩრდ. კავკასიაზე უნდა აიღოს. სხვა დანარჩენი მოკავშირეები (ევროპა, აშშ, რუსეთი და ა.შ.) მხოლოდ დროისა და სიტუაციიდან, საერთაშორისო ძალთა რეალური გადანაწილებიდან გამომდინარე უნდა იყოს აღქმული. ამ თვალსაზრისით, ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ **1918-1921 წწ. სდრ-ის სამხედრო მინისტრის გრ. ლორთქიფანიძის პოზიციას."_ სამუდამო და საშვილიშვილო ძმა-მოკავშირე კი ჩვენ უნდა ვეძიოთ და ვპოვოთ ჩვენ უახლეს მონათესავე და მოძმე იაფეტიადურ ტომებში, კავკასიის მთაში დარუბანდიდან კერჩის სრუტემდე და იქიდან ჭანეთამდე. რასაკვირველია, მეტად ძნელი და ხანგრძლივი პროცესი იქნება ამ ჩვენი ოჯახის შვილთა მრავალ საუკუნიან უკუღმა ნატრიალებ ისტორიის მიერ დალექილ ტალის აფხეკა და ძველი იაფეტიდურ თვითშეგნების და ერთობის აღდგენა-გაძლიერება, მაგრამ აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული ჩვენი პოლიტიკის ერთი გეზი"** (გრ. ლორთქიფანიძე. თბ., 1995, გვ. 283)

და ბოლოს, ერაყის ომი დასრულდა. აშშ-ბრიტანეთმა ბლიცკ-

რიგის სტილში ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს. საომარი მოქმედებისადმი შორიდან შემყურე, მომლოდინე პოზაში მყოფი რუსეთი პირში ჩალაგამოვლებული დარჩა... ფაქტია, რომ სადამ ჰუსეინი არ ფლობდა არც ქიმიურ, არც ბიოლოგიურ და, მით უმეტეს, არც ატომურ იარაღს. მთავარი ინტერესი, რამაც განაპირობა აშშ-ის ჩაბმა ერაყის წინააღმდეგ ომში, ნავთობია. თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკურ ინტერესებს ეკონომიკა განსაზღვრავს, ხოლო ეკონომიკას ნავთობი. ცნობისათვის: ოპეკის ქვეყნებს (ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები) დღეისთვის ათვისებული აქვთ მსოფლიო ნავთობის 26%. 2010 წელს ეს მაჩვენებელი 47%-ს მიაღწევს, ხოლო 2020 წლისთვის – 55%-ს. ნავთობის მოპოვების ზრდასთან ერთად, შესაბამისად გაიზრდება ფასებიც. ამ პროცესების მართვის არანაირი ბერკეტი არ გააჩნია აშშ-ს (თუ არ ჩავთვლით ძალისმიერს). შესაბამისად, არაბული სამყაროს და რუსეთის, როგორც ნავთობმომპოვებელი ქვეყნების, მნიშვნელობა იზრდება, რაც, სავარაუდოდ, უახლოეს ხანებში აშშ-ს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. ეს ობიექტური რეალობა აიძულებს აშშ-ს, თავისი სტრატეგია ძირითადად სამი მიმართულებით წარმართოს: **პირველი, აზერბაიჯან-ყაზახეთის ნავთობის შემოშვება მსოფლიო ბაზარზე (აშშ-ის უშუალო კონტროლით). აქ ფელაზე საიმედო მარშრუტია კავკასია და საქართველო; მეორე, ერაყის ნავთობის კონტროლით, რომელიც მსოფლიოში ნავთობის მოპოვების მიხედვით მეორე ადგილზეა, აშშ-ს ექნება რუსეთზე ზეგავლენის სერიოზული ბერკეტები; მესამე, ერაყის ომში თურქეთის ორჭოფულმა პოზიციამ აშშ შუა აზია-კავკასიის რეგიონში სტრატეგიული მოკავშირის შემცვლელის ალტერნატივის წინაშე დააყენა.**

ერაყის ომში აშშ-ის უპირობო გამარჯვებამ, რასაც მოჰყვა არაბული სამყაროდან რუსეთის პირწმინდად განდევნა, დღის წესრიგში დააყენა აშშ-თვის საიმედო სტრატეგიული მოკავშირის შემცვლელის ალტერნატივა. ცალსახად უნდა ითქვას, რომ ამ ეტაპზე აშშ თურქეთთან თავს აარიდებს აშკარა კონფრონტაციას და, შესაბამისად, არ შექმნის ერაყის ჩრდილოეთით ქურთების დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ამგვარმა მაქსიმალიზმმა მახლობელ აღმოსავლეთში შეიძლება პროცესები უმართავი გახადოს. ცნობისათვის: 1514 წელს ქურთისტანის ტერიტორია გაინაწილეს თურქებმა

და ირანმა, ხოლო პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წწ) შემდგომ ქურთების ქვეყანა გადანაწილდა თურქეთ-ირან-სირია-ერაყს შორის. ქურთები ხსენებულ ქვეყნებში ცხოვრობენ კომპაქტურად, მომიჯნავე ტერიტორიებზე, რაც ზრდის მათი გაერთიანების, ანუ ერთ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ალბათობას. ამ შემთხვევაში თუ მოხდება ქურთების მიერ კომპაქტურად დასახლებულ ერთ-ერთ ქვეყანაში დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ეს გამოიწვევს ჯაჭვურ რეაქციას და აშშ-საც საკმარისზე მეტად გაურთულებს ურთიერთობას სირიასთან, ირანთან და თურქეთთან.

აშშ ამ ეტაპზე ასეთი რევოლუციური მასშტაბის გეოპოლიტიკური გადაწყვეტილებისათვის მზად არ არის. მაგრამ აშშ-ის ადმინისტრაცია გათვლას აკეთებს შორეულ პერსპექტივაზე და აქ მას „ქურთული სინდრომი" სჭირდება, როგორც შენელებული მოქმედების ნაღმი „ურჩი ქვეყნების" (ირანი-სირია-თურქეთი) წინააღმდეგ. აუცილებლობის შემთხვევაში ეს ბერკეტი მაშინვე ამოქმედდება და, შესაბამისად, აშშ განახორციელებს „ურჩი ქვეყნების" ხელისუფლების დემონტაჟს. საყურადღებოა, რომ ერაყის ჩრდილოეთით (სადაც ქურთები კომპაქტურად ცხოვრობენ) ამერიკელები ქმნიან სამხედრო ბაზას. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

აშშ-ის სტრატეგია უახლოეს მომავალზეა გათვლილი. მომავალი კი ასეთია: აშშ უახლოესი 50 წლის განმავლობაში იქნება სუპერსახელმწიფო. **შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მას ესაჭიროება საიმედო პარტნიორი, სტრატეგიული მოკავშირე, რომლის საშუალებით აშშ თავის კონტროლს დაუქვემდებარებს ოპეკის ალტერნატიულ ნავთობს (ყაზახეთ-აზერბაიჯანის ნავთობი); შექმნის უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილ სამხედრო ბაზებს მზარდი ისლამური ფუნდამენტალიზმის გასაუვნებელსაყოფად; მკაცრ კონტროლს დაუწესებს „პანთურქიზმის" იდეოლოგიას, რომელიც მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, თავი დააღწიოს აშშ-ის მეურვეობას, ხოლო, მეორეს მხრივ, თავის გეოპოლიტიკურ არეალში მოაქციოს კავკასიის, ვოლგისპირეთის, ცომბირის და შუა აზიის თურქული მოდგმის ხალხები. ამ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული საკითხის გადასაჭრელად აშშ ჯერ კავკასია უნდა ამოაგდოს რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული სივრციდან, შემდეგ კი გადაჭრით უარი თქვას თურქეთის „კავკასიური პოლიტიკის" მხარდაჭერაზე.**

არსებობს კავკასიიდან რუსეთის განდევნის ორი ვარიანტი. **პირველი,** კავკასიის ბალკანიზაციის გზით; **მეორე,** რუსეთზე ზეწოლა ნავთობის ბაზარზე ერაყის და ოპეკის ქვეყნების ალტერნატიული აზერბაიჯან-ყაზახეთის ნავთობის შემოშვებით. პირველი ვარიანტი: I. აშშ-ის ხელშეწყობით მოხდება კონფლიქტის ესკალაცია აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში, ჩეჩნეთსა და ყარაბახში; II. გაეროს ეგიდით საჩვენებელი, არაფრისმთქმელი მოლაპარაკებების გამართვა დაპირისპირებულ მხარეებს შორის მიუღებელი, ურთიერთგამომრიცხავი პრეტენზიებით. მიზანი: მსოფლიო საზოგადოების დარწმუნება ეთნოკონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების უპერსპერპექტივობაში. შესაბამისად, კავკასიის რეგიონში რუსეთის მშვიდობისმყოფელი მისიის დისკრედიტაცია; III. აშშ საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე (ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი; ბაქო-ერზრუმის გაზსადენი), გაეროს ეგიდით (ან მის გარეშე?!) შეიყვანს სამხედრო კონტიგენტს კავკასიაში.

**მეორე ვარიანტი:** ერაყის ნავთობზე სრული კონტროლის მოპოვებით აშშ-ს ხელთ ეძლევა ბერკეტები რუსეთზე გავლენის მოსაპოვებლად. მსოფლიო ბაზარზე ერაყის ნავთობის შემოშვებით, რომელიც მსოფლიო ნავთობის ექსპორტის 18%-ს შეადგენს, ამერიკას შეუძლია, ფასი დააგდოს ნავთობზე. ამას თუ დაუმატებთ იმ ფაქტსაც, რომ აშშ-ის უშუალო კონტროლს დაქვემდებარებული ოპეკის ქვეყნების ალტერნატიული ნავთობი (აზერბაიჯანი-ყაზახეთი) უახლოეს მომავალში სერიოზულ ადგილს დაიკავებს ნავთობის მსოფლიო ბაზარზე, იოლი წარმოსადგენია, თუ რა დღე დაადგება რუსეთს. საქმე იმაშია, რომ რუსეთის ბიუჯეტის შევსების ორი მესამედი მოდის ნავთობის ექსპორტზე. აქედან გამომდინარე, ცხადია, თუ რა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება რუსეთის ეკონომიკა, რაც, შესაბამისად, რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას აშკარა საფრთხეს შეუქმნის. აქედან გამომდინარე, რუსეთი იძულებული იქნება, რეალურად შეხედოს სიმართლეს თვალებში და კავკასიის რეგიონში აშშ-თან კომპრომისებზე წავიდეს. მაგრამ რუსეთი, თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მოითხოვს კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკურ ბერკეტებს. და აქ შეიძლება დაემთხვეს ერთმანეთს რუსეთ-ამერიკის ინტერესები. ეს გახლავთ თურქეთის ფაქტორი.

პირველი. თურქეთმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთის მიმართულებით იყო აშშ-ის სტრატეგიული ფორპოსტი ბოლშევიზმის წინააღმდეგ, სსრკ-ის დაშლის შემდეგ, თავისი ისტორიული ფუნქცია დაკარგა;

მეორე, ერაყის ომში თურქეთის ორჭოფულმა პოზიციამ დაამტკიცა, რომ იგი უახლოეს პერსპექტივაში ვეღარ იქნება აშშ-ის საიმედო პარტნიორი;

მესამე, აშშ-ის მხრიდან თურქეთის „კავკასიური პოლიტიკის" მხარდაჭერა ერთნაირად მიუღებელია როგორც რუსეთის, ასევე საქართველო-სომხეთის ინტერესებისათვის. კავკასიაში რუსეთის თურქეთით ჩანაცვლებას შეიძლება მოჰყვეს „პანთურქიზმის" საგარაუდო გავრცელება ვექტორით: თურქეთი-კავკასია-ვოლგისპირეთი-ციმბირი; თურქეთი-კავკასია-ყალმუხეთი-შუა აზია-ყაზახეთი, სადაც თურქულ ენაზე მოლაპარაკე თურქული მოდგმის ხალხები ცხოვრობენ. ეს კი რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას პერმანენტულად დენთის კასრზე ამყოფებს; თუ გავითვალისწინებთ ჩრდ. კავკასიასა და აზერბაიჯანში არსებულ ისლამურ ფაქტორს (რუსეთის თურქეთით ჩანაცვლების შემთხვევაში), „პანთურქიზმი" და „პანისლამიზმი" დამოკლეს მახვილივით საფრთხილო იქნება ქართული სახელმწიფოსათვის. და ბოლოს: სომხეთი, რომელსაც თურქეთის მიმართ პანიკური შიში აქვს, ვერასოდეს ვერ შეელევა რუსეთის სტრატეგიულ მოკავშირეობას, ვიდრე აშშ-დან იქნება თურქეთის „კავკასიური პოლიტიკის" მხარდაჭერა.

მოკლედ, კავკასიის რეგიონში იქმნება შესაშური პოლიტიკური ფონი, რათა საქართველომ აღიდგინოს თავისი ისტორიული ფუნქცია. საქართველომ ანგარიში უნდა გაუწიოს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. გაბუტვა და განზე დგომა ქართველ ერს არაფერში წაადგება. პოლიტიკა მწარე სინამდვილით ნაკარნახევი რეალობაა და არა ვისმეს სურვილი. სწორედ ეს მწარე რეალობა აიძულებს საქართველოს, პრაგმატული თვალით შეხედოს თავის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას და მაქსიმალურად გამოიყენოს ის საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

კიდევ ერთი: 1096 წლიდან დასავლეთ ევროპაში დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობები, რომელიც მიმდინარეობდა პალესტინის ქრისტიანული „წმინდა ადგილების" მუსლიმანებისგან გათავისუფლების

ლოზუნგით. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა საქართველოში, ისე როგორც მთელს კავკასიაში, შექმნეს ხელსაყრელი ისტორიული ფონი. ამან, თავის მხრივ, განაპირობა ნიკოფსიიდან-დარუბანდამდე ძლიერი, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება. დღეს ასეთივე ისტორიული ჟამი უდგას საქართველოს. მსოფლიოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია (განსაკუთრებით აშშ-ერაყის ომის შემდეგ) იძლევა ხელსაყრელ ფონს, რათა კავკასიაში საქართველომ დაიბრუნოს თავისი ისტორიულ-კულტურული მისია. მაგრამ თუ ჯვაროსანთა ლაშქრობებს XI ს-ის ბოლო მეოთხედის საქართველო შეხვდა დავით IV აღმაშენებლად წოდებული პიროვნების სახით, XXI ს-ის დასაწყისში საქართველო ჩვენთვის ხელსაყრელ დიდ ისტორიულ კატაკლიზმებს ხვდება **„ედუარდ პირველი დამანგრეველის" ოცდაათწლიანი ანტიეროვნული პოლიტიკით შექმნილი დაცვედანებული ქართული ცნობიერებით...?!**

## §7. „საერთოკავკასიური სახლი": გეოპოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტი

კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში თავის დროზე კარგად გამოხატა ფაშისტური გერმანიის იდეოლოგმა როზენბერგმა: „კავკასიის ამოცანა, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ხასიათისაა და ნიშნავს კონტინენტური ევროპის გაფართოებას კავკასიის ყელიდან ახლო აღმოსავლეთისაკენ..." აშშ, რომელიც „ტერორიზმის წინააღმდეგ ომს" იყენებს ფარად, საკმაოდ მყარად იკიდებს ფეხს შუა აზია-ყაზახეთის რეგიონში (ნატოს სამხედრო კონტინგენტის მსხვილი შენაერთების შემოსვლა; აშშ-ის მსხვილი კაპიტალდაბანდებანი ამ რეგიონში; უდიდესი ენერგო-პროექტების: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი; ბაქო-თბილისი-ერზრუმი დაფინანსება და უშუალო კონტროლი აშშ-ის მხრიდან). აშშ-ერაყის ომის შემდეგ, თეთრი სახლის ადმინისტრაციამ პირდაპირ სამიზნედ კავკასია გაიხადა. კერძოდ, კავკასიის გასაღების – საქართველოს ხელში ჩაგდება. კავკასიაში აშშ-ის გაბატონების შემთხვევაში ფაქტობრივად იკვრება წრე რუსეთის გარშემო: თურქეთი – ატლან-

ტიზმის ფორპოსტი მცირე აზიაში; საქართველო-აზერბაიჯანი – აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი კავკასიაში; შუა აზია-ყაზახეთი-აშშ-ის სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმი რუსეთ-ჩინეთის იმპერიული ამბიციების მოსათოკად აზია – წყნარი ოკეანის რეგიონში. ბუშის ადმინისტრაციის გათვლა მარტივია: რუსეთი, „რეგიონალურ დერეფავად" გადაქცევის შემთხვევაში, ვერ შესძლებს იქონიოს რა პირდაპირი და გადამწყვეტი ზეგავლენა მსოფლიო გეოპოლიტიკურ პროცესებზე, ჩაიძირება შიდა ეთნიკურ და რელიგიურ კონფლიქტებში, რაც საბოლოო ჯამში, გამოიწვევს რუსეთის დაშლას.

ამ ბოლო დროს მასმედია და პოლიტიკური ელიტა პირდაპირ აკეთებენ აქცენტს აშშ-ის განსაკუთრებულ როლზე ქართული სახელმწიფოს რეანიმაციის საქმეში. მაგრამ საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის განხილვა მხოლოდ აშშ-თან მიმართებაში რა თქმა უნდა, მცდარია. ჩვენი წარმატება მსოფლიოს არენაზე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ შევახამებთ საგარეო პოლიტიკაში ატლანტიკურ (ევრო-ამერიკულ) და ევრაზიულ (რუსეთი, ირანი, ჩინეთი) მიმართულებებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში „მოერგება" თვით კავკასია მსოფლიო ურთიერთობათა ახალ სტრუქტურას. და კიდევ ერთი: კონფლიქტი ტალასოკრატიას და ტელუროკრატიას შორის კულმინაციურ ზღვარს რომ მიუახლოვდა, აშკარაა (კოსოვოს, ერაყის მაგალითები). რამდენად გამართლებულია ჩვენი გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს აშკარად ტალასოკრატიაზე ორიენტაცია?

ჩეჩნეთსა და ყარაბახში მიმდინარე კონფლიქტების ზერელე ანალიზიც კარგად უჩვენებს, რომ არსებობს მოსკოვისათვის კავკასიაში მოვლენების განვითარების მისთვის ხელსაყრელი ორი ვარიანტი: ან ჩეჩნეთსა და ყარაბახში განვითარებული მოვლენების გამოყენება და რეგიონში ეთნოკონფლიქტების და რელიგიური შიდა ომების პროვოცირება; ან კავკასიის სამხრეთ მიჯნებზე ტერიტორიების ისეთი გადანაწილება, რომელიც, ერთი მხრივ, განამტკიცებას რუსეთის გავლენას კავკასიასა და შუა აზიაში; მეორე მხრივ, საერთოდ დაუკარგავს კავკასიას ისტორიულ-კულტურულ ფუნქციას – იყოს ევროპა-აზიის დამაკავშირებელი რგოლი. **„რუსეთის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ამჟამად, – წერს ზ. ბზეჟინსკი, – საქართველოს დამორჩილებაა, რითაც გაწყდება კავშირი დასავლეთსა და შუა აზიას შორის".**

მოსკოვისთვის კავკასიაში ხელსაყრელი პოლიტიკის გატარებას ხელს უწყობს თავად კავკასიის რესპუბლიკების ურთიერთდაპირისპირებული გეოპოლიტიკური ორიენტაციები. სომხები ყარაბახის მოთხოვნით მოსკოვური „ტროას ცხენის" როლს ასრულებენ კავკასიაში. სათვალიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ რეგიონში რუსეთის გეოპოლიტიკური სტატუს-კვოს შენარჩუნების მიზნით, მოსკოვი სომხეთს, როგორც საქართველოსათვის ისტორიულად არასაიმედო გეოპოლიტიკურ პარტნიორს (საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ხარჯზე შავ ზღვაზე გასვლის და „დიდი სომხეთის" აღდგენის სურვილი; კავკასიაში – ქრისტიანული სახელმწიფოს პირველობის პერმანენტული მცდელობა), ყოველთვის გამოიყენებს კავკასიაში „განხეთქილების ვაშლის" როლში. რაც შეეხება საქართველოსა და აზერბაიჯანს, მათი ანტირუსული პოლიტიკა, კავკასიის, როგორც ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცის ჩამოუყალიბებლობის შემთხვევაში, შეიძლება დასრულდეს ისტორიული ტერიტორიების დაკარგვით. ამ ფაქტს კი აშშ-ის და ევროპის მხრიდან სერიოზული რეაქცია არ მოჰყვება. **აშშ, კავკასიის, როგორც ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცის არარსებობის პირობებში, რუსეთთან აშკარა დაპირისპირებაზე უარს იტყვის, ხოლო რუსეთის მიერ რაიმე უფრო მნიშვნელოვან საკითხში დათმობის სანაცვლოდ, გარიგებაზე წავა.**

**"В противном случае, т. е. при сохранении протурецкой ориентации Азербайджана, _** წერს ა. დუგინი, **_ это страна подлежит расчленению между Ираном, Россией и Арменией. Почти то же самое относится и к другим регионом Кавказа _ Абхазии, Дагестану и т. д. которые будут оставаться зонами конфликтов, и нестабильности только при столкновении в них геополитических интересов атлантической Турции с евразийской Россией"** (იხ. **А. Дугин. "Основы геополитики." М.,** 1997, გვ. 243).

რუსეთისგან განსხვავებით კავკასიაში აშშ მკვიდრდება ორი მიმართულებით: **1. ეკონომიკური ბერკეტები; 2. ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ.** ანტიტერორისტული კომპანიისთვის სამზადისი პანკისის ხეობაში, ქართული კომანდოს ბატალიონების ჩამოყალიბება, მიზანმიმართული პოლიტიკაა ნატოს კონტინგენტის დამკვიდრებისათვის საქართველოში. იდეოლოგიურ ფონს

ანტიტერორისტული კომპანიის აუცილებლობისათვის ქმნის საქართველოს უშიშროების სამინისტრო, რომელიც საჯაროდ აცხადებს, რომ ალ-ქაიდას ასობით ტერორისტი იმყოფება პანკისის ხეობაში, და რომ საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარების გარეშე არ ძალუძს ამ პრობლემის მოგვარება. მეორეს მხრივ, საუკუნის პროეტები: ბაქო-ჯეიჰანი და ბაქო-ერზერუმი ის ეკონომიკური ბერკეტებია, რომლის მეშვეობით აშშ მტკიცედ იმკვიდრებს ფეხს კავკასიაში და ქმნის ობიექტურ წანამძღვრებს კავკასიის რეგიონიდან რუსეთის პირწმინდად განსადევნად.

საქართველოს გეოპოლიტიკური ორიენტაციის საკითხი გათვლილი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, მისი გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობიდან და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. აქ დაუშვებელია ისტორიული წყენის ან პიროვნების ფაქტორით აპელირება, რამაც შეიძლება დამღუპველი როლი ითამაშოს ქართველი ერის სახელმწიფოებრივ ცნობიერებაზე.

პოლიტიკა რეალობაა და არა ვისმეს სურვილი. სწორედ ამ რეალობიდან გამომდინარე უნდა შევაფასოთ ის გეოპოლიტიკური ვაკუუმი კავკასიაში, საბჭოთა კავშირის დაშლას რომ მოჰყვა შესაბამისად.

აქსიომაა, რუსეთის დღეები კავკასიაში დათვლილია, რადგანაც ხიშტებზე აგებულ ტერორიულ მთლიანობას მოჩვენებითი სტაბილურობის, დიდი მსხვერპლის და ეკონომიკური გაჩანაგების გარდა არაფერი სიკეთე არ მოაქვს რუსეთისთვის. და კიდევ ერთი: ე. წ. ჩეჩნურმა კომპანიამ უკურეაქცია გამოიწვია ჩრდ. კავკასიის რუსულენოვან მოსახლეობაში. რუსები მასიურად ტოვებენ ჩრდ. კავკასიას. თუ ასე გაგრძელდა (არადა, სხვა პირი ამ პროცესებს არ უჩანს), ჩრდ. კავკასიაში რუსები უმცირესობაში აღმოჩნდებიან. ასეთ შემთხვევაში, ტოტალური სიძულვილის გარემოცვაში მყოფი კარგად შეიარაღებული მრავალათასიანი რუსების არმიაც კი უძლური იქნება ჩრდ. კავკასიაში რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული სტატუს-კვო შეინარჩუნოს.

არის საშიშროება, რომ ჩეჩნური სეპარატიზმი მეტასტაზივით მოედოს მთელს რუსეთს (უპირველეს ყოვლისა, ვოლგისპირეთს, სადაც ძირითადში თურქულენოვანი ტომები ცხოვრობენ და აღიარებენ ისლამს), რაც ამ უკანასკნელს რელიგიურ და ეთნიკურ ომებში ჩაძირვას უქადის. შესაბამისად, ჯანსაღი, პატრიოტულად

მოაზროვნე რუსეთის საზოგადოებრიობა შინაგანად მზად არის მოიცილოს, მოიკვეთოს ჩეჩნეთი (სხვა ამბავია, თუ როგორი გზით და რა ფორმით), რამეთუ ა. სოლჟენიცინის თქმისა არ იყოს, ჩეჩნეთი, ეს არის **"гангренозный член на теле России и для спасения всего организма его надо отсечь ".**

შესაბამისად, **რუსეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს პერსპექტივაში იმ მოსალოდნელ რეალობას, თუ ვინ შეავსებს იმ ვაკუუმს კავკასიაში, რუსეთის ამ რეგიონიდან გამოსვლას რომ მოჰყვება: თურქეთი („პანისლამიზმის" და „პანთურქიზმის" იდეით) თუ საქართველო („საერთოკავკასიური სახლის" იდეით)?! თუ კავკასიაში შექმნილ გეოპოლიტიკურ ვაკუუმს თურქეთი შეავსებს (თურქეთს ამ შემთხვევაში ექნება პირდაპირი გასასვლელი ეთნიკურად და ენობრივად მონათესავე ვოლგისპირეთის, ციმბირის და შუა აზიის თურქულენოვან ხალხებთან), ეს რუსეთის დაშლის და მისი სახელმწიფოებრივი კატასტროფის მომასწავებელი იქნება, რასაც ის, ბუნებრივია, არანაირად არ შეურიგდება.**

მიუხედავად იმისა, რომ ,,საერთოკავკასიური სახლის'' იდეას არც ისლამური ფუნდამენტალიზმი მოაქვს და არც ,,პანთურქიზმის'' სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესებზეა გათვლილი, მოსკოვი ამ ეტაპზე ვერ ჰგუობს ჩრდ. კავკასიის ამოვარდნას რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული სივრციდან და მის (ე. ი. ჩრდ. კავკასიის) დაბრუნებას საქართველოს გეოპოლიტიკურ სივრცეში. აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი: **პირველი,** მოსკოვი შიშობს, რომ ჩრდ. კავკასიის საქართველოს გეოპოლიტიკურ სივრცეში დაბრუნებას შეიძლება მოჰყვეს ჯაჭვური რეაქცია (ვოლგისპირეთის, ციმბირის თურქულენოვანი ხალხების თურქეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში დაბრუნება ,,დიდი თურქეთის'' სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივით); **მეორე,** რუსეთი, შინაგანი მენტალიტეტიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე საერთოდ ვერ ჰგუობს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ გეოპოლიტიკურ პარტნიორს. ჩრდ. კავკასიის საქართველოს გეოპოლიტიკურ სივრცეში დაბრუნების შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას რეალურად შეუძლია ,,პანთურქიზმის'' და ,,პანისლამიზმის'' ჩამკეტი სახელმწიფოს ფუნქცია შეასრულოს კავკასიაში. **არადა, რუსეთი საქართველოსგან სრულ მორჩილებას მოითხოვს, ხოლო საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების დაკანონებით კი ჩრდ.**

**კავკასიის ურჩ რესპუბლიკებზე სრული კონტროლის დაწესებას!**

ფაქტია, რომ დასავლეთი უკვე აღარ განიხილავს კავკასიას რუსეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში (ბაქო-ჯეიჰანის და ბაქო-ერზერუმის პროექტები). ასე რომ, სამომავლოდ დაპირისპირება რუსეთსა და დასავლეთს შორის კავკასიაში გარდუვალია. **თუ რუსეთმა საქართველოსთან პოლიტიკურ პარტნიორობას დაპირისპირება ამჯობინა, კავკასიაში (ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცის ჩამოუყალიბებლობის შემთხვევაში?!) თურქეთის, ჩანაცვლება მოჯება, ხოლო შუა აზიაში, ჩინეთის, რაც რუსეთს ეთნიკურ და რელიგიურ ომებში ჩაძირავს.**

ჩრდ. კავკასიის, დაბრუნებას საქართველოს გეოპოლიტიკურ სივრცეში არანაირი ჯაჭვური რეაქცია არ მოჰყვება რუსეთში. ჯერ-ერთი, სეპარატისზმისკენ სავარაუდოდ მიდრეკილი რესპუბლიკების ერთი ნაწილი (ყომი, მარი, მორდოვა, ჩუვაშეთი, ბაშკირეთი) რუსეთის შიდა საზღვრებშია მოქცეული, ხოლო დანარჩენი (იაკუტია, კარელია, ბურიატია) რიცხობრივად აშკარად ჩამოუვარდება რუს ერს; რუსეთის უკიდეგანო ტერიტორია (ჩრდ. კავკასიის გამოკლებით) ისტორიულად ყოველთვის იყო სლავი, უნგრო-ფინური და მონღოლოიდური ტომების მიგრაციების, ეთნიკურ-ენობრივი აღრევის ადგილი. რად ღირს თუნდაც ძველი რუსული ანდაზა: **"Поскребешь русского, обнаружишь татарина".** ასე რომ, რუსი ერი თამამად შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის (ჩრდ. კავკასიის გამოკლებით) აბორიგენ მოსახლეობად და ისეთივე უფლება აქვს პირველმემკვიდრეობის, როგორც თათრებს, ბაშკირებს, იაკუტიელებს და სხვა. ჩრდ. კავკასია (პირველ ეტაპზე მეამბოხე ჩეჩნეთი) კი არ გამოეყოფა რუსეთს (გამოყოფაზე და რუსეთის დაშლაზე საერთოდ არ მიდის საუბარი), არამედ ეს საკითხი განიხილება საერთაშორისო სამართლის სუბიექტების – რუსეთსა და საქართველოს შორის. ფაქტია, რომ რუსეთმა 1801 წელს მოახდინა საქართველოს არა მარტო ოკუპაცია და ანექსია, არამედ ამოაგდო ჩრდ. კავკასია საქართველოს გეოპოლიტიკური სივრციდან, რომელიც ათასწლეულებით იყო დაკავშირებული მასთან.

ამას წინათ, ვაშინგტონის ინიციატივით რადიო „თავისუფლებამ" მაუწყებლობა დაიწყო ჩრდ. კავკასიის ხალხთა ენებზე: ხუნძურზე, ჩეჩნურ-ინგუშურზე და ჩერქეზულზე. როგორც ჩანს, ბუშის

ადმინისტრაცია რუსეთის ფედერაციის რღვევის საინფორმაციო უზრუნ-
ველყოფას სწორედ ჩრდ. კავკასიიდან იწყებს. ეს თავისთავად მის-
ასალმებელი ფაქტია, მაგრამ საკითხავია, ჩრდ. კავკასიაში შექმნილ
ვაკუუმს ვინ შეავსებს: იბერიულ-კავკასიური ორიენტაციის საქართველო
თუ „პანისლამიზმის" და „პანთურქიზმის" იდეოლოგიის მატარებელი
თურქეთი?! ფაქტია, რომ რუსეთს კავკასიაში სამომავლოდ (შესაბამ-
ისად ვოლგისპირეთშიც) „პანისლამიზმის" და „პანთურქიზმის" წინააღმ-
დეგ ბრძოლა ძალუძს მხოლოდ ძალისმიერი ბერკეტებით. თუ რამდე-
ნად ეფექტურია ბრძოლის ეს ფორმა, მკაფიოდ ჩანს ჩეჩნეთის მა-
გალითით. მცირერიცხოვანი ჩეჩენი ხალხი (რომლისთვისაც უცხოა
„პანთურქიზმის" იდეოლოგია) წარმატებით უმკლავდება ასმილიონი-
ანი რუსეთის აგრესიას. თუ რა საშიშროებას შეიძენს ანტირუსული
მოძრაობა ჩეჩნეთში, მასში ვოლგისპირეთის და კავკასიის თურქუ-
ლენოვანი ხალხების ჩართვის შემთხვევაში, რომელნიც სავარაუდოდ
„პანისლამიზმის" და „პანთურქიზმის" დროშის გარშემო დაირაზმე-
ბიან, ადვილად წარმოსადგენია. „პანისლამიზმი" და „პანთურქიზმი"
ვაშინგტონის ადმინისტრაციის კულუარებში შექმნილი იდეოლოგია
როდია. ჯერ კიდევ XIX ს-ის დამლევს გერმანიამ, რომელსაც იმპე-
რიული მადა გვიან გაეხსნა, თავისი მზერა მიაპყრო ახლო და
შორეულ აღმოსავლეთს. ხსენებულ რეგიონში იმ ხანად გაბატონებ-
ული მდგომარეობა ეკავა ინგლისს, გერმანიას და რუსეთს. გერმანია,
რომელიც თურქეთს სტრატეგიულ მოკავშირედ იხდიდა მცირე და
შუა აზიაში, სადაც ძირითადში თურქულენოვანი ხალხები ცხოვრობდნენ,
თურქეთს სთავაზობდა მაცდუნებელ იდეას: **1. „პანისლამიზმს", ე.ი.
სულთან ხალიფას მეთაურობით მსოფლიოში მცხოვრები ყველა
მუსულმანის გაერთიანებას, რაც თავის მხრივ, მიმართული იყო
ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ; 2. „პანთურ-
ქიზმს", ე. ი. თურქული ჯგუფის ენაზე მოლაპარაკე ყველა თურქული
მოდგმის ხალხის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას თურქეთის ჰეგე-
მონობის ქვეშ."** (ე. მაკარიძე. „თურანიზმის" საკითხი თურქეთის
საგარეო პოლიტიკაში." იხ. ქართული დიპლომატია, ტ. VII, თბ.,
2000). „პანისლამიზმის" და „პანთურქიზმის" იდეოლოგია მჭიდროდ
არის დაკავშირებული „თურანიზმთან", როგორც პოლიტიკურ მიმ-
დინარეობასთან. ის მიზნად ისახავს „თურანელ" ხალხთა (იგულისხმება
თურქულენოვანი ხალხები) ეროვნულ და სახელმწიფოებრივ გაერ-

ობიანებას. სწორედ აქ უნდა დაემთხვეს ერთმანეთს აშშ-ის, რუსეთის და საქართველოს ინტერესები. **წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. დასავლეთის მხრიდან თურქეთის „კავკასიური პოლიტიკის" მხარდაჭერის შემთხვევაში, რუსეთის ტერიტორიალური მთლიანობა პერმანენტული საფრთხის წინაშე იქნება; კავკასიაში რუსეთის თურქეთით ჩანაცვლების შემთხვევაში კი „პანისლამიზმი" და „პანთურქიზმი" არა მარტო ქართულ სახელმწიფოს, არამედ ქართველი ერის ფიზიკურ არსებობასაც შეუქმნის საფრთხეს; და ბოლოს: ტერიტორიალურად საგრძნობლად გაფართოებული თურქეთი (ვოლგისპირეთი, აზერბაიჯანი, შუა აზია და ჯაზახეთი), მდიდარი ენერგორესურსების საბადოებზე სრული კონტროლის დაწესებით, თავს დააღწევს აშშ-ის „ოპეკუნობას" და სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის თავად დასავლეთს შუა აზია-ჯაზახეთის რეგიონში.**

ჩრდ. კავკასიაში გეოპოლიტიკური ვაკუუმის შევსება ძალუძს მხოლოდ საქართველოს. ინტერესების ამდაგვარი თანხვედრა შესაძლებელი იყო ორჯერ: 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატისა და 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დადების დროს. მაგრამ მაშინ რუსეთი (ცარისტული და ბოლშევიკური), როგორც მზარდი სახმელეთო „დერჟავა", ვერ შეელია იმპერიულ ამბიციებს. ამიტომაც პარტნიორობას და გეოპოლიტიკურ მოკავშირეობას ამჯობინა – იძულების გზით საქართველოს მორჩილებაში ყოლა. შესაბამისად, ამდაგვარმა მიდგომამ გამოიწვია რუსეთის მხრიდან ადეკვატური ღონისძიებანი – მიწის პირიდან უნდა აღგვილიყო ქართული სახელმწიფო და ქართველი ერი. რუსეთმა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ჩვენდა საბედნიეროდ, ეს ვერ მოახერხა.

დღეს რუსეთი დგას ანალოგიური მდგომარეობის წინაშე. საქართველო, უნიკალური გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობისა და საბჭოური იმპერიის დაშლის გათვალისწინებით, ნელ-ნელა იბრუნებს თავის ისტორიულ-კულტურულ მისიას ჩრდ. კავკასიაში, ხოლო სამხრ. კავკასიაში დასავლეთის სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმის და სავაჭრო-სატრანზიტო ქვეყნის სტატუსს იმკვიდრებს. ამასთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობას სერიოზული საფრთხე არ ემუქრება, რადგანაც ის დაცულია საერთაშორისო მექანიზმებით. არის ვარაუდი: თუ რუსეთი ვერ მოაგვარებს თავის პრობლემებს კავკასიაში (უპირველეს ყოვლისა, საქართველოსთან), რუსეთი უპ-

ირობოდ. ტი:ვებს კავკასიას და მის ადგილს (კავკასიის, როგორც ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცის ჩამოუყალიბებლობის შემთხ-ვევაში?!) დასავლეთის წაქეზებით თურქეთი დაიკავებს. თუ ვინ გავლენის ზონაში მოჰყვებოდა ჩრდ. კავკასია და რა მნიშვნელობა ექნებოდა ამ ისტორიულ პროცესს საქართველოსთვის, ფრიად აქ-ტუალური იყო სდრ-ის პოლიტიკურ წრეებში 1918-1921 წწ. „ამ საბედისწერო რკალის გარღვევის პოლიტიკა ჩვენ გვიკარნახებს ახლო კავშირს კავკასიის მთიულებთან, – წერდა 1918 წ. პავლე ინგოროყ-ვა, – და საამისოდ მართლაც არის რეალური პირობები. მთიულებს ჩვენთან აერთებს არა მარტო ძმური რასიული ნათესაობა, არამედ საარსებო ინტერესებიც. პანმონღოლიზმის საფრთხე ორმხრივ ელის ქართულ-კავკასიურ რასას. სამხრეთით თურქეთისა, ჩრდილოეთით – რუსებისა... ჩვენ აქაც დავაყოვნეთ, იქნებ სამუდამოდ, რომ არა ვთქვათ იმ კულტურული მისიის შესახებ, რომელიც ქართველობას ევალებოდა – და ეხლაც ევალება კავკასიის მთიულეთში... მთიუ-ლეთში ბუნებრივი რასიული მიზიდულობა არის ქართველობასთან და თვითონ მთიელების ხელმძღვანელი წრეები იზიარებენ კიდეც ქართულ ორიენტაციას... და უნდა ვიცოდეთ, მომავალში ეს კავში-რი იქნებ შეუძლებელიც გახდეს, რადგანაც მთიულეთი მეთოდურად თანდათანობით თურქდება, როგორც კულტურულად, ისე ლინგვის-ტურად, და არც ისე შორეულ მერმისში საბოლოოდ გადაგვარდ-ება, თუკი იგი უშუალოდ თურქების გავლენის სფეროში მოჰყვება. და მაშინ ჩვენი ისტორიის მაგისტრალი დასრულდება კიდეც“ (პ. ინგოროყვა. „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ.“ თბ., 1990, გვ. 36-37).

აი, სწორედ აქ ემთხვევა ერთმანეთს რუსეთ-საქართველოს ინტერესები, ანუ მოქმედებაში შემოდის ისტორიული გარდუ-ვალობის ფაქტორი. ჩრდ. კავკასიაში საქართველოს გეოპოლი-ტიკური სივრცის აღდგენა – ქართული სახელმწიფოებრიობის სიცოცხლისუნარიანობის, დამოუკიდებლობის გარანტად იქცევა, ხოლო კავკასია რუსეთისთვის არ იქნება „პანისლამიზმის“ და „პან-თურქიზმის“ პლაცდარმი.

ჩრდ. კავკასიის საქართველოს გეოპოლიტიკურ სივრცეში დაბ-რუნების პროცესი უმტკივნეულოდ წარიმართება, რადგანაც საქართველოსთან მიმართებაში ჩრდ. კავკასიის ხალხებში ისტორი-

ულად არსებობდა ძმური რასიული ნათესაობა, ენობრივ-კულტურული ერთობა. ჩრდ. კავკასიის ხალხების საქართველოს გეოპოლიტიკურ სივრცეში დაბრუნების დიდ დამაბრკოლებელ ბარიერად მიიჩნევენ 1. ისლამს; 2. რუსულ ენას, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩრდ. კავკასიის ხალხთა კულტურის ფორმირების საქმეში. ისტორიულად ისლამს კავკასიაში, როგორც სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობას, არ გამოუწვევია „საერთოკავკასიური შეგნების" ტოტალური რღვევა. მაგრამ ისლამი მკვეთრად უპირისპირდება „საერთოკავკასიური „გეოპოლიტიკურ ინტერესებს", როცა ერწყმის რომელიმე ფართო მასშტაბის პოლიტიკურ მოძრაობას, ე. ი. ხდება ამ მოძრაობის იდეოლოგია (ისლამური ფუნდამენტალიზმი, ვაჰაბიზმი, შარიათული სახელმწიფოს მშენებლობა და სხვა). ჩრდ. კავკასიაში ისლამი პოლიტიზირებული არ არის. ვაჰაბიზმისადმი დამოკიდებულება ჩრდ. კავკასიის ფართო მასებში მკვეთრად უარყოფითია. ვაჰაბიზმი გარედანაა შემოტანილი (როგორც იეღოველობა) ჩრდ. კავკასიაში ცსს (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო) მიერ მისი მოკავშირე საუდის არაბეთიდან, რათა ჩრდ. კავკასიის ხალხებთან რუსეთს მუდმივად ჰქონდეს დაძაბული ურთიერთობა. აშშ, რომელიც თავად არის ისლამის დაუძინებელი მტერი, რუსეთთან მიმართებაში ისლამის უკიდურეს გამოვლინებებს (ვაჰაბიზმი, ჯიჰადი) იყენებს, რათა შიგნიდან ააფეთქოს რუსეთი და ჩაძიროს ის რელიგიური ომების მორევში. თუ კავკასიის მთის ხალხებს ექნებათ იმის გარანტია, რომ მათ სახელმწიფოებრიობას, ტერიტორიულ მთლიანობას, ენას, კულტურას, ადათ-ჩვეულებებს და მათ ფიზიკურ არსებობას არანაირი საფრთხე არ დაემუქრება რუსეთისაგან, ჩრდ. კავკასიის ხალხებს (ამ შემთხვევაში ჩეჩნებს) არ დასჭირდებათ ისლამის ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა. და რაც მთავარია: კავკასიის მთის ხალხებისთვის პოლიტიკური და, ასევე, ეკონომიკური თვალსაზრისით წამგებიანია ფუნდამენტალურ ისლამზე ორიენტაცია, რადგანაც ჩრდ. კავკასია ფაქტობრივად ჩაკეტილია ორ ქრისტიანულ ქვეყანას, რუსეთ-საქართველოს შორის.

რაც შეეხება კავკასიის მთის ხალხთა კულტურას, ის არ აღმოცენებულა ისლამზე, მისი ძირები იბერიულ-კავკასიური ხასიათისაა. მაგრამ XIX-XX სს-ში ჩრდ. კავკასიის ხალხთა კულტურა ვითარდება ძირითადად რუსული ენის და კულტურის საფუძველზე.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა როლს ასრულებდა ქართული ენა, ქრისტიანობა მთის კავკასიის ხალხებში X-XIV სს-ში. უფრო მეტიც: იყო მცდელობა, რომ ჩრდ. კავკასიის ზოგიერთი ხალხისთვის დამწერლობა ქართული ანბანის საფუძველზე შეექმნათ. დღესაც დიდია ჩრდ. კავკასიის ხალხთა ლტოლვა ქართული ენისა და ქართული კულტურისადმი. შესაბამისად (ე. ი. აუცილებლობის შემთხვევაში, უმტკივნეულოდ მოხდება კავკასიის მთის ხალხებში რუსული ენის და კულტურის ქართულით ჩანაცვლება. და აქ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მთის კავკასიის ხალხთა დამწერლობების რუსული ანბანიდან ქართულ ანბანზე გადასვლამ. ჩრდ. კავკასიაში დამწერლობის არმქონე ენებისათვის ქართულ საანბანო სისტემას იდეალურად მიიჩნევდა XIX ს-ის რუსი მეცნიერი პ. უსლარი: „...ქართული საანბანო სისტემა შესაძლოა აქამდე დამწერლობის არმქონე ყველა კავკასიური ენისათვის საერთო ანბანის საფუძველი გახდეს. მაგრამ თუ ჩვენ ვისესხებთ ქართველებისაგან არა მარტო საანბანო სისტემას, არამედ ასოთა მოხაზულობასაც, ამით თვითნებურად შევქმნით სირთულეებს, რომლებიც მით უფრო საგრძნობი იქნება, რაც მეტად გავრცელდება კავკასიაში რუსული წერა-კითხვა" შესაბამისად, ისტორიული თანაცხოვრებიდან და თანამედროვე გეოპოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ჩრდ. კავკასიაში უნდა აღდგეს „ქართოცენტრული კულტურულ-ინფორმაციული სივრცე", ე. ი. იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოლაპარაკე ხალხები ისევ უნდა „მიიქცნენ ქართულად", ანუ დაუბრუნდნენ თავიანთ პრეისტორიულ ძირებს. საკუთრივ კავკასიაში კი ერთიანი „კულტურულ-ინფორმაციული სივრცის" შექმნა გულისხმობს დაპირისპირებული გეოპოლიტიკური ცენტრების გამომხატველ ძალთა დაბალანსების საინფორმაციო უზრუნველყოფას, „საერთო კავკასიური შეგნების" ჩამოყალიბებას, კავკასიის გადაქცევას ქრისტიანული და მუსულმანური რელიგიების მშვიდობიანი თანაარსებობის რეგიონად.

**რატცელის მიხედვით სივრცე წარმოადგენს იმ ბუნებრივ ჩარჩოებს, რომელშიც ხდება ხალხთა ექსპანსია. ყოველ სახელმწიფოს და ხალხს აქვს თავისი „სივრცული კონცეფცია", ე. ი. იდეა საკუთარი ტერიტორიული სამფლობელოს შესაძლო ზღვრების შესახებ. სახელმწიფოს დაცემა, რატცელის მიხედვით, არის მოდუნებული სივრცითი კონცეფციის და დაუძლურებული სივრცითი გრძნობის**

შედეგი. ქართველი ერის „სივრცული კონცეფცია" ისტორიულად მოიცავდა ჩრდ. კავკასიასაც. ამ „სივრცული კონცეფციის" აღდგენა არის ქართული სახელმწიფოს, ენის და კულტურისათვის უნივერსალობის მინიჭების უმთავრესი პირობა. ამასთან ერთად, ჩრდ. კავკასიის ხალხების იბერიულ-კავკასიურ სამყაროში მოქცევა (ანუ, ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცის აღდგენა) იბერიულ-კავკასიური ცივილიზაციის, საერთოდ, იბერიულ-კავკასიური მოდგმის ფიზიკური გადარჩენის ერთადერთი გარანტია.

ცხადია, რომ დღეს კავკასიისთვის აუცილებელია უშიშროების ერთიანი დოქტრინა, რომელიც მისი გეოპოლიტიკური მთლიანობის უზენაესობის პრინციპს დაეფუძნება. ამ დოქტრინის შესაბამისად, გარედან ინსპირირებული ტერიტორიული პრეტენზიების ეთნიკურ და რელიგიურ კონფრონტაციაში გადაზრდის მისწრაფება, პოლიტიკური დივიდენდების მიღების მიზნით, უნდა ჩაითვალოს კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უმძიმეს დანაშაულად. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ კავკასიის მთლიანობა – მისი უშიშროების გარანტიაა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, თვით კავკასიაში (და არა მის ფარგლებს გარეთ!) მცხოვრები ხალხების შეთანხმებული ნებით მიიღწევა. ე. ი. ჩვენთვის გადამწვეტი უნდა იყოს არა ხალხის ეთნიკური წარმომავლობა ან სარწმუნოებრივი აღმსარებლობა, არამედ მისი კავკასიელობა. „საერთოკავკასიური სახლი" უნდა წარმოჩინდეს ჩვენს ცნობიერებაში, როგორც ქრისტიანული და მუსულმანური რელიგიების მშვიდობიანი თანაარსებობის, ურთიერთშემწყნარებლობის გარანტი; ქრისტიანული და მუსულმანური სამყაროს სამომავლო ურთიერთშეთანხმებული თანაარსებობის მაკრო-მოდელი.

**ამრიგად, კავკასიის წინაშე ისტორიულად მხოლოდ ასეთი ალტერნატივაა: ან კავკასიური ერთიანობა, რაც მისი სიძლიერისა და თავისუფლების საფუძველია, ან განკერძოებულობა, სხვადასხვა გეოპოლიტიკურ ცენტრზე ორიენტაცია. ეს არა მარტო „საერთოკავკასიური შეგნების" მოშლას გამოიწვევს, არამედ დამღუპველ გავლენას მოახდენს მისი მკვიდრი ხალხების თვითმყოფადობაზე, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს თვით კავკასიაში მცხოვრები ხალხების ფიზიკურ არსებობასაც კი...?!**

# თავი მეორე
# „პერესტროიკა“ და აფხაზური კარტის გათამაშება.

**«Ничего нам своего не надо, но чужого не дадим»**
რუსული ანდაზა

## §1. სახელმწიფო ენა: დამოკლეს მახვილი აფხაზეთში

დიდი ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი საისტორიო თხზულებაში „მეფეთა ცხოვრება“ წერდა: **„და იყენეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა შინა ექვსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული“** („ქ.ც.“ I, გვ. 16). ძვ. წ. აღ. III საუკუნეში ქართლში ექვსი ენის ფუნქციონირებას მავანი ქართველი კაცის თანდაყოლილი **„ინტერნაციონალური“** ბუნებით ხსნის. აბსურდულობასთან ერთად ეს აზრი, რომ წინააღმდეგობრივი ხასიათისა გახლავთ ამას თავად ლეონტი მროველის კიდევ ერთი ცნობა მოწმობს: **„ამან (ფარნავაზმა – ვ. ჭანია) განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა“** („ქ.ც“ I, გვ.26). თუ როგორ ეთვისება ერთ ერში (ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან?!) ერთმანეთს „ინტერნაციონალისტური“ და „ნაციონალისტური“ ბუნება ამის გარკვევა დაინტერესებულ პირთათვის მიგვინდია. მაგრამ საქმე იმაშია, რომ არც ფარნავაზ მეფე იყო „ნაციონალისტი“ და არც მისი წინამორბედნი „ინტერნაციონალისტები“ ქართლში ექვსი ენის ფუნქციონირება არაქართული მოსახლეობის პოლიტიკურ აქტიურობაზე და ამდენად ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის დაბეჩავებულ მდგომარეობაზე მიუთითებდა. ე. ი. როდესაც ქართული ენა ფაქტობრივად არ ასრულებდა სახელმწიფო ენის ფუნქციას. ამას ადასტურებს ლეონტი მროველის ერთი ცნობაც: **„ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა –“**. ეს ფაქტი იმაზე კი არ მიუთითებს, რომ ქართველი მეფეები ექვსივე ენას სრულყოფილად ფლობდნენ, არამედ იმაზე, რომ ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხებს ქართლის სამეფო კარზე პოლიტიკურ ანგარიშს უწევდნენ.

ამდენად, ფარნავაზ მეფის მიერ ჩატარებული რეფორმა **„ამან განავრცო ენა ქართული“** ქართულის, როგორც სახელმწიფო ენად გამოცხადების, დაკანონების მაუწყებელია, ხოლო“ **არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვნიერ ქართულისა“** მიუთითებდა იმაზე, რომ სხვა ენებმა დაკარგეს პრივილეგირებული ფუნქციები ქართლის სამეფო კარზე და მხოლოდ პატუა ენის როლს დასჯერდნენ.

ფარნავაზის მიერ ჩატარებულ რეფორმაში **„ნაციონალიზმის“** მისხალიც არ არის. მას არ აუკრძალავს„სხვა“ ენებზე საუბარი, სწავლა-განათლება. მაგრამ არაქართული მოსახლეობისათვის სავალდებულო უნდა ყოფილიყო ქართული ენის ცოდნა. ამრიგად, ოფიციალურად კანონდებოდა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ცოდნა, ქართული ენის უპირატესობა სხვა ენებთან შედარებით. არაქართველური ენები, როგორც სახელმწიფო ენები, ფუნქციონირებდნენ შესაბამისი ქვეყნების ფარგლებში (საბერძნეთი, იუდეა, სომხეთი...) და ამდენად, დაკნინების, გადაგვარების არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდათ. და კიდევ ერთი: ფარნავაზის მეფობის დროს საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ერის სუვერენობა კი განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, მისი მატარებელი ხალხის და ენის პრივილეგირებული მდგომარეობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეროვნული დამოუკიდებლობა თავის მოტყუებაა და სხვა არაფერი.

ძვ. წ. აღ. III საუკუნეში ფარნავაზ მეფის მიერ განხორციელებულ ენობრივ რეფორმას, თავისი შორსგამიზნული ჩანაფიქრით, ბევრად ეხმიანება ის პროექტი, რომელიც ახლახან მიღებულ იქნა ქართული საზოგადოების ინიციატივით და რესპუბლიკის მთავრობის თანადგომით. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს „ქართულის, როგორც რესპუბლიკის სახელმწიფო ენის ფუნქციონირებას პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-სასწავლო, კულტურულ და სამეურნეო დაწესებულებებსა და ყველა სახის საწარმოში“

ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენისადმი ფორმალური დამოკიდებულება (რაც ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის მიღების მიზეზი გახდა) მკაფიოდ არის დაფიქსირებული საქართველოს სსრ კონტიტუციის 75 მუხლში:

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

საქართველოს სს რესპუბლიკა აბორიგენების სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლების და სხვა დაწესებულებებში.

საქართველოს სს რესპუბლიკის იმ ორგანოებსა და დაწესებულებებში უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული და სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში დაუშვებელია"

როგორც ვხედავთ, 75 მუხლის თანახმად, საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივ ორგანოებში ქართულ ენას ფაქტობრივად არანაირი პრივილეგირებული მდგომარეობა არ გააჩნია. ბუნებრივია გვებადება შეკითხვაც: ქართული ენა თუ სახელმწიფო ენაა, საქართველოს არაქართული მოსახლეობის ენათა ფუნქციონირების არეალი რატომ არის შეუზღუდავი და ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის დარად თანასწორუფლებიანი? როგორც ფარნავაზამდელ, ასევე, თანამედროვე საქართველოში ექვსი ენა ფუნქციონირებს: ქართული, აფხაზური, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ოსური. საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის 75 მუხლი რაიმე პრივილეგიას ან შეზღუდვას ამ ენების ხმარებაში არ უშვებს. ისიც უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის არაქართული მოსახლეობის (1 მლნ. 600 ათასი კაცი) უდიდესმა ნაწილმა „საყველპურო" ქართულიც არ იცის, რამდენიმე ათასი ქართველი მშობლიურ ენად რუსულ ენას აღიარებს. ქართველი მოსწავლე-ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი რუსულ სკოლაში დადის. თუ ამას ისიც დაემატება, რომ სსრკ-ის სახელმწიფო ენა რუსულია, საქართველოს კომუნისტური პარტიის სამუშაო ენაც, ფაქტობრივად რუსულია: ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, აღიარება საქართველოს სს რესპუბლიკის 75 მუხლის მიხედვით ფიქციაა და სხვა არაფერი.

რა უნდა გაკეთდეს პრაქტიკულად იმისთვის, რომ ქართული ენა გახდეს რეალურად რესპუბლიკის სახელმწიფო ენა და რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ამ შემთხვევაში საქართველოში მცხოვრები არაქართული მოსახლეობა.

სხვათაშორის, ეს პრობლემა ძალიან აწუხებთ „მარადის ჩვენზე ზრუნვით შეპყრობილ უფროს ძმებს" კერძოდ, მ. გუბუგლო გამოთქ-

ვამს შიშს. ვაი. თუ ერთი ენის სახელმწიფო ენად დაკანონებამ სხვა ენების ინტერესების შელახვა-დამცირება გამოიწვიოსო. არა, არ გამოიწვევს ბატონო გუბოგლო! ჩვენს სინამდვილეში არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა". რაც ქართული ენის სახელმწიფო ენის დონეზე რეალურად დაკანონებას ნიშნავს და არავითარ შემთხვევაში სხვა ენებზე მოლაპარაკე ხალხებისათვის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების აკრძალვას. მაგრამ მათი ფუნქციები საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს არ უნდა სცილდებოდეს. და აქ არაფერია **„ნაციონალისტური"**, თუნდაც იმ ერთი მიზეზის გამო, რომ არაქართული ენები (ამ შემთხვევაში რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ოსური) არაფრით და არავისგან იზღუდება. ასე, რომ გუბოგლოს და სხვათა წუხილი ამაოა. სჯობს, იმას მიხედონ, რომ ყველაზე ინტერნაციონალურ მოსკოვში, სადაც ასეულ ათასობით „ინოროდეცი" ცხოვრობს, არც ერთი ეროვნული სკოლა არ არის?!

აქედან გამომდინარე შემოგვაქვს წინადადება: რეალურად დავაკანონოთ ქართული ენის, როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენის, სტატუსი. ამასთან საქართველოს სსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლის მეორე და მესამე აბზაცი შემდეგნაირად ჩაიწეროს:

საქართველოს სს რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას პარტიულ (ხაზი ჩვენია – ვ.ჭ.), სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში.

საქართველოს სს რესპუბლიკა კულტურულ-საგანმანათებლო სფეროში, ხელს უწყობს იმ ენების ხმარებას, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს.

საქართველოში რუსული ენის ფუნქციონირების საკითხთან დაკავშირებით, ბატონი აკაკი ბაქრაძე სამართლიანად ბრძანებს: „სანამ სსრკ იარსებებს, მანამ რუსული აუცილებელი სახელმწიფო და საკომუნიკაციო ენა იქნება" (გაზ. „სახალხო განათლება", 1988, 5/XI ). ამდენად, კამათი იმის თაობაზე, გვჭირდება თუ არა რუსული ენის ცოდნა, როგორც იტყვიან, წყლის ნაყვაა. ჯერჯერობით

გვჭირდება... საქმე სხვაგვარადაა. საინტერესოა რუსული ენა სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების რა როლს უნდა ასრულებდეს საბჭოთა კავშირში: ერთაშორის თუ რესპუბლიკურს? მავანმა შეიძლება გაიკვირვოს კიდეც: კი მაგრამ რა განსხვავებაა მათ შორის? დიდი განსხვავებაა!

თუ რუსული ენა საბჭოთა კავშირში დაკანონდება ერთაშორის ენად, მაშინ ქართული ენის (ისევე, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა შესაბამისი სახელმწიფო ენები) სახელმწიფო სტატუსი, საქართველოს სსრ ამჟამინდელი კონსტიტუციის 75-ე მუხლის მსგავსად, იქნება ფიქცია. ცნობილი ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა მოკავშირე რესპუბლიკა მრავალეროვანია. ბუნებრივია: თუ სსრკ-ის ახალ კონსტიტუციაში რუსულ ენას მიენიჭება ერთაშორისი ენის სტატუსი, იგი ავტომატურად საბჭოთა იმპერიის სახელმწიფო ენების გვერდით თანასწორუფლებიან მდგომარეობას დაიკავებს. რუსული ენის ასეთი უფლებრივი გათანასწორება მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის სახელმწიფო ენებთან თითქმის არარად აქცევს მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ენების სტატუსს.

სახელმწიფო ენა რესპუბლიკის არამკვიდრი მოსახლეობისათვის პრიორიტეტული მაინც არ იქნება. არაქართველს საქართველოს სსრ ფარგლებში, არანაირი ბარიერი არ შეექმნება რუსული ენითაც.

რუსული ენის, როგორც რესპუბლიკათაშორისი ენის აღიარება კი იმას ნიშნავს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ენა იქნება სავალდებულო რესპუბლიკის მთელი მოსახლეობისათვის (ეროვნებისდა განურჩევლად), რომ პარტიული, სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანოების, კულტურის, განათლების და სხვა დაწესებულებების სამუშაო ენა იქნება მხოლოდ და მხოლოდ (ხაზს ვუსვამთ – მხოლოდ და მხოლოდ) ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ენა. რუსული ენა, რომლის მნიშვნელობასაც ბუნებრივია, არავინ არ უარყოფს, გამოყენებულ იქნება სახელმწიფოებრივი და პარტიული მნიშვნელობის რესპუბლიკათაშორის შეკრებებზე (საკავშირო სესიებზე, ყრილობებზე).

ყოველივე აქედან გამომდინარე, შემოვდივართ წინადადებით, რომ სსრკ-ის კონსტიტუციაში, შესაბამისად, მოკავშირე რესპუბლიკების

კონსტიტუციებშიც, ჩაიწეროს: საბჭოთა სოციალისტური რესპუბ-ლიკების კავშირის რესპუბლიკათაშორისი ენა არის რუსული ენა.

ჟამთა სიავისაგან დარღვეულმა ეროვნულმა ცნობიერებამ, „უზრუნველი ცხოვრების" მოსურნე ქართველ მშობელთა არა-შორსმჭვრეტელობამ სულიერად დააკნინა და გააღარიბა ქართველი ახალგაზრდობა. ორენოვნების მოსალოდნელმა უარყოფითმა შედე-გებმა (ენაბლუობის განვითარება, აბსტრაქტული აზროვნების დაბა-ლი დონე, საკუთარი აზრის გამოკვეთის უუნარობა, ენობრივი არასრულფასოვნება, ფსიქოლინგვისტური ჩამორჩენილობა), საფრთხის წინაშე დააყენა როგორც მოზარდის გონებრივი და ფსიქოლოგიური განვითარება, ასევე, ერის მომავალი. სწორედ ამიტომ უნდა გადა-იდგას ყველაზე ქმედითი ნაბიჯი: საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში ქართველ მშობლებს კანონით აეკრძალ-ოთ ბავშვების რუსულ სკოლაში შეყვანა.

დაკანონდეს, რომ სახელმწიფო, პარტიულ, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-სასწავლო, კულტურულ და სამეურნეო დაწესებულე-ებებში თანამდებობის პირებად არ დაინიშნონ ის მოქალაქეები, რომლებიც სრულყოფილად ვერ ფლობენ ქართულ ენას (აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ეროვნებისდა შესაბამისად ქართულ და აფხა-ზურ ენებს).

უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ქართუ-ლი ენის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირება, ეს მეტად რთული, და ამასთან, მტკივნეული პრობლემაა. ამდენად, მისი ერთი ხელის მოსმით გადაწყვეტის სურვილმა შეიძლება არასასიამოვნო ფაქტის წინაშეე დაგვაყენოს.

ისიც უნდა ითქვას, რომ აფხაზები, საქართველოს სს რესპუბ-ლიკის ტერიტორიაზე სხვა ხალხების დარად, ეროვნული უმცირ-ესობის კატეგორიას არ განეკუთვნებიან, ისინი წარმოადგენენ იმ ხალხს, რომლებმაც ქართველებთან ერთად ჩამოაყალიბეს ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფო. „სწორედ .ამიტომ ქართული და აფხაზური ენების ყოველმხრივი განვითარების პრობლემა საქართვე-ლოს სს რესპუბლიკის უპირველესი ზრუნვის საგანი უნდა იყოს და ჩვენ ვერ მოვთხოვთ ვერც ერთ რესპუბლიკას, იზრუნოს ამ ენების განვითარებისთვის, იმისდა მიუხედავად, ცხოვრობენ თუ არა ამ რესპუბლიკაში ქართველები და აფხაზები" (თ. შავგულიძე. ენის

საკანონმდებლო სტატუსი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო". 27 იანვარი, 1989).

გულახდილიც ვიქნებით: ჩვენი სურვილია, **რომ აფხაზი და ქართველი ხალხების სახელმწიფოებრივი ურთიერთობის ენა აფხაზურ-ქართული იყოს. „შუამავალი ენა" ჩვენ არ გვჭირდება. რა უბედურებაცაა სწორედ ამ „შუამავალი ენების" მატარებელი ხალხებისაგან გვჭირს.**

საქართველოში „გამათავისუფლებელი მისიით" მოვლენილი ცარიზმი დროს და ენერგიას არ იშურებდა, რათა გაეხლიჩა საქართველოს პოლიტიკური ერთიანობა. ცარიზმის აგენტები აშკარად, დაუფარავად აცხადებდნენ აფხაზთა გარუსების მიზანს. აფხაზური დამწერლობის ინიციატორი უსლარი აღნიშნავდა: "...**туземная грамота должна служить только тому, чтобы... облегчить для изучения русского языка:**" იმავე უსლარის მოსაზრებით მთიულები, და მათ შორის, აფხაზები"... **самостоятельной литературы, по-самому положению своему, иметь не могут и никогда иметь не будут**" (იხ. **Ш.Д. Инал-Ипа. "Страницы абхазской литературы"**, სოხუმი., 1980, გვ. 23). მაგრამ აფხაზთა შორის რუსული ენის დანერგვა უფრო შორს გამიზნული ჩანაფიქრი იყო: "**Абхазский язык, не имеющий письменности и литературы, обречен, конечно, на исчезновение в более или менее близком будущем. Вопрос том: какой язык заменит его?.. Очевидно, ЧТО РОЛЬ ПРОВОДНИКА В НАСЕЛЕНИЕ КУЛЬТУРНЫХ ИДЕЙ И ПОНЯТИЙ ДОЛЖЕН БЫЛ БЫ ИГРАТЬ НЕ ГРУЗИНСКИЙ** (ხაზი ყველგან ჩვენია – ვ. ჭანია), **а русский язык. Мне кажется, поэтому, что УЧРЕЖДЕНИЕ АБХАЗСКОЙ ПИСЬМЕННОСТИ ДОЛЖНО БЫТЬ НЕ ЦЕЛЬЮ САМО ПО СЕБЕ, А ТОЛЬКО СРЕДСТВОМ К ОСЛАБЛЕНИЮ, ПУТЕМ ЦЕРКВИ И ШКОЛЫ, ПОТРЕБНОСТИ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ и постепенной замене его языком государственным. Упустив это из виду, мы рискуем создать, сверх грузинской и пр. автономи, еще и АВТОНОМИЮ АБХАЗСКУЮ ( Ш. Д. Инал-Ипа. "Страницы абхазской литературы"**, გვ. 23)

უსლარი, ვეიდენბაუმი და XIX საუკუნის შოვინისტურად განწყობილი რუსეთის ინტელიგენცია აფხაზებისთვის დამწერლობის შექმნის ძირითად მიზანს რუსული ენის შესწავლის გაიოლებასა და,

რაც მთავარია, ყოველივე ქართულისადმი დაპირისპირებაში ხედავდნენ. ქართველი ინტელიგენცია, უპირველეს ყოვლისა თავად აფხაზი ხალხის ეროვნული ინტერესებიდან გამოდიოდა. დიდი ქართველი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი წერდა: „მართალია, აფხაზეთი მრავალი საუკუნის მანძილზე შეადგენდა საქართველოს პოლიტიკური სხეულის ნაწილს, იქ ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და დამწერლობაც ქართული იყო თვით აფხაზთა სურვილისამებრ, მაგრამ ხომ უეჭველი ფაქტია, რომ აფხაზური ენა ქართული ენის კილო არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა. მას უდაოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე... ჩვენ, ქართველებს, მხურვალედ გვსურს როგორც ჩვენი საღვთისმსახურო ენის, ისე ჩვენი მშობლიური ლიტერატურის განვითარება და მოვალენი ვართ იგივე ვისურვოთ სხვა ეროვნებისათვისაც, მათ შორის აფხაზებისთვისაც...

სოხუმში მოიპოვებიან როგორც ქართველი, ისე აფხაზი პედაგოგები. ამათ ადვილად შეუძლიათ რამდენიმე თვის განმავლობაში შეადგინონ შეერთებული ძალით აფხაზური დედაენა და დაბეჭდონ იგი არა მახინჯური ანბანით, რომელიც შეუთითხნიათ პოლიტიკანებს, არამედ ისტორიული აფხაზური ანბანით, რომელიც ქართული ანბანიცაა და რომელსაც გამოჩენილი მეცნიერი უსლარიც აღიარებს „უუსრულეს ანბანად ყველა ანბანთა შორის" ეს ანბანი ხატავს ყოველ ხმას აფხაზური ენისას და ზედგამოჭრილია მასზე. იგი იხმარებოდა საუკუნეების განმავლობაში აფხაზეთში და შესისხლხორცებულია მასთან. ყველა ამის გამო ის მეტად გაუადვილებს აფხაზებს წერა-კითხვის შესწავლას, განათლების მიღებას და იხსნის მათ იმ მავნებელი განმარტოებისაგან, რომელსაც მათ უმზადებენ პოლიტიკანები მახინჯული ანბანით..."

ცარიზმის გამთიშველურ პოლიტიკას კარგად ხედავდა და სწორედ აფასებდა ნ. ლაკობაც: **"Если старое правительство окончательно не стерло с лица земли эту этнографическую народность (абхазскую), не имеющую ни своей культуры, ни своей письменности, народность, живущую примитивным допотопным способом, то это обьяснялось политеческими соображениями, формулировавшимся в словах: "Сей национальную рознь" и "Сам не зевай и властвуй крепко".**

**Самодержавие прилагало всяческие усилия к тому, чтобы создать между грузинским и абхазским народами такую же пропасть, как между татарами и армянами, но это ему не удавалось".**

ის, რაც ვერ განახორციელეს ცარიზმის აგენტებმა, ჩვენდა სავალალოდ, პირნათლად აღასრულა XX საუკუნის „იზმებს" ნიღაბამოფარებულმა, ეროვნული ნიჰილიზმისა და კოსმოპოლიტიკური იდეებით გამსჭვალულმა სოციალ-დემოკრატების ერთმა ნაწილმა. აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის მტრობის, უნდობლობის დანერგვის საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სოციალ-დემოკრატების „კავკასიის" ფრთის ყველაზე აქტიურმა წევრებმა. ვ.ი. ლენინი მიუთითებდა რა "...ჭეშმარიტად რუსი კაცის, ველიკორუსი შოვინისტისგან..." რუსეთის სხვატომელთა დაცვის აუცილებლობაზე, წერდა, რომ "...გარუსებული სხვატომელები ყოველთვის გადაამლაშებენ ხოლმე ჭეშმარიტად რუსული განწყობილების მხრივ" (ვ.ი. ლენინი. თხზ., ტ. 36, გვ.690). სწორედ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს ნიღაბამოფარებული, „გარუსებული სხვატომელები" საქართველოში შეგნებულად ამრუდებდნენ აფხაზ-ქართველთა სისხლით მოპოვებულ მრავალსაუკუნოვან ძმობას, რათა შუაში გაეხლიჩათ ერთიანი საქართველო. შედეგიც მოვიმკეთ: აფხაზ-ქართველთა შორის ძმობის, ურთიერთნდობის "ხიდი ჩატეხილია"

ამ „ჩატეხილ ხიდს" ჩვენს პირობებში კიდევ უფრო აღრმავებს მესამე ხელის წაქეზებით მოთარეშე „დენაციონალიზირებული აფხაზი" ინტელიგენტი ტ. შამბა: **Однако в конституциях в качестве государственных должны быть провозглашены один национальный и русский, как язык межнационального общения (в Абхазии соответственно-абхазский и русский".** იხ. გაზ. **"Советская абхазия». 22 марта 1989 г.)**

არც მეტი, არც ნაკლები: "აფხაზსკი ი რუსკი"! არც ქართველი და აფხაზი ხალხების მრავალსაუკუნოვანი, ერთიანი ისტორიულ-კულტურული ცხოვრების, და არც აფხაზეთის ასს რესპუბლიკის აბორიგენი 250 ათასი ქართველი კაცის ინტერესების გათვალისწინება!... ასე ეწირება პირად ამბიციებს აფხაზი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ერთობა. ის, რაც 1926 წლის აფხაზეთის სსრ კონსტიტუციით იყო დაკანონებული: **"Языком государственных учреждений Советской Социалистической**

Республики Абхазия являются три языка: Абхазский, Грузинский и Русский", დღეს საჩოთირო გამხდარა ვინმე ტ. მ. შამბასთვის.

ბატონ იურისტს გვინდა შევახსენოთ, რომ VIII საუკუნიდან XX საუკუნის დასაწყისამდე აფხაზი ხალხის სახელმწიფოებრივი, მწიგნობრული, ღვთისმსახურების ენა მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენა იყო. აფხაზეთის ტერტორიაზე მოფენილ ქრისტიანული რელიგიის საკულტო ძეგლებს (მოქვი, ბედია, ლიხნი, ილორი და სხვა) ამშვენებს ქართული წარწერები. X–XI საუკუნეების მიჯნის ეროვნული ჭედური ხელოვნების შედევრზე ბედიის ოქროს ბარძიმზე ასევე ამოკვეთილია ქართული ასომთავრული წარწერა: "ქ.წმიდაო ღმრთის მშობელო მეოხ იყავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ მეფესა და დედასა მათსა გურანდუხტ დედოფალსა, ამის ბარძიმისა შემწირველთა, ამის საკურთხევლისა შემამკობელთა და ამის წმიდის საყდრისა აღმაშენებელთა ამინ"

X–XI საუკუნეების მიჯნაზე აგებულ ლიხნის ტაძარზე არსებობდა ძველქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერა, რომელიც გვამცნობდა ამბავს უჩვეულო კომეტის შესახებ. ამას ხალხი პანიკაში ჩაუგდია: "ქ. კურთხეულ ხარ ღმერთო, ყოვლად ყოველსა შინა. ეს იქმნა დასაბამითგანა წელთა ბქით, ქრონიკოსა სპვ., მეფობისა ბაგრატ გიორგის ძისა ინდიკტიონსა ლც, აპრილსა თუესა ვარსკვლავი გამოჩნდა, რომელ მისსა წიაღსა აღმოვლიდის და წინა მისსა, ვითარცა შარავანდი დიდი მოკიდებით მასვეა. ეს იქმნა ბზობითგან აღვსებადმდე" ქართული კალიგრაფიის და მინიატურული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს 1300 წელს შექმნილი მოქვის ცნობილი სახარება.

დიდი ქართველი ჰაგიოგრაფის იოანე მინჩხის საგალობლები, საეკლესიო ჰიმნები, დაწერილი ქართულ ენაზე, იქმნებოდა აფხაზეთში, „აფხაზთა მეფის" გიორგი II-ის (922–937წწ.) პირადი მფარველობით და აქედანვე პოულობდა თავის გავრცელებას მთელს საქართველოში. იოანე მინჩხის ერთ-ერთ გალობას დართული აქვს ასეთი წარწერა: „ესე გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერვებიან მინჩხისადა"

მაშინაც კი, როდესაც ერთიანი საქართველო დაქუცმაცდა დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროებად, აფხაზეთის სამთავროს მაღალი საზოგადოებრიობა მწიგნობრობით, ღვთისმსახურებით ქართული

იყო. ამ მხრივ საგულისხმოა XVIII საუკუნის დიდი ქართველი ისტორიკოსის ცნობა აფხაზეთის სამთავროზე და აფხაზებზე: "ენა საკუთარი თვსი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული" ("ქ.ც.", ტ. IV, გვ. 785). ის ფაქტი, რომ XVII საუკუნეში აფხაზი ფეოდალის სახლი ქართული კულტურის კერაა, ადასტურებს XVII საუკუნის პირველი ნახევრის იტალიელი მისიონერის – არქანჯელო ლამბერტის ცნობაც, რომელიც თექვსმეტი წელიწადი ცხოვრობდა სამეგრელოში. **"За Кодхидой в стране абхазов и джигетов стоят прекрасные храмы, выстроенные в грузинском стиле и с книгами на грузинском языке, например, в местах, называемых Анакопия и Пиджвите"** (იხ. **З. В. Анчабадзе. "Из истории средневековой Абхазии".** სოხუმი., 1959, გვ 276).

თურქთა ბატონობის (XVII–XVIIIსს.) და, ასევე, ცარიზმის ეპოქაში აფხაზეთის სამთავროში საკანცელარიო, მწიგნობრული, ღვთისმსახურების ენა ძირითადად ქართული იყო. თავად აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის – მიხეილ შერვაშიძის შვილი გიორგი, რომელიც, თანამედროვეთა გადმოცემით, ბრწყინვალედ ფლობდა აფხაზურ ენას, ქართულად წერდა. ცნობილია, ასევე, მისი დიდი მოწადინება ქართული ენის სიწმინდის დაცვის საქმეში.

უფრო მეტიც: როდესაც აფხაზეთის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები დარწმუნდნენ, თუ რა კატასტროფას უქადდა მათ ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა, დაიწყეს გზების მოძიება აფხაზების ისევ ქართულ სამყაროში დასაბრუნებლად (რაც ე. წ. „გრუზინიფიკაციას" როდი გულისხმობდა, არამედ აფხაზთა გენეტიკური ისტორიულ– კულტურული ფესვებისაკენ მობრუნებას). ამის დასტურია აფხაზების დეპუტაციის ჩამოსვლა მეფისნაცვალთან, თბილისში 1916 წლის აპრილში. დეპუტაციის წევრებმა თ. მ. კ. შერვაშიძემ, თ. მ. ემუხვარმა, თ. ა. ინალ–იპამ, პ. ანჩაბაძემ, ბ. ეზუხბაიამ, ა. ჩუკბარმა მთელი აფხაზეთის სახელით წარუდგინეს მიმართვა კავკასიის მეფისნაცვალს, საქართველოს ეგზარქოსს და სხვა თანამდებობის პირთ. აღსანიშნავია მათი შემდეგი მოთხოვნები: 1. „გაიხსნას, რაც შეიძლება მეტი სკოლა, უმთავრესად პრაქტიკული ხასიათისა; **2. სწავლება სკოლებში უნდა წარმოებდეს მშობლიურ ენაზე (ქართულზე და აფხაზურზე)...**" (გაზ. „თეატრი და ცხოვრება", 1916 წ., №23).

რა იცოდნენ აფხაზი ხალხის რჩეულმა შვილებმა, რომ მოვიდოდა დრო და გამოჩნდებოდა „ერის სახელით მოლაპარაკე" „გარუსებული სხვატომელი" და ჭკუის სწავლებას დაგვიწყებდა: აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ორი სახელმწიფო ენა უნდა იყოსო – „абхазский и русский"!

არაფერი შეგეშალოთ, ბატონო იურისტო! ამდაგვარ პროვოკაციას არ წამოეგება არც აფხაზი და არც ქართველი. ჩვენი ხალხები ოდითგანვე პატივს სცემდნენ ერთმანეთის ენებს. ამ უძველეს ტრადიციებს მოფრთხილება და განვითარება სჭირდება. მისასალმებელი იქნება, თუ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში დაკანონდება ორი ენის, ქართულისა და აფხაზურის, როგორც სახელმწიფო ენების სტატუსი. თუმცა, ეს მაინც დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან.

როგორც ცნობილია, აფხაზი ხალხი მეორე მშობლიურ ენად რუსულს მიიჩნევს. სწავლა-განათლება ძირითადად ამ ენაზე ხორციელდება. ქართული და აფხაზური ენების, როგორც სახელმწიფო ენების, დაკანონება აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში გამოიწვევს რუსულის, როგორც სახელმწიფო ენის იგნორირებას. რამდენადაც აფხაზური ენა, ობიექტური მიზეზის გამო, დღესდღეობით, მოუმზადებელია შეასრულოს სახელმწიფო ენის ფუნქცია, ამდენად ის პრიორიტეტს ავტომატურად დაუთმობს... ქართულს. რუსულ ენაზე უარის თქმა აფხაზისთვის მსოფლიო ცივილიზაციისაგან მოწყვეტას ნიშნავს, რასაც ის დღემდე რუსული ენის, კულტურის მეშვეობით ახორციელებს. მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევათა ათვისებას აფხაზურ ენაზე არა ერთი თაობის დაძაბული შრომა სჭირდება. და აქ, რასაკვირველია, თავის გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას ქართულმა საზოგადოებრიობამ.

მაგრამ, ერთია სახელმძღვანელოების შექმნა საშუალო და უმაღლესი განათლების სფეროში, მეცნიერებისა და კულტურის დარგების გადაყვანა აფხაზურ ენაზე და მეორეა ამ ენის (ე. ი. აფხაზურის) გავრცელების არეალი. 1979 წლის სტატისტიკური მონაცემებით, აფხაზები აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მოსახლეობის 17,1 %-ს შედგენდნენ. ამდენად აფხაზური ენის ფუნქციონირების ასპარეზიც ფრიად შეზღუდულია. აფხაზი ხალხის რიცხობრივი სიმცირის გამო აფხაზური ენა ქალაქში საერთოდ არ ფუნქციონირებს. ამას დაერთო ის გარემოებაც, რომ ურბანიზაციის შედეგად აფხაზური მოსახლეობის რიცხ-

ობრივი რაოდენობა სოფლად საგრძნობლად შემცირდა. თუ დაცარიელდა აფხაზური სოფელი, დაიკარგება აფხაზური ენაც. ენის გაქრობა კი ერის გადაგვარების ტოლფასია. მეტიც: ყოველი „ერის თავისებურებების ნებით თუ ნაძალადევად დათრგუნვა-მოსპობა დანაშაულია... მთელი კაცობრიობის წინაშე. ეს აქტი კაცობრიობის ძარცვა და მისი მრავალფეროვნების მოსპობაა. მრავალფეროვნება კი ბუნების -ერთ-ერთი ძირითადი კანონია. თუ პიროვნების სიკვდილით ღარიბდება კაცობრიობა, მთელი ერის სიკვდილით მთლად ღატაკდება იგი" (აკ. ბაქრაძე). ასე, რომ ის კრიზისული მდგომარეობა, რომლის წინაშე დგას აფხაზური ენა, მხოლოდ სახელმძღვანელოების შექმნით და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით ვერ გადაიჭრება.

მაგრამ გამოსავალი მაინც არის. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში უნდა შეიქმნას ქართულ-აფხაზური ენობრივი გარემო, რაც შემდგომში გამორიცხავს ჩრდილოეთიდან ჩვენთვის უცხო ენობრივი სამყაროს მოძალებას, როგორც აფხაზთა და ქართველთა შორის სულიერი, პოლიტიკური გათიშულობის წინაპირობას. ბუნებრივია, ის, რასაც ახლა ვამბობთ, ფრიად საძნელო საქმეს წარმოადგენს. მაგრამ არც გულზე ხელებდაკრეფილი ყოფნა ვარგა სასწაულის მოლოდინში. სასწაული არ მოხდება ზემოდან! ის ქვემოდან უნდა განხორციელდეს. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა „ჩატეხილი ხიდის" გამართელება, უნდობლობის გაქარწყლება. ხოლო ურთიერთნდობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ სიმართლის პირუთვნელი თქმით, ეროვნული ტრადიციების და ენათა ურთიერთპატივისცემის მიგების გზით. და, რაც მთავარია: **აფხაზი ხალხის ცნობიერებიდან უნდა ამოიძირკვოს ის გაუთვითცნობიერებული შიში, ბიოლოგიური თვითგადარჩენის ინსტიქტის დარად, რომელსაც აფხაზი კაცის ცნობიერებაში, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველი ერის და ქართული ენის ფენომენი იწვევს.** აფხაზმა ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს, გაითავისოს, რომ ქართველთა მხრიდან მათ ერს და ენას არანაირი ასიმილაციის და არავითარი გაქრობის საფრთხე არ ემუქრება. პირიქით, სწორედ ჩვენთან ერთიანობაშია შესაძლებელი აფხაზთა ეთნიკური და ენობრივი თვითმყოფადობის შენარჩუნება. და ამისი ნათელი დადასტურებაა მრავალსაუკუნოვანი ჩვენი ერთობლივი ისტორია. რასაკვირველია, სათვალავში არა გვაქვს ოქტომბრის

სოციალისტური რევოლუციის შემდეგდროინდელი პერიოდი...

რა უნდა გაკეთდეს ახლო მომავალში აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში აფხაზური ენის, როგორც სახელმწიფო ენის რეალური ფუნქციონირებისათვის.

პირველი: საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ შესაბამისი საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტების, კომპენტენტურ მეცნიერთა ერთობლივი თანამშრომლობის, ოფიციალურ პრესაში გამოქვეყნებული ქართული და აფხაზური ენების სახელმწიფო პროგრამების ურთიერთშეჯერების საფუძველზე შეიქმნას გრძელვადიანი პროექტი, რომელიც ეტაპობრივად, ქართულ ენასთან თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, რეალურად განახორციელებს აფხაზური ენის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირებას აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში;

მეორე: დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტს უნდა შეექმნას შესაბამისი პირობები, როგორც პროფესიონალი კადრების, ასევე, მატერიალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მისი უპირველესი საზრუნავი, ბუნებრივია, აფხაზური ენის, ლიტერატურის, ფოლკლორის მოვლა-პატრონობა იქნება. პირველ ეტაპზე, ალბათ, შესაძლებელი იქნება აფხაზურ ენაზე სასკოლო და, შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებლების სახელმძღვანელოების, ლექსიკონების შექმნა. მეორე ეტაპი, ბუნებრივია, უფრო შრომატევადი, რთული და, ამდენად, გრძელვადიანი იქნება: როცა აფხაზურ ენაზე გამოსაცემი გახდება საბუნებისმეტყველო დარგების სახელმძღვანელოები, ლექსიკონები.

მესამე: აფხაზური ენის და ლიტერატურის ინსტიტუტში უნდა დაარსდეს ქართული ენის, ლიტერატურის, ფოლკლორის შემსწავლელი შესაბამისი განყოფილებები. ქართული ენის, ლიტერატურის ფოლკლორის შესწავლის გარეშე, რომელმაც დიდი როლი ითამაშა აფხაზური სულიერი კულტურის განვითარების საქმეში, შეუძლებელია სრულყოფილად წარმოვიდგინოთ აფხაზური ენის, ლიტერატურის, ფოლკლორის შესწავლა. ამასთან ერთად, ზემოთხსენებული განყოფილებები ხელს შეუწყობენ აფხაზურ-ქართული და ქართულ-აფხაზური ლექსიკონების, სასაუბროების, ქრესტომათიების და სხვა ხასიათის ლიტერატურის მოშზადებას. შესაბამის განყოფილებაში აუცილებლად ჩართულ უნდა იყვნენ აფხაზური ეროვნების წარმომადგენლებიც;

მეოთხე: აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, აფხაზური და ქართული ენის სპეციალობათა მიხედვით, მთარგმნელობითი კადრების მოსამზადებლად ყოველწლიურად გამოიყოს დამატებითი კონტიგენტი. ეს ბევრწილად შეუწყობს ხელს მთარგმნელობითი საქმიანობის გაუმჯობესებას, როგორც რიცხობრივი, ასევე, ხარისხობრივი თვალსაზრისით, თარჯიმანთა, სხვადასხვა სპეციალისტთა თავმოყრას როგორც აფხაზური, ასევე, ქართული ფოლკლორის პროფილით;

მეხუთე: აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში არსებულ ქართულ სკოლებში, უმაღლესი და ტექნიკური სასწავლებლების ქართულ სექტორზე აფხაზური ენის შესწავლის მსურველთა წრეების დაარსება;

მეექვსე: აფხაზეთის ასს- რესპუბლიკაში პარტიული, სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი ორგანოების, კულტურის, განათლების და სხვა დაწესებულებების რადიოფიცირება, აფხაზურ ენაზე სინქრონული თარგმანით უზრუნველყოფა;

მეშვიდე: აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში აფხაზებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში საქმის წარმოების დაუყოვნებლივ აფხაზურ ენაზე გადაყვანა.

რაც შეეხება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საკითხს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, ქართული ენა საქართველოს სსრ სახელმწიფო ენაა. ვინაიდან აფხაზეთის ასსრ შედის საქართველოს სს რესპუბლიკაში, ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციები ავტომატურად ვრცელდება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზეც. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კონსტიტუციის 70-ე მუხლში წერია: „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენებია აფხაზური, ქართული, რუსული"

ოფიციალურ პრესაში ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის გამოქვეყნებამ, გარკვეული პროტესტის გრძნობა გამოიწვია აფხაზ ინტელიგენციაში. საქმე ეხებოდა პროექტის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტს, სადაც საუბარი იყო „წინადადების შემუშავებაზე რესპუბლიკის არაქართულ (რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური და ოსური) სკოლებში ქართული ენის სავალდებულო წესით სწავლების შემოღების შესაძლებლობის შესახებ" (გაზ. „სახალხო განათლება", 1988, 5.XI). სხვა გამოსავალი არ არსებობს. ჩვენ

აფხაზებს ვერ დავავალდებულებთ ქართული ენის შესწავლას, თუ რასაკვირველია, მათ ეს თავად არ სურთ. და ამას გააჩნია თავისი სუბიექტური მიზეზები. აფხაზისთვის ქართული ენის „სავალდებულო წესით სწავლება" იწვევს ე.წ. „გრუზინიფიკაციასთან" ასოცირებას. ასე რომ აქ გარკვეული ტაქტი და მოთმინება გვმართებს. ქართველ ერს არასოდეს უფიქრია აფხაზთა ფიზიკური და სულიერი თვითმყოფადობის ხელყოფა. პირიქით, ქართველობა აფხაზთა, ისევე როგორც სხვა კავკასიელ ხალხთა განსაკუთრებულობაში, თვითმყოფადობაში ხედავდა ერთიანობის, ეროვნული მეობის გადარჩენის საფუძველს.

ამდენად, ქართული ენის სავალდებულო წესით სწავლება აფხაზთათვის გარკვეული ვადით თავად აფხაზთა კომპეტენციაში უნდა დარჩეს. როდესაც გალღვება უნდობლობის გრძნობა და აფხაზი კაცი დარწმუნდება, რომ ქართველი ერისგან, ქართული ენისგან არავითარი „საფრთხე" არ ემუქრება, ის ყოველგვარი „სავალდებულო წესით სწავლების" გარეშე, ჩვენდა დაუკითხავად, დაეწაფება ქართულ ენას. ოღონდაც ნუ ავჩქარდებით, აქ უფრო მეტი სიდინჯე და მოთმინება გვმართებს.

მაგრამ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ რუსულ, სომხურ სკოლებში ქართული ენის, როგორც საქართველოს სსრ სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულო უნდა იყოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კონსტიტუციის 70-ე მუხლის მიხედვით ავტონომიურ რესპუბლიკაში სამი სახელმწიფო ენაა: აფხაზური, ქართული, რუსული. მიუხედავად ამისა, აფხაზურის და ქართულის, როგორც სახელმწიფოებრივი ენების, ფუნქციონირება სუფთა ფორმალურ ხასიათს ატარებს და უპირატესობა ძირითადად რუსულ ენას აქვს მიკუთვნებული. ამდენად, ბუნებრივია კითხვაც: როგორ გვესახება უახლოეს პერიოდში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის რეალური ფუნქციონირების საკითხი აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში?

პირველ რიგში, უნდა გაუქმდეს ორენოვანი ქართულ-რუსული სკოლები და გადაკეთდეს ისინი ქართულ და, შესაბამისად, რუსულ სკოლებად;

**კატეგორიულად უნდა აეკრძალოს ქართველ მშობლებს ბავშვების რუსულ სკოლაში შეყვანა (აფხაზეთის ასსრ რუსული სკოლების**

**მოსწავლეთა კონტიგენტის 60-70 % ქართველია?!);**

ქართველებით მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში საქმის წარმოება დაუყონებლივ უნდა გადავიდეს ქართულ ენაზე;

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში უნდა მოხდეს პარტიული, სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი ორგანოების, კულტურის, განათლების და სხვა დაწესებულებების რადიოფიცირება, მათი სინქრონული თარგმანით უზრუნველყოფა ქართულ ენაზე;

აფხაზურ სკოლებში, უმაღლესი და ტექნიკური სასწავლებლების აფხაზურ სექტორებზე უნდა დაარსდეს ქართული ენის შესწავლის მსურველთა წრეები;

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მრავალ ავტონომურ რესპუბლიკას შორის, მხოლოდ საქართველოა, რომლის შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებში არის მითითება სახელმწიფო ენის თაობაზე „(თ. შავგულიძე. ენის საკანონმდებლო სტატუსი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო". 27 იანვარი, 1989). ეს ფაქტი თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს და მისი ხელაღებით იგნორირება საზიანოა ორთავე ერისათვის. წინაპართა მიერ სისხლით მოპოვებულ ძმობას, ტრადიციებს სათუთი მოპყრობა და განვითარება სჭირდება. დროა, შეიგნოს ორივე მხარემ, რომ აფხაზი და ქართველი ხალხების მომავალი მათსავე ღრმა ეროვნულობაში, თვითდამკვიდრებასა და გენეტიკური ისტორიულ-კულტურული ერთიანობის ფენიქსებრ აღდგენაში არის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ენის სახელმწიფო პროგრამაში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ქართულ-სომხური და ქართულ-აზერბაიჯანული (და პირუკუ) ლექსიკონების, სასაუბროების მომზადება-გამოცემის საკითხს, რომელიც ხელს შეუწყობს კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებას სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებთან. მაგრამ ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო პროგრამაში გაკვრითაც არაფერი არ არის ნათქვამი ქართული ენის მიმართებაზე ჩრდილო-კავკასიურ ენობრივ სამყაროსთან. თუ ვინმეს დღეს ჭირდება ჩვენი თანადგომა, ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩრდ. კავკასიელი ძმები არიან.

ჩვენმა წინაპრებმა ოდითგანვე კარგად იცოდნენ, რომ კავკასიაში ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური სტაბილურობის შე-

ნარჩუხება. უცხოელ დამპყრობელთა წინაამღდეგ წარმატებით ბრძოლა ბევრწილად დამოკიდებული იყო ჩრდ. კავკასიელ ხალხებთან კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე. აღმოსავლეთის ნომადთა პერმანენტული შემოსევების წინაამღდეგ კავკასიელ ხალხებთან ერთობლივი ბრძოლის წარმართვის აუცილებლობამ განაპირობა ჩვენში იდეოლოგიური კონცეფციის-კავკასიის ძმობა-ერთიანობის თეორიის შექმნა. მაგრამ ისტორიული უკუღმართობით დავიწყებას მიეცა კავკასიელი ხალხების ძმობის კონცეფცია, რამაც ქართველი და ჩრდ კავკასიელი ხალხები ფიზიკური და სულიერი კატასტროფის წინაშე დააყენა.

XIX საუკუნეში, მიუხედავად თერგდალეულთა დიდი მცდელობისა, კავკასიელ ხალხთა ერთობის იდეის ხორცშესხმა ვერ მოხერხდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ცარიზმის გამთიშავი პოლიტიკისა, ჩრდ. კავკასიელ ხალხებში ჯერ კიდევ ცოცხლობდა კავკასიის ხალხთა ძმობა-ერთობის იდეა, ხოლო უმდიდრესი ქართული ენა, დამწერლობა, ქრისტიანული კულტურა ეროვნული სიამაყის გრძნობით აღავსებდა მათ. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო მასალაა დაცული გაზ. "კვალში": **"Один абхазский князь, находившийся в Турции у своего брата махаджира, рассказывал следующее. В стамбульском кавказском кафе-ресторане собираются для бесед черкесы (так называют там всех кавказцев). Как-то между одним из черкесов и турком завязался жаркий спор: каждый доказывал другому преимущества своей нации. При этом черкес между прочим сказал: "Мы оторваны от родного источника, живем в чужой стране, но и здесь неплохо ведем свои дела, но что было бы, если бы мы находились у себя на родине". Турок заметил: "Что вы из себя представляли, если даже алфавита не имели, не знали письменности" На это черкес ответил так: "НАШИМ ОБШИМ АЛФАВИТОМ БЫЛ ГРУЗИНСКИЙ"** (იხ. **Ш.Д. Инал-ипа. "Страницы абхазской литературы"**. სოხუმი., 1980.გვ 7).

არც XX საუკუნეში ეწერა ამ იდეას განხორციელება. უფრო მეტიც: იმპერიული პოლიტიკის წყალობით საშინელი დღე აყარეს ჩრდ. კავკასიელ ხალხებს: ჩეჩნები, ინგუშები დედაფუძიანად გადაასახლეს შუა აზიაში. მაგრამ, მიუხედავად ამ რთული პოლი-

ტიკური სიტუაციისა, ქართული ინტელიგენციის რჩეული ნაწილი მაინც ახერხებდა ჩრდ. კავკასიელ ხალხებთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებას. არნოლდ ჩიქობავა იგონებს: **სტალინთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს სიმონ ჯანაშიას უთხოვია მისთვის შუა აზიაში გადასახლებული ჩეჩნების და ინგუშების რეპატრიაცია. სიტყვა მოკლედ მოუჭრია დიქტატორს: ისინი მოღალატეები არიანო.** ს. ჯანაშიას თანამოაზრე არნ. ჩიქობავა არა მარტო ბუმბერაზი მეცნიერი იყო, არამედ ფრიად შორსმჭვრეტელი საზოგადო მოღვაწეც. მან მკვდრეთით აღადგინა ჟამთა სიავის გამო ყველასგან მივიწყებული კავკასიელ ხალხთა ძმობის კონცეფცია და ახალი სული შთაბერა მას. სწორედ არნ. ჩიქობავას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩრდ. კავკასიური ენების შესწავლა მაღალ მეცნიერულ დონეზე დგას და, რაც მთვარია, მოისინჯა გზები ჩრდ. კავკასიელი ხალხების ქართული სამყაროსაკენ შემობრუნების ისტორიულ საქმეში.

ეს ტრადიცია არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში დღესაც სათანადო დონეზე დგას. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩრდ. კავკასიელ ხალხებს ჩვენი მეგობრული ხელი ჯერ კიდევ საკმარისად აკლია. რა დასამალია, თუ ქართველი ხალხის ენობრივი, დემოგრაფიული მდგომარეობა ფრიად არასახარბიელოა, ჩვენი ძმები ჩრდ. კავკასიელები, ამ მხრივ, საერთოდ კატასტროფულ სიტუაციაში არიან. ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო. ტრანსკავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობით გამოწვეულმა დამანგრეველმა ეკოლოგიურმა თუ დემოგრაფიულმა შედეგებმა არნახულად გამოაფხიზლა ქართველი ინტელიგენცია. და, რაც ფრიად მნიშვნელოვანია, ახალი სტიმული მიეცა კავკასიელი ხალხებისადმი ძმური თანაგრძნობის და მხარდაჭერის აუცილებლობას. ქართულმა საზოგადოებრიობამ ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს ჩრდ. კავკასიის აბორიგენი მოსახლეობის მიგრაციული პროცესების რეგულირებას (უცხოეთში გაბნეული ვაინახების, ჩერქეზების მათ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას), ჩრდ. კავკასიური ენების მეცნიერულ დონეზე შესწავლა-პროპაგანდას, კავკასიის უნიკალური ბუნების შენარჩუნებას. მაგრამ ამ შრომატევადი საქმის გაძღოლა, მისი პრაქტიკული განხორციელება მარტო არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს არ ძალუძს.

რა კონკრეტული ღონისძიებები შეიძლება დაისახოს ამ მიმართულებით? ჩვენ ჩვენსას ვიტყვით, ხოლო პირუთვნელმა მკითხველმა თავად განსაჯოს მათი ავკარგიანობა.

საქართველოს სს რესპუბლიკის დედაქალაქში – თბილისში უნდა შეიქმნას კავკასიოლოგიის ინსტიტუტი, სადაც თავმოყრილი იქნება საქართველოს და ჩრდ. კავკასიის რეგიონის კომპლექსური შესწავლისათვის აუცილებელი განსხვავებული პროფილის სპეციალისტები (ენის, ლიტერატურის, ფოლკლორის, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, დემოგრაფიის, ეკონომიკის, გეოლოგიის, გეოგრაფიის, ბოტანიკის და სხვა). ინსტიტუტი ნაწილობრივ უნდა დაკომპლექტდეს საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილობრივი კონტიგენტით და, ასევე, ჩრდ. კავკასიიდან მოწვეული სპეციალისტებით;

კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე უნდა შეიქმნას გამომცემლობა, რომელიც დაბეჭდავს მხოლოდ კავკასიათმცოდნეობითი (ამ სიტყვის ფართო გაგებით) ხასიათის ლიტერატურას ქართულ და ჩრდ. კავკასიის ასს რესპუბლიკების ხალხების შესაბამის ენებზე;

კავკასიოლოგიის ინსტიტუტის, ჩრდ. კავკასიის ასს რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტების ბაზაზე უნდა დაარსდეს ყოველთვიური მეცნიერულ-პუბლიცისტური და ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი, რომელიც გამოვა ქართულ და ჩრდ. კავკასიის ასს რესპუბლიკების შესაბამის ენებზე;

საქართველოს და ჩრდ. კავკასიის ასს რესპუბლიკების მწერალთა კავშირების თანამშრომლობის საფუძველზე უნდა დაარსდეს ყოველკვირეული გაზეთი, რომელიც გამოვა ქართულ და ჩრდ. კავკასიის ასს რესპუბლიკების შესაბამის სალიტერატურო ენებზე;

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლების (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამედიცინო ინსტიტუტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია, თეატრალური ინსტიტუტი და სხვა) რუსულ სექტორებზე მიიღონ ჩრდ. კავკასიიდან უმაღლესი განათლების მისაღებად ჩამოსულ ახალგაზრდობა;

მოშზადდეს და გამოიცეს:

ა) ქართული ენის თვითმასწავლებელი ჩრდ. კავკასიის ხალხთა ენებზე;

ბ) ქართულ-ჩრდ. კავკასიურ და, შესაბამისად, ჩრდ. კავკასი-

ურ-ქართულ ენათა ლექსიკონები, სასაუბროები;

გ) ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის ჩრდ. კავკასიურ ენებზე;

დ) ჩრდ. კავკასიური ენათა გრამატიკის სახელმძღვანელო სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის ქართულ ენაზე;

ე) ჩრდ. კავკასიის ხალხთა ენების თვითმასწავლებელი ქართულად.

თბილისში რამდენიმე სკოლაში უნდა შემოიღონ ჩრდ. კავკასიური ენების სწავლება.

ანალოგიურად, ჩრდ. კავკასიის ასს რესპუბლიკების რამდენიმე სკოლაში უნდა დაიწყონ ქართული ენის სწავლება.

ქართული ენა რეალურად მაშინ შეიძენს უნივერსალურ მნიშვნელობას, როცა ქართველი ხალხი დაიბრუნებს თავის კულტურულ-ისტორიულ მისიას ჩრდ. კავკასიაში. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ჩრდ. კავკასიური ენების დაკნინების ხარჯზე. პირიქით, ამან ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი ამ ენებზე საშუალო და უმაღლესი განათლების, მეცნიერების, კულტურის განვითარებას.

საქართველოს მომავალი, მისი ძლიერება ჩრდ. კავკასიელი ხალხების ღრმა ეროვნულობაშია და, პირუკუ. ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი გ. ლასხიშვილი იგონებს შეხვედრას ერთ ყაბარდოელ ტუსაღთან:

„კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ღრმად ამოიოხრა და სთქვა:

**– როცა კავკასიის მზე ჩაესვენა, მთელი ჩვენი ქვეყანა მაშინ დაიღუპა. მე ვიფიქრე – შამილს გულისხმობს-მეთქი და ამიტომ რაღაც იმის შესახებ ვკითხე.**

**– არა ყმაწვილო: მიპასუხა მოხუცმა. მე შამილზე როდი მითქვამს. კავკასიის მზე საქართველო იყო. საქართველომ თავი დაიღუპა და კავკასიაც თან გაიყოლია...“**

ეროვნული დამოუკიდებლობის გზაზე მყოფ ჩრდ. კავკასიელ ხალხებს, რომლებიც ჩვენთან ერთიანობაში ჰვრეტენ ეროვნული მეობის შენარჩუნების წინაპირობას, ჩვენგან უფრო მეტი მხარდაჭერა და თანადგომა სჭირდებათ.

**ჟურ. „ცხუმი“, სოხუმი, 1989, გვ. 102-126.**

## §2. „მუჰაჯირობა“ ანუ რუსთა დამკვიდრება კავკასიაში

„თავისი ისტორიის კრიტიკულ მომენტებში კავკასიის ხალხები
მხარდაჭერას პოვებდნენ რუსეთის მხრიდან...“
კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის მე-III სესია. ნალჩიკი. 1990 წ.




მაგრამ კავკასიელი ხალხების ისტორიული წარსული, დღევანდელი სინამდვილე სულ სხვა რამეზე მეტყველებს...

1801 წლის 18 იანვარს, საქართველოს, როგორც რუსეთის იმპერიის გუბერნიად გამოცხადებამ, ცარიზმს ხელ-ფეხი გაუხსნა კავკასიაში თანამიმდევრული ექსპანსიური პოლიტიკის წარმატებით განხორციელების საქმეში, რომელმაც თავის განვითარებაში ძირითადად ოთხი ეტაპი მოიცვა:

**1. აბორიგენი მოსახლეობის ფიზიკური განადგურება, საკუთარი ტერიტორიიდან აყრა-გასახლება იმპერიის საზღვრებს გარეთ; 2. გამონთავისუფლებულ მიწებზე იმპერიისადმი ერთგული კოლონისტების ჩასახლება; 3. იმპერიული პოლიტიკის „გათიშე და იბატონე“-ს გატარების მიზნით აბორიგენი მოსახლეობის დიფერენციაცია ორ კატეგორიად: მშვიდობიან და მშფოთვარედ, როგორც**

**კავკასიის ხალხებს შორის მტრობის, შუღლის არსებობის მტკიცე გარანტი; 4. ჩრდ. კავკასიელი ხალხების ჰუმანური (ანუ მწიგნობრული) რუსიფიკაცია, როგორც ამ ხალხებში ისტორიულად არსებული ქართული კულტურულ-ინფორმაციული სივრცის აღმოფხვრის, „საერთოკავკასიური შეგნების" მოშლის წინაპირობა.**

თურქი აგრესორებისაგან კავკასიის მცირერიცხოვანი ხალხების „დამცველმა" ცარიზმმა, რომელმაც 1810 წლიდან ოფიციალურად მოიკიდა ფეხი აფხაზეთის სამთავროში, იმთავითვე გაამჟღავნა „ველიკოდერჟავული" ზრახვები. მან კავკასიის მთიელი მოსახლეობის თავისუფლების ჩახშობა მოინდომა. ბუნებრივია, აფხაზები და სხვა ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხები ასე იოლად არ შეეგუებოდნენ თავისუფლების დაკარგვას. აფხაზეთში 1821, 1824, 1837, 1840-1841, 1841-1842, 1846, 1850, 1857, 1859 წლებში ადგილი ჰქონდა ანტირუსულ გამოსვლებს. ცარიზმმა რუსი ოფიცრების – გენერალ მ. გორჩაკოვის, ბარონ გ. როზენის, პოლკოვნიკ ნ. მურავიოვის, გენერლების – მ. ლორის-მელიქოვის, გ. ფილიპსონის, პ. შატილოვის, დ. სვიატოპოლკ-მირსკის, ვ. გეიმანის და პ. გრაბეს მეთაურობით სისხლში ჩაახშო აფხაზების, საძების, შაფსუღების, უბიხების ანტირუსული გამოსვლები. ხოლო 1864 წელს, კავკასიის ომის დამთავრებისთანავე, იმპერატორმა ალექსანდრე II-მ გააუქმა აფხაზეთის სამთავრო, მთავარი მ. შერვაშიძე კი ვორონეჟში გადაასახლა.

დაიწყო აფხაზეთის, ჩრდ. კავკასიის აქტიური კოლონიზაცია. განსაკუთრებით ტრაგიკული იყო აფხაზი ხალხის ცხოვრებაში 1864-1866 და 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდი. აფხაზები გამოცხადდა ცარიზმისათვის არასაიმედო ხალხად, დაიწყო მათი მუჰაჯირობა. რუსეთის ოფიციოზმა დადებითად შეაფასა აფხაზთა გადასახლება. „უნდა გვიხაროდეს, -ვკითხულობთ გაზეთ „რუსკი მირში"- აფხაზების თურქეთში გადასვლით... მათი „გადაქაჩვა" გაუადვილებს სოხუმის ადმინისტრაციას, თუ როგორ მოაწყოს აფხაზეთი – ფრანგულ თუ შვეიცარულ ყაიდაზე" (იხ. თ. აჩუგბა. აფხაზთა დასახლება აჭარაში. ბათუმი., 1988 წ., გვ. 20). რუსი ისტორიკოსი ნ. ბუტკევიჩი კავკასიის მთიელებს და მათ შორის აფხაზებსაც „შინაურ მტრებს" უწოდებდა. თანაც ირწმუნებოდა, რომ მათი გასახლება „მხოლოდ სარგებლობას" მოუტანდა ცარიზმს, გამოთავისუფლებულ მიწებზე კი მოითხოვდა უპირატესად რუსი ეროვნების მოსახ-

ლეობის დამკვიდრებას, ანუ რუსეთის განმტკიცებას. **"... твердою ногою как на Кавказе, так и в Закавказье" (Г. Дзидзария. "Махаджирство и проблемы история Абхазии XIX столетия".** სოხუმი., 1975, გვ. 304). უფრო მეტიც: ცარიზმი ყოველნაირად ხელს უწყობდა აბორიგენი მოსახლეობის თურქეთში გადასახლებას. გენერალი სვიატოპოლკ-მირსკი გენერალ კარცოვისადმი გაგზავნილ წერილში არაორაზროვნად მიუთითებდა, რომ **"Если часть абхазцев возымеет намерение удалитсься в Турцию, то полагаю, что этому препятствовать не следует".** (იხ. ს. ჯანაშია. შრომები, VI, თბ., 1988, გვ. 7)

მუჰაჯირობის შედეგად სამშობლოდან გადაასახლეს აფხაზურ-აბაზური მოდგმის 135 ათასი კაცი, უბიხებთან ერთად კი 180 ათასი (Г. Дзидзария. დას. ნაშრ., გვ. 369). მათგან უბიხები, შაფსუღები და საძები საერთოდ აღიგვნენ პირისაგან მიწისა. უკეთესი დღე არც ადიღეელებს, ჩერქეზებსა და ყაბარდოელებს დაადგათ. თუ მათი საერთო რაოდენობა 1830 წლისათვის 1.082 ათას კაცს შეადგენდა, დღეს-დღეობით სსრ კავშირის ფარგლებში ჩერქეზი მოსახლეობის საერთო რაოდენობა 40 ათას კაცს არ აღემატება, ადიღეელების კი 100 ათასს! ნათელია, თუ რა „ისტორიული როლი" ითამაშა რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების (მათ შორის აფხაზების) სამომავლო ცხოვრებაში...

ბუნებრივია, „გამონთავისუფლებულ მიწებზე", მისი ათვისების თვალსაზრისით, საჭირო იყო არამკვიდრი მოსახლეობის ინტენსიური ჩამოსახლება: **"...Владея пустыми пространствами по обоим берегам Бзыби, можно будет положить там начало русского народонаселения в Абхазии"..** – წერდა სვისტოპოლკ-მირსკი გენერალ კარცოვს 1864 წლის 6 ივნისს. (ს. ჯანაშია. დას.ნაშრ.გვ.7). მაგრამ მოსახლეობა, რომელსაც გარკვეული ფუნქცია ეკისრებოდა, უნდა ყოფილიყო **безусловно предано правительству",** რამეთუ ყოველი მტკაველი მიწა დაკავებული **"... устойчивыми" переселенцами, "представляют колонизационный оплот русского государственного дела в крае" (Г. Дзидзария.** დას. ნაშრომი, გვ. 428-437).

ამ მიზნით აფხაზეთის დაცარიელებულ მიწებზე ასახლებდნენ მხოლოდ რუსი, ბერძენი, ბულგარელი ეროვნების კოლონისტებს. ამასთან ერთად, რუსეთის იმპერია ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა მეგრელთა დამკვიდრების მცდელობას საქართველოს ისტორიულ

კუთხეში – აფხაზეთში. რიგ შემთხვევაში, კი ძალის გამოყენებით უკან აბრუნებდა თითო-ოროლა ცარიზმისაგან „ნებადაურთველად" ჩამოსახლებულ ოჯახებს. მეფის რუსეთის მიერ საგანგებოდ შერჩეული კოლონისტების ინტენსიურმა მიგრაციულმა პროცესებმა აფხაზეთი ერთბაშად „ინტერნაციონალური" გახადა, რაც მხარის რუსიფიკატორული პოლიტიკის წარმატებით განხორციელების რეალურ პერსპექტივებს ქმნიდა.

თურქეთში ძალდატანებით გადასახლებულ აფხაზებს, ცარიზმის მიერ მოღალატეებად მონათლულთ, აეკრძალათ სამშობლოში დაბრუნება. სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, სამშობლოდან დევნილ აფხაზთა ერთი ნაწილი სამშობლოში დაბრუნების იმედს მაინც არ კარგავდა. მუჰაჯირი აფხაზები ჯერ აჭარაში სახლდებოდნენ, რათა იქედან ეცადათ ისევ საკუთარ კუთხეში დაბრუნება, მაგრამ ეს ვერ ხერხდებოდა, რადგანაც ოსმალეთის და რუსეთის ხელისუფლება კატეგორიულად კრძალავდა მუჰაჯირების სამშობლოში დაბრუნებას. ასე შეიქმნა აფხაზთა დასახლებანი აჭარაში. ჯ. პალგრევის მიხედვით 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წინ ბათუმში 9.500 აფხაზი და ჩერქეზი ცხოვრობდა. (თ. აჩუგბა. დასახ. ნაშრ, გვ. 31). მიუხედავად ცარიზმის მცდელობისა, ერთმანეთს შორის დაეთესათ მტრობა, აჭარელმა ქართველებმა აფხაზი მუჰაჯირები ძმებივით მიიღეს და შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობდნენ, შეემსუბუქებინათ მათთვის მძიმე ხვედრი. მაგრამ 1878 წელს, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აჭარის შესვლის შემდეგ, ბათუმში აფხაზ მუჰაჯირთა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო. აი, რას წერდნენ ბათუმის ოლქის გუბერნატორს ქალაქში მცხოვრები აფხაზი მუჰაჯირები: „ჩვენდა დიდად საუბედუროდ და სამწუხაროდ, ბათუმში რუსების შემოსვლის შემდეგ... ისინი (იგულისხმება რუსები – თ.ა.) არ შევიდნენ ჩვენს უბედურ მდგომარეობაში, არ მიგვიღეს ჩვენ როგორც ხალხი, როგორც ადგილის მცხოვრებნი, არ მიგვიღეს ჩვენ არავითარ სამსახურში. წაგვართვეს ყოველგვარი სასყიდლის მიუცემლად ჩვენი სახნავ-სათესი მიწები..." (თ. აჩუგბა. დასას. ნაშრ. გვ.30).

საერთოდ, ქართული საზოგადოება დიდად განიცდიდა აფხაზი მუჰაჯირების ტრაგიკულ ბედს და ყოველნაირად ცდილობდა მხარში ამოდგომოდა მათ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1867 წელს ბზიფის (გუდაუთის) მოსახლეობის თურქეთში მასობრივი

გადასახლების თავიდან აცილების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ბზიფის აფხაზეთის ოლქის მმართველმა, მაიორმა დ.ს. ჭავჭავაძემ, რომელმაც მოუწოდა პანიკით მოცულ მოსახლეობას, უარი განეცხადებინათ გადასახლებაზე. **"Мы, წერდნენ აფხაზი გლეხები,- спокойно пахали, сеяли и занималось всякой работой, потому каждый из нас доволен своим состоянием", за сто так благодарны Чавчавадзе, что "выразить не можем"** (**Г. Дзидзария**. დას. ნაშრომი, გვ. 287).

ამასთან ერთად, დ. ჭავჭავაძემ აღძრა შუამდგომლობა, რათა შეემსუბუქებინათ 1886 წლის აჯანყების მონაწილეთათვის მძიმე ხვედრი, რის გამოც სოხუმის განყოფილების მმართველმა გაანთავისუფლა ის თანამდებობიდან. გუდაუთის აფხაზები შეეცადნენ, გამოსარჩლებოდნენ დ. ჭავჭავაძეს (**З. Анчабадзе, Г. Дзидзария. "Дружба изечная, нерушимая"**. სოხუმი., 1972, გვ. 59-60).

ოსმალეთში ძალდატანებით გადასახლებულთა დარად, არც სამშობლოში დარჩენილი აფხაზები იყვნენ უკეთეს დღეში. **...Подавляющее большинство абхазцев власти объявили " виновным населением"... Абхазы были объявлены "временными жителями" своей страны и за малейшее антиправительственное выступление им грозило поголовное выселение с родины" ( З. Анчабадзе. "Очерк этнической истории Абхазского народа"**. სოხუმი., 1976, გვ. 87).

ამასთან ერთად, ცარიზმი ყოველნაირად ცდილობდა, სამშობლოში დარჩენილი აფხაზები იმპერიული პოლიტიკის თანამონაწილეებად გაეხადათ. მეფის რუსეთის იდეოლოგები ყოველნაირად ცდილობდნენ, დაეპირისპირებინათ ერთმანეთისთვის აფხაზები და ქართველები, შეეტანათ უთანხმოება და შუღლი ამ ორი მონათესავე ხალხის მრავალსაუკუნოვან, კეთილმეზობლურ ურთიერთობაში, რაც რუსიფიკატორული პოლიტიკის წარმატებით განხორციელების, „საერთოკავკასიური შეგნების" მოშლის შესანიშნავ წინაპირობას ქმნიდა.

კავკასიაში „განმათავისუფლებელი მისიით" მოვლენილი ცარიზმი დროს და ენერგიას არ იშურებდა, რათა კავკასიის ხალხების მეხსიერებიდან ამოეძირკვა ისტორიულად არსებული ქართული „კულტურულ-ინფორმაციული სივრცის" დომინანტი, როგორც „საერთოკავკასიური შეგნების", კავკასიელი ხალხების ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების გარანტი. იმპერიის იდეოლოგე-

ბი არ ერიდებოდნენ. გამოემჟღავნებინათ თავიანთი შოვინისტური მიზნები. ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების (მათ შორის აფხაზების) დამწერლობის ინიციატორი უსლარი აღნიშნავდა, რომ: **"Туземная грамота должна служить только тому, чтобы... облегчить изучение русского языка."** უსლარი იმასაც ამბობს, რომ მთიულები და, მათ შორის, აფხაზები **"... самостоятельной литературы, по самому положению своему, иметь не могут и никогда иметь не будут" (Ш. Д. Инал-Ипа. "Страницы абхазской литературы".** სოხუმი., 1980, გვ. 23). მაგრამ აფხაზური დამწერლობის შექმნა რუსულ გრაფიკაზე დაყრდნობით უფრო შორს გამიზნული ჩანაფიქრი იყო: **"Абхазский язык,** – წერდა რუსიფიკაციის ცნობილი აპოლოგეტი ვეიდენბაუმი, **-не имеющий письенности и литературы, обречен, конечно на исчезновение в более или менее близком будущем. Вопрос о том: какой язык заменит его?... Очевидно, что роль проводника должен был бы играть не грузинский а русский язык. Мне кажется, потому, что учреждение абхазской письменности должно быть не целью само по себе, а только средством к ослаблению, путем церкви и школы, потребности грузинском языке и постепенной замене его языком государственным" (Ш. Д. Инал-Ипа.** დას. ნაშრომი, გვ. 23)

ცარიზმს განსაკუთრებით აშფოთებდა ქართული ეკლესიის საკმაო ავტორიტეტი აფხაზეთში, რომელიც ანტირუსული პოლიტიკის ძლიერი დასაყრდენი იყო. ამიტომაც, შოვინისტურად განწყობილმა რუსი ეროვნების საეკლესიო პირებმა იერიში მიიტანეს ქართულ ეკლესიაზე. 1902 წლის დამდეგს სოხუმის ეპისკოპოსმა – არსენმა ეგზარქოს ალექსის წინაშე დასვა საკითხი საქართველოს საეგზარქოსოდან აფხაზეთის საეპისკოპოსოს ჩამოცილების და ყუბანის ოლქთან მისი მიერთების შესახებ. ეპისკოპოს არსენისა და ეგზარქოს ალექსის წინადადებას მხარი დაუჭირა მთავარმართებელმა გოლიცინმა, რომელმაც თავის მხრივ იშუამდგომლა წმ. სინოდის წინაშე. მოთხოვნა შემდეგი მოსაზრებით იყო დასაბუთებული: **"Трудно ожидать в близком будущем, чтобы приходы Сухумской епархии, разбросанные по горам, состаящие из недавно крещенных или еще диких абхазцев, могло бы на местные средства упрочить благосостояние епархии..."**(იხ. სოლომონ ლეკიშვილი. დავიწყებული უმწიფარი წიგნი და მისი ამჟა-

მინდელი დამფასებლები. გაზ. „სახალხო განათლება", 1990 წლის, 27 სექტემბერი, გვ. 14).

შემდგომში კი უკვე არაორაზროვნად იქნა განმარტებული ამ ღონისძიების ჩატარების პოლიტიკური მოტივი: **"... Для маленькой и разноязычной сухумской Епархии присоединения к Кубанской области было бы весьма полезно. Кубанская область насчитывает 1716245 душ православного, чисто русского населения, в этой массе легко раствориться 100 тысяч разноязычного черноморского населения"** (იხ. ს. ლეკიშვილი, დასახ. ნაშრომი). ცარიზმი ძალღონეს არ იშურებდა, რათა ნელ-ნელა ამოეძირკვა ქართული ენა, სოხუმის ეპარქიაში კი აფხაზთათვის გაუგებარ სლავურ ენაზე დაემკვიდრებინა წირვა-ლოცვა.

**ცარიზმისდროინდელმა მუჰაჯირობამ მოდერნიზებული სახე მიიღო საბჭოთა პერიოდში: 1944 წ. ჩეჩნების, ინგუშების, ბალყარელების, ყარაჩაელების გადასახლება შუა აზიაში; მოკავშირე თუ ავტონომიური რესპუბლიკების ისტორიული ტერიტორიების ხელოვნური გადაკეთება; რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება; მესამე ძალის მიერ ინსპირირებული ეთნოკონფლიქტები კავკასიაში და სხვა.** ამის შედეგს დღესაც მწარედ ვიმკით: მხედველობაში გვაქვს არასტაბილური ვითარება კავკასიის რეგიონში.

ამჟამადაც „მესამე ძალა" მცდელობას არ აკლებს, რათა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის კავკასიაშიც, წარმოშვას ერთა-შორისი კონფლიქტები და, არც თუ იშვიათად, მიზანსაც აღწევს.

გამოსავალი ერთია: „საერთოკავკასიური სახლის" შექმნა. კავკასიის ხალხთა ძმობა-ერთობა ჯერ კიდევ მე-11 საუკუნის პირველ მესამედში საქართველოს სამეფო კარის კონცეფციად ჩამოყალიბდა. ეს იდეა ეფუძნებოდა ძირითად პოსტულატს: ერთიანობა მრავალფეროვნებაში. სწორედ „საერთოკავკასიური სახლი", სადაც ყველა ხალხი დამოუკიდებელი იქნება და კავკასიის პარლამენტში, მიუხედავად მცირერიცხოვნებისა თანაბარი ხმის უფლებით იქნება წარმოდგენილი, გახდება რეალური თვითმყოფადობის, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერიტორიული მთლიანობის და კავკასიაში პოლიტიკური სტაბილიზაციის შენარჩუნების გარანტი.

21-ე საუკუნე კარს მოგვადგა. დროა კავკასიელმა ხალხებმა

გვერდზე გადავდოთ ურთიერთპრეტენზიები, გაუთავებელი დავა და ერთიანი ძალისხმევით ვიბრძოლოთ ჩვენი ხალხების კონსოლიდაციისა და დამოუკიდებლობისათვის.

**ჟურნ. „ცხუმი“ ტ. III, სოხუმი, 1991, გვ. 124-129**

## §3. „საქართველოს საკითხი“ და ცოტა კიდევ მეტი

ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციას დრაკონი დაეპატრონა.
ყოველწლიურად ასობით ქალ-ვაჟის სიცოცხლე ეწირებოდა მის
გაუმაძღარ სტომაქს. არსაიდან შველა არ ჩანდა... უდანაშაულო
მსხვერპლთა მორიგ ჯგუფს გზად შეუერთდა
ვინმე უცნობი ვაჟკაცი... დრაკონის სამფლობელოში
გონს მოსვლა ვერც მოასწრეს, ისე დაერია ურჩხული ზვარაკად
მოსულთ. ხელდახელ შეიბნენ დრაკონი და რაინდი. ძლეულ იქნა
ურჩხული... მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! განგმირული დრაკონი ვაჟკაცის
თვალწინ ადამიანად გარდაისახა... რაინდმა იგრძნო,
რომ სხვა განცდა ეუფლებოდა, უმძიმდება სხეული, სული.
სარკეში ჩაიხედა, და მისსივე ანარეკლი ვერ იცნო:
იგი დრაკონად ქცეულიყო.
ჩ ი ნ უ რ ი ზ ღ ა პ ა რ ი

სიკვდილის სარეცელზე მიჯაჭვულ პროლეტარიატის ბელადს იმდენად „აწუხებდა“ საქართველოს ბედი, წერილის დაწერასაც კი აპირებდა. მისი ასეთი აფორიაქება შემთხვევითი არ იყო. რა თქმა უნდა, ლენინს მხოლოდ ბოლშევიკური რუსეთის მომავალზე ფიქრი უწამლავდა გონებას. იქნებ, ახლად გამომცხვარი საბჭოური იმპერიის მოსალოდნელი ნგრევის სიმპტომები ენიშნა?! 1923 წლის 10 მარტს მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუარესდა... სტენოგრაფისტმა მხოლოდ მომავალი სტატიის სათაურის ჩაწერა მოასწრო. „საქართველოს საკითხი“ დარდად ჩაჰყვა საფლავში ბელადს...

1989 წლის 9 აპრილს ქართველმა ერმა დამოუკიდებლობის მოთხოვნით დააფრთხო რუსეთის იმპერია. ეროვნულ-გამათავისუ-

ფლებელი მოძრაობის აღზევება კრემლს ცუდად ენიშნა. პროლეტარიატის ბელადის საწუხარიც ეს იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობას პლორეტარიატის ბელადი იმთავითვე უარყოფითად შეხვდა. სრულიად რუსეთის ცაკ-სხდომაზე, 1918 წლის 29 ივლისს წარმოთქმულ სიტყვაში მან არაორაზროვნად განაცხადა: „...საქართველოს ეს დამოუკიდებლობა (იგულისხმება 1918 წ. 26 მაისი – ვ. ჭ.) ყოვლად აშკარაა მოტყუებად იქცა... სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ...“ (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 28, გვ. 7-8). ლენინის ასეთი რეაქცია გასაგებიც იყო. მოდერნიზებული ბოლშევიკური რუსეთის იმპერიის ტახტის ახალი გვირგვინოსანი ვერაფრით შეურიგდებოდა საქართველოს, როგორც მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო-სატრანზიტო რეგიონის დაკარგვას... ლენინი, როგორც ჰუმანური რუსიფიკაციის მედროშე, ყოველი ერის სუვერენული უფლებების დაცვის ნიღაბს ამოფერებული, ცდილობდა საქაველოს ისევ რუსეთის, ამჯერად, ბოლშევიკურის, იმპერიაში შემოტყუებას. მიაღწია კიდეც საწადელს. 1920 წლის 7 მაისს გაფორმდა საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება, რითაც ლენინის მთავრობამ დიპლომატიური, საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით აიძულა ევროპა, განსაკუთრებით, კი ინგლისი, ამოეკვეთა ფეხი საქართველოდან.

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ცხადყო ლენინის შორსგანჭვრეტილი ნაბიჯის საბოლოო მიზანდასახულობა. 1920 წლის იკლის-აგვისტოში თურქეთის დელეგაციის მეთაურის, საგარეო საქმეთა მინისტრის ბექირი სამი ბეის მოსკოვში მიღებისას ლენინმა განაცხადა: „უეჭველია ის ფაქტი, რომ უმოკლეს დროში მოიძებნება მიზეზი სომხეთსა და საქართველოში ჩვენი შესვლისო“ მოიძებნა კიდეც საქართველოს მხრიდან ხელშეკრულების „ცალმხრივი“ დარღვევის საბაბით. მუქარის ტექსტიც საგანგებოდ შეითხზა: „მივცეთ დირექტივა რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს, თუ საჭირო იქნება, მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის“ ( იხ. ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 54, მე-5 გამოცემა, მოსკოვი., 1965, გვ. 48, რუს. ენაზე). 1921 წლის 25 თებერვლის ანექსია კი მთლიანობაში ისე იქნა აღქმული დასავლეთში, როგორც რუსეთის მიერ კატაკლიზმების შედეგად დაკარგული სამხრეთ ტერიტორიების

„დაბრუნება“ „დემოკრატიულად მოაზროვნე“ ევროპამ საბოლოოდ გამოააშკარავა თავისი უპრინციპობა, გაორებული ბუნება: ანექსირებული საქართველოს მთავრობას, ნ. ჟორდანიას მეთაურობით, აქტიური თანადგომის ნაცვლად პარიზის მახლობლად ლევილში მიწის ნაკვეთი გამოუყო. ეს იყო და ეს... მაგრამ „მონგრეული მონღოლეთის რასიული გაქანება“ (გრ. რობაქიძე) მაინც არ ცხრებოდა. ჯერ იყო „გაასოციალისტეს“ საქართველო, მერე კი ისევ მოაქციეს იმპერიის ფარგლებში. და აქაც ლენინმა ჩვეული ოსტატობით გაითამაშა მასზე დაკისრებული როლი. საქმე ეხება ყბადაღებული „ავტონომიზაციის“ საკითხს, რომლის ინიციატორად და სულისჩამდგმელად რატომღაც დღემდე სტალინია მიჩნეული. სინამდვილეში კი ამ იდეის პირველობა ლენინს ეკუთვნის. მაგრამ როგორც „ჰუმანური რუსიფიკაციის“ იდეოლოგმა, ვინმე „ინოროდეცის“ ხელით გადაწყვიტა მოესინჯა „ავტონომიზაციის“ იდეის ავკარგიანობა. თუ გაუვიდოდა, ხომ კარგი, თუ არა და, გადამბრალებელს რა გამოლევდა... ყველაფერი თითქოსდა კარგად აეწყო, მაგრამ ქართველმა კომუნისტებმა კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწიეს „ავტონომიზაციის“ იდეას. ლენინი იძულებული გახდა, უკან დაეხია: ასე დაიწყო მან „სტალინური ავტონომიზაციის“ მკვეთრი კრიტიკა. რომ არა ქართველი ბოლშევიკები, საეჭვოა, დაუპირისპირდებოდა თუ არა ლენინი „ავტონომიზაციის“ იდეას?! ასეა თუ ისე, „საქართველოს საკითხმა“ ფრიად დააფიქრა ლენინი. ამ იდეის წინააღმდეგ ხომ მხოლოდ საქართველო გამოვიდა. მისი ჯანმრთელობა შერყეული იყო, ხოლო სსრ კავშირის ურღვევობის გარანტის – „ჰუმანური რუსიფიკაციის“ სამოქმედო პროგრამა მონახაზის სახითაც არ არსებობდა. არც მის მემკვიდრეობაში ჩანდა ვინმე, ასეთ დიდ ტვირთს რომ აიღებდა საკუთარ თავზე. არადა, ლენინი გრძნობდა, რომ ძალდატანებით რუსიფიკაციას, შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგები მოჰყოლოდა, სსრკ-ის მოჩვენებითი ერთიანობა კი ერთ დღეს საპნის ბუშტივით გამსკდარიყო. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე „საქართველოს საკითხით“ მისი ასეთი დაინტერესების მიზეზიც ეს იყო.

კოსმოსის ეპოქამ საბჭოური იმპერიის თვისობრივი ცვლილების აუცილებლობა მოიტანა. „პერესტროიკის“ თეორეტიკოსებმა იმპერიის მოდერნიზება ამჯერადაც იდეოლოგიურ ფრონტზე მოსინჯეს.

ქვეყნის განახლების ფუძემდებლურ პრინციპად „ჰუმანური სოციალიზმი" გამოცხადდა. ოფიციალური მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში გაჩაღდა სტალინის, როგორც ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სოციალიზმის შემქმნელის ძაგება.

თავდაპირველად ამ მექანიზმმა იმუშავა. საბჭოური ტირანიისაგან შოკირებული ინტელიგენცია იოლად წამოეგო კრემლის ავანტიურას. ოფიციოზის მიერ ნიანგის ცრემლებით დატირებულმა „ჰუმანურმა სოციალიზმმა" გული აუჩუყა მშრომელთა ფართო მასებს. თუმცა სულ მალე ნათელი შეიქმნა, რომ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სოციალიზმის სულისჩამდგმელი სტალინი კი არა, ლენინი იყო, რომლის ფონზე, დიდი რუსი მწერლის სოლჟენიცინის შეფასებით, **"Сталин начинает казаться лишь слепой и поверхностной силой".** მალევე გაირკვა: ოფიციალური იდეოლოგიის ყბადაღებული პროპაგანდა, „პერესტროიკა" მიბრუნებაა სტალინის მიერ დეფორმირებული ლენინიზმისაკენ აშკარა სიყალბეა. რადგან სოლჟენიცინის თქმისა არ იყოს, **"...Сталин точно шел стопой в указанную стопу".** ხოლო, რაც შეეხება სტალინიზმს, მაოიზმს, „კასტროიზმს", „ხრუშჩოვიზმს", ეს მხოლოდ ეპოქის შესაბამისად მოდერნიზებული, ისტორიულ სიტუაციას მორიგებული ლენინიზმის სხვადახვა ვარიანტებია.

80-იანი წლების გარიჟრაჟზე ლენინიზმა თავისი არსებობის დრო მოჭამა. საჭირო გახდა მისი განახლება. მაგრამ „პერესტროიკის" ხუთწლიან პერიოდში ვერ მოხერხდა იმპერიის იდეოლოგიური მოდერნიზება, ძირითადად, ორი მიზეზის გამო. კრემლის თეორეტიკოსებმა ვერ შეიმუშავეს ისეთი მომხიბვლელი იდეა, კვლავაც რომ აცდუნებდა საბჭოურ იმპერიაში შემავალ ხალხებს (თუნდაც, მის ყველაზე უფრო „ შეგნებულ" ნაწილს – პლორეტარიატს) კავშირში ხელახლა შემოტყუება-დარჩენისთვის. ამასთან, ლენინიზმა სხვა „სიკეთესთან" ერთად ფრიად დააზარალა იმპერიის დასაყრდენი ხალხი – რუსები; მოიშალა რუსული ეროვნული ცნობიერება, დაარბიეს ეკლესია, განადგურების ზღვარს მიუახლოვდა რუსული გენოტიპი. ამასობაში რუსეთის შიდა და ცენტრალურ მხარეებში მკვეთრად გაიზარდა მუსულმანური მოსახლეობა. აქა-იქ თავისი აგრესიულობა დაუფარავად გამოხატა ისლამურმა ფუნდამენტალიზმმაც. ცხადი შეიქმნა, რომ იმპერიის იდეოლოგიური დემონტაჟი ერთადერთი გამოსავალი იყო გეომეტრიული პროგრესიით კატას-

ტროფისკენ მიმავალი რუსეთის გადარჩენისათვის. ამდენად, ოფიციოზის მოწოდება „ჰუმანური სოციალიზმისაკენ", როგორც იმპერიის შენარჩუნების ერთგვარი გარანტი, მიუღებელი აღმოჩნდა თავად რუსეთის, როგორც პროგრესულად, ასევე, შოვინისტურად განწყობილი ძალებისათვის. და ეს ბუნებრივიცაა: „სოციალიზმის გაჰუმანურება" არც მეტი, არც ნაკლები, პოლიტიკური ნონსენსია.

სსრკ-ის იდეოლოგიურ განახლებაზე კრემლის ხელჩაქნეულმა თეორეტიკოსებმა მთავარი აქცენტი იმპერიის მოდერნიზების ალტერნატიულ ფორმებზე გადაიტანეს.. და აი, 1990 წლის 15 მარტს ე. წ. „პერესტროიკა"- გარდაქმნის ხუთწლიანი, „მტკივნეული" მშობიარობის შედეგად, კომუნისტური იმპერიის ნაცვლად კაცობრიობას - დეიდეოლოგიზებული, პრეზიდენტის ერთპიროვნული, შეუზღუდავი უფლებამოსილებით აღჭურვილი ახალი იმპერია მოევლინა. ფაქტია, რომ სკკპ-ის ერთპიროვნულ დიქტატზე უარის თქმა, ეროვნული კომპარტიების დაშვება, სახელმწიფო აპარატის გამიჯვნა იდეოლოგიისაგან, კრემლის მოდელით განხორციელდა. ამასთან ერთად, მოდერნიზებულმა იმპერიამ და მისმა იმპერატორმა საკუთარი არსებობის გახანგრძლივების სანაცვლოდ „დათმო" აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური სისტემა, ვარშავის ხელშეკრულება და გერმანიის გაერთიანების დაშვებით კი ახალი სადარდებელიც გაუჩინა თავად ევროპას. **ბებერმა ევროპამაც არ დააყოვნა და, შინაბერა ქალივით აზლუქუნებულმა, უმანკოების ცრემლები უკმია დემოკრატიაზე „გამიჯნურებულ" იმპერატორს. ჰელსინკის ხელშეკრულების საფუძველზე სუვერენულ სახელმწიფოებში ჩაურევლობის მომხრემ, საბჭოური „ჰუმანიზმისაგან" რეტდასხმულმა ევროპამ ისევ ბედის ანაბარად მიატოვა იმპერიაში შემავალი მცირერიცხოვანი ხალხები.** მაგრამ ამჯერადაც არ უმტყუნა გორბაჩოვს პოლიტიკურმა ალღომ. დასავლეთისათვის თვალის ახვევის მიზნით ოფიციალურად მან განაცხადა, რომ არანაირ სამხედრო ძალას არ გამოიყენებდა „სეპარატისტულად" განწყობილი რესპუბლიკების მიმართ. უფრო მეტიც: პარლამენტალურ საფუძველზე შემუშავდა მათი კავშირიდან გამოყოფის მექანიზმიც. დასავლეთი „ჰოლივუდის" ღიმილით მიესალმა გორბაჩოვის ამ ნაბიჯს. მაგრამ გამოყოფის მექანიზმის ყოველმხრივი ანალიზი ცხადყოფს ამ კანონ-პროექტის აბსურდულობას.

კანონ-პროექტში შენელებული მოქმედების ნაღმივითაა ჩადე-

ბული ერთი ასეთი „საკითხი“: ავტონომიური რესპუბლიკები ინარჩუნებენ უფლებას მოკავშირე რესპუბლიკის კავშირიდან გასვლის შემთხვევაში დარჩნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში. ეს კი პერმანენტული ეთნოკონფლიქტების წინაპირობაა, რომელიც პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსურნე ნებისმიერ რესპუბლიკას გამოუვალ ჩიხში შეიყვანს.

მოკლედ, დეიდეოლოგიზებული რუსული იმპერიის არსებულ საზღვრებში შენარჩუნების „პარლამენტური“, საერთაშორისო სამართლებრივი გარანტიც მოიძებნა. „ლენინურ-ჰუმანურ“ რუსიფიკაციას იმპერატორ მ. გორბაჩოვის სახით ღირსეული მემკვიდრე გამოუჩნდა.

დიქტატორი მოკვდა!

გაუმარჯოს დიქტატორს!

**გაზ. „სამრეკლო“, 1990 წ. აპრილი**

## §4. „პერესტროიკა“ – ქურთუკშებრუნებული ბოლშევიკური რუსიფიკაცია

ე. წ. „დემოკრატიული რუსეთის“ წარმომადგენლები სკკპ და სსრკ-ის უმაღლეს საბჭოში მოკრძალებულად აცხადებენ: „პერესტროიკა“ – გარდაქმნის სირთულეთა ძირითადი მიზეზი კონცეფციის უქონლობაში უნდა ვეძებოთო. ვფიქრობთ, რომ ეს არ შეესაბამება რეალობას; შეუძლებელია გარდაიქმნას ის, რაც არ ექვემდებარება „პერესტროიკას“ საბჭოური იმპერია, რომლის გარდაქმნაზეცაა საუბარი, სტალინის პირადი კაპრიზების შედეგი როდია. ის რუსეთის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე – იმპერიის მოდერნიზებული ვარიანტია. „პერესტროიკა“, რომელიც შენიღბულად ანტისტალინურ ხასიათს ატარებს, ხრუშჩოვის ეპოქის მსგავსად, სტალინის პიროვნების განქიქების იქით არ წასულა. და ეს გასაგებიცაა: ლენინიზმ-სტალინიზმის ფუძემდებლური პრინციპები – კომუნისტური პარტიის ერთპიროვნული დიქტატი, სოციალიზმის ექსპორტი, ბოლშევიკური რუსიფიკაცია დღესაც იმპერიის შენარჩუნების ძირითადი გარანტიაა.

მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე რუსეთის იმპერიაში დაწყებული დემოკრატიზაციის პროცესი და აქედან გამომდინარე, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება სადღაც იმ პროცესების ადეკვატურია, „პერესტროიკას" რომ მოპყვა საბჭოთა კავშირში. მაგრამ თუ ცენტრისტული პარტიის (რსდმპ) შორსგამიზნული ზრახვა იმპერიის მოდერნიზება გახლდათ, პერიფერიების ეროვნული პარტიების ამოცანა დამონებული სამშობლოს განთავისუფლება იყო. ცხადი გახდა, რომ ქვეყნის შემდგომი დემოკრატიზაციის პირობებში ამ პარტიებს შორის რადიკალურად გაიზრდებოდა წინააღმდეგობა, რაც რუსეთის იმპერიას საფრთხის წინაშე დააყენებდა. ცენტრისტული პარტიის კლასობრივ ლოზუნგს „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" პერიფერიებში (ამ შემთხვევაში, საქართველოში) დაუპირისპირდა ლოზუნგი „ქართველებო ყველა კლასისა, შეერთდით"! რსდმპ ლიდერი მოურიდებლად აცხადებდა რომ, უფრო გვიან, მაგრამ მაინც მოხდება რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეში მცხოვრები ხალხების ასიმილაცია: „...პროლეტარიატი ყოველი ნაციის ეროვნული განვითარების დაცვას ვერ იკისრებს... სიხარულით ეგებება ყოველ ასიმილაციას, თუ იგი ძალდატანებისა და პრივილეგიების საშუალებით არ ხდება" (ვ.ი.ლენინი. „კრიტიკული შენიშვნები ეროვნული საკითხისათვის" თხზ; ტ. II. გვ. 242). ამ აზრს პერიფერიებში ბოლომდე იზიარებდნენ დენაციონალიზირებული, „ინოროდეცი" ბოლშევიკ-მენშევიკები.. ამის ნათელი დადასტურებაა ქართველი ბოლშევიკის ფ. მახარაძის პოზიცია: „ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება ნაციონალურ ზნე-ჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია" (ფ. მახარაძე. თხზ., IV, გვ 129).

რუსეთის იმპერიის თავისებურება გეოგრაფიული ადგილმდებარეობის სპეციფიკურობიდან გამომდინარეობს. თუ დაპყრობითი პოლიტიკის შედეგად ინგლისის, ესპანეთის, პორტუგალიის იმპერიებს საკუთარ ტერიტორიად არ გაუხდიათ მოსაზღვრე ქვეყნების არც ერთი მტკაველი მიწა, რუსეთის იმპერია სწორედ მეზობელი ქვეყნების მიწების მიტაცებით შეიქმნა. მაგრამ იმპერიის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საქმეში მხოლოდ

ტერიტორიების შემოერთება არ იყო საკმარისი: უნდა შექმნილ-იყო შემოერთებული მიწების სამუდამოდ ფლობის მტკიცე გარანტი; ამისთვის საჭირო იყო მიტაცებულ მოსაზღვრე ტერიტორიებზე რუსთა კომპაქტური დასახლებების შექმნა, რასაც თან სდევდა აბორიგენი მოსახლეობის აყრა, უკეთეს შემთხვევაში, გარუსება. შემდგომ ხანებში რუსთა მიგრაციულმა პროცესებმა ისეთი ინტენსიური ხასიათი მიიღო, რომ მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე სტუმრები (რუსები) ზოგ ადგილას სჭარბობდნენ კიდეც მკვიდრ მოსახლეობას.

აშკარაა, რომ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის სპეციფიკურობამ ბევრწილად განაპირობა რუსეთის იმპერიის განვითარება არა „სილრმეში, არამედ სივრცეში" პანიკური შიში იმპერიის მოსალოდნელ ნგრევასთან დაკავშირებითუცილობლად მოითხოვდა გზების ძიებას. პირველი ასეთი მცდელობა ოქტომბრის შეიარაღებული გადატრიალება იყო. დემოკრატიულმა პროცესებმა, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, მოედო რუსეთის იმპერიის, ერთიანად გამოაღვიძა დაჩაგრული ხალხები. ევროპულ კულტურას ნაზიარები ქართველი ახალგაზრდობა ნათლად ხედავდა, რომ დამონებული სამშობლოს ხსნა ეროვნულ კონსდოლიდაციაშია. როგორც დიდი ილია ბრძანებდა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნისო" მაგრამ ფხიზლობდნენ რუსეთის იმპერიის მოდერნიზების თეორეტიკოსები. ფრიად მაცდუნებელი, ერთგვაროვანი საზოგადოებრივი წყობის (სოციალიზმის) აშენების კონცეფცია, დენაციონალიზებული ბოლშევიკური პარტიის ერთპიროვნული დიქტატი და შორსგამიზნული ლოზუნგი „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" თუ გადაარჩენდა რუსეთის იმპერიას აზვირთებული ეროვნული მოძრაობისაგან. გადაარჩინა კიდეც!

დაიწყო რუსეთის იმპერიის მოდერნიზება სოციალიზმის რელსებზე. პიროვნების კულტის, სუბიექტივიზმის და ე. წ. „ზასტოის" ეპოქით მთავრდება ბოლშევიკური რუსიფიკაციის პირველი ეტაპი.

რუსთა კომპაქტური დასახლებების შექმნას, რაც ბოლშევიკურმა რუსეთმა მემკვიდრეობით მიიღო ცარიზმისაგან, ინტენსიური ხასიათი მიეცა ხრუშჩოვ-ბრეჟნევის ეპოქაში. დღესდღეობით შექმნილი დემოგრაფიული მდგომარეობა მკაფიოდ ადასტურებს ზემოთქმულს. მოვიყვანოთ სტატისტიკური მონაცემები: მოლდავე-

თის მოსახლეობა – 4147 ათასი კაცი: მოლდაველი – 63.9 პროცენტი, რუსი – 27 პროცენტი; ლატვია – 2622 ათასი კაცი: ლატვიელი – 53.7 პროცენტი, რუსი – 40 პროცენტი; ესტონეთი – 1542 ათასი კაცი: ესტონელი – 64.7 პროცენტი, რუსი – 32 პროცენტი; ყაზახეთი – 16028 ათასი კაცი: ყაზახი – 36 პროცენტი, რუსი – 47 პროცენტი; ყიზირგეთი – 4951 ათასი კაცი: ყირგიზი – 47.9 პროცენტი, რუსი – 25.9 პროცენტი. არაფერს ვამბობთ ციმბირზე, სადაც რუსები აბორიგენ მოსახლეობას საგრძნობლად სჭარბობენ.

სსრკ-ში მიმდინარე პროცესებმა ერთიანად გამოაღვიძა ჩაგრული ხალხების ეროვნული თვითშეგნება. გააქტიურდნენ მოკავშირე რესპუბლიკებში შექმნილი სახალხო ფრონტები თუ ოპოზიციური გაერთიანებები. ეროვნულმა ძალებმა კრემლს ულტიმატუმი წაუყენეს პოლიტიკური დამოუკიდებლობის შესახებ. იმპერიას, ამჯერად ბოლშევიკურს, ისევ დაემუქრა დანგრევის საფრთხე.

ე. წ. „პერესტროიკის" ეპოქასთან ერთად ჩვენში იწყება ბოლშევიკური რუსიფიკაციის მეორე, უფრო საშიში ეტაპი: ქმედებაში შემოდის ასიმილაციის „ჰუმანური" ფორმები, რომლის ბრწყინვალე დასტურია სკკპ ახლად მიღებული პლატფორმა ეროვნულ საკითხში. ბოლშევიკური რუსიფიკაციის „ჰუმანური" გზის თეორიული დამუშავების პროგრამატივა ბატონ ულიანოვს ეკუთვნის. იგი წერდა: „სოციალიზმის მიზანია, არა მარტო მოსპოს წვრილ სახელმწიფოებად კაცობრიობის დაქსაქსულობა და ერთა ყოველგვარი განცალკევებულობა, არა მარტო დაახლოვოს ერები, არამედ მათი შერწყმაც მოახდინოს... კაცობრიობა ერთა აუცილებელ შერწყმამდეც მივა მხოლოდ ყველა ჩაგრული ერის სრული განთავისუფლების, ე. ი. მათი გამოყოფის მეშვეობით" (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 22, თბ., 1951, გვ 178)

**ჯერ ერთა თვითგამორკვევა, მერე შერწყმა!– ასეთია „ჰუმანური" ასიმილაციის კონცეფცია!** რამ განაპირობა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ფორმიდან „ჰუმანური" ასიმილაციის რელსებზე გადასვლა?

რუსთა კომპაქტურმა დასახლებებმა სსრ კავშირის უკიდეგანო ტერიტორიაზე; „გათიშე და იბატონე"-ს პრინციპით მიღწეულმა ერთაშორისმა სიძულვილმა ყოველ მოკავშირე თუ ავტონომიურ

რესპუბლიკაში; ხელოვნურად შექმნილმა ეროვნულ-ტერიტორიულმა პრობლემებმა. და რაც მთავარია: პოლიტიკური სტაბილიზაციის შენარჩუნების მიზნით დასავლეთის „სიკეკლუცემ" „რუსული დათვის" წინაშე.

გარდაქმნის თეორეტიკოსებმა ეროვნულ საკითხში თავად ბატონ ულიანოვის ზოგიერთი პროგრესული კონცეფციაც კი არად ჩააგდეს. სკკპ ეროვნულ პლატფორმაში უარყოფილია ლენინური ეროვნული პოლიტიკის ისეთი ფუძემდებლური პრინციპები, როგორიცაა: ერთა თვითგამორკვევა და სსრ კავშირიდან თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლება. ვ. ი. ლენინი ნაშრომში „სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევა" წერდა: „ერთა თვითგამორკვევის უფლება ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებლობის უფლებას პოლიტიკური გაგებით, მჩაგვრელი ერისაგან თავისუფალი პოლიტიკური გამოყოფის უფლებას" (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 22, გვ. 177). ამ კონცეფციამ სრული ტრანსფორმაცია განიცადა მ. გორბაჩოვის გამოსვლაში სკკპ ცკ პლენუმზე, სადაც მან ხაზგასმით აღნიშნა: ერთა თვითგამორკვევა არ შეიძლება... „შემოვფარგლოთ მხოლოდ გამოყოფით" ამით ვაღარიბებთ ეროვნულ საკითხის გადაჭრის უნივერსალურ საკითხს. მ. გორბაჩოვს ერთა თვითგამორკვევა „პერესტროიკის" ეპოქაში ესახება, როგორც თითოეული ხალხის უფლება, ისარგებლოს სუვერენიტეტის ყველა სიკეთით " (იხ. გაზეთი „კომუნისტი" 2.09. 1989 წ.). მაგრამ განა გამოყოფის უფლება არ მოიცავს ყოველგვარი სუვერენული უფლებების გაფართოებას?! აშკარაა, რომ ერთა თვითგამორკვევის „პერესტროიკისებური" კონცეფცია გამიზნულია სხვა, უფრო დიდმნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებისათვის.

პარადოქსია, რომ პიროვნების კულტის, ე. წ. „ზასტოის" ეპოქაში მიღებულ კონსტიტუციებში ერთა თვითგამორკვევის ლენინური პრინციპი ხელშეუხებელი დარჩა (ქაღალდზე მაინც!): მუხლი 72: ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას დატოვებული აქვს სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება (სსრკ კონსტიტუცია. თბ., 1989, გვ. 28). გარდაქმნის დროის დოკუმენტში კი ეს მუხლი არ ფიგურირებს. მიზეზი გასაგებია. გარდაქმნა წარმოუდგენელი იყო ეროვნული საკითხისათვის გვერდის ავლით. ოთხწლიანმა გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ გარდაქმნის „აქილევსის ქუსლი"

სწორედ ეროვნული საკითხი იყო. ამიტომაც „პერესტროიკის" თეორეტიკოსებმა "минуя Ленина" ასეთი რამ ჩაწერეს სკკპ ეროვნულ პლატფორმაში: „ყველა საბჭოთა ხალხის ინტერესების შესაბამისი იქნებოდა ის, რომ კანონმდებლურად დამკვიდრებულიყო რუსული ენა, როგორც საერთო სახელმწიფო ენა, რომელიც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოიყენება და ფუნქციონირებს თანასწორუფლებიან საფუძველზე რესპუბლიკის სახელმწიფო ენებთან ერთად" (იხ. გაზეთი „კომუნისტი", 26. 09. 1989 წ.). ვ. ი. ლენინი ნაშრომში „საჭიროა თუ არა სავალდებულო სახელმწიფო ენა" წერდა: „ სავალდებულო სახელმწიფო ენა დაკავშირებულია იძულებასთან, ჩაგვრასთან... აი რატომ ამბობენ რუსი მარქსისტები, რომ აუცილებელია:- სავალდებულო სახელმწიფო ენის არაარსებობა " (ვ.ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 72-73). რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება, ფაქტობრივად არარად აგდებს მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ენების სტატუსს და, ამდენად, ეროვნულ ენათა განვითარების ანტიჰუმანურ, ანტიდემოკრატიულ, შოვინისტურ კონცეფციას წარმოადგენს.

მ. გორბაჩოვის გამოსვლაში სკკპ ცკ პლენუმზე სიტყვაც არ თქმულა მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების სკკპ-დან გამოყოფის თაობაზე. ამდენად, დღის წესრიგში არც რუსეთის ეროვნული კომპარტიის შექმნის საკითხი მდგარა. და ეს გასაგებიცაა: სკკპ, თავისი შექმნის დღიდან რუსეთის კომპარტიაა, რომელიც თავის თავში აერთიანებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიებს როგორც ფილიალებს. ამ ფუძემდებლურ პრინციპს ჯერაც ტაბუ ადევს.

მე-20 საუკუნეში რუსეთის იმპერიული განვითარების სპეციფიკა, მისი მოდერნიზებული სახე ოქტომბრის შეიარაღებული გადატრიალება, ხრუშჩოვის რეფორმები, „პერესტროიკა"- გარდაქმნის ეპოქაში სკკპ-ის მიერ მიღებული დოკუმენტი ეროვნულ საკითხში, კიდევ ერთხელ ცხადყოფს ერთ ჭეშმარიტებას, რომ ლენინიზმი და „პერესტროიკა" ერთი მედლის ორი მხარეა. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა მოდერნიზებული ბოლშევიკური რუსიფიკაცია.

**გაზ. „სამრეკლო", 1989 წ. დეკემბერი**

## §5. „ბოლშევიკური სინდრომი“ თუ კეკლუცობანა კრემლთან?!

**"Абхазский народ всегда был верен революции. Это доказала вся история установления Советской власти в Абхазии".**

ფ. მახარაძე

უკანასკნელ ასწლეულში, იმპერიულმა იდეოლოგიამ აფხაზი ხალხის ცნობიერებაში მტკიცედ დაამკვიდრა სტერეოტიპი-საქართველოს ე. წ. „მენშევიკური რესპუბლიკის“, როგორც კაციჭამია ნაციონალისტური პოლიტიკის მატარებელი სახელმწიფოს შესახებ. რასაკვირველია, ქართველ მენშევიკებს გუნდრუკს არავინ უკმევს, მაგრამ ისტორიული ჭეშმარიტება მოითხოვს იმასაც, რომ ყველას თავისი მიეზღოს.

აფხაზი იდეოლოგების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია ე. წ. „აფხაზური კომუნა“, ანუ საბჭოთა ხელისუფლების პირველი ორგანო აფხაზეთში. მან მხოლოდ 40 დღე იარსება. 1918 წლის 17 მაისს კანონიერმა ხელისუფლებამ იგი ჩაახშო. აფხაზ სეპარატისტებს ზედმიწევნით გათვლილი აქვთ ყველაფერი. ფართო საზოგადოებაზე ზემოქმედების ლოგიკა მარტივია: საკმარისია საქართველომ აღადგინოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომ აფხაზი ხალხის სუვერენულ უფლებებს, მის ფიზიკურ არსებობას აშკარა საფრთხე შეექმნება (როგორც ამას ადგილი გქონდა ე. წ. „მენშევიკური“ საქართველოს არსებობის დროს). ჩვენდა საუბედუროდ, აფხაზი ხალხი წამოეგო კრემლის იდეოლოგების მიერ ინსპირირებულ პროპაგანდას. უფრო მეტიც. ეს მექანიზმი დღესაც მუშაობს: აფხაზი ხალხი დარწმუნებულია, რომ ქართველთა მხრიდან მოსალოდნელი გენოციდი რეალურია...

1917 წლის ოქტომბრის შეიარაღებული გადატრიალების შედეგად „ზემოდან ბოძებული“ დამოუკიდებლობა რუსეთის იმპერიაში შემავალმა ხალხებმა ისტორიული განვითარების თავისებურებებისა და რეალურად შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესაბამისად წარმართეს. ამიერკავკასიის ხალხებმა (აზერბაიჯანი, საქართველო,სომხეთი) 1917 წლის 15 ნოემბერს შექმნეს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობა-ამიერკავკასიის კომისარიატი. ხოლო 1918

წლის 15 თებერვალს თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირა ამიერკავკასიის გამოყოფას რუსეთისგან. სეიმმა უყოყმანოდ სცნო ხალხების ეროვნული თვითმართველობა, დაფუძნებული ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე, გამოუცხადა უკომპრომისო ომი ბოლშევიზმს.

ამიერკავკასიაში პოლიტიკური ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოში უნდა ჩამოყალიბებულიყო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები. ამიტომ ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში შეიქმნა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელმაც უპირველეს მიზნად დაისახა საქართველოში ოქტომბრის შეიარაღებული გადატრიალების მოწინააღმდეგე, ყველა ძალის გაერთიანება. ხოლო ქ. სოხუმში მენშევიკთა ინიციატივით მოიწვიეს აფხაზეთის გლეხთა 1 ყრილობა, რომლის საფუძველზე შეიქმნა აფხაზეთის სახალხო საბჭო. 1918 წლის 9 თებერვალს ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის, ბოლშევიკური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის დაიდო ხელშეკრულება „საქართველოს და აფხაზეთს შორის ურთიერთობის შესახებ" საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თბილისში გამართულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრები (ა. შერვაშიძე, ნ. ჩხოტუა, ბ. ცაგურია მ. ემუხვარი, ნ. მარღანია), წარმოადგინა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა აფხაზეთის ფართო შიდა ავტონომიას; ამასთან 1904 წელს-ცარიზმის მიერ დარღვეული სოხუმის ოლქის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მდინარე მზიმთას და ენგურის ფარგლებში (იხ. **Г. Дзидзария. "Очерки истории Абхазии. 1910 _ 1921".** თბ., 1963, გვ.. 113; ა. სურგულაძე, ა. მენთეშაშვილი. ისტორიის ფურცლები. გაზ. „სახალხო განათლება", 1989 წ. 26 ივლისი).

1918 წლის 4 – 9 მარტს სოხუმში ჩატარდა აფხაზეთის გლეხთა II ყრილობა, რომელმაც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ სცნო ამიერკავკასიის სეიმი, ხოლო აფხაზეთის ფარგლებში-აფხაზეთის სახალხო საბჭო. ამის კვალდაკვალ მენშევიკურმა სამხარეო გლეხთა აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელიც შეიქმნა ხსენებულ ყრილობაზე, შეიმუშავა თავისი პრაქტიკული მოღვაწეობის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა **"... в контакте с Абхазским народным советом проводить в жизнь все законы, изданные Сеймом**

**с согласия Краевого (меньшевитского_ Г. Дзидзария) центра...и направленные против революционного движения в Абхазии ..."** (იხ. **Г. Дзидзария. Очерки** ...გვ. 129).

საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის, როგორც ვხედავთ, იმთავითვე დამყარდა კონსტრუქციული ურთიერთობა, დაფუძნებული ერთა თანასწორუფლებიანობისა და დემოკრატიულობის პრინციპებზე. საქართველოს ეროვნული საბჭო უყოყმანოდ სცნობდა აფხაზი ხალხის ეროვნულ თვითგამორკვევას (რასაკვირველია, საქართველოს ფარგლებში), აღიარებდა ფართო შინაგანი ავტონომიის უფლებებს. ამდენად, აშკარაა, რომ ე. წ. „აფხაზური კომუნა" ინსპირირებული იყო ბოლშევიკური იმპერიის იდეოლოგების მიერ და მიზნად ისახავდა სოციალიზმის იდეებისათვის მებრძოლი ბოლშევიკების დახმარებას გარედან; საბოლოო ჯამში, საქართველოს, ამჯერად ბოლშევიკური ანექსია უნდა მოჰყოლოდა. 1918 წლის 11 მაისს დრკ-ის თავჯდომარემ ე. ეშბამ, როგორც მოსალოდნელი იყო, საგანგებო ტელეგრამა გაუგზავნა ვ. ი. ლენინს და ს. ორჯონიკიძეს, სადაც ის სამხედრო დახმარებას ითხოვდა.

ამჯერად პროლეტარიატის ბელადი ვერ გამოეხმაურა „რევოლუციურად" განწყობილ აფხაზ ბოლშევიკებს. მას ე. წ. „აფხაზური კომუნისთვის" არ ეცალა. მაგრამ კრემლის ინსპირაციით „ინოროდეც"-ბოლშევიკების მიერ მოწყობილმა კომუნისტურმა ამბოხმა თავისი სასურველი შედეგი მაინც გამოიღო. ხელისუფლებასა და ხალხს შორის ეთნიკურ ნიადაგზე უნდობლობა ჩაისახა, რაც გარკვეული გარანტი უნდა გამხდარიყო სამომავლო „ბუნტის" მოწყობისათვის. ბუნებრივია, რომ ე. წ. „აფხაზური კომუნის" დამყარებას აფხაზეთში მოჰყვა შესაბამისი დამსჯელი ღონისძიებანი კანონიერი ხელისუფლების მხრიდან. და ისე, როგორც ხდება ყველა რევოლუციის დროს, დაზარალდა ისევ მშრომელი მოსახლეობა, ისინიც, ვინც მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულნი თანაუგრძნობდნენ მათი „ბედნიერებისათვის" მებრძოლ რევოლუციონერებს.

აფხაზი იდეოლოგები შავ ფერებში ხატავენ „აფხაზური კომუნის" ჩახშობის სცენებს. აფხაზეთში მიმდინარე რევოლუციურ ბრძოლას არა კლასობრივი ხასიათით, არამედ ერთაშორისი დაპირისპირების ნიშნით განიხილავენ, ხოლო ე. წ. „აფხაზური კომუნას", აფხაზეთში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობას, როგორც აფხაზი ხალხის გენოციდის მცდელობას საქართველოს ე. წ. „მენშევიკური" მთავრობის მხრიდან.

ჯერ ერთი, ე. წ. „აფხაზური კომუნა" დაემხო 1918 წლის 17 მაისს, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა?! ასე რომ, დამსჯელი ჯარი სოხუმში გაუგზავნია ამიერკავკასიის სეიმს!

თავად აფხაზი ბოლშევიკი ე. ეშბა 1918 წლის 11 მაისს ლენინთან გაგზავნილ ტელეგრამაში ხაზს უსვამდა, რომ **"Закавказское правительство"** "(და არა **"грузинское правительство"** -ხაზი ჩვენია) **направило карательные отряды против Сухумского Совдепа."**

გარდა ამისა, ამიერკავკასიის სეიმი არანაკლები სისასტიკით გაუსწორდა გლეხთა აჯანყებებს სამეგრელოში, გურიაში, დუშეთში და ა.შ. „აფხაზური კომუნის" ჩახშობის ინიციატორი იყო არა საქართველოს მთავრობა, არამედ აფხაზეთის სახალხო საბჭო. გენერალი მაზნიაშვილი იგონებს, რომ აპრილში, როდესაც რაზმის შტაბი ნატანებში იყო, მასთან მოვიდნენ სოხუმელი დეპუტატები. **„დეპუტაციამ მომმართა თხოვნით, გამეწმინდა ბოლშევიკებისაგან როგორც სოხუმი, ისე მთელი აფხაზეთი"** (გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი 1917-1925. თბ., 1927, გვ. 57)

აფხაზი თავადებისა და აზნაურების სახალხო ლაშქარი, ეხმარებოდა ამიერკავკასიის სეიმსა და სდრ მთავრობის ჯარებს, რომ „აფხაზური კომუნა", ჩაეხშოთ. გაზეთი „ბორბა" წერდა, რომ **"Оно рвалось в бой, чтобы расправиться с крестьянами".** აფხაზ ცხენოსანთა პრაპორშიკი თავადი მარშანიანი კი **" за отличие против большевиков"** დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის გიორგის ჯვრის ორდენით (იხ. **Г. Дзидзария. Очерки...** გვ. 187).

„აფხაზური კომუნის" დამხობის შემდეგ რევოლუციური მოძრაობა ჯერ კიდევ ძლიერი იყო სამურზაყანოში, ოჩამჩირეში, გაგრასა და გუდაუთაში. ამან ძალზე დააშინა აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრები, რომლებიც 16 ივნისს ხელმეორედ ეახლნენ გენერალ გ. მაზნიაშვილს და სთხოვეს მას დახმარება „... ამჯერად ბოლშევიკები მეორედ შეიჭრნენ აფხაზეთში" (გ. მაზნიაშვილი. დას. ნაშრ. გვ. 59). ხოლო 1918 წლის 21 მაისს, სოხუმის საქალაქო სათათბირომ, რომელიც ძირითადად მენშევიკებისაგან შედგებოდა, საგანგებო სხდომაზე დაადგინა: **" ПОСЛАТЬ ПРИВЕСТВЕННУЮ ТЕЛЕГРАММУ МЕНЬШЕВИСТСКОМУ ПРАВИТЕЛЬСТВУ, ВЫРАЖАЯ СВОЮ БЛАГОДАРНОСТЬ И ТВЕРДУЮ НАДЕЖДУ, ЧТО ПРИ**

**ПОДДЕРЖКЕ ПРАВИТЕЛЬСТВА ЕЙ УДАСТСЯ УСТАНОВИТЬ В КРАЕ МЕНЬШЕВИТСКУЮ ВЛАСТЬ** (იხ. **Г. ДЗИДЗАРИЯ. ОЧЕРКИ...** გვ. 165).

აფხაზეთში „რევოლუციური მოძრაობის ჩაქრობის" საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე, აფხაზმა თავადაზნაურობამ. 1918 წლის აპრილ-მაისს სახალხო გვარდიის შტაბის უფროს ვ. ჯუღელთან მოვიდა **"... ДЕПУТАЦИЯ ОТ АБХАЗСКИХ КНЯЗЕЙ И ДВОРЯН ВО ГЛАВЕ С А. ШЕРВАШИДЗЕ, Т. И Д. МАРШАНИЯ. АБХАЗСКИЕ ПОМЕЩИКИ ПРЕДСТАВИЛИ В РАСПОРЯЖЕНИЕ ДЖУГЕЛИ ОТРЯД В 300 ВСАДНИКОВ"** (იხ. **Г. Дзидзария. Очерки** ...გვ. 169). საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო – გაზეთი „საქართველო" იტყობინებოდა, რომ მაზნიაშვილის რაზმში მოწყალების დებად ირიცხებოდნენ **"множество дочерей абхазких дворянских и княжеских домов"** (იხ. **Г. Дзидзария. Очерки** გვ. 187)

აფხაზი იდეოლოგები რევოლუციურ მოძრაობას აფხაზეთში ისე წარმოსახავენ, თითქოსდა ის არა კლასობრივი, არამედ ეროვნული ნიშნით მიმდინარეობდა. აქედან გამომდინარე **"абхазские повстанцы"** რეპრესიებს განიცდიდნენ ძირითადად ქართველი მენშევიკების მხრიდან. 1917 წლის აღწერით აფხაზეთის სოფლებში ცხოვრობდა 54760 ქართველი, 39915 აფხაზი, ხოლო ქალაქებში 4093 ქართველი, 478 აფხაზი.ასე რომ, რეპრესიებს განიცდიდა მეტწილად თუ არა, თანაბრად მაინც. აფხაზეთის ქართული მოსახლეობაც.

ქართველ მენშევიკთა „ბარბაროსობაზე" მოწმობს ერთი ფრიად საინტერესო ფაქტი: 1919 წლის დასაწყისში სოხუმის ციხეში ნ. ლაკობას ესტუმრა ვ. ჯუღელი, რომელიც შეეკითხა მას: **" А как вы поступили бы, если я попал бы к Вам в плен?"** ამაზე ნ. ლაკობამ მშვიდად უპასუხა: **"Мы бы вас, безусловно, расстреляли"** (იხ. Г. Дзидзария. Очерки გვ. 212). „პირსისხლიანმა ქართველმა მენშევიკებმა" ნ. ლაკობა ციხიდან გაანთავისუფლეს...

აფხაზი იდეოლოგები ბევრს ლაპარაკობენ ე. წ. „ქართველ მენშევიკებზე", მაგრამ, რატომღაც, არაფერს ეუბნებიან საკუთარ ხალხს აფხაზი მენშევიკების შესახებ. არადა, ისინი საკმარისად იყვნენ აფხაზეთში და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდნენ აფხაზეთის სახალხო საბჭოში. **"Политическая программа абхазских меньше-**

**виков, –** წერს გ. ძიძარია, **_ была типичной меншевитской програмой. Культурно-экономическое развитите Абхазии "в согласии с законами" правительства меньшевитской Грузии применитально " к местным условиям"** (იხ. **Г. Дзидзария. Очерки** გვ. 234). თავად გუდაუთის აფხაზი მენშევიკები ძალზე აქტიურ როლს ასრულებდნენ რევოლუციური მოძრაობის, კერძოდ, „კიარაზის" წინააღმდეგ ბრძოლაში, დიდ პროპაგანდას ეწეოდნენ გუდაუთის აფხაზ გლეხობას შორის და მოუწოდებდნენ მათ **"отказаться от большевизма"** (იხ. **Г. Дзидзария, Очерки** გვ. 182-183). საქართველოში, ისევე როგორც რუსეთის იმპერიაში, ბრძოლა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის (განსაკუთრებით 1917-1921 წ. წ.) დაუნდობელ ხასიათს ატარებდა. და ეს ბუნებრივიცაა: ეს იყო ბრძოლა ხელისუფლებისათვის. ქართველი მენშევიკების ლოზუნგი ასეთი იყო: **"Борьба с большевизмом в наших пределах бесполадна. Мы всеми имеющимися у нас средствами подавляем большевизм"**...(იხ. **Г. Дзидзария. Очерки** გვ. 200). მსგავსი მიზნები ამოძრავებდათ ქართველ მენშევიკებს აფხაზეთშიც: **"НАША ЗАДАЧА НА ЧЕРНОМОРСКОМ ПОБЕРЕЖЬЕ _ ЭТО БОРЬБА С БОЛЬШЕВИЗМОМ"** (იხ. **Г. Дзидзария. Очерки ...** გვ. 200)

**საქართველოს ე.წ. „მენშევიკური" მთავრობა ისევე არბევდა, სასტიკად უსწორდებოდა ბოლშევიკებს აფხაზეთში, როგორც სამეგრელოში, გურიაში, კახეთში, დუშეთში და ა.შ. მენშევიკები აფხაზეთში ებრძოდნენ ბოლშევიკებს და არა აფხაზ ხალხს. ვინც ამტკიცებს, რომ საქართველოს ე.წ. „მენშევიკური" მთავრობა აფხაზეთში გამიზნულად ებრძოდა აფხაზ ხალხს, აფხაზი და ქართველი ხალხის მტერია.**

აფხაზი იდეოლოგების ლოგიკა მარტივია: ყველაფერი მენშევიკური ცუდია, ყველაფერი ბოლშევიკური კარგია. ანტიმენშევიკური ფსიქოზი იქამდის მივიდა, რომ აფხაზი ბოლშევიკები ნ. ლაკობა, ე. ეშბა, ლამის, ეროვნულ გმირებად შერაცხონ. თანაც, მათს ხასიათში ჰუმანურობის და, რაც უფრო დამაფიქრებელია, ხალხურობის ფესვებს ეძებენ.

ერთი დოკუმენტი ცხადყოფს ბოლშევიკური რუსეთის და, კერძოდ, ლენინის „მეგობრულ" დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში დამაშვრალი აფხაზი ხალხისადმი. მაშინ, როდესაც „რევოლუციურად განწყობილი" აფხაზობა „სისხლისაგან

იცლებოდა". ს. ორჯონიკიძემ დაავალა სტალინს, ბაქოში გაეგზავნა ძალზე მნიშვნელოვანი დეპეშა. მისი ავტორი საქართველოს ე.წ. „მენშევიკურ მთავრობასთან" კომპრომისზე წასვლას ითხოვდა: "... **гигантски важно искать приемлемого компромисса для блока с Жордания или подобным ему грузинскими меньшевиками, кой еще до восстания не были абсолютно враждебны к мысли о советском строе Грузии на известных условиях"** (ვ. ი. ლენინი. თხზ., კრებული. ტ. 32. გვ. 137 (რუს. ენაზე))

აფხაზი მკითხველი, ალბათ დაინტერესდება: ვინ არის ეს „მენშევიკურად" მოაზროვნე პიროვნება, რომელიც "приемлемыи компромисс"-ის აუცილებლობაზე ლაპარაკობს ნოე ჟორდანიას მსგავს „პირსისხლიან შოვინისტებთან?" განა ეს არ ნიშნავს "... **осквернение памяти лучших сынов Абхазии, верных соратников В. И. Ленина, борящихся за народную власть, за социалазм"** (იხ **Б. Сагария . "Кто такие были меньшевики. Какова была их политика"?** გაზ. **"Бзыбь", 20 мая 1989 г.**). რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ წერილის ავტორი ვ. ი. ლენინია. მეტიც: წერილი გაგზავნილია 1921 წლის 2 მარტს, ე. ი. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ორი დღით ადრე. რას ნიშნავს პროლეტარიატის ბელადის ასეთი „უდიერი" დამოკიდებულება იმ ხალხისადმი, რომელიც **" всегда был верен революции ..."!**

კომენტარი დაინტერესებულ პირთათვის მიგვინდვია...

და ბოლოს: დროა აფხაზმა ხალხმა მოიცილოს მათი „ლიდერებისაგან" თავსმოხვეული ბოლშევიკური იმპერიული იდეოლოგია, როგორც ეროვნული უბედურების, ქართველ-აფხაზთა შორის მტრობის, სიძულვილის წინაპირობა. დროა, აფხაზი ხალხი მიუბრუნდეს თავის გენეტიკურ იბერიულ-კავკასიურ ფესვებს, ერთხელ და სამუდამოდ ამოიკვეთოს თავისი ცნობიერებიდან ის, რაც ერთმანეთს გვაშორებდა და გვწამლავდა ამ 70 წლის მანძილზე.

**გაზ. „სამრეკლო", 1990 წ, №4**

# თავი მესამე:
# კონფლიქტი აფხაზეთში: ისტორიული კანონზომიერება თუ საბედისწერო შეცდომა?!

„რაი არნ მშვიდობა? უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბილო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის... რა არნ მშვიდობა ცოცხალ კაცთათვის? რა არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიელ მშვიდობა მიწაჩიც გვეყოფის".

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

## §1. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სათავეებთან

აფხაზურ გარემოში აღმოცენებული ანტიქართული განწყობილება, ჩვენი თვალსაზრისით, განაპირობა ძირითადად შემდგომმა ფაქტორებმა: 1. ქართველთა აბორიგენობამ ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. აფხაზებისათვის იგი ეროვნული თვითგამორკვევის, საქართველოსაგან დამოუკიდებლად ე.წ. აფხაზური სახელმწიფოს შექმნის შემაფერხებელ, გადაულახავ ბარიერად იქცა; 2. აფხაზურ ცნობიერებაში ქართველური ფაქტორის მეორე პლანზე გადასვლა დაკავშირებული იყო XVI-XVII ს-ში ჩრდ. კავკასიიდან აფხაზეთში მთიელთა მასობრივ ჩამოსახლებასთან და, მეორე მხრივ, XIX-XX სს-ის მიჯნაზე რუსეთის (ცარისტულ-ბოლშევიკური) იდეოლოგიური მანქანის ტოტალურ ზეწოლასთან; აფხაზი ხალხის ორიენტაცია ქართველურიდან რუსულზე გადავიდა. შეიქმნა ანტიქართული ორიენტაციის აფხაზური მოძრაობის პოლიტიკური დოქტრინა: ან აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობა საქართველოსაგან (შესაბამისად, შეერთება რუსეთთან), ან უკომპრომისო ბრძოლა ქართველების წინააღმდეგ; 3. ყოფილ საბჭოურ იმპერიაში „პერესტროიკის" პროცესებმა არსებობის აშკარა საფრთხე შეუქმნა მოსკოვის მიერ ანტიქართული საქმიანობისადმი ლეგიტიმირებულ აფხაზურ ეთნოკრატიას, როგორც აფხაზთა მატერიალური კეთილდღეობისა და სოციალური პრივილეგიების მტკიცე გარანტს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული თვალსაზრისით, უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული **„აფსილ-აბასგები“** და აფხაზები (თვითსახელწოდება **„აფსუა“**) ერთი და იგივე ხალხია. მაგრამ ამ ვერსიას გააჩნია საწინააღმდეგო არგუმენტებიც:

1. არც ერთი ძველი წერილობითი წყაროთი, ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე, არ დასტურდება **„აფხაზი“**, **„აფხაზეთი“**, ან, მათი მსგავსი ჟღერადობის მქონე ტერმინები;

2. **„აფსილ-აბასგთა“** და აფხაზთა იდენტურობა საეჭვოა საერთოდ ენობრივი მასალის უქონლობის გამო. ე.ი. მანამ სანამ მიკვლეული არ იქნება უეჭველი ცნობები აფშელებისა და აბასგების მშობლიური ენის (ამ ენათა) რაობის შესახებ;

3. მართალია, **„აფსილ/აფსელ“** და **„აბასგ“** სახელები ფონეტიკურად ახლოს დგანან აფხაზთა თვითსახელწოდება **„აფსუა“**-სთან და აბაზათა თვითსახელწოდება **„აბაზა“**-სთან, მაგრამ სანამ მიკვლეული არ იქნება უეჭველი ცნობები აფშელებისა და აბასგების მშობლიური ენის (ან ენათა) რაობის შესახებ, ვარაუდი აფშელებისა და აბასგების აფხაზ-აბაზათა წინაპრებად მიჩნევის შესახებ მხოლოდ ჰიპოტეზად რჩება; ამასთან, სიტყვათა გარეგნული მსგავსება არ არის საკმარისი ამ სიტყვათა სემანტიკის გასაიგივებლად (თ. გვანცელაძე. „ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის“ იხ. „აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“, თბ., 1998, გვ. 15).

4. აფხაზეთის ამჟამინდელ ტერიტორიაზე **„აფსილ-აბასგებთან“** (თანამედროვე აფხაზების სავარაუდო წინაპრები) ერთად დადასტურებულია ქართველურ ტომთა მკვიდრობა ძვ. წ. აღ. V - ახ. წ. აღ. XVIII ს. ჩათვლით.

აფხაზური მოძრაობის (ისე, როგორც მთლიანობაში აფხაზი ხალხის) პოზიცია ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართველ-აფხაზთა აბორიგენობის შესახებ აქსიომურ ხასიათს ატარებს: ამჟამინდელი აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა მხოლოდ აფხაზებია, სხვა დანარჩენი მიგრანტი. „პარაშუტისტია". ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური, ლინგვისტიკური, ტოპონიმიკური, წყაროთმცოდნეობითი, ანთროპოლოგიური მასალები ცხადყოფენ სრულიად საწინააღმდეგოს და ქართველურ ტომთა „პარაშუტისტობას“ ამ-

ჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ადასტურებენ ძვ.წ.აღ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან (მითი არგონავტების შესახებ). ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე კოლხების, ლაზების, ჰენიოხების, მისიმიანების, სინიგების აბორიგენობა და მათი გენეტიკური მემკვიდრეობა მეგრელებთან, სვანებთან დადასტურებულია ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში ძვ. წ.აღ. VI - ახ.წ.აღ. VII სს-ში (ჰეროდოტე, ჰეკატაიოს მილეთელი, ფსევდო-სკილაქს კარიანდელი, სტრაბონი, ფლავიუს არიანე, კლავდიუს პტოლემაიოსი, V ს-ის ანონიმი ისტორიკოსი, აგათია სქოლასტიკოსი, პროკოპი კესარიელი, იოანე ლიდე). ასე, მაგალითად: V ს-ის ანონიმი გვაუწყებს, რომ **„დიოსკურიიდან (რომელსაც, აგრეთვე, სებასტუპოლი ეწოდება) ვიდრე აფსარის წყლამდე (თანამედროვე მდ. ჭოროხი) წინათ ცხოვრობდა ის ხალხი, რომელსაც კოლხები ეწოდებოდათ და მერე გადაერქვათ ლაზები“** (იხ. გეორგიკა. ტ.II, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს.ყაუხჩიშვილმა. თბილისი; 1965, გვ.6). VI ს-ის ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოპი კესარიელსაც, ასევე, არ ეპარება ეჭვი კოლხებისა და ლაზების იდენტურობაში: **„კოლხები, სხვანაირად ლაზებს რომ ეძახიან"; „ხოლო სახელი „კოლხები", როგორც სხვა მრავალი ტომებისა, ამჟამად „ლაზთა“ სახელად შეიცვალა“** (იხ. გეორგიკა. ტ.II, გვ. 120). ამავე აზრს გამოხატავენ, აგრეთვე, VI ს-ის ბიზანტიელი ავტორები იოანე ლიდე (იხ. გეორგიკა, II, გვ. 242) და აგათია სქოლასტიკოსი: **„ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის, თუკი ის გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და მათ გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას"; „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით . .“** (იხ. გეორგიკა. ტ. III, ტფილისი,, 1936, გვ. 27, 50). ზემოთ ხსენებული წყაროები აშკარად ცხადყოფენ, რომ დას. საქართველოში ძვ. წ. აღ. VI - ახ. წ. აღ. VII სს-ში (კერძოდ, დიოსკურია - მდ. ჭოროხი) ადგილი არ ჰქონდა რაიმე ცვლილებას მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში.

ახ. წ.აღ. I ს-ში დასუსტებული კოლხეთის სამეფოში ადგილი

აქვს „მთის სტიქიას“ (გ.მელიქიშვილი, კისლინგი). სწორედ ამ პერიოდში ხდება აბაზურ-აფხაზური ეთნოსის ერთ-ერთი ტომის – აფხაზების (აფსილები ბერძნულ წყაროებში) გამოჩენა ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე (პლინიუს სეკუნდა I ს. ახ.წ.აღ.) ამავეს ადასტურებს V ს-ის ანონიმი ისტორიკოსი: „ძველი აქაიიდან ვიდრე „ძველ ლაზიკამდე“ (ნიკოფსია ხაზი ჩვენია) და შემდეგ ვიდრე აქეუნტის მდინარემდე წინათ ცხოვრობდნენ ტომები, რომელთაც ეწოდებოდათ ჰენიოხები, კორაქსები და კილიკები, მელანქლენები, მაქელონები, კოლხები და ლაზები, ამჟამად კი ცხოვრობენ ჯიქები (სავარაუდოდ, ჯიქები იყვნენ აფხაზურ-ადიღური მოდგმისანი. იხ. გეორგიკა. ტ.II, თბ., 1965, გვ. 11).

მოკლედ, ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველური ტომები სახლობენ ძვ.წ.აღ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, ხოლო აფხაზების სავარაუდო წინაპრები – **„აფსილ-აბასგები“** მოიხსენიებიან ახ. წ. აღ. I-II სს-ში, რომელთა ეთნიკური (და არა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული) სამკვიდრებელი სამხრეთით გაგრა-ბიჭვინთის საზღვრებს არ გასცდენია. XVII ს-ის შუა ხანებიდან და შემდგომ ჩრდ. კავკასიიდან ჩამოსახლებული აბაზურ-აფხაზური ტომების შედეგად გაძლიერებული აფხაზეთის მთავრები იტაცებენ სამეგრელოს ტერიტორიას გაგრა-ბიჭვინთიდან მდ. ენგურამდე და აქ ასახლებენ აფხაზებს. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი, რომელიც XVII ს-ის 70-იან წლებში დას. საქართველოს ეწვია, აღნიშნავს: „აფხაზებმა აოხრეს მოქვი, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე“ (მდ. ცხენისწყალი – ავტორი. (იხ. **М., Селезнев. “Руководство познания Кавказа.” СПБ;** 1847, გვ.46). XVII ს-ის იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის რუკაზე სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის XVII ს-ის 30-იან წლებში მდ. კელასურის გაყოლებით აღმართული გრანდიოზული თავდაცვითი კედელი აღნიშნულია სახელწოდებით: **„კედელი აფხაზთა თავდასხმების წინააღმდეგ“** (იხ. არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბ., 1938, გვ. 207). XVIII ს-ის ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი აფხაზების მიერ სამეგრელოს მიწების მიტაცების და იქ აფხაზების ჩასახლების შესახებ წერდა: **„გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს . . . და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ხმელითა და სტყუევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარედმდე, და**

**დაეშენებოდენ თკთ აფხაზნი. . .**" (ვახუშტი ბატონიშვილი. „ქართლის ცხოვრება", ტ. IV, თბ., 1973, გვ. 845). ასე რომ, ამჟამინდელი აფხაზეთი არაა აფხაზთა ისტორიული სამკვიდრებელი, არამედ მათ მიერ დაპყრობილია და ათვისებული ჯერ I-II სს-ში, ხოლო შემდგომ XVI-XVIII სს-ში.

ხოლო თუ რომელი ეთნოსის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად ეთნონიმი **„აფსილ-აბასგი"**, ამის გარკვევაში ბევრწილად დაგვეხმარება ის ეთნო-კულტურული და ისტორიული გარემო, რომელშიც უწევდა არსებობა ზემოთ ხსენებულ ტომებს.

**„აფსილ-აბასგთა"** დასავლურ-ქართველურ წარმომავლობას ზურგს უმაგრებს მთელი რიგი ფაქტორები: სწორედ „აფსილ-აბასგები" ხდებიან ისტორიულ კოლხეთში მცხოვრები სხვა ქართველურ ტომთა გამაერთიანებელნი დასავლურ-ქართველური სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში (იგულისხმება **„აფხაზთა სამეფო"**), რაც ისტორიულად არსებული კანონზომიერებაა. კერძოდ, აღ. შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე არსებული სამეფოების ინიციატორებად ისტორიულად გამოდიოდნენ ყოველთვის მხოლოდ დასავლურ-ქართველური ტომები: კოლხი-ლაზი-მეგრელი (შესაბამისად, სამეფოების სახელდებაც: კოლხეთი-ლაზიკა-ეგრისი); მათი ენობრივ-გენეტიკური მომკვიდრეობითობა დადასტურებულია ანტიკურ წყაროებში (V ს-ის ანონიმი ისტორიკოსი, აგათია სქოლასტიკოსი, პროკოპი კესარიელი...) და ეტიმოლოგიურ-ტოპონიმიკური მონაცემებით.

**„აფსილ-აბასგთა"** დასავლურ-ქართველურ წარმომავლობას ადასტურებს ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე **„აფსილ-აბასგთა"** გამოჩენამდე ქართველურ ტომთა ბინადრობა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თუ აბაზგები თავდაპირველად II ს-ის ისტორიკოს ფლავიუს არიანეს მიხედვით ცხოვრობდნენ დღევანდელი ოჩამჩირის ტერიტორიაზე, VI ს-ის დასასრულისათვის, როდესაც **„აბაზგია"** გამოეყო ეგრისის სამეფოს, VI-VII სს-ში აბაზგებმა გადაინაცვლეს ჩრდ.-ით გუმისთიდან ბზიფამდე და უმტკივნეულოდ გაერთიანეს **„აფსილიასთან"** ერთად ქართველური ტომებით დასახლებული ტერიტორიები: **„სანიგეთი" და „მესიმიანეთი"**. დას. საქართველოს ეთნიკური რუკის განსაზღვრასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: II ს-ის ავტორები ფლავიუს არიანე და კლავდიუს პტოლემაიოსი ნიკოფსიასთან (თანამედროვე ტუაფსე) ასახელებენ გეოგრაფიულ პუნქტს

– ლაზიკას. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ არიანე ამ პუნქტს **„ძველ ლაზიკას“** უწოდებს, რაც აქ უძველესი დროიდან კოლხურ-ლაზური მოსახლეობის არსებობის უტყუარი მოწმობაა (პ.ინგოროყვა, გ.მელიქიშვილი, მ.ინაძე). სანიგები (იგივე სანები, ჭანები) I–II სს-ის ავტორთა (პლინიუსი, არიანე, მემნონი) ცნობით სებასტოპოლისის (თანამედროვე სოხუმი) მიდამოებში ცხოვრობდნენ. VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის გადმოცემით ჭანებს „წინა ხანებში“ სანებს უწოდებდნენ (იხ. ს.ყაუხჩიშვილი. გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965, გვ. 53, 119, 120). მისიმიანები (თანამედროვე სვანების თვითსახელ მუშვანი-ს ბერძნული ტრანსკრიპცია) ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის ცნობით (I ს ძვ.წ.აღ. – I ს.ახ.წ.აღ.) წებელდასთან ცხოვრობდნენ. ჰენიოხები (ჰელანიკე მიტილენელი (ძვ.წ.აღ. V ს.); ფსევდო-სკილაკს კარიანდელი (ძვ.წ.აღ. IV ს.); არისტოტელე (ძვ.წ.აღ. IV ს.); არტემიდორე ეფესელი (ძვ. წ.აღ. II–I სს); სტრაბონი (I ს. ძვ.წ.აღ. – I ს.ახ.წ.აღ.) და ახ.წ.აღ. I ს-ის პომპონიუს მელა, ოვიდიუსი, პლინიუს უფროსი) კოლხეთის სანაპიროზე პიტიუნტის (ახლ. ბიჭვინთა) ჩრდ-ით და დიოსკურიის (ახლ. სოხუმის) მახლობლად ცხოვრობდნენ. როგორც ვხედავთ, კოლხეთის სამეფოს დაცემის შემდეგ, I–II სს. ავტორები – ფლავიუს არიანე, კლავდიუს პტოლემაიოსი, სტრაბონი, პლინიუსი, მემრონი, პომპონიუს მელა და სხვ. დღევანდელ სოხუმსა და ადლერს შორის ჯერ ასახელებენ ჰენიოხებს, შემდეგ ჰენიოხების ნაცვლად სანიგებს, ხოლო ახ.წ.აღ. II ს-ის ავტორი კლავდიუს პტოლემაიოსი სანიგების მიერ ამ ტერიტორიაზე სუანო-კოლხებს მოიხსენიებს, ხოლო V ს-ის სომეხი ისტორიკოსი ფავოსტ ბუზანდი ეგერ-სუანებს. **ეს ფაქტი იმას ადასტურებს, რომ ჰენიოხები, სანიგები, სუანო-კოლხები, ეგერ-სუანები ერთი და იგივე ხალხის აღმნიშვნელი ეთნონიმებია.** ამ მოსაზრებას ადასტურებს VII ს-ის სომხურ გეოგრაფიაში ("აშხარაცუიცი") დაცული ცნობა დასახლებულ ტერიტორიაზე „სუანთა“ განსახლების შესახებ (ს.ტ.ერემიანი. სომხური „აშხარაცუიცის“ მიხედვით. ერევანი., 1963, გვ. 101. რუს. ენაზე). VI–VII სს-ში კი ხსენებულ ტერიტორიაზე (მდ. გუმისთიდან მდ. ბზიფამდე) სახლობენ აბაზგები, რომელნიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმტკივნეულოდ იერთებენ VI ს-ში სანიგებით, მისიმიანებით დასახლებულ ტერიტორიას და ახდენენ ამ ტომთა ასიმილაციას. **სავარაუდოა, რომ ისტორიული „აფსილ-აბასგები“**

**ნარევი, სვანურ-მეგრული წარმოშობის ტომი იყო.**

868-887 წლებში **„აფხაზთა სამეფოში“** იოანე და ადარნასე შავლიანები იჯდნენ სამეფო ტახტზე. შავლიანების სვანური წარმოშობა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ვარაუდს, რომ ისტორიული **„აფსილ-აბასგები“** ნარევი, სვანურ-მეგრული წარმოშობის ტომი იყო.

აფხაზთა მეფეთა აშკარად გამოკვეთილი პროქართული ორიენტაცია ეჭვის ქვეშ აყენებს **„აფსილ-აბასგთა“** ეთნიკურ-ენობრივ იდენტურობას თანამედროვე აფხაზებთან (თვითსახელწოდება **„აფსუა“**).

XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის – ჯუანშერის მიხედვით ქართლის ერისმთავარმა არჩილმა თავისი ძმისწული ცოლად შერთო ლეონ **„აფხაზთა მთავარს“**, რომელსაც გადასცა ეგრისის გვირგვინი („ქართლის ცხოვრება“, ტ.I, თბ., 1955, გვ. 243), რითაც ლეონმა, როგორც სიძემ მემკვიდრეობით მიიღო ეგრისი და ეგრისის სამეფო გვირგვინი. აღნიშნული გარემოება იძლევა იმის საფუძველს, რომ ეგრისის და აფხაზეთის გაერთიანება დინასტიური, ნებაყოფლობითი აქტი იყო (იხ. პ.ინგოროყვა. „გიორგი მერჩულე“, თბ., 1954, გვ. 189-218; მ. ლორთქიფანიძე. „აფხაზები და აფხაზეთი“, თბ., 1990, გვ. 10). იგივე პოზიციაზე დგას XI ს-ის მეორე ქართველი ისტორიკოსი – „მატიანე ქართლისაის“ ავტორი; იგი ეგრისის სამეფოს ლეონის ხელში გადასვლას უკავშირებს ეგრისის მფლობელის გარდაცვალებას, რომელსაც მამრობითი სქესის მემკვიდრე არ დარჩენია (იხ. „ქართლის ცხოვრება.“ ტ.I, თბ., 1955, გვ. 251);

ერთიანი საქართველოს მეფეებისათვის ცნება **„აფხაზი“** ენობრივ-გენეტიკური თვალსაზრისით ისეთივე ქართველი რომ არ ყოფილიყო, როგორც, ვთქვათ, კახელი, მეგრელი, ქართლელი და სხვა, ისინი უსათუოდ ცვლილებებს შეიტანდნენ საკუთარ ტიტულატურაში.

**„აფსილ-აბასგთა“** მიერ დაარსებული **„აფხაზთა სამეფო“** ქართული სახელმწიფო იყო (როგორც პოლიტიკურ-კულტურული, ასევე, ეთნიკურ-ენობრივი თვალსაზრისითაც). წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. **„აფსილ-აბასგები“** აბაზურ-აფხაზური მოდგმისანი რომ ყოფილიყვნენ, მაშინ თავიანთ მზერას მიაპყრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიისაკენ, სადაც ენობრივად და ეთნიკურად მათი მონათესავე ადიღეელი ტომები ცხოვრობდნენ და, შესაბამისად, დედაქალაქს ანაკოფიიდან

ქართული სახელმწიფოებრიობის და კულტურის ცენტრში – ქუთაისში არ გადაიტანდნენ.

**„აფსილ-აბასგები“** აბაზურ-აფხაზური მოდგმისანი რომ ყოფილიყვნენ, მაშინ აფხაზეთის ეკლესია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან გამოყოფის შემდეგ ჩამოყალიბდებოდა არა ქართულ, არამედ აფხაზურ ეროვნულ ეკლესიად. საკუთრივ მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესია პირდაპირ მოითხოვდა ქრისტეს რჯულზე მოქცეული ხალხის მიერ წირვა-ლოცვის ჩატარებას მშობლიურ ენაზე, საღმრთო წიგნის ეროვნულ ენაზე თარგმნას: „რამეთუ უკეთუ ვილოცვიდე უცხოითა ენითაი, სული ჩემი ილოცავს ხოლო გონებაი ჩემი უნაყოფო არს“ მოხდა კი პირიქით: აფხაზეთის ეკლესია შეუერთდა მცხეთის ეკლესიას, ხოლო წირვა-ლოცვა დამკვიდრდა მხოლოდ ქართულ ენაზე. უფრო მეტიც: აფხაზთა მეფეები ავრცელებენ ქართულ ქრისტიანობას ჩრდ. კავკასიაში, კერძოდ, **„აფსილ-აბასგების“** ენობრივად მონათესავე ადიღურ ტომებში.

VIII-X სს. მიჯნაზე ქართულმა ენამ **„აფხაზთა სამეფოში“** საბოლოოდ განდევნა რა ქართული ეკლესიიდან ბერძნული ენა, გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა საკანცელარიო, კულტურის და საეკლესიო სფეროში. **„აფსილ-აბასგები“** ეთნოსის მატარებელი ტომი აბაზურ-აფხაზური წარმოშობის რომ ყოფილიყო, მაშინ გაძევებული ბერძნული ენის მაგივრად **„აფხაზთა სამეფოში“** გაბატონებული მდგომარეობა აფხაზურ ენას უნდა დაეკავებინა და არა ქართულს. ამას მოითხოვდა ე.წ. აფხაზური ეროვნული სამეფოს ჩამოყალიბება;

**„აფსილ-აბასგთა“** ქართველურ წარმომავლობას ადასტურებს, აგრეთვე, ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ შუასაუკუნოვან ტრადიციებში ეთნონიმი **„აფხაზი“** და ტოპონიმი **„აფხაზეთი“** გულისხმობს მხოლოდ ქართველსა (ან დას. ქართველი) და საქართველოს (ან დას. საქართველო). შუა საუკუნეების სომხურ საისტორიო მწერლობაშიც **„აფხაზი“** და **„აფხაზეთი“** ნიშნავს ქართველსა (დას. ქართველი) და საქართველოს (დას. საქართველო). ასე მაგალითად, XI ს-ის სომეხი ისტორიკოსი იბერთა ქვეყანას უწოდებს **„აფხაზკ“**-ს, ე.ი. აფხაზეთს (უხტანესი. „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975, გვ. 67). X ს-ის სომეხი ისტორი-

კოსი იოანე დრასხანაკერტელი თავის „ისტორიაში“ **„აფხაზთა“** მეფეს კონსტანტინე III უწოდებს **"ეგერთა (ე.ი. მეგრელთა - ხაზი ჩვენია) მეფე კონსტანტინეს". „აფხაზთა სამეფოს“** უწოდებს **„ეგრისელ-თა ქვეყანას", ხოლო „აფხაზებს“ - „ეგრისელებს“** (იოანე დრასხ-ანაკერტელი. „სომხეთის ისტორია“ სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლით გამოსცა ე.ცაგარეიშვილმა, თბ., 1965, გვ. 38, 64, 109, 111, 119, 257). სომეხი ანონიმი ისტორიკოსი ლაზს და აფხაზს აიგივებს ერთმანეთთან (**История анонимного повествователя Псевдо-Шапух Багратуни.** ერევანი., 1971, გვ. 186, 188, 190).

შუა საუკუნეების არაბულ წყაროებში ხშირად გვხვდება ეთნონ-იმები: **ალ-აბხაზ, ალ-აფხაზ და ალ-აბხას,** რომელნიც აღნიშნავენ დასავლეთ საქართველოს (ან მთელ საქართველოს) და დასავლეთ ქართველს (ან ზოგადად ქართველს) აგათანგელოსის „ისტორიის“ არაბული ვერსია, IX-X სს არაბი ისტორიკოსები საიდ ბ. ბიტრიკი და ალ-მასუდი, XI ს-ის არაბი ისტორიკოსი იაჰია ანტიოქიელი). არაბი ისტორიკოსის - დაკუთის ცნობით, **„აბხაზის“** მხარე, **„აბხაზის“** მთები დასახლებულია ქურჯებით (ე.ი. ქართველებით - ხაზი ჩვენია). ეთნონიმს **„ალ-აბხაზ"** საქართველოს აღსანიშნავად იყენებენ XI-XII სს-ის არაბი ისტორიკოსები იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი, იბნ ალ-ადიმი. იაჰია ანტიოქელისათვის (XI ს) გიორგი I-ის (1014-1027) სამეფო, მეფის ტიტულიდან გამომდინარე იყო **ბილად ალ-აბხაზ**და - აფხაზთა ქვეყანა, ბილად ალ-აბხაზი - აფხაზის ქვეყანა, ან **მულქ ალ-აბხაზი** - აფხაზის სამეფო. სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინის ცნობით, ბაგრატ IV თავს დაესხა ბარდავს, რის საპასუხოდაც დიდ სელჩუკთა სულთანი ალფ-არსლანი დაიძრა აბხაზეზზე (**ალადა აბხაზ**) და 5 თვე დარჩა ქურჯისტანში (ე.ი. საქართველოში - ხაზი ჩვენია). დაკუთის აზრით, **„აბხაზ“** არის ქვეყანა, რომელიც „დასახლებულია ქრისტიანი ხალხით, რომლებსაც ქურჯებს (ე.ი. ქართველებს - ხაზი ჩვენია) უწოდებენ“ (იხ. „დაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“, I, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე.სიხარულიძემ. თბ., 1964, გვ. 1). **„აბხაზთა მეფის“** ტიტული დამოწმებულია ქართველ მეფეთა ტიტულატურაში XIV ს-შიც, ეგვიპტის მამლუქ სულტანებთან მიმოწერაში (იხ. გ.ჯაფარიძე. „ქართველების და საქართველოს არაბული სახელწოდებები“ საქართველოსა და

ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, გვ. 129-134).

X-XV სს-ის სპარსულ ნარატიულ წყაროებში **„აბხაზი"** და **„აბხაზეთი"** აღნიშნავენ საქართველოს (დას. საქართველოს) და ქართველს (დასავლეთ ქართველს).

XII ს-ის პირველი ნახევრის უცნობი სპარსელი ისტორიკოსის თხზულებაში „მაჯმა ათ-თავარიხ ვალ ყესას" ჩნდება ტერმინი **„აფხაზი"**, რომელიც ქართველის და საქართველოს აღსანიშნავად გამოიყენება. თხზულებაში მოთხრობილია სელჩუკთა პირველი გამოჩენა ამიერკავკასიაში. კერძოდ, ნათქვამია, რომ სელჩუკთა სულთანი „გაემართა შ�მახასა და შირვანისაკენ, გაანადგურა აფხაზები, შირვანშაჰი ციხიდან გამოიყვანა და უკან გამობრუნდა" XII ს-ის სპარსელი ისტორიკოსის იბნ-ფუნდუყის თხზულებაში „თარიხ ბეიჰაყ" დავით აღმაშენებლის შვილზე, დემეტრეზე ნათქვამია: **„აფხაზეთის მეფის დიმიტრი დავითის ძეს..."**. XII-XIII სს. სპარსელი ისტორიკოსი იბნ ისფენდიარი თავის თხზულებაში „თარიხ თაბარისტანი" მოიხსენიებს თამარ მეფეს, როგორც **„თბილისისა და აფხაზის ფადიშაჰი" და „აბხაზთა დედოფალი თამარი"**. XIII ს-ის ანონიმი სპარსი ავტორის გეოგრაფიულ თხზულებაშიც „აჯაიბ ად-დუნია" საქართველო „აფხაზეთად" იწოდება; მაგრამ როგორც კი მოსახლეობაზე მიდგება საქმე, მაშინ მხოლოდ და მხოლოდ ქართველები, ე.ი. გურჯები გამოჩნდებიან. ასე მაგ., როდესაც ავტორი დარუბანდთან განლაგებულ „ალანიედ" წოდებულ ერთ-ერთ ადგილს აღგვიწერს, აღნიშნავს, რომ **„იგი ქალაქია აფხაზს და ყივჩაღეთს შორის"**. მონღოლთა ეპოქის სპარსელი ისტორიკოსის, ჯუვეინის თხზულებაში „თარიხე ჯაჰანგოშაი" აღწერილია ჯალალ ად-დინის ლაშქრობა თბილისზე; ავტორი წერს, რომ ქართველთა ჯარის ერთმა ნაწილმა აფხაზთა თუ აფხაზის საზღვარს მიაღწიაო, ე.ი. ისტორიკოსს იმის თქმა უნდა, რომ ქართველთა ერთი ნაწილი დას. საქართველოში გადავიდაო. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა სხვა ფაქტი: მებრძოლები ქართველებად, ანუ გორჯებად იწოდებიან. XIV ს-ის სპარსელი ისტორიკოსის, ჰამდალაჰ იბნ აბუბაქარ მუსთოუფი ყაზვინი თავის ისტორიულ თხზულებაში „თარიხე გოზიდე" საქართველოს იხსენიებს ტერმინი **„აფხაზით"**: **„გორჯესთანისა და აფხაზის დედაქალაქი თბილისია"**. XV ს-ის სპარსელ ისტორიკოსს, ნეზამ ად-დინ შამის

თხზულებაში „ზაფარ ნამე" ასეთი სათაური აქვს: **„აფხაზ"**-ისაკენ გალაშქრება არმენთა წინააღმდეგ საღვთო ომით", ხოლო თემურ-ლენგზე წერს, რომ მან სარდლები გაისტუმრა **„აფხაზეთისაკენ ურიცხვი ჯარით"**. XV ს-ის სპარსელი ისტორიკოსი, მოინ ად-დინ ნათანზი წერს, რომ თემურ-ლენგმა **„მოითარეშა აფხაზეთის საზღვრამდე"**. თემურ-ლენგის ლაშქრობა ცალკე თავად აქვს გამოყოფილი შარაფ ად-დინ ალი იეზდისაც სათაურით: **„ამბავი განდიდებული საპებჟრანის აფხაზეთისკენ გალაშქრებისა"**, ხოლო, როდესაც თემურ-ლენგმა ყურულთაი შეჰყარა იქ, **„დადგენილ იქნა აფხაზეთისაკენ გალაშქრება"**. სპარსელმა ისტორიკოსმა, ჰაფეზე აბრუსამ თემურ-ლენგის ლაშქრობის ამბავს ასეთი სათაური წარუმძღვარა: **„ამბავი აფხაზეთისაკენ გალაშქრებისა და საღვთო ომით სომხეთის დასაპყრობად"**. სპარსულენოვანი აზერბაიჯანელი პოეტები – ნიზამი განჯელი და ხაყანი შირვანი საქართველოს აღსანიშნავად იყენებენ ტერმინებს: **„აფხაზეთი"** და **„აბხაზი"**. ნიზამი განჯელი გვაუწყებს, რომ ათაბაგ ილდეღიზის სანადირო ადგილებს წარმოადგენდა **„აბხაზი და დერბენდი"**. ხოლო ხაყანისთან ვკითხულობთ: „ლამაზთმიანი და სახემშვენიერი მზეთუნახავის სიყვარულის გამო, **აფხაზეთის მოსახლე** და **ქართულად მოლაპარაკე** გავხდი" (იხ. „ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დამახინჯების გამო" თბ., 1991, გვ. 17). როგორც ვხედავთ, X-XV სს-ის სპარსულ საისტორიო თხზულებებსა და სპარსულენოვან ლიტერატურაში დასავლეთ საქართველო მხოლოდ და მხოლოდ **„აფხაზეთია"**, ხოლო მისი მოსახლეობა კი **„გორჯები"**, ანუ ქართველები. აქ მსგავსი კუთხური დაყოფა-დანაწევრების კვალი არ ჩანს (იხ. კ.ტაბატაძე. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X-XV სს. სპარსული წყაროების მიხედვით" საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993, გვ. 218, 219, 220, 221, 222, 225, 233, 246, 247).

ოსმალურ წყაროებში **„აფხაზეთი"** წარმოდგენილია **„აფკაზ"** ფორმით (იხ. „დედე ქორქუთის წიგნი" **„აფკაზთა მხარეს მივეშურები"**). ოსმალური საისტორიო მწერლობის პირველ ძეგლში, თაჯ ედ-დინ აჰმედის პოემაში „ისქანდერ-ნამე" **„აფხაზეთი"** აღნიშნულია სიტყვით **„აფკაზ"**. თავისი შინაარსით იგი ფარავს ლიხთიმერეთს. სულთან მაჰმედ II ტახტზე ასვლასთან დაკავშირებულ 1451 წლის

ქრონიკაშიც ტერმინი **„აფკაზ“** დასტურდება. XVI ს-ის 30-იან წლების რელაციაში მოხსენებულია **„აფხაზეთის ქვეყნები“**, რომლის მდებარეობა ასეა განსაზღვრული: გურიის **„იქით დადიანის ქვეყანაა სოხუმამდე. იგი ძველ დროში ნავსადგური ყოფილა. მასთან ეშვება იალბუზის მთის კალთა. იმის იქით კი არის აფკაზეთის ქვეყნები...“**. XVI ს-ის მეორე ნახევრიდან თურქულ ოფიციალურ ენაში ტერმინი „აფკაზ“ ქრება და მის ადგილს იჭერს აფხაზ-აბაზთა კრებითი სახელი „აბაზა“ (იხ. ც.აბულაძე. „საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით ძეგლებში“ საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993, გვ. 273, 274).

IV-IX სს. ბიზანტიურ წყაროებში დასავლეთ საქართველო აღინიშნება, როგორც ლაზიკა, ზოგჯერ კოლხიდაც. ვითარება იცვლება კარდინალურად IX ს-დან. ეს დაკავშირებულია ცნობილ მოვლენებთან, კერძოდ, VIII ს-ის ბოლოს აბაზგიის (აფხაზეთის) მთავარი განუდგა ბიზანტიას. გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო და **„სახელ იდვა მეფე აფხაზთა“**. შესაბამისად, მთელი დასავლეთ საქართველო **„აფხაზეთად“** იხსენიება. მსგავსი სურათი გვაქვს ბიზანტიურ წყაროებში. IX-XI სს. ბიზანტიელი ავტორებისათვის აბაზგია დას. საქართველოა, ხოლო აბაზგები დას. საქართველოს მცხოვრებნი (თეოფანე გამგრძელებელი, ნიკოლოზ მისტიკოსი, კონსტანტინე პორფიროგენტი). XI-XV სს. ბიზანტიელი ავტორები ეთნონიმ აბაზგით და ტერმინ აბაზგიის მნიშვნელობით აღნიშნავენ უკვე გაერთიანებულ ქართულ სამეფოს (გიორგი კედრენე, მიხეილ ატალიატე, იოანე ზონარა, დუკა). ამრიგად, XI-XV სს-ის ბიზანტიურ წყაროებში საქართველო იხსენიება ტერმინით **„აბაზგია“** და ეთნონიმით **„აბაზგები“** (იხ. ნ. ლომოური. „საქართველოს სახელწოდებანი ბიზანტიურ წყაროებში“ საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი... თბ., 1993, გვ. 80, 82, 83).

ადრეულ შუა საუკუნეების რუსული საისტორიო წყაროში **"Повесть временных лет"** საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინია **"Обез": "АВЕР, ИЖЕ СУТЬ ОБЕЗИ"**. (იხ. **"Повесть временных лет"**. часть II, М., 1950 გვ. 213).

როგორც ვხედავთ, VIII-XV სს. ქართველ და უცხოელ ავტორებთან ეთნონიმი **„აბაზგ-აფხაზი“** და ცნება **„აბაზგია-აფხაზეთი“**

გაიგივებულია ქართველთან (დას. ქართველთან) და საქართველოსთან (დას. საქართველოსთან). XV-XVI სს. ცნებები **„აფხაზი“** და **„აფხ-აზეთი“** ვიწროვდება და ექცევა თავის ვიწრო ეთნოგრაფიულ საზღვრებში. შესაბამისად, ტერმინები იგივდება თანამედროვე **„აბა-ზა-აფხაზთან“, „აფსნის“** ქვეყანასთან. XVIII ს-ის „ქართლის ცხ-ოვრების“ ნუსხებში ეთნონიმი **„აფხაზი“** დაფიქსირებულია სიტყვით **„აფსარი“ („რომელი განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა აფ-სართა ენითა“)**, ხოლო არაბულ, თურქულ და ევროპულ წყაროებ-ში **„აბაზას“** ფორმით. XV ს-ის არაბი ისტორიკოსის, ბადრ ად-დინ ალ-აჲნის თხზულებაში „ინდური ფოლადის მახვილი ალ-მალიქ ალ-მუ აიჲადის ცხოვრებაში“ **„ალ-აბხას“** გარდა გვხვდება ეთ-ნონიმი **„აბაზა“**. რომელიც თანამედროვე **„აფსუა-აფხაზის“** მნიშ-ვნელობით იხმარება. XVII ს-ის ანტიოქიის არაბი პატრიარქი – მაკარი იხსენებს **„აბაზას“** ხალხს, რომელნიც საქართველოსგან დამოუკიდებლად მოსახლეობდნენ შავი ზღვის აღმოსავლეთით. XIX ს-ში მოჯაჰირობის შედეგად ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებუ-ლი **„აბაზა-აფხაზები“** იწოდებოდნენ და დღესაც იწოდებიან, როგორც **„აბაზები“** (იხ. გ.ჯაფარიძე. დას. ნაშრ. გვ. 134-135).

როგორც უკვე აღინიშნა, XVI ს-ის მეორე ნახევრიდან თურქულ ოფიციალურ ენაში ტერმინი **„აფხაზი“** ქრება და მის ადგილს იჭერს **„აბაზა“**. ქათიბ ჩელების „ჯიჰან-ნუმა“-ს ჩანართში გარკვევით არის ნათქვამი: **„აბხაზი ტომის სახელია, რომელსაც ჩვენს დროში ისლა-მის ქვეყნებში აბაზას უწოდებენ“**. ჩანართის ავტორმა აბუ ბექრმა იცის, რომ მისი თანადროული (XVIII ს-ის 80-იანი წლები) **„აბა-ზას“** საზღვრები განსხვავდება **„აბაზა“**-ს თავდაპირველი საზღვრე-ბისგან: **„აბაზები შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ, ჩერქეზების სამხრეთით. მათი თავდაპირველი საზღვრები სოჭიდან კელასურს აღწევდა“**. XVII ს-ის თურქი მოგზაურის – ევლია ჩელების წიგნში „სეი-ა‍ჰათ, ნამე“ ტერმინი **„აბაზა“** გულისხმობს თანამედროვე აფხ-აზს (თვითსახელწოდება **„აფსუა“**) და, ასევე, ჩერქეზების, ადიღეელების კრებითი სახელია. **„აბაზას ქვეყნის დასაწყისია მდ. ფაშა“** (კოდორი – ხაზი ჩვენია). XVIII ს-ის ოსმალურ დოკუმენტებში ტერმინი **„აბაზა“** გულისხმობს საკუთრივ **„აბაზა-აფხაზს“**: „გურჯისტანისა და აბაზას საზღვარზე მდებარე ანაკლია“ (იხ. ც.აბულაძე. დას. ნაშრ. გვ. 274-276). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ XVII ს-ის იტალიე-

ლი მოგზაური ჯოვანი ჯულიანო და ლუკა, რომელმაც 1630 წელს იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში, თანამედროვე აფხაზებს უწოდებს **„აბაზას“** (იხ. ე.მამისთვალაშვილი. „საქართველოს შავიზღვისპირეთის ისტორიიდან.“ გაზ. „სახალხო განათლება“, 1989, 18. ოქტომბერი).

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული თვალსაზრისის მიუხედავად, უცხოურ და ქართულ წყაროებში მოხსენიებული **„აფსილ-აბასგები“**-ის და აფხაზების (თვითსახელწოდება **„აფსუა“**) იდენტურობა საეჭვოა სათანადო წერილობითი წყაროების და ენობრივი მასალის უქონლობის გამო.

ქართულ ენათმეცნიერებასა და ისტორიოგრაფიაში მყარად მოიკიდა ფეხი ერთმა თვალსაზრისმა: ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული **„აფსილ-აბასგები“** და აფხაზები (თვითსახელწოდება **„აფსუა“**) ერთი ხალხია, მაგრამ ისინი მუდამ არ ცხოვრობდნენ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც დღეს აფხაზეთი ჰქვია. ისინი მოსულნი არიან გვიან შუა საუკუნეებში ჩრდ. კავკასიიდან. რა ენობრივ, წერილობით, კარტოგრაფიულ მასალას ეყრდნობა ამდაგვარი მეცნიერული თვალსაზრისი?!

I. ქართულ წერილობით წყაროებში არ დასტურდება ტერმინი **„აფხაზი“** და **„აფხაზეთი“** V ს-ის ამბების გადმოცემამდე მაშინ, როდესაც ბერძნულ-ლათინურ წყაროებში აფშილები ახ. წ. აღ I, ხოლო აბასგები ახ. წ. აღ. II საუკუნიდან მუდმივად იხსენიება დას. კავკასიაში. ამ ფაქტს შეიძლება მოეძებნოს შემდეგნაირი ახსნა: **ქართულ ენაზე „აფხაზეთი“ \ -\ I საუკუნეებამდე მაინც არ ერქვა არც ამჟამინდელი აფხაზეთის მთელ ტერიტორიას და არც მის რომელიმე ნაწილს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიის ნაწილზე საკუთრივ ქართველურ ტომებთან ერთად უკვე ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან შესაძლოა მცირე ჯგუფებად დასახლებულიყვნენ აფშილები და აბასგები, ანუ აფხაზთა სავარაუდო წინაპრები** (თ. გვანცელაძე. „ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის“ იხ. აფხაზეთის ისტორიის პრობლემები. თბ., 1998, გვ. 16);

II. ახ. წ. აღ. I-V სს-ში ბერძნულ-ლათინურ წყაროებში მოხსენიებული აბასგების მკვიდრობა ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არც ისე უეჭველია, როგორც ეს მიღებული იყო ქართულ

ისტორიოგრაფიაში. ახ. წ. აღ. II ს-ის რომაელი ისტორიკოსის – ფლავიუს არიანეს **„პერიპლუსში“** დაცული ცნობის საფუძველზე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო თვალსაზრისი, რომ აქ მოხსენიებული ტომები (ლაზები, აფსილები, აბასკები და სანიგები) სწორედ ამგვარი თანმიმდევრობით ყოფილან განსახლებულნი შავი ზღვის სანაპიროზე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ხოლო აფსილები და აბასკები თითქოს დასახლებულნი ყოფილან ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილზე. აქედან გამომდინარე ასკვნიდნენ, რომ აბაზგები ახ. წ. აღ. II ს-ის დასაწყისისათვის უნდა გამოჩენილიყვნენ სანაპიროზე აფშილებსა და სანიგებს შორის.

ჯერ-ერთი, ამ დროისთვის ამის არანაირი ისტორიულ-რეალური საფუძველი არ არსებობდა (დ. ლეთოდიანი. „აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს-ში“ თბ., 1991, გვ. 9);

არც ერთ სხვა წყაროში მსგავს ფაქტზე მინიშნებაც კი არ არის;

„ქართლის ცხოვრება“ ამ პერიოდის შავიზღვისპირეთის ეთნიკური ვითარების შესახებ არავითარ ცნობას არ გვაწვდის;

ფლავიუს არიანე არ მიუთითებს მის დროში ზღვის სანაპიროზე აბაზგების ყოფნას. ის მხოლოდ აფშილების, აბაზგებისა და სანიგების მეზობლობას აღნიშნავს;

იმის შესახებ, თუ რომელი მხრიდან ემეზობლებიან ხსენებული ტომები ერთმანეთს, ფლავიუს არიანე არაფერს ამბობს;

**„პერიპლუსში“** მოხსენიებული ტომების მარტო თანმიმდევრობით ჩამოთვლა (ჯერ აფშილების, შემდეგ აბაზგებისა და სანიგების დასახელება) და მათი მეზობლებად მოხსენიება სულაც არ გვაძლევს იმის უეჭველ საფუძველს, რომ ისინი ამავე თანმიმდევრობით წარმოვიდგინოთ სანაპიროზე (დ. ლეთოდიანი. დას. ნაშრ. გვ. 10);

ისტორიკოსის ნაშრომში არ ჩანს, თუ კონკრეტულად სად ემიჯნებოდნენ ერთმანეთს აფშელები და აბასგები II ს-ში (დ. ლეთოდიანი. დას. ნაშრ. გვ. 10);

რაც მთავარია, მომდევნო საუკუნეებში აბაზგების მოუხსენიებლობა დღევანდელი ოჩამჩირის ტერიტორიაზე (იგულისხმება იპოლიტე რომაელის, ევსევი კესარიელის, პროკოპი კესარიელის, იუს-

ტინიანეს ნოველების, აგათა სქოლასტიკოსისა და სხვ. წყაროთა ცნობები: მაინც ვერ აიხსნება მხოლოდ იმით, რომ II ს-ის ბოლოსთვის (ან IV-V სს-ში) მოხდა აბაზგთა ტომის მთლიანად გადასვლა სანიგების საცხოვრისზე, დღევანდელი გუმისთიდან ვიდრე მდ. ბზიფამდე.

არ არსებობს რაიმე წერილობითი წყარო, რომელიც პირდაპირ აღნიშნავდეს სანიგების მიწა-წყალზე აბაზგების მთლიანად და აფშილების ნაწილის გადასვლას და იქ მათ დამკვიდრებას;

არ არსებობს რაიმე წერილობითი წყარო, სადაც ფიქსირებულია სანიგების აყრა თავისი საცხოვრისიდან და ჩრდილოეთით მათი გადაადგილების ფაქტი;

სანიგების ეთნო-პოლიტიკური ერთეული იმდენად ძლიერ გაერთიანებას წარმოადგენდა ფლავიუს არიანეს დროს (ისინი ცხუმიდან ჯიქებამდე აღწევდნენ), რომ წარმოუდგენელია მათი ხელაღებით აყრა და გადასახლება ჩრდილოეთით (დ. ლეთოდიანი. დასახ. ნაშრ. გვ. 11

„პირველი წყარო, რომელიც პირდაპირ აღნიშნავს აბაზგების სანაპიროზე მოსახლეობას, არის VI ს-ის ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი. მაგრამ ის არ მიუთითებს აბაზგების განსახლების კონკრეტულ ადგილს" (დ. ლეთოდიანი. დას. ნაშრ. გვ. 28).

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ **არ მომხდარა "აფსილ-აბასგთა" არავითარი გადაადგილება ახ. წ. აღ. II-\ სს-ში სანიგთა ტერიტორიაზე (სებასტოპოლისი – მძიმთა), არამედ ადგილი აქვს, ბერძნული წყაროების მიხედვით, ჩრდ. კავკასიიდან \ -\ I სს-ში შავიზღვისპირეთის გაგრა-ბიჭვინთის მონაკვეთზე „აფსილ-აბასგების" ჩამოწოლის პირველი ფაქტის დაფიქსირებას.** ამდენად, აბასგები (აფხაზთა სავარუდო წინაპრები) ახ. წ. აღ. V ს-მდე მაინც ცხოვრობდნენ კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით, ანდა მდ. ფსოუს ან მძიმთის მაღალმთიან სათავეებში. სწორედ ამ დროიდან იწყებენ ისინი ნაწილობრივ ჩამოსახლებას შავი ზღვის სანაპიროზე. VI ს-დან კი, როცა მოხდა აბასგ-სანიგეთის პოლიტიკური გაერთიანება, ბერძნულ ენაში **„აბასგოს"** და **„აბასგია"**, ქართველურ ენებში კი სახელები **„აფხაზა"**, **„აფხაზი"** და **„აფხაზეთი"** გამოიყენება ზოგადი, პოლიტიკური და არა ეთნიკური მნიშვნელობით. სხვაგვარად აუხსნელი რჩება ის ფაქტი, რომ ქართულ წერილობით

წყაროებში V ს-ის ამბავთა გადმოცემამდე საერთოდ არ დასტურდება ტერმინები **„აფხაზი“** და **„აფხაზეთი“**, ხოლო V ს-დან. საკმაოდ დიდი პერიოდის მანძილზე, ისინი თითქმის მხოლოდ ფართო, ზოგადი მნიშვნელობით არის გამოყენებული (თ. გვანცელაძე. დას. ნაშრ., გვ. 27).

ეთნიკური აფხაზეთის ადგილმდებარეობის გარკვევაში ბევრწილად გვეხმარება **„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“**. განსაკუთრებით, ტექსტის ის ადგილი, სადაც გიორგი III-ის მეფობაა აღწერილი: **„თკთ მეფე დაჯდა სიხარულად და განსუენებად და ნადირობად. ოდესმე, ჟამსა ზამთრისასა, გარდავიდის ლიხთ-იმერითს და მიუწიის ზღუად პონტოსა, მოიწიის და მოინადირის ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი, ოდესმე გურგენის ზღუადმდე“** („ქ.ც.“, ტ. II, თბ., 1959, გვ. 15). წყაროს ამ ცნობის ანალიზი მოწმობს, რომ ეთნიკური აფხაზეთი ჯერ კიდევ XII ს-ში არ მდებარეობდა შავი ზღვის სანაპიროზე. იგი შავი ზღვიდან მოშორებით, ხმელეთის სიღრმეში, ალანთა ქვეყანასთან სიახლოვეს იგულისხმება (თ. გვანცელაძე. დას. ნაშრ. გვ. 28). თუ გავითვალისწინებთ იმ ისტორიულად დადასტურებულ რეალობას, რომ, ჯერ-ერთი, ალანთა ქვეყანა მდებარეობდა შავი ზღვის აღმოსავლეთით, ხმელეთის სიღრმეში (კერძოდ, ყუბანის აუზში); მეორე, ალანთა ქვეყანა არ ყოფილა იმდროინდელი საქართველოს, ანუ „აფხაზეთის“ განუყოფელი ადმინისტრაციული ნაწილი, მხოლოდ მისი ყმადნაფიცი ქვეყანა იყო; მესამე, რაკი იმავე მატიანეში ტერმინი **„ალანი“** აშკარად არ არის **„ოვსის“** იდენტური („ოვსები“ და **„ოვსეთი“** მატიანეში ხშირად იხმარება, **„ალანთა ქვეყანა“** კი ამ ერთადერთხელ!), **„ალანი“**. სავარაუდოდ, შეიძლება აღნიშნავდეს ყარაჩაელ-ბალყარელთა წინაპრებს (შდრ. მეგრული ალანი **„ყარაჩაელი“**, ალანი კოჩი, **„ლონიერი, ვაჟკაცი კაცი“** – იხ. И. Кипшидзе. Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем. СПб., 1914, გვ. 193), ამრიგად XII ს-ის მეორე ნახევარში ეთნიკური აფხაზეთი მდებარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, მდ. ყუბანის აუზში და იგი შედიოდა ალანთა, ანუ ყარაჩაელ-ბალყარელთა პოლიტიკურ გაერთიანებაში (თ. გვანცელაძე. დას-ნაშრ. გვ. 28).

ალანთა და აფხაზთა უშუალო მეზობლობა ჩრდ. კავკასიაში დოკუმენტურადაც დასტურდება არქანჯელო ლამბერტის 1654 წლ-

ისა და, ასევე, 1654 წლის ლათინურ-ფრანგული რუკებით. ამ რუკებზე მდ. კოდორის სათავეებთან, კავკასიონის ქედის სამხრეთ მხარეს გამოსახულია დიდი კედელი ფრანგული და ლათინური წარწერებით: **„კედელი აბასათა თავდასხმების (შემოჭრის) მოსაგერიებლად“**. კედელზე ჩრდილო-აღმოსავლეთის ბოლოსაკენ, კავკასიონის გადაღმავე, მიწერილია **„ალანი“**, მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე კი, მდინარის თითქმის მთელ სიგრძეზე, კვლავ ფრანგული და ლათინური მინაწერია: **„აბასას, ანუ აფხაზას ქვეყანა, მხარე“**.

აფხაზთა, „ქვეყნის მხარის“, მდ. ყუბანის აუზში მდებარეობა დასტურდება თ. გვანცელაძის მიერ მიკვლეული ჯაკოპო გასტალდის 1561 წლის იტალიური რუკის მონაცემითაც, რომელზეც **„აფხაზთა ოლქი (ქვეყანა, მხარე)“** და დასახლებული პუნქტი – აყვა გამოსახულია არა შავი ზღვის სანაპიროზე, არამედ სწორედ მდ. ყუბანის აუზში. პუნქტი – აყვა (ქ. სოხუმის ახლანდელი აფხაზური სახელი) ყუბანის აუზში მითითებულია, აგრეთვე მერკატორის 1595 წლის, მერკატორ-ჰონდიუსის 1633 წლის, ფრედერიკ დე ვიტის 1671 წლის, დავიდ დე ვილჰელმის XVIII ს-ის და იოან იანსონის XVII ს-ის რუკებზე (თ. გვანცელაძე, დას. ნაშრ. გვ. 30).

ამდენად, წერილობითი და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე აფხაზთა თავდაპირველი სამშობლო ჩრდ. კავკასიაა, კერძოდ კი, ყუბანის აუზი. აფხაზთა წინაპრების მცირე ნაწილის მიგრაცია თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე განხორციელდა ახ. წ. აღ. V-VI სს-ში, ხოლო საბოლოო ჩამოსახლება XVII-XVIII სს-ში.

III. აფხაზთა და აბაზათა ავტოეთნონიმები მატერიალურ კავშირშია ლათინურ **„აბსილ-“**, ბერძნულ **„აფსილ-“//„აფსელ-“**, **„აბასგ-“//„აბასკ-“//„აბასხ-“**. ქართულ აფშელ-(გეოგრაფიულ სახელში **აფშელ-ეთ-ი**) და სომხურ **აფშეღ** ფუძეებთან. **აფს-უა** სახელის **„აფს“** – ელემენტისაგან ყველაზე ადრე მიღებულია ქართული სახელი „აფშ-ელ“-ი, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო, ერთი მხრივ, სომხურ **„აფშეღ“** ფორმას, და, მეორე მხრივ, ბერძნულ-ლათინურ **„აბსილ“** –, **„აფსელ“** და **„აფსილ“** – სახეობებს, რომელთაც თან გაჰყოლიათ ქართული სადაურობის – ელ სუფიქსი (თ. გვანცელაძე, დას. ნაშრ. გვ. 34). აქედან გამომდინარე, რაკი ბერძნულსა და ლათინურში **„აფსუა“** სახელის ძირეული ელემენტი უშუალოდ აფხ-

აზურიდან კი არ არის ნასესხები, არამედ ქართულიდან, ხოლო **აბსილ –, აფსილ –, აფსელ** – ფუძეები უკვე ახ. წ. აღ. I–II საუკუნეებიდან დასტურდება წერილობით წყაროებში (იგივე ითქმის აბასგების სახელთან მიმართებაში, რომელიც ბერძნულ ენას უსესხებია ერთ-ერთი ქართველური ენიდან), უნდა დავასკვნათ: **ამ პერიოდში აფხაზთა და აბაზათა წინაპრებს არ ჰქონიათ უშუალო მჭიდრო კონტაქტები ბერძნულ სამყაროსთან, რადგანაც ისინი არ ცხოვრობდნენ შავი ზღვის სანაპიროზე და მათი სამშობლო მდებარეობდა მდ. ყუბანის შუა წელზე** (თ. გვანცელაძე, დას. ნაშრ. გვ. 36–37);

ქართული **„აფხაზი"** და მეგრული **„აფხაზა"** სახელების ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზი ცხადყოფს შესაძლო კავშირს ამჟამად ერთ-ერთი ჩერქეზული (ადიღური) ტომის აბაძეხების (აბძახების) აღმნიშვნელ ჩერქეზულ „აბაზახა" სახელთან: „ჩერქეზ." „აბაზახა" – ჩერქეზ. „აბზახა" – მეგრ. „აბხაზა" – ქართ. „აბხაზი" (ო. კახაძე. „აფხაზ" // აფხაზა... ფუძის თაობაზე" იხ. საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, გვ. 557). ვინაიდან ჩერქეზულ ენაში – ხა სუფიქსი გამოხატავს ცნებებს „ქვევით", „მდინარის ქვემო წელისაკენ" სახელი აბაზახა შეიძლება ითარგმნოს როგორც „ქვემოური აბაზა", „მდინარის ქვემო წელში მცხოვრები აბაზა" ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩერქეზულიდან „აბაზახა" სახელის ჯერ მეგრულში „აფხაზა" ფორმით, შემდგომ კი ქართულში „აფხაზი" ფორმით დამკვიდრების დრომდე და მომდევნო პერიოდებშიც არსებობდა აბაზათა ორი შტო – ზემოური (მთაში, მდინარის ზემო წელში მცხოვრები) აბაზა და ქვემოური (ბარში, მდინარის ქვემო წელში მცხოვრები) აბაზა, იგივე აბაზახა ანუ აფსუა (თ. გვანცელაძე, დას. ნაშრ. გვ. 38).

ჩერქეზული ეტიმოლოგიის მქონე მეგრული „აფხაზა" და ქართული „აფხაზი" ნასესხები უნდა იყოს ახ. წ. აღ. V–VI სს-ში და მათ მაშინვე უნდა ჰქონოდა ფართო პოლიტიკური შინაარსი, რაც შემდგომში კიდევ უფრო გაფართოვდა რეალურ-ისტორიულ ვითარების კვალდაკვალ (თ. გვანცელაძე, დას. ნაშრ. გვ. 39).

IV. **აფხაზური ენობრივი მასალა გვიჩვენებს, რომ აფხაზთა წინაპრებს ძველ ბერძნებთან პირდაპირი და უშუალო კონტაქტი თითქმის არ ჰქონიათ. ამაზე მიგვანიშნებს: 1) ბერძნულ ენაში ტერმინების – „აბასგისა" და აფსელ//აფსილის ქართველურ ენათაგან და**

**არა უშუალოდ აფხაზურისაგან შეთვისების ფაქტი; 2) აფხაზურ ენაში ბერძენთა აღმნიშვნელი ა-ბერზენ ტერმინის მეგრულიდან და არა უშუალოდ ბერძნულიდან სესხება; მესამე, აფხაზურ ენაში ქრისტიანული საკულტო ლექსიკის არა პირდაპირ ბერძნულიდან, არამედ უშუალოდ მეგრულ-ქართულიდან სესხება და დამკვიდრება.**

აფხაზურ ენაში მომხდარა ქრისტიანობისათვის უმნიშვნელოვანესი სახელების 'მთავარანგელოზის საკუთარი სახელები' მორგება საკუთარ არაქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებზე. მაგ. აფხაზური ტერმინები – **„ა – მქამგრია"** „ძროხის მფარველი ღვთაება", **„ა-სკმგარია"** და **„ა-სქამგარია"** „ზაქის მოგების კვირისთავზე ფურკამეჩისათვის გამოლოცვის რიტუალი" ჯერ ერთი, ამათგან **„ამქამგარია"** სესხების კანონზომიერებათა სრული დაცვით არის მიღებული მეგრული **„მიქამგარიო"** – **„მიქელ-გაბრიელი"** სიტყვისაგან, **ასკმგარია** მეგრულივე **„სამგარიო"**. ხოლო **„ასქამგარია" „სამიქამგარიო", „სამიქელგაბრიელო"** ფორმათაგან. მეორე, უკანასკნელ ორ ფორმაში დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი მეგრული ო – პრეფიქსის ნაცვლად ამავე ფუნქციის მქონე საკუთრივ ქართული სა-პრეფიქსის არსებობა მოსალოდნელი არ არის დასავლეთ საქართველოში აღმოსავლურ-ქართულ ტომთა მასობრივ დასახლებამდე და ამ მხარეში ბერძნულის ნაცვლად ქართული ენის ოფიციალურ ენად გადაქცევამდე, ანუ IX ს-მდე (თ. გვანცელაძე, დას. ნაშრ. გვ. 45).

ამრიგად, აფხაზთა ზედაპირული „გაქრისტიანება" გვიანდელ შუა საუკუნეებამდე ძნელად დასაჯერებელია.

**ვარაუდს, რომ ახ. წ. აღ. \ ს-მდე მაინც აფხაზთა წინაპრებს არ უცხოვრიათ ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, საერთოდ შავი ზღვის სანაპიროზე და არ ჰქონიათ პირდაპირი მჭიდრო კავშირი ბერძნულ სამყაროსთან, მხარს უჭერს აფხაზურ ენაში ქრისტიანული საკულტო ლექსიკის სხვა მონაცემებიც.**

ბერძნული ქრისტიანული ტერმინები აფხაზურში უშუალოდ ბერძნულიდან კი არ არის შეთვისებული, არამედ ნასესხებია ან ქართული ენიდან, მეგრული დაილექტის შუამავლობით, არა უადრეს, XI-XIV სს. შორის.

ეკლესიის, სალოცავის აღმნიშვნელი ტერმინი – **„ა-^უახ^უამა"** (მეგრ. **„ო-ხვამ-ე"** „ეკლესია, სალოცავი").

დიდი ზომის ცვილის სანთელი – **ა-კ^ალანტარ** (მეგრ. **„კელან-**

**ტარი**", ქართ. „**ჟელაპტარი**").

ქრისტე, ქრისტეშობის დღე – **ქდგრსა** (მეგრ. ქირსე, ქართ. ქრისტე).

ქრისტიანი **ა-ქდგრსიან** (მეგრ. ქირსიანი, ქართ. ქრისტიანი).

მთავარანგელოზი – **თარგდალზ** (მეგრ. თარგელოზი).

წყალკურთხევა – **აწყარკუთხია** (მეგრ. წაკურთხია).

ეპისკოპოსი – **ა-ჭყუ̂ანდარ** (მეგრ. ჭყონდ (იდ) არ, ქართ. ჭყონდიდელი).

მღვდელი – **ა-პაპ** (მეგრ. პაპა).

უფრო მეტიც: აფხაზურ ენაში არ დასტურდება ბიბლიური წარმომავლობის ფრაზეოლოგიურ-იდიომატური გამონათქვამები, რაც, ჩვეულებრივ, ჭარბად დასტურდება ეშმარიტად ქრისტიან ხალხთა ენებში.

**ამრიგად, განხილული ენობრივი მასალა ცხადყოფს, რომ აფხაზთა წინაპრები ქრისტიანობას ზედაპირულად უნდა გასცნობოდნენ XI-X\ II სს. შორის. გარდა ამისა, ამავე მონაცემთა გათვალისწინება საეჭვოს ხდის აფხაზთა წინაპრების თუნდაც ერთი ნაწილის ბინადრობას ამჟამინდელი აფხაზეთის მიწაზე \ ს-ში, ან მის ახლო ხანებში... (თ. გვანცელაძე, დას. ნაშრ. გვ. 46).**

V. უძველესი დროიდან ქართველებსა და აფხაზების თანაცხოვრების შემთხვევაში აფხაზურ ენაში ნაწილობრივ, ან თუნდაც, მნიშვნელობაშეცვლილი სახით აუცილებლად უნდა დამკვიდრებულიყო სოციალურ ურთიერთობათა ამსახველი ტერმინები. ხოლო თუ აფხაზი იდეოლოგების მსგავსად, „მატიანე ქართლისაი"-ში წარმოდგენილ ფრაზას – ლეონ II-მ **„იპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე"** გავიგებთ როგორც აფხაზთა მიერ დას. საქართველოს დაპყრობას და არა განთავისუფლებას ბიზანტიის ვასალობისაგან (პ. ინგოროყვა), მაშინ მეგრულ-ჭანურში სოციალურ ურთიერთობათა ამსახველი ტერმინები, აფხაზური ენიდან უნდა იყოს ნასესხები.

პროფ. თ. გვანცელაძის მიერ ჩატარებულმა აფხაზური და ქართველური ენობრივი მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქართველურ ენებში არ დასტურდება აფხაზური სოციალური სისტემის ამსახველ ტერმინთა რაიმე ნაკვალევი. სამაგიეროდ, აფხაზურ ენაში დასტურდება ქართველური წარმოშობის შემდეგი სოციალური ტერმინები: **ა-თაუ̂ად „თავადი", ა-უფშ̂ულ „უფლისწული", ა-შნაყუ̂მა „შინაყმა"...** ყველა ხსენებული ტერმინი ასახავს გვიან შუა-

საუკუნოვანი საქართველოს სოციალურ ვითარებას. მაგ. **ა-თაუ̂ად „თავადი“** სიტყვა ნასესხებია ქართულისგან, მაგრამ შეთვისებულია არა უადრეს XV საუკუნისა; თვით ქართულში სიტყვა „თავადი“ XV ს-მდე სხვა მნიშვნელობით გამოიყენებოდა. ასევე, გვიან შუა საუკუნეებამდე არ დასტურდება ქართულ წერილობით წყაროებში ტერმინი „შინაყმა“

VI. ამჟამინდელი აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის დასადგენად ფასდაუდებელ მასალას იძლევა ტოპონიმიკა. უცხოურ და ქართულ წყაროებში დაცული ტოპონიმიკური მასალის სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ანალიზი ცხადყოფს, რომ ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ანტიკურ, ადრეფეოდალურ და განვითარებულ შუა საუკუნეებში არ მოიპოვება არცერთი ისეთი ტოპონიმი, რომელც უყოყმანოდ მიეკუთვნება აფხაზურ ან ჩერქეზულ ენას (თ. გვანცელაძე. დას, ნაშ. გვ. 50).

სამაგიეროდ ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, უცხოურ და ქართულ წყაროებში საკმარისზე მეტადაა წარმოდგენილი ტოპონიმები, რომელიც მხოლოდ ქართველური წარმოშობისაა:

**ბიჭვინთა – ქართ. ფიჭვი, ბერძნ. პიტიუს. აფხაზურ ენაზე სახელი ამზარა „ფიჭვნარი“ (შდრ. აფხაზ. ა-მზა „ფიჭვი“) XX ს-ში ხელოვნურად არის შექმნილი** (თ. გვანცელაძე. **დას. ნაშ. გვ. 51).**

**ცხუმი – სვან. ცხუმ „ცხმელა“. აფხაზურ ენაში საერთოდ არ დასტურდება** (თ. მიფჩუანი, თ. გვანცელაძე).

**გაგრა//გაგარი// კაკარი/ კაკარა – სვან. გაკრა//კაკრა „კაკლის ხე“. აფხაზურ ენაზე არ იხსნება** (თ. მიფჩუანი, თ. გვანცელაძე).

**ტფარჩელი// ტკვარჩელი – მეგრ. ტფარჩელი (ა)// ტკვარჩელი(ა) „ყოჩივარდა“. აფხაზურ ენაზე არ იხსნება** (თ. გვანცელაძე).

**მერკულა//მერგულა//მარგულა//მარგული – მეგრ. მარგულა „შავქლიავი“. აფხაზურ ენაზე არ იხსნება** (თ. გვანცელაძე).

**გენწვიში//გენწიშ//გუნწვიშ „ტირიფი“. აფხაზურ ენაზე არ იხსნება** (თ. მიფჩუანი, თ. გვანცელაძე).

**მერხეული – სვან. მერხელ „ჭინჭარი“ – აფხაზურ ენაზე არ იხსნება** (თ. მიფჩუანი, თ. გვანცელაძე).

**კოპიტი – იმერულ-გურული კოპიტი – აფხაზურ ენაზე არ იხსნება** (თ. გვანცელაძე).

**კამანი – გურული კამანია, მეგრ. ქამანია//ქამენია „ანაგვირი-**

ლა". აფხაზურ ენაზე არ იხსნება (თ. გვანცელაძე).

**ამტყდალ – ქართ. ტყემალი** (ქ. ლომთათიძე).

ქართულ და უცხოურ წყაროებში დაცული, ასევე ამჟამინდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ტოპონიმიკურ მასალის სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ანალიზი ცხადყოფს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე. XV-XVII სს-მდე ქართველურ ტომებს და ქართველურ ენებს ეკავათ გაბატონებული მდგომარეობა, ხოლო აფხაზები მოსული არიან გვიან, XVI-XVIII სს-ში (თ. გვანცელაძე. დას. ნაშრ. გვ. 52).

## დასკვნის სახით:

1) აფხაზთა წინაპრებს შავი ზღვის სანაპიროზე არ უცხოვრიათ ახ. წ. აღ. V საუკუნემდე;

2) თუ ვივარაუდებთ, რომ „აფსილ-აბასგები" არიან აფხაზთა წინაპრები, V-VI სს.-ში მათი ერთი მცირე ნაწილი, შესაძლოა, დასახლებულიყო ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე;

3) აფხაზური ენობრივი მასალა ადასტურებს, რომ აფხაზთა წინაპრებს ანტიკურ და ადრეფეოდალურ ეპოქებში მჭიდრო კონტაქტები არ ჰქონდათ ბერძნულ სამყაროსთან;

4) აფხაზთა ზედაპირული „გაქრისტიანება" სავარაუდოა, არა უადრეს, XI საუკუნის, თანაც არა ბერძნებისგან, არამედ მეგრელთა შუამავლობით;

5) აფხაზთა თავდაპირველი სამშობლო მდებარეობდა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით, მდ. ყუბანის აუზში. მათი ძირითადი მასა 1561 წლის ახლო ხანებამდე აქვე ბინადრობდა;

6) აფხაზთა მიგრაციამ ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მასობრივი ხასიათი მიიღო XVI-XVIII სს.-ში;

7) თანამედროვე აფხაზური ეთნოსის საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზების მოსვლამდე მცხოვრებ ქართულ (ყერძოდ, კი – მეგრულ) მოსახლეობას (თ. გვანცელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 60).

რამ განაპირობა აფხაზთა პოლიტიკურ-კულტურული ორიენ-ტაციის ასეთი მკვეთრი შემობრუნება პროქართულიდან პრორუსულზე? აფხაზური მოძრაობის დიდ ნაწილს რატომ გაგონებაც კი არ სურს იმ ისტორიულად დადასტურებული ჭეშმარიტების, რომ შუა საუკუ-ნეების აფხაზი - მეგრელის, სვანის, ხევსურის, კახელის და ა.შ. დარად ქართველია (იგულისხმება პოლიტიკურ-კულტურული და არა ენობრივ-ეთნიკური თვალსაზრისით). როგორც ჩანს, აქ ადგ-ილი აქვს არა მხოლოდ წინასწარ აკვიატებულ პოზიციას, რომელ-იც გამოიხატება აფხაზეთის ისტორიის შეგნებულ ფალსიფიკაციაში. მიზეზი უფრო სიღრმეულად არის საძებნი. ჩვენი თვალსაზრისით იგი, თავის ახსნას პოულობს აფხაზთა გაორებულ ცნობიერებაში: ერთმანეთს ებრძვის ორივე მხარე - პროქართული და პრორუსუ-ლი. აფხაზური ცნობიერების გაორება პირდაპირ კავშირშია საქართვე-ლოს ფეოდალურ დაქუცმაცებასთან. აფხაზეთში, რომელიც VIII-XIII სს-ში განვითარებული ფეოდალური ქვეყანა იყო, XVII ს-ში ხდება ძირეული გარდატეხა. აღდგა გვაროვნული წყობილება. ქართული ქრისტიანობა შეცვალა წარმართობამ (ევლია ჩელები, არქანჯელო ლამბერტი, ჯოვანი ჯულიანო და ლუკა). ამის მიზეზი იყო არა მაჰმადიანობა (ევლია ჩელების აზრით, აფხაზები ყურანს არ იც-ნობენ...), არამედ XVII ს-ში ჩრდ. კავკასიიდან მთიელთა ჩამოწოლა აფხაზეთში. მთიელთა „...ტომობრივი ჩამოსვლა და მათი ბრძოლა ქართული ფეოდალური ურთიერთობების წინააღმდეგ, იყო, ამავე დროს, ბრძოლა „ქართულის" წინააღმდეგ და აფხაზეთი „მიიქცა წარმართად" (ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 609). აფხაზეთში ქართული ფეოდალიზმის წინააღმ-დეგ ბრძოლას ხელს უწყობდა, აგრეთვე, სოციალური ფაქტორი. კერძოდ, „ფეოდალური უღლის ქვეშ მყოფი ადგილობრივი მოსახ-ლეობა ადვილად ურიგდებოდა მთიდან ჩამოსულთ, რომელთაც პრიმიტიულ ყოფასთან ერთად სოციალური თავისუფლებაც მო-ჰქონდა" (ნ.ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 616). მაგრამ, მიუხედა-ვად იმისა, რომ აფხაზი ხალხის ნაწილი დროთა ვითარებაში წყდება ქართულ ისტორიულ-კულტურულ ფასეულობებს, აფხაზი თავადაზნაურობა მტკიცედ ინარჩუნებს ქართულ ცნობიერებას და საკუთარი თავი ქართული კულტურის განუყოფელ ნაწილად მი-აჩნია. მდგომარეობა რადიკალურად იცვლება XIX-XX სს-ის მიჯნაზე,

როდესაც იქმნება აფხაზური დამწერლობა, საფუძველი ეყრება აფხაზურ მწიგნობრულ კულტურას. ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი აფხაზური ინტელიგენცია ორიენტაციას, ტრადიციისამებრ, იღებს არა ქართულ კულტურაზე, არამედ რუსულზე. იწყება აფხაზი ხალხის ცნობიერების გაორება. ერთი მხრივ, ხალხი აცნობიერებს საკუთარ „მეს", როგორც ისტორიულად ქართული ცივილიზაციის ორგანულ ნაწილს (სულ სხვა ამბავია, ვიღაცას სურს თუ არა ამის გაზიარება), მეორე მხრივ, მისი კულტურა, ეროვნული ცნობიერება მე-XX ს-ში ძირითადად ფორმირდება აფხაზი ხალხის ბუნებისათვის სრულიად უცხო – რუსული ენის, რუსული კულტურის საფუძველზე. აფხაზური ცნობიერების გაორება, გაუცხოება, მისი მოწყვეტა ქართული კულტურისაგან იმთავითვე შედიოდა იმპერიული პოლიტიკის გეგმაში. ასე მაგალითად, ცნობილი რუსიფიკატორი ვეიდენბაუმი საკმაო გულახდილობით წერდა: **«Абхазский язык не имеющий письменности и литературы, обречен, конечно на исчезновение в более или менее близком будущем. Вопрос в том, какой язык заменит его? . . . очевидно, что роль проводника и насаждении культурных идей и понятий должен был играть не грузинский, а русский язык. Мне кажется по этому, что учреждение абхазской письменности должно быть целью не само по себе, а только средство к ослаблению путем церкви и школы, потребности в грузинском языке и постепенной замене его языком государственным» (Ш.Д. Инал-Ипа. "Страницы абхазской литературы".** სოხუმი., 1980, გვ. 23) საერთო ჯამში, დღევანდელი აფხაზური კულტურის სახით ჩვენ მივიღეთ საბჭოური სუროგატი: კულტურა, რომელიც, ერთის მხრივ, მოწყვეტილია თავის გენეტიკურ-კულტურულ ძირებს (ე.ი. ქართველურს) და, მეორე მხრივ, მიუხედავად დიდი სურვილისა და მონდომებისა, მაინც ვერ გახდა რუსული კულტურის ორგანული ნაწილი. ასე მაგალითად, აფხაზური მოძრაობის ერთ-ერთი იდეოლოგი ზ.აჩბა წერდა, რომ აფხაზი ხალხის **«...мировосприятие и сознание формируются на основе русской культуры... В 1944 году у нас в республике запретили русский язык, насильно вводился грузинский. С этого времени Абхазию постоянно пытаются грузинофицировать. А это то же самое, что заставить человека поменять те ценности, которые для него не существуют – не потому, что они хуже, это просто**

не наше» (З.Ачба. «Пора понять, что Абхазия – Это Россия». «Свободная Грузия» 11 დეკემბერი, 1992 წ.).

აფხაზური მოძრაობა უდავოდ, დიდ შეცდომას უშვებს, როდესაც აცხადებს, რომ აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს ორგანული ნაწილი, რომ ქართული ენა, ქართული კულტურის ფასეულობანი თავისთავად როდია ცუდი, უბრალოდ, გენეტიკურად უცხო, მიუღებელია აფხაზებისათვის. თუ ამ ვარაუდს დავუშვებთ, მაშინ ალოგიკურია აფხაზური მოძრაობის პრეტენზიები, წარმოაჩინონ საკუთრივ აფხაზი ხალხი, როგორც **„აფხაზთა სამეფოში"** შექმნილი სულიერი თუ მატერიალური კულტურის ერთადერთ, კანონიერ მემკვიდრედ. და ეს მაშინ, როდესაც **„აფხაზთა სამეფო"** პოლიტიკურ-კულტურული (ასევე, ძირითადად ენობრივ-ეთნიკური) თვალსაზრისით – ქართულია. აქ საქმე გვაქვს, როგორც პოლიტიკურ კონიუქტურასთან, ასევე, აფხაზი ხალხის ისტორიული მეხსიერების, მემკვიდრეობითობის დეფორმაცია-მოშლასთან. საქმე იმაშია, რომ აფხაზი ხალხის „ქართველობას" (პოლიტიკურ-კულტურული თვალსაზრისით) ისტორიულად ყოველთვის წარმოაჩენდა აფხაზი თავადაზნაურობა. მაგრამ XX ს-ის 20-30-იან წლებში აფხაზი თავადაზნაურობა, რომელიც აფხაზური კულტურის სახეს წარმოადგენდა, ლაკობა-ეშბას რეპრესიული პოლიტიკის შედეგად მთლიანად განადგურდა. ამით მთლიანად მოიშალა ის ისტორიული მემკვიდრეობითობა, რომელიც არსებობდა ქართულ და აფხაზურ კულტურებს შორის (უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ქართული ენის ფაქტორი) და აფხაზური კულტურა „მიიქცა რუსულად". სტალინის შემდეგდროინდელი აფხაზური ინტელიგენციის თაობა რუსულ ენაზე, რუსული კულტურის ფასეულობებზე აღიზარდა. შესაბამისად, მისთვის უცხოა ყოველგვარი ქართველური, გარკვეული თვალსაზრისით, ის შინაგანად ვერც აღიქვამს იმ ისტორიულ ჭეშმარიტებას, რომ შუა საუკუნეების აფხაზი, პოლიტიკურ-კულტურული თვალსაზრისით ქართველია. მეორეს მხრივ, აფხაზური მოძრაობა შეგნებულად არ ცნობს ისტორიულ აფხაზს, როგორც ქართული კულტურის, ცივილიზაციის ორგანულ ნაწილს. წინაღმდეგ შემთხვევაში, მის ნამდვილ სახეს ნიღაბი ჩამოეცლებოდა. აფხაზური მოძრაობა ხომ წლების მანძილზე ყოველგვარი ანტიქართულის სპეკულაციის გზით ქმნიდა აფხაზეთში – აფხაზთა (თვითსახ-

ელწოდება „აფსუა“) ერთადერთი აბორიგენი მოსახლეობის, – ქართველთაგან დაჩაგრული და ოკუპირებული ხალხის იმიჯს.

აფხაზური კულტურის მოწყვეტამ ქართული ცივილიზაციისაგან შესაბამისი ასახვა ჰპოვა აფხაზი ხალხის ეროვნულ თვითგამორკვევაში. აფხაზურ მოძრაობაში, რომელიც ჩამოყალიბებულ სახეს ღებულობს 1917-1921 წწ-ში, აფხაზეთის სახელმწიფოებრივ მოწყობასთან დაკავშირებით, იმთავითვე გამოიკვეთა ორი ურთიერთდაპირისპირებული პოზიცია: პროქართული ორიენტაცია, რომელიც აფხაზეთის სახელმწიფოებრივ მოწყობას ხედავდა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის ფარგლებში, ქართველთა და აფხაზთა შორის ისტორიულად არსებული ტრადიციული ურთიერთობების გათვალისწინების ფონზე; პრორუსული ორიენტაცია, რომელიც უარყოფდა რა ყოველგვარ ქართულს, მზად იყო, სახელმწიფოებრივი მოწყობის ნებისმიერი სტატუსით შესულიყო რუსეთის შემადგენლობაში (თუნდაც, ყოფილიყო გუბერნია...?!). როგორც ვხედავთ, რუსეთის იმპერიის „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკასთან ერთად, სახელმწიფოებრივი მოწყობისადმი აფხაზური მოძრაობის რადიკალური პოზიცია აფხაზი ხალხის მცდარი ისტორიული განვითარების ტრაგიკული შედეგია.

ანტიქართული კურსის გააქტიურება აფხაზურ მოძრაობაში მხარდაჭერას პოულობდა მოსკოვის მხრიდან. რასაკვირველია, არა აფხაზთა ინტერესებიდან გამომდინარე; ეს იყო პროიმპერიული პოლიტიკის ყველაზე საიმედო დასაყრდენი საქართველოში. აფხაზურ მოძრაობაში ანტიქართული ორიენტაციის წინა პლანზე წამოწევა განაპირობა, აგრეთვე, აფხაზეთის სახელმწიფოებრივი მოწყობისადმი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა არაერთგვაროვანმა დამოკიდებულებამ. პროქართული ორიენტაციის აფხაზებში ეს გარკვეულ დაბნეულობას იწვევდა. ე.შევარდნაძის ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს აფხაზეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი ძირითადად წყდებოდა არა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეზე, არამედ სახელმწიფოს მეთაურთან აფხაზეთიდან დაახლოებული პირების ვიწრო წრეში. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ აფხაზეთის საკითხი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმული პოლიტიკური პარტიების უმრავლესობისათვის საკუთარი პოლი-

ტიკური კაპიტალის დაგროვების საგანი უფრო იყო. ვიდრე სერიოზული წუხილი აფხაზეთის პრობლემაზე.

მაგრამ ვერც ქართველთა აბორიგენობამ აფხაზეთში, ვერც ქართული ცნობიერების დეფიციტმა ვერ შექმნა ის ნიადაგი, რამაც აფხაზთა ცნობიერებაში ანტიქართული სინდრომი წარმოქმნა. გადამწყვეტი როლი აქ შეასრულა პოლიტიკურმა მხარემ, სხვა დანარჩენი ფაქტორები აქ მეორადი, მასზე დაქვემდებარებულია. 1906 წელს ცარიზმა მოუხსნა აფხაზებს «Виновное население»-ს იარლიყი და დაადგა მათთან დამოკიდებულებაში არა კონფრონტაციულ, არამედ შემრიგებლურ გზას. ჩანაფიქრი შორსგამიზნული იყო. აფხაზი ბოლშევიკების ბელადი ნ.ლაკობა წერდა: **«Если старое царское правительство окончательно не стерло с лица земли эту этнографическую народность (абхазскую), не имеющую ни своей культуры, ни своей письменности, народность живущую примитивным допотопным способом, то это объяснялось политическими соображениями, формулировавшимся в словах: «Сей национальную рознь», и «Сам не зевай и властвуй крепко». Самодержавие прилегало всические усилия к тому, чтобы создать между грузинскими и абхазскими народами такую же пропасть, как между татарами и армянами»** (Н.Лакоба. "Статьи и речи." სოხუმი., 1987, გვ. 213).

ამრიგად, მოსკოვის დაკვეთით ეტაპობრივად შეიქმნა აფხაზური ეთნოკრატია, რომელსაც მხოლოდ ერთი ფუნქცია დაეკისრა ანტიქართული საქმიანობა. საბჭოთა კავშირში დაწყებულმა „პერესტროიკის" პროცესებმა, როგორც კი საბჭოური იმპერიის ერთიანობას საფრთხე შეუქმნა, იმთავითვე აამოქმედა ე.წ. ეთნოკონფლიქტების მექანიზმი. შესაბამისად, აფხაზური ეთნოკრატიის სახით, საქართველოში მოსკოვმა აამოქმედა შემონახული რეზერვი რომელმაც, თავის მხრივ, იგრძნო რა საკუთარი არსებობის საფრთხე, მოაწყო 1989 წლის 15 ივლისის ეთნოკონფლიქტის პროვოცირება. მიზანი ნათელი იყო: მსოფლიო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა „კოლონიურ" მდგომარეობაში მყოფი, ქართული „ფაშიზმის" წინააღმდეგ მებრძოლი მცირერიცხოვანი, აფხაზი ხალხის მიმართ. რუსეთს, შესაბამისად, ხელ-ფეხი გაეხსნა მცირერიცხოვანი, ქართველთაგან დაჩაგრული, აფხაზების დასაცავად და საჯარისო ფორმირებები შემოიყვანა აფხაზეთში... საბჭოური იმპერიის დაშლამ, მსოფლიო

საზოგადოების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამ არსებულ ტერიტორიალურ საზღვრებში, აფხაზური ეთნოკრატიის არსებობას აშკარა საფრთხე შეუქმნა.

აფხაზურმა მოძრაობამ, თავისი მატერიალური კეთილდღეობის და სოციალური პრივილეგიების დამკვიდრებისათვის აფხაზი ხალხის ცნობიერებაში ქართველი ერის სახით შექმნა ხელოვნური მტრის იმიჯი, როგორც აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის გამართლების მორალურ-ისტორიული არგუმენტი. რუსეთს, რომელსაც თავისი სტრატეგიული ინტერესები აქვს კავკასიაში და აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა, ფაქტობრივად, სჭირდება საქართველოს – რუსეთის სამხედრო-სტრატეგიულ სივრცეში შენარჩუნების მიზნით, ეთნოკონფლიქტის ინსპირირება არ გასჭირვებია. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ რუსეთის მზაკვრული ჩანაფიქრი და აფხაზთა დიდი ხნის ოცნება ქართველის, ე. შევარდნაძის ხელით განხორციელდა! ანტიქართულმა სინდრომმა აფხაზებში სისასტიკის ყველა უარესი ფორმებით იჩინა თავი. და ეს არცაა გასაკვირი. აფხაზურმა მოძრაობამ აშკარად ცხადყო, რომ მას არაფერი აქვს საერთო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წმინდათაწმინდა მიზანთან, და რომ ეს მხოლოდ იმპერიის დაკვეთაა. ქართველების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა ეთნიკური ნიშნის მიხედვით ეროვნული მოძრაობა კი არა, ფაშიზმია.

აფხაზებმა წარმატებით შეასრულეს მოსკოვის იმპერიული შეკვეთა საქართველოს „ჰუმანური" ოკუპაციის, ამ ეტაპზე მისი დსთ-ში გაწევრიანების საქმეში. ამით აფხაზურმა ეთნოკრატიამ მასზე დაკისრებული ფუნქცია ამოწურა და, შესაბამისად, განაჩენი გამოუტანა საკუთარი თავის არსებობას.

**ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზების, როგორც დამოუკიდებელი ეთნოსის ფიზიკური და სულიერი გადარჩენის ერთადერთი გზა არის ქართული კულტურულ-ისტორიული ფესვებისაკენ ძირეული მობრუნება, რომლის განუყოფელი, ორგანული ნაწილი ის საუკუნეების განმავლობაში იყო (ამასთან ერთად, მას ოდნავაც არ დაუკარგავს თავისი ეროვნული თვითმყოფადობა). სხვა ყველა გზას აფხაზი ხალხი ისევ მიჰყავს მუჰაჯირობამდე, რაც მათი ასიმილაციით და, საბოლოო ჯამში, მათი, როგორც ეთნოსის გაქრობით დასრულდება...**

## §2. საქართველოს პარტიული ნომენკლატურის დაცვედანებული პოლიტიკა და განტევების ვაცი აფხაზეთში

აფხაზეთის ქართველობა, რომელმაც, ფაქტობრივად, ჩრდილოეთიდან მომდინარე რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის, ქართველ და აფხაზთა შორის ისტორიულად არსებული ერთობის აღდგენის მისია იტვირთა, დროთა განმავლობაში თითქმის უფუნქციოდ დარჩა. კრემლმა, სტალინიზმ-"ბერიევშჩინას" წინააღმდეგ ბრძოლის ნიღაბს ამოფარებულმა, დაიბრუნა ლიდერის პოზიცია აფხაზეთში და ყოველნაირად ცდილობდა აფხაზი ხალხის ქართული ორიენტაციიდან რუსულ-საბჭოურ რელსებზე გადაყვანას. საქართველოს ყოველი ახალი მარიონეტული ხელისუფლება იძულებული იყო, კვერი დაეკრა კრემლისათვის, რამაც შესაბამისად განაპირობა აფხაზეთში ქართული პოლიტიკურ-კულტურული

პოზიციების დათმობა, აფხაზი ხალხის და აფხაზეთის „ჰუმანური" რუსიფიკაცია. შედეგმაც არ დააყოვნა: მეტწილად უფუნქციოდ დარჩენილი აფხაზეთის ქართველობა დროთა განმავლობაში „გათითოკაცებულ", „საშოვარზე გადაგებულ ნახირს დაემსგავსა" ფაქტობრივად, მოიშალა ან გეზი გაიმრუდა აფხაზეთის ქართველთა ერთ-ერთმა ყველაზე საიმედო დასაყრდენმა ძალამ - ინტელიგენციამ, რამაც განაპირობა მისი თანდათანობით გადაქცევა აფხაზური ეთნოკრატიის მიერ მართვად სოციალურ ფენად. რასაკვირველია, 1989 წლის ივლისის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ აფხაზეთის ქართველი ინტელიგენცი ძირეულად შემობრუნდა ეროვნული ცნობიერებისაკენ, მაგრამ რაღაც ნაწილმა მაინც შეინარჩუნა შემგუებლური პოზიცია. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, არ ვგულისხმობთ შემგუებლობას აფხაზურ ეთნოკრატიასთან. მხედველობაში გვაქვს ყოფითი შემგუებლობა, მხოლოდ სამსახურეობრივი პრობლემებით შემოფარგლული, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საკითხისადმი ხშირ შემთხვევაში მომლოდინე, შორიდან შემყურეს პოზიცია და სხვა. და ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც ამ უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში აფხაზეთის ქართველი ინტელიგენცია დათრგუნული იყო საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მიერ. საქართველოს კომპარტია და ცკ-ის „კარის ინტელიგენცია" თავის ინდიფერენტულ დამოკიდებულებას აფხაზეთის ქართველი ინტელიგენციისადმი ამართლებდა აფხაზთა მხრიდან მოსალოდნელი უკმაყოფილების გამოვლენის თავიდან აცილების საბაბით. სინამდვილეში ის კრემლისადმი მაამებლურ დამოკიდებულებას იჩენდა და არა აფხაზეთის ქართველთა უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. შესაბამისად, უფუნქციოდ დარჩენილი აფხაზეთის ქართველი ინტელიგენციის ნაწილი ყოფით პრობლემებზე გადაერთო და ძირითად საქმიანობად გაიხადა მხოლოდ საკუთარი წიგნების გამოცემა, დისერტაციების დაცვა და ა. შ. ეროვნულ ფასეულობათა დევალვაციამ თავისი დაღი დაასვა ინტელიგენციის ცნობიერებას. დაიწყო ჯგუფური გამოსვლები ერთმანეთის წინააღმდეგ, რომელიც, დაეფუძნა არა ეროვნულ-პოლიტიკურ პოზიციათა განსხვავებულობას (რაც აუცილებელი და მისასალმებელია), არამედ სიმპათია-ანტიპათიის პრინციპს. თითქმის ძირეულად არაფერი შეცვლილა აფხაზეთის დაკარგვის შემდეგაც. ყოველდღიური ყოფითი პრობლემებით დამძიმებული, დევნილობა-

ში მყოფი აფხაზეთის ქართველი ინტელიგენცია დღესაც ორმაგი სტანდარტით ცხოვრობს. მას სძულდა ე. შევარდნაძის რეჟიმი, რომელმაც ამდენი უბედურება მოუტანა, მაგრამ არსებობისათვის ბრძოლა აიძულებდა მას დარჩენილიყო შემგუებლურ პოზიციაზე. შედეგიც სახეზეა: ასე მაგალითად, **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალი, რომელიც აფხაზეთის (და არა მარტო აფხაზეთის) ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფლაგმანი იყო, დღეს მხოლოდ შიდა საუნივერსიტეტო პრობლემების გადაწყვეტით არის დაკავებული. ეროვნული მებრძოლი სული სოხუმის ფილიალში ჩამკვდარია. ეროვნული სულისკვეთების არარსებობამ ფილიალის კოლექტივი ინტრიგების, ჯგუფური დაპირისპირების მორევში ჩაძირა. არსებობისათვის ბრძოლამ სოხუმის ფილიალის კოლექტივი ყოველდღიურ, უფერულ სასწავლო პროცესს აყოლილ სასწავლებლად გადააქცია, რომელმაც, ნებსით თუ უნებლიედ, „საძოვარზე მიშვებული ნახირის საქმე - ბალახის ძოვა" გაიხადა ძირითად საქმიანობად.**

აფხაზეთში ქართული პოლიტიკური მოძრაობის ერთიანობას თავდაპირველად აფხაზური პრობლემა განაპირობებდა. მაგრამ 1989 წლის ივლისის ტრაგიკული მოვლენების შემდგომ სეპარატისტული სინდრომით გაღვიძებულმა ქართულმა ეროვნულმა თვითშეგნებამ თანდათან დაკარგა პირვანდელი სიმძაფრე, ერთიანობის რომანტიკული ხიბლი, მოჩვენებითი მთლიანობა გამოვიდა ეგზალტირებული პატრიოტიზმის ბურუსიდან. რაც შეეხება აფხაზეთის ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას, რომელიც იმთავითვე განიცდიდა ინტელექტუალიზმის დეფიციტს, „მიტინგური აზროვნების" ფსიქოზმა მოიცვა. დრამატულ პროცესებს შესაბამისი უკუგებაც მოჰყვა. კერძოდ: აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობის ერთიანობა ხუხულასავით დაიშალა და თავისი პერსონიფიცირებული გამოხატულება ჰპოვა უსახო პოლიტიკურ პარტიებში, რომლებიც ჩამოყალიბდნენ არა განსხვავებულ იდეოლოგიურ-თეორიულ საფუძველზე, არამედ პირადი სიმპათია-ანტიპათიის პრინციპებზე. მათ თავიანთი მოღვაწეობა წარმართეს არა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების, არამედ „უჩემოდ ვინ იმღერეთას" მოტივზე. მოსალოდნელმა შედეგმა იმთავითვე იჩინა თავი. სხვადასხვა პარტიას შორის პოლიტიკურმა ბრძოლამ მიიღო ჩასაფრებული ხასიათი. დაპირი-

სპირებულ მხარეთა ქმედებაში იგნორირებულ იქნა კონსტრუქციული აზრის დანახვის სურვილიც კი. მოწინააღმდეგეები ერთმანეთის შეცდომებს გულდასმით ჩხრეკდნენ და გამოჰქონდათ სამზეოზე. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ე.წ. ოპოზიციის დამოკიდებულება აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებისადმი გამოიხატებოდა ზვიად გამსახურდიას ლანძღვა-გინებით, რაც მას ეთნოკონფლიქტების ინსპირატორის იმიჯს უქმნიდა. სამწუხაროდ, გვიწევს ქრესტომატიული ჭეშმარიტების შეხსენება, რომ ეთნოკონფლიქტები არის კრემლის მიერ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შექმნის დროს შორსგამიზნულად ჩადებული შენელებული მოქმედების ნაღმი, როგორც იმპერიის შენარჩუნების ნაცადი საშუალება. საბჭოური ტიპის ეთნოკონფლიქტები, როგორც წესი, ეფუძნება ხელოვნური ავტონომიების (და არა საერთოდ ავტონომიების, როგორც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის საბჭოურ ფორმას) შექმნას (მაგ. სამხ. ოსეთი, ყარაბახი, ...), რესპუბლიკებს შორის ტერიტორიების ხელოვნურ გადანაწილებას, კრემლის მიერ მართვადი ეთნოკრატიის შექმნას (სომხური ყარაბახში; ოსური ე.წ. სამხრეთ ოსეთში; აფხაზური – აფხაზეთში), როგორც დამოუკიდებლობის გზაზე მყოფი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მოსალოდნელი ხელყოფის წინაპირობა.

ასე რომ, აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის გადაბრალება ზვიად გამსახურდიაზე, როგორც ამას აკეთებდა ეროვნული ხელისუფლების ოპოზიცია, საკუთარი პოლიტიკური უსუსურობის გამოვლენა უფრო იყო, ვიდრე არსებულ ვითარებაში სერიოზული გარკვევის მცდელობა. რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მომხრე პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულებას აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი, აქ აშკარად გამოიკვეთა ერთი ძირითადი ხაზი: შორსგამიზნულ-კომპრომისული, რომლის უშუალო შედეგი იყო აფხაზეთის ასს-ის უზენაესი საბჭოს კომპრომისული საარჩევნო კანონი. ზვიად გამსახურდიასადმი ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიების ფილიალები აფხაზეთში კომპრომისულ საარჩევნო კანონს (28+26+11) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღალატის ტოლფასად მიიჩნევდნენ. მათი ამგვარი პოზიცია საქართველოში შექმნილი რეალური პოლიტიკური სიტუაციის ანალიზიდან კი არ გამომდინარეობდა, არამედ ძირი-

თადში ზ.გამსახურდიასადმი პათოლოგიურ სიძულვილს ემყარებოდა. ოპოზიცია ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებასთან არანაირ კონსტრუქციულ დიალოგზე არ მიდიოდა. მათი ქმედება ხშირ შემთხვევაში დესტრუქციულ ხასიათს ატარებდა. აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში თვითდამკვიდრების მანიაკალურმა სურვილმა და „უჩემოდ ვინ იმღერეთას" სინდრომმა აიძულა „აფხაზეთის ქართული ოპოზიცია", თბილისში მოქმედი ოპოზიციური პარტიებისათვის მიეპყრო მზერა. ამას მოჰყვა შესაბამისი უკუგებაც. არსებული პოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად ოპოზიცია აფხაზეთში უკვე არა შიდა რეზერვებზე იყო ორიენტირებული, არამედ თბილისიდან ღებულობდა მზამზარეულ რეცეპტებს. ხშირ შემთხვევაში მას არა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, არამედ პირადი კეთილდღეობისა და სიმპათია-ანტიპათიის დაღი ესვა. ზ.გამსახურდიასადმი პათოლოგიური სიძულვილით შეპყრობილმა ოპოზიციამ დათვური სამსახური გაუწია აფხაზეთში ეროვნულ მოძრაობას. ინიციატივას მოკლებული აფხაზეთის ქართველთა ერთი ნაწილი ყოვლად უსახურ, მიტინგურ ფსიქოზამდე დასულ ბრბოს დაემსგავსა. ზ. გამსახურდიას ხელისუფლება, რომელიც იმთავითვე აღიარებდა საარჩევნო კანონის ანტიდემოკრატიულობას, თვლიდა, რომ საარჩევნო კანონი გამოირჩეოდა ტაქტიკური თავისებურებებით. პირველი: ეს იყო დროის ფაქტორი. საბჭოთა კავშირში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა აფხაზური მხარე მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ პირველ ეტაპზე ბრძოლა აფხაზეთის სუვერენიტეტისათვის შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ პარლამენტური გზით. ეს კი დღის წესრიგში დააყენებდა ავტონომიურ რესპუბლიკაში ახალი არჩევნების ჩატარების საკითხს, რაც, თავისთავად, ქართულ მხარესთან გარკვეულ კონსტრუქციულ დიალოგზე წასვლას მოასწავებდა. საარჩევნო კანონზე მუშაობამ გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. ამ პერიოდში აფხაზები რაღაცის მოლოდინში ქართულ მხარესთან სერიოზულ კონფრონტაციაზე არ წასულან. ასე რომ, საარჩევნო კანონზე მუშაობამ, საკუთრივ საარჩევნო კომპანიამ, გარკვეული თვალსაზრისით ობიექტური საფუძველი შექმნა აფხაზეთში პოლიტიკური სტაბილიზაციის დასამყარებლად. დრო კი მიდიოდა. დაიშალა საბჭოთა კავშირიც. მეორე: ქართული მხარე თვლიდა, რომ საარჩევნო კანონში ჩადებული მექანიზმის მიხედვით ვერც ერთი კონსტიტუციური მნიშვნელობის საკითხი ვერ გადაწ-

ყდებოდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მიერ, თუ არ იქნებოდა ორმხრივი შეთანხმება ქართველ და აფხაზ დეპუტატებს შორის. ამ თვალსაზრისით, ზ. გამსახურდიას ხელისუფლებას საარჩევნო კანონი ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის ნდობის, ტრადიციული ურთიერთობის აღდგენის საქმეში გარანტად მიაჩნდა; მესამე: საარჩევნო კანონი, თავისი შორსგამიზნული ჩანაფიქრით, გახლდათ ნიადაგის მოსინჯვა რუსული ფაქტორის გვერდის ავლით ქართულ-აფხაზური დაპირისპირების მოგვარების საქმეში. მეორე მხრივ, აფხაზური მხარე არანაკლებ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული სტაბილიზაციით, რადგანაც აშკარა კონფრონტაციის ტრაგიკული შედეგები, სახეზე იყო - ე.წ. სამხ. ოსეთის და ყარაბაღის კონფლიქტი. ამასთან ერთად, 1991 წლის 1 ოქტომბერს აფხაზეთის ასსრ-ის უზენაეს საბჭოს უმთავრდებოდა უფლებამოსილება,. რაც სავარაუდოა, აფხაზეთში პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების ტოლფასი იქნებოდა. მისი შედეგები კი სასიკეთოდ არ წაადგებოდა აფხაზურ მხარეს. მაგრამ საარჩევნო კანონს ჰქონდა თავისი უარყოფითი მხარეებიც. კერძოდ, არასასურველი შედეგი გამოიღო ქართველთათვის 26 ადგილის დაკანონებამ, რამაც საარჩევნო აზარტი დაუკარგა აფხაზეთის ქართულ მოსახლეობას. ფაქტობრივად, მისთვის სულ ერთი გახდა, თუ ვინ იქნებოდა დეპუტატი. ძირითადი აქცენტი გადატანილ იქნა არა დეპუტატობის კანდიდატის კომპეტენტურობაზე, არამედ მის ეთნიკურ წარმომავლობაზე. არასასურველმა შედეგმა იმთავითვე იჩინა თავი. აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესი საბჭოს ქართული დეპუტაცია, გამონაკლისის გარდა, ძირითადად, არაკომპეტენტური და ყოფილი პარტოკატიის წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. აფხაზეთის ქართველთა წინასაარჩევნო პატრიოტული აღტკინება ყოველდღიურმა ყოფითმა რეალობამ შეცვალა. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ქართულ დეპუტაციაში კარიერისტულმა ინტერესებმა იმძლავრა, რაც ნელ-ნელა პირად კინკლაობაში გადაიზარდა. ვ.არძინბა ოსტატურად სარგებლობდა ქართველთა შორის არსებული განხეთქილებით და, შესაბამისად, დიდი წარმატებებით ახორციელებდა პროაფხაზურ საკადრო პოლიტიკას ავტონომიურ რესპუბლიკაში.

როგორც უკვე ითქვა, საქართველოს პარტიული ნომენკლატურა თავისი უსუსურობის გამართლების მიზნით ხშირ შემთხვევაში აფხაზეთის ქართველობაში ეძებდა განტევების ვაცს. ეს ანტი-

ქართული პოლიტიკა აფხაზეთში ხორციელდებოდა ძირითადად სამი მიმართულებით:

**1. აფხაზეთში პარტიულ თანამდებობებზე თბილისიდან აგზავნიდნენ საჭურის ნომენკლატურულ მუშაკებს, რომელნიც აფხაზური ეთნოკრატიის ხელში ყალიბდებოდნენ „მორჩილ" ხელმძღვანელებად;**

**2. აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის ფუნდამენტურ საკითხებზე აკადემიური დუმილის დემონსტრირება. შესაბამისად, აფხაზეთის ქართველობაში მიგრანტის, „პარაშუტისტის" კომპლექსის ჩამოყალიბება;**

**3. აფხაზეთში რუსიფიკატორული პოლიტიკის მყარი დასაყრდენი ხდება აფხაზური ეთნოკრატია, რომელიც ყალიბდება მოსკოვის შეკვეთით. ამასთან, ეს იყო საქართველოს პარტიული ნომენკლატურის ყველაფერზე „თავის კანტუნის" პოლიტიკაც.**

ეთნიკური სიმცირის და კულტურული ჩამორჩენილობის გამო აფხაზები ცხადია, ვერ შესძლებდნენ აფხაზეთის ქართველთა გარუსებას. საჭირო იყო ავტონომიურ რესპუბლიკაში „აფხაზურის" წინა პლანზე წამოწევით რუსული ენისა და კულტურის დომინირებული მდგომარეობის შექმნა. ამ პროცესებმა შესაბამისი ასახვა ჰპოვა ავტონომიურ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო, ფიზიკა-მათემატიკის და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე შეიქმნა ე.წ. აფხაზური სექტორები (?!), სწავლება კი ამ ე.წ. აფხაზურ სექტორებზე მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. ჩანაფიქრი შორსგამიზნული გახლდათ. ასე მაგალითად, მ.გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში 60 პროცენტი იყო ქართული სექტორი, 40 პროცენტი – რუსული. აფხაზური სექტორი წარმოდგენილი იყო მხოლოდ აფხაზური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტით. 1979 წლის იანვარში შეიქმნა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც ქართული სექტორების შემცირების ხარჯზე, აფხაზი ხალხის „ეროვნული უფლებების დაცვის" მიზნით (რომელიც თითქოსდა შელახული იყო „ბერიოვშჩინას" დროს), ხელოვნურად გაიზარდა აფხაზური სექტორები (30 პროცენტით). ეს იყო ტიპიური საბჭოური ფაშიზმის გამოვლინება, რომლის პრეცენდენტი რუსეთის ფედერაციაში შემავალ არც ერთ ავტონომიურ რესპუბლიკაში არ არსებობდა. „ყველაფერზე თავის კატუნს" შეჩვეულმა საქართველოს

პარტიულმა ნომენკლატურამ ისე წაუყრუა ამ პროცესებს, თითქოსდა არაფერი მომხდარიყო. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი იქცა რუსიფიკაციის და, შესაბამისად, ანტიქართული საქმიანობის დასაყრდენად აფხაზეთში. ქართული სექტორების ხელოვნური შემცირების გამო აფხაზეთისა და სამეგრელოს ქართველები იძულებულნი იყვნენ საბუთები რუსულ სექტორებზე შეეტანათ. ბუნებრივია, ამ პერიოდში რეგიონში (სამეგრელო, აფხაზეთი) საგრძნობლად გაიზარდა რუსული სკოლების რიცხვი. საკუთარი პოლიტიკური სტატუს-კვოს შენარჩუნების მიზნით პარტიული ნომენკლატურა არ ერიდებოდა ქართველთა ინტერესების იგნორირებას. ავტონომიურ რესპუბლიკაში ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა მხოლოდ ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს. მან აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა მთლიანად დააკისრა არ-ში მცხოვრებ აფხაზებსა და ქართველებს და პრიორიტეტი მათ შორის ნდობის ფაქტორის აღდგენაზე გადაიტანა.

ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსულმა ე.შევარდნაძემ და მისმა გარემოცვამ თავისი პოლიტიკა აფხაზეთში საქართველოს პარტიული ნომენკლატურისათვის ჩვეული სტილით გააგრძელა:

**1. მოჩვენებითი სტაბილიზაციის შექმნის მიზნით აფხაზეთის ქართველობას არათფიციალურად მეორეხარისხოვანი ერის სტატუსი მიენიჭა; 2. თბილისმა აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის საკითხში პრიორიტეტი მხოლოდ აფხაზურ მხარეს მიანიჭა; 3. ე. შევარდნაძის დანაშაულებრივი პოლიტიკა მიზნად ისახავდა აფხაზეთის ქართველთა ურთიერთდაპირისპირებას, პარტიული და პირადი ინტერესების წინა პლანზე წამოწევას, აფხაზეთში ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების უგულვებელყოფას; 4. მიზანმიმართულად ე.შევარდნაძის სახით შეიქმნა ერისა და ქვეყნის მხსნელის იმიჯი. შესაბამისად, თბილისიდან ისევ დაიწყო „მზამზარეული პოლიტიკური რეცეპტების" გამოგზავნა, რომელიც აფხაზეთის საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით, რეალობასთან ახლოსაც არ იყო. დატრიალებული** ტრაგედიიდან 10 წლის შემდეგ, აფხაზეთის საკითხთან მიმართებაში, სიტუაცია არ შეცვლილა. დემოკრატიულობისა და ეროვნულობის ნიღაბს ამოფარებული ე. შევარდნაძის ხელისუფლება უთავბოლო დაპირებების და ადგილზე ტკეპნის პოლი-

ტიკაზე შორს არ წასულა. ე. შევარდნაძის ხელისუფლებამ ვერ შეძლო კონფლიქტის მოგვარება ვერც მშვიდობიანი და ვერც ძალისმიერი გზით. აფხაზეთის პრობლემა ქვეყანას დამოკლეს მახვილივით დაეკიდა. სხვა გზა არ იყო: ხელისუფლება დაადგა აფხაზეთის პრობლემის თავიდან მოცილების, ე.ი. საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებაზე უარის თქმის პოლიტიკას. ამ ცვლადანი პოლიტიკის შედეგი იყო ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მუდმივი პროვოცირება – „ცხინვალიზაციის" მოტივირებით და დევნილებსა და ალხ-ს შორის განხეთქილების, დაპირისპირების შეტანა. ხელისუფლების დაკარგვის პანიკური შიშით შეპყრობილი ალხ. ე. შევარდნაძის მხრიდან დევნილთა დასაშოშმინებელ და სიტუაციის დასარეგულირებელ ორგანოდ იქცა. ლეგიტიმურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის ქართველობას შორის ნდობის ხიდი საბოლოოდ ჩატყდა. რაც შეეხება აფხაზეთის ქართულ დეპუტაციას ის შემგუებლურ-გამრიგებლურ პოზიციაზე იდგა. 1995წ. აფხაზეთიდან საქართველოს პარლამენტში არჩეულმა დეპუტატების უმრავლესობამ, რომელსაც სამი წლის განმავლობაში თავის უნიათობასა და საქმისადმი სრულ უცოდინარობას ამჟღავნებდა, ე.შევარდნაძეს შესთხოვა გამოძებნილიყო დეპუტატებად ხელახლა არჩევის ფორმა. პრეზიდენტმაც არ დააყოვნა და მისადმი ლოიალურად განწყობილ აფხაზეთის ქართულ დეპუტატებს დახმარება აღუთქვა. ე.შევარდნაძემ თავისი სიტყვა შეასრულა. მთხოვნელებს ოთხი წლით გაუხანგრძლივეს დეპუტატობის მანდატი. თავის მხრივ, დეპუტატების ყველაზე მორჩილმა ნაწილმა პრეზიდენტის მადლიერებას მადლიერებითვე უპასუხა და ოთხი წლის მანძილზე სიტყვაც არ დაუძრავს იმ ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, რომელსაც მმართველი პარტია ეწეოდა აფხაზეთის საკითხთან მიმართებაში. **ამგვარი ქმედების გამო საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის დეპუტაციას ხალხში „თავშეკავებულთა ფრაქცია" შეარქვეს. სიტუაცია თვისობრივად არც ოთხი წლის შემდეგ შეიცვალა. აფხაზეთის დეპუტაციამ ისევ სთხოვა ე.შევარდნაძეს დეპუტატობის ვადის გახანგრძლივება. პრეზიდენტმა „დადუმებულ" დეპუტატებს ამაგი დაუფასა და ამჯერად დეპუტატობის ვადა უვადოდ გაუგრძელა.**

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უმაღლესი საბჭოს ანტიხალხური მოღვაწეობა 10 წლის მანძილზე მისივე დისკრედიტაცი-

აც იყო. ე. შევარდნაძის მარიონეტული რეჟიმის დამხობამ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ახლებური მიდგომა განსაზღვრა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა აფხაზეთის უს-ს გადახალისების ან, სულაც, მმართველობის ახალი სტრუქტურის შექმნის საკითხი.

კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ზ. გამსახურდია იძულებული იყო, დროებთ კომპრომისზე წასულიყო აფხაზურ რადიკალურ ფრთასთან. აფხაზეთის ასსრ-ის 1991 წლის 9 ივლისის კანონი „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ" (1991 წ. 27 აგვისტოს ცვლილებებით) ამის შედეგი იყო. საუბარია ეთნიკური ნიშნით მიღებულ საარჩევნო კანონზე: 28 – აფხაზი, 26 – ქართველი, 11 – ეროვნული უმცირესობა. საარჩევნო კანონი ზ. გამსახურდიას იმთავითვე აპარტეიდული ხასიათის საკანონმდებლო აქტად მიაჩნდა. საარჩევნო კანონის ნორმა აშკარად ეწინააღმდეგებოდა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" (1948 წ) მე-2, მე-7 და 21-ე, აგრეთვე „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის (1966 წ.) მე-2, 25-ე და 26-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ისინი განსაზღვრავენ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობას ეროვნული კუთვნილებისა თუ სხვა ნიშნების მიუხედავად. მაგრამ აფხაზეთში არსებული რთული პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე აპარტეიდულ კანონს გააჩნდა დადებითი მომენტიც.

ჯერ-ერთი, ამ აპარტეიდული საარჩევნო კანონის მიღებით ზ. გამსახურდიამ თავიდან აიცილა კრემლის მიერ ჩაფიქრებული ეთნოკონფლიქტი აფხაზეთში. მეორეს მხრივ, აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსი უნდა განსაზღვრულიყო (რეფერენდუმის ჩატარება აფხაზეთის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ, სხვა საკანონმდებლო აქტების მიღება ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებთან დაკავშირებით და ა. შ.) აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ხმების საერთო რაოდენობის ორი მესამედით.

მაგრამ ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისა და ხელისუფლების სათავეში მოსკოვის მიერ მართვადი ე. შევარდნაძის მოსვლის შემდეგ, აფხაზმა სეპარატისტებმა ისარგებლეს ქვეყანაში არსებული სახელისუფლებო ვაკუუმით. აფხაზეთში ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დარღვევა და ანტიქართული ისტერია იწყება.

თანდათან დე-ფაქტო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო ფაქ-

ტობრივად აფხაზური ფაშიზმისა და ქართული მოსახლეობის გენოციდის პოლიტიკურ ბერკეტად გადაიქცა. შესაბამისად, 1994 წ. 10 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დროის შესაბამისი გადაწყვეტილება: საერთაშორისო სამართლის იმპერატიული პრინციპებისა და „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის, აგრეთვე, მე-7 მუხლის ბოლო აბზაცის შესაბამისად, 1. გაუქმდეს აფხაზეთის ასსრ 1991 წლის 9 ივლისის კანონი „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ" (1991 წლის 27 აგვისტოს ცვლილებები).

2. დათხოვნილ იქნეს აღნიშნული კანონის საფუძველზე არჩეული აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო" (იხ. „აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში", ტ. I, გვ. 320-321).

ნულოვანი ვარიანტი (აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს გაუქმება) ქმნიდა იმის პირობას, რომ გაეროს, ეუთოს, დსთ-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით აფხაზეთში ბრუნდებოდა ეთნიკური წმენდის შედეგად გაძევებული 300 ათასი დევნილი, უნდა განსაზღვრულიყო აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში აფხაზეთში მომზადებულიყო დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. მაგრამ მოვლენათა განვითარებამ დაადასტურა, რომ რუსეთის მხარდაჭერით აფხაზური პოლიტიკური ელიტა არ აპირებდა საქართველოს ხელისუფლებასთან რაიმე კომპრომისზე წასვლას. უფრო მეტიც: დე-ფაქტო აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესმა საბჭოს მიიღო ე. წ. კონსტიტუცია, აირჩია პრეზიდენტი, გამოაცხადა აფხაზეთის რეგიონი დამოუკიდებელ რესპუბლიკად და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად.

აქედან გამომდინარე, აუცილებელი გახდა აფხაზეთიდან დევნილი მრავალეროვანი მოსახლეობის ინტერესთა დაცვა საკანონმდებლო და სახელისუფლებო დონეზე. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა 1995 წლის 24 თებერვალს მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება: „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით და საკანონმდებლო ორგანოდ – უმაღლეს საბჭოდ – ცნობილ იქნეს 1991 წელს აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში არჩეული ის დეპუტატები, რომლებიც რეალურად გამოხ-

ატავენ აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებს და არ მონაწილეობდნენ გუდაუთის სეპარატისტულ დაჯგუფებასთან ერთად ანტიკონსტიტუციურ საქმიანობაში" (იხ. „აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში", თბ., 2000, ტ. I, გვ. 439-440).

ასეთია საქმის რეალური ვითარება. რამდენად კონსტიტუციურია აფხაზეთის უს-ს 26 ქართველი დეპუტატის ხელახალი არჩევა? რას იძლევა ეს? და რა გარანტიაა, რომ გადახალისებული აფხაზეთის უს ისევ ძველი სახეებით არ დაკომპლექტდება?

ცნობისთვის: **აფხაზეთის უს-ს დღევანდელი შემადგენლობა ძირითადად დაკომპლექტებულია ყოფილი პარტიული ნომენკლატურული მუშაკებით, რომლებმაც პირადი კეთილდღეობისა და სოციალური პრივილეგიების შენარჩუნების მიზნით უღალატეს დევნილთა ინტერესებს (ყორუფცია, მრავალწლიანი დუმილის პოლიტიკა ე. შევარდნაძის დანაშაულებრივი პოლიტიკის მიმართ, ბუფერის როლი ე. შევარდნაძის რეჟიმსა და დევნილ მოსახლეობას შორის და ა. შ.).** დევნილთა კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში ალხ-ის მოქმედ სტრუქტურებს აქვთ დევნილებზე ზეწოლის ძლიერი ბერკეტები (როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური). ამდენად, **ახლადარჩეული აფხაზეთის უს ისევ ძველი სახეებით, ანუ ყოფილი უს-ს წევრებისაგან დაკომპლექტდება. შესაბამისად, დევნილთა თვალში დისკრედიტირებული, არაპოპულარული ყოფილი ნომენკლატურული მუშაკებისგან დაკომპლექტებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭო უკვე ამჟამინდელი ხელისუფლების ხელში მორჩილ და იოლად სამართავ ინსტრუმენტად იქცევა.**

აფხაზეთის უს-ს ხელახალი არჩევენებს შემთხვევაში დაირღვევა ტერიტორიული პრინციპი (რაც დაკავშირებულია დევნილთა უპირობო დაბრუნებასთან აფხაზეთში). საქმე იმაშია, რომ გაერო, ეუთო მოითხოვს (თუნდაც ქაღალდზე) დევნილთა უპირობო დაბრუნებას აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე და მხოლოდ ამის საფუძველზე ცნობს აფხაზეთში ჩატარებულ დემოკრატიულ არჩევნებს ლეგიტიმურად. ასე მაგ: საქართველოს პარლამენტმა 1996 წ. 2 ოქტომბერს მიიღო დადგენილება: „იურიდიული ძალის არმქონედ იქნეს ცნობილი აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიმდინარე წლის 23 ნოემბერს სეპარატისტებისა და მათი მხარდამჭერი ძალების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არჩევნების

ჩატარების თაობაზე და ბათილად იქნეს ცნობილი. აქედან გამომდინარე, ყველა სამართლებრივი შედეგი, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, ადამიანის ყოვლისმომცველ უფლებებსა და თავისუფლებებს" (იხ. „აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში", ტ. II, თბ., 2000, გვ. 101). აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩატარებული არჩევნები უკანონოდ ცნო დსთ-ს სამიტმაც 1996 წ. 9 ოქტომბერის დადგენილების საფუძველზე: **«Согласиться с позицией... Парламентской Ассаблей Совета Европы и Парламента Грузии, осуждающей идею проведения выборов в Абхазии до окончачельного решения вопроса возвращения беженцев и вынужденно переселенных лиц на всей территорий Абхазии и восстановления территориальной целостности Грузии»** (იხ. „აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში", ტ. II, გვ. 106). აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩატარებული უკანონო და ანტიკონსტიტუციური არჩევნები დაგმო, ეუთომ 1996 წ. 3 დეკემბრის უმაღლესი დონის შეხვედრაზე ქ. ლისაბონში: „სეპარატისტების დესტრუქციული აქტები, კერძოდ, ლტოლვილებისა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნებისათვის ხელის შეშლა და გადაწყვეტილება გაიმართოს არჩევნები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთში) ძირს უთხრის პოზიტიურ მცდელობას ამ კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების მიზნით" (იხ. „აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში", ტ. II, გვ. 127).

ასევე, დაგმობილ იქნა საქართველოს პარლამენტის და აფხაზეთის არ-ის უმაღლესი საბჭოს მიერ, სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის 2001 წლის 10 მარტს დანიშნული აფხაზეთის რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები": „ცნობილ იქნას უკანონოდ აფხაზეთის თვითმარქვია პრეზიდენტის ვ. არძინბას მიერ 2001 წ. 10 მარტს დანიშნული აფხაზეთის ე. წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები, როგორც საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მორიგი დანაშაულებრივი, არასამართლებრივი და ანტისახელმწიფოებრივი აქტი" (იხ. „აფხაზეთის არ-ის მთავრობა დევნილობაში", თბ., 2001, გვ. 450).

შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთის გამოკლებით) აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ასევე არაკონსტი-

ტუციური იქნება, რადგანაც ამ არჩევნებში მონაწილეობას ვერ (ან არ) მიიღებს დე-ფაქტო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მრავალეროვანი მოსახლეობა. ამასთან ერთად, **საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთის გამოკლებით) ჩატარებული არჩევნების შედეგად არჩეული აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსთვის ლეგიტიმურობის მინიჭება, თანაბარწილად დე-ფაქტო სოხუმის სეპარატისტულ რეჟიმს, ფაქტობრივად, დე-იურეს მდგომარეობაში ჩააყენებს. ორივე შემთხვევაში უგულვებელყოფილია ადამიანის მთავარი უფლება – მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა!**

და ბოლოს: 1994 წ. 10 მარტის დადგენილებით საქართველოს პარლამენტმა დაითხოვა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო. შესაბამისად, **ვერ ვხედავთ ვერანაირ აუცილებლობას, მოხდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს, როგორც პოლიტიკური გვამის, რეანიმაცია.**

ჩვენის თვალსაზრისით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რეალურ აღდგენამდე, ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნების ჩატარებამდე, აფხაზეთის რეალური მმართველობის ორგანო უნდა იყოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2000 წ. 8 დეკემბრის დადგენილებით 1978 წ. 6 ივნისის აფხაზეთის არ-ის კონსტიტუცია შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საქართველოს 1995 წ. 24 აგვისტოს მიღებულ კონსტიტუციასთან. მას ეწოდა „აფხაზეთის ავტონომიური რესპულიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი)" იმისათვის, რომ მოხდეს აფხაზეთის არ-ის უმაღლესი საბჭოს მიერ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსათვის ხელისუფლების ლეგიტიმაცია, აუცილებელია აფხაზეთის არ-ის კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი)" შევიდეს შესწორება. კერძოდ, აფხაზეთის არ-ის კონსტიტუციის მეთერთმეტე თავის, 93-ე მუხლის თანახმად: „აფხაზეთის სახელმწიფო ხელისფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აფხაზეთის უმაღლესი საბჭო. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია წყვეტდეს ყველა საკითხს, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კონსტიტუციით აფხაზეთის გამგებლობას განეკუთვნება" (იხ. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა დევნილობაში", თბ., 2000, გვ. 438). აქედან გამომდინარე შემოგვაქვს წინადადება აფხაზეთის არ-ის კონსტიტუციის 93-ე მუხლის პირველი

და მეორე აბზაცი შემდეგნაირად ჩაიწეროს: აფხაზეთის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა – აფხაზეთის მინისტრთა საბჭო – აფხაზეთის მთავრობა.

**აფხაზეთის არ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დაინიშნოს პრეზიდენტის განკარგულებით. აფხაზეთის მინისტრთა საბჭო გადავიდეს უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის აპარატის დაქვემდებარებაში.**

ხელისუფლების ლეგიტიმაციის შემდეგ აფხაზეთის უმაღლესი საბჭო დაშლილად გამოცხადდეს (1994 წ. 10 მარტის საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე:

1. დათხოვნილ იქნას აღნიშნული კანონის საფუძველზე არჩეული აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო.

2. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს წევრებს მოუხსნათ სადეპუტატო იმუნიტეტი (იხ. „აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში", ტ. I, გვ. 321).

აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ განახორციელოს კარდინალური ცვლილებები:

1. განხორციელდეს გაბერილი სამინისტროების და დეპარტამენტების შეკვეცა-ლიკვიდაცია;

2. გაუქმდეს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო. მისი ფუნქციები გადაეცეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შესაბამის სტრუქტურებს.

3. გაუქმდეს საგანგებო საქმეთა სამინისტრო („ურმის მეხუთე თვალი"). მისი ფუნქციები გადაეცეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შესაბამის სტრუქტურებს.

4. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით ყველა საერთაშორისო თუ რეგიონალური დონის მოლაპარაკებებზე უპირობოდ წარმოდგენილ იქნას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურები.

5. გადატანილ იქნას აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ძალოვანი სტრუქტურები კოდორისა და კონფლიქტისპირა რაიონებში.

6. კონფლიქტისპირა რაიონებში, ძირითადად კი, დევნილ მოსახლეობისაგან ჩამოყალიბდეს სამხედრო ბატალიონები, აღჭურვილი თანამედროვე სამხედრო შეიარაღებით. ეს ხელს შეუწყობს აფხაზეთის ქართველებში მეომრული სულისკვეთებისა და ბრძოლისუ-

ნარიანობის ამაღლებას.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ, რომელიც უნდა დაკომპლექტდეს ჯანსაღი ეროვნული ძალებით, თავისი საქმიანობა უნდა წარმართოს ძირითადად სამი მიმართულებით:

**იდეოლოგიური ფრონტი.**

1. აფხაზურ სეპარატიზმს სახელმწიფო დონეზე უნდა გამოეცხადოს ჯვაროსნული ომი. უნდა გავითვალისწინოთ ისიც რომ რუსეთს, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრს, დიდხანს ექნება ზეწოლის ბერკეტები აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში. შესაბამისად, რუსეთი, **აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგიურ დოქტრინას-„ეთნიკური მკვიდრობის ფაქტორი“** იყენებს, როგორც პროპაგანდისტულ იარაღს ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ჩანაფიქრი გასაგებია: უნდა მოხდეს საქართველოს დამოუკიდებლობის დისკრედიტაცია (რომელიც თითქოსდა ებრძვის აფხაზთა ეროვნულ თვითგამორკვევას?!). ყოველივე ეს დასავლეთის მიერ მართვადი კავკასიის, როგორც ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცის, ჩამოყალიბების წინააღმდეგ არის მიმართული. აკადემიურ დონეზე უნდა მომზადდეს ფუნდამენტური ნაშრომი: „აფხაზები-ვინ არიან ისინი?!“ ნაშრომში ხაზგასმულად იქნება ნათქვამი, რომ ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობა მხოლოდ ქართველური ტომებია (მეგრელ-ჭანები და სვანები), ხოლო აფხაზები მიგრანტი მოსახლეობაა, მოსული ჩრდ. კავკასიიდან XVII ს-ში.

ნაშრომი უნდა ითარგმნოს ევროპულ და აღმოსავლურ ენებზე.

2. დანაშაულებრივია ჩვენი ხელისუფლების მხრიდან ე.წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის რუსეთ-ჩეჩნეთის ომის რანგში აყვანა. საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ რუსეთ-ჩეჩნეთის ომს უნდა მისცეს პოლიტიკური შეფასება: ეს არ არის ცენტრალური ხელისუფლების ბრძოლა ტერიტორიზმის წინააღმდეგ, არამედ ეს არის ჩეჩენი ხალხის ორსაუკუნოვანი ბრძოლა რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

3.ოფიციალურ დონეზე აფხაზური მოძრაობა გამოცხადდეს რუსეთის მიერ მართვად პროიმპერიულ ძალად, რომლის მიზანია საქართველოს და, შესაბამისად, ჩრდ. კავკასიის ხალხთა რუსეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში შენარჩუნება; ეს დიდი ხნით მოწყვეტს კავკასიას დასავლეთის გეოპოლიტიკური ორბიტიდან.

**ძალოვანი სტრუქტურები.**

აფხაზეთის დევნილი მოსახლეობიდან საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბება, რომელიც ძირითადად განლაგდება ფრონტისპირა რაიონებში. შეკვეცილი თუ გაუქმებული აფახაზეთის მინისტრთა საბჭოს სტრუქტურების და დაშლილი უმაღლესი საბჭოსათვის განკუთვნილი და, შესაბამისად, გამონთავისუფლებული თანხები მოხმარდეს ოფიცერთა და ჯარისკაცთა სოციალური და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისას.

2. ეთხოვოს აშშ-ის შესაბამის სტრუქტურებს მოამზადონ კომანდოს ბატალიონები დევნილი მოსახლეობის რიგებიდან ანტიტერორისტული ოპერაციის ჩასატარებლად აფხაზეთში;

ძირითადად უნდა შეიქმნას სამი ქვედანაყოფი: 1. სამხედრო-საზღვაო დესანტი; 2. სამხედრო-საჰაერო დესანტი; 3. ქვეითი ნაწილი (არტილერია, დივერსიული ჯგუფები და გამნაღმელები). სამივე ქვედანაყოფი იქნება უშუალოდ აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში.

**სოციალური სფერო**

დევნილთა უპირობო და ღირსეულ დაბრუნებამდე აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე, მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე ზრუნვა. დამატებითი თანხების მოძიება ამ კუთხით:

1) საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები;

2) აფხაზეთის გაუქმებული სამთავრობო სტრუქტურებიდან გამონთავისუფლებული თანხები;

3) საქველმოქმედო ორგანიზაციები და პირადი შემოწირებულობა.

და ბოლოს: ე. შევარდნაძის ხელისუფლებამ მიზანმიმართული ანტიხალხური და დაცვედანებული პოლიტიკით აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა რეგიონალური დონემდე დაიყვანა. ე. შევარდნაძის მმართველობის შედეგად საქართველოს დანარჩენი კუთხეებისათვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე მაღლა სოციალური ინტერესები იდგა...

## §3. როგორ „დანიშნა“ ზ. გამსახურდიამ ვ. არძინბა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ?!.

შევარდნაძის რეჟიმმა ზ. გასახურდიას შესახებ არა ერთი მითი შექმნა. მათ შორის „საგულისხმოა“ შეკოწიწებული ამბავი ზ. გამსახურდიას მიერ ვ. არძინბას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარედ „დანიშვნის“ შესახებ. მასმედიის მიერ საზოგადოებაში მისი თანმიმდევრული გავრ-

ცელების შორსმიმავალი მიზანი იმთავითვე ნათელი იყო: ზ. გამსახურდია წარმოჩენილიყო მთავარ დამნაშავედ აფხაზეთის კონფლიქტში. ამ მითის უბერებლობაზე მიუთითებს არა ერთი პუბლიკაცია, რომელიც დროდადრო ქვეყნდებოდა ჩვენი პრესის ფურცლებზე. ზ. გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭოს დეპუტატის ვ. ადამიას აზრით, ვ. არძინბას კანდიდატურა ზ. გამსახურდიას თავს მოახვია ნ. მგალობლიშვილმა. თავად ვ. ადამია ზ. გასახურდიას ლ. მარშანიას კანდიდუტარს სთავაზობდა, რომელსაც ბ-ნი ზვიადი, თურმე, დაუსაბუთებლად უარყოფდა (იხ. გაზ. „ალია საქართველოდან", 1995, ნ33). ყოფილი პრემიერ-მინისტრის თ. სიგუას აზრით, ვ. არძინბა მ. ომანიძის კანდიდატურა იყო. „არძინბას მიმართ რომ უარყოფითი განწყობა მქონდა, – წერს თ. სიგუა, – ზ. გამსახურდიამ იცოდა. ამიტომ ის და მისი გუნდი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ აფხაზეთის საკითხთან მიმართებაში იზოლაციაში ვყოფილიყავი" (იხ. გაზ. „ვერსია", 2002 წ. ნ60). საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ყოფილი რექტორის ნ. ქარქაშაძის შეხედულებით, ზ. გამსახურდია შეცდომაში მაშინ შეიყვანეს, როდესაც ურჩიეს ვ. არძინბას „დანიშვნა" აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარედ. „ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი წევრი, – წერს ნ. ქარქაშაძე, – ბ. ადლეიბას საქართველოს მტრად მიიჩნევდა. მაგრამ მე ვხედავდი, რომ უფრო დიდი მტერი (ე. ი. არძინბა – ხაზი ჩვენია) მოდიოდა" (იხ. გაზ. „ჯორჯიან თაიმსი", 2002 წ. ნ32; გაზ. „ვერსია", 2002 წ. ნ60). ჩვენ, ხშირ შემთხვევაში, მოწმენიც და თანამონაწილენიც ვიყავით იმ პოლიტიკური პროცესებისა, რომელიც იმხანად დატრიალდა აფხაზეთში. ზ. გამსახურდიას მისამართით პრესაში აგორებულმა ცილისმწამებლურმა კომპანიამ ჩვენში პროტესტის გრძნობა გამოიწვია. ომის ქარცეცხლს შემთხვევით გადარჩენილი ფურცლები მოვიძიე, სადაც შეუმცდარი სიზუსტით მქონდა დაფიქსირებული ვ. არძინბას „დანიშვნასთან" დაკავშირებული ყველა დეტალი. ამასთან ერთად, ხსენებული ისტორიული მოვლენის უშუალო მონაწილეებსაც შევხვდი; ზოგიერთი ფაქტი გადავამოწმე კიდეც და მაქსიმალურად შევეცადე, იმ დრამატული პერიოდის რეალური სურათი აღმედგინა.

იყო თუ არა ვ. არძინბას „დანიშვნა" ზ. გამსახურდიას და-

ქინებული მოითხოვნის შედეგი? ან იყო კი ის იძულებული, აფხაზეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ანგარიში გაეწია გარეშე ძალებისათვის და კონფრონტაციაზე არ წასულიყო მოსკოვთან?!

1990 წ. 22 ნოემბერს ზ. გამსახურდია დაუკავშირდა ნ. მგალობლიშვილს და მასთან გადაუდებელი შეხვედრა მოითხოვა. 23 ნოემბერს ზ. გამსახურადიამ მიიღო ნ. მგალობლიშვილი და განაცხადა, რომ მ. ომანიძის მეშვეობით მასთან შეხვედრას ითხოვდა ბ.ადლეიბა. შემდეგ საუბარში ჩაერთო მ. ომანიძე. მან განაცხადა, რომ სოხუმში ყოფნისას მას დაუკავშირდა ბ. ადლეიბა, აფხაზეთის ასსრ საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი. მან (ბ.ადლეიბამ) გადასცა მ. ომანიძეს კონფიდენციალური ინფორმაცია, რომ დღის წესრიგში დგას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ვ. არძინბას არჩევის საკითხი. მ. ომანიძემ ზ. გამსახურდიას ასევე გადასცა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბ. ადლეიბა მზად იყო ქართულ მხარესთან დიალოგზე. ზ. გამსახურდია დაინტერესდა, თუ როგორი იყო აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოს შემადგენლობა. ზ. გამსახურდიას მოახსენეს, რომ აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭო 140 დეპუტატისგან შედგებოდა. მათ შორის, აფხაზი – 57, ქართველი – 54, სხვა ეროვნების – 29. ძალთა ბალანსი აშკარად აფხაზების მხარეზე იყო, რადგანაც აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარის ასარჩევად აუცილებელი იყო, ყველაზე მცირე, 71 დეპუტატი. და კიდევ ერთი: თუ აფხაზეთის უს-ს ქართველი დეპუტაცია, ძირითადად მეჩაიეებით, მექანიზატორებით და მწველავებით იყო დაკომპლექტებული, აფხაზი დეპუტაციის ძირითადი ნაწილი ინტელიგენციას წარმოადგენდა და კარგად იყო გაწაფული პოლიტიკური თამაშების ხელოვნებაში. აფხაზეთში შექმნილი ექსტრემალური სიტუაციიდან გამომდინარე, ზ. გამსახურდია დათანხმდა ბ. ადლეიბასთან შეხვედრას, რისი ორგანიზებაც ბ-ნი ზვიადის მითითებით დაევალა ნ. მგალობლიშვილს და მ. ომანიძეს.

**კომენტარი პირველი. ცხადია, რომ აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარის პოსტზე ვ. არძინბას „დანიშვნის" ინიციატივა არ მოდიოდა ზ. გამსახურდიასაგან. ეს იყო აფხაზური მხარის მოთხოვნა!**

შემდგომში ზ. გამსახურდია დაინტერესდა ვ. არძინბას

პიროვნებით. უარესი კანდიდატურა აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარის პოსტზე წარმოუდგენელია, დაასკვნა ნ. მგალობლიშვილმა. ოზგანზე უარესია?! – გაიკვირვა ბ-ნმა ზვიადმა? ოზგანს შემწვარ-მოხრაკულს ვიცნობთ, ვ. არძინბა კი ამოუცნობი სფინქსია და რას გვიქადის მომავალში, ბურუსით არის მოცული, – შენიშნა ნ. მგალობლიშვილმა. საბოლოო შეფასება ზ. გამსახურდიამ გააკეთა: რაღაზე ვიმარჩიელოთ, ბ. ადლეიბასთან საუბარი ბევრ რამეში გაგვარკვევს. ამით დასრულდა პირველი შეხვედრა ზ. გამსახურდიასთან და საუბარი აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარის მომავალი კანდიდატურის შესახებ.

**კომენტარი მეორე. ფაქტია, რომ პირველი ინფორმაცია არძინბას აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარის საკარაუდო კანდიდატურის შესახებ მოდიოდა ბ. ადლეიბასაგან და არა მ. ომანიძესგან, როგორც ამას ვარაუდობს თ. სიგუა.**

სოხუმში ბ. ადლეიბას ოჯახში პირველ შეხვედრას ესწრებოდნენ: ნ. მგალობლიშვილი, მ. ომანიძე და ოჯახის უფროსი. ჩემთვის აფხაზეთი სულერთი არ არის. იმისთვის, რომ ბევრი პრობლემა თავიდან ავიცილოთ, განვმუხტოთ სიტუაცია და არ დავუშვათ ქართულ-აფხაზური დაპირისპირება, მე გადავწყვიტე ქართულ მხარესთან თანამშრომლობა, რადგანაც არძინბას არჩევა აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარედ ფაქტობრივად გადაწყვეტილია, – დაასკვნა ბ. ადლეიბამ. ბუნებრივია, რომ ვ. არძინბას არჩევა აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარის პოსტზე, – გააგრძელა საუბარი ბ. ადლეიბამ, – ქართული მხარისთვის მიუღებელი იქნება, რაც, სავარაუდოდ, გამოიწვევს ქართულ-აფხაზური დაპირისპირების უკიდურესად დაძაბვას. ეს კი ისედაც ფეთქებად აფხაზეთში კატასტროფის ტოლფასი იქნება. ბ. ადლეიბამ ვ. არძინბას აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარედ არჩევის მექანიზმი, აფხაზეთის უს-ს ეთნიკური შემადგენლობიდან გამომდინარე დამაჯერებლად ახსნა (57 აფხაზი, 54 ქართველი და 29 სხვა ეროვნების). ლ. მარშანიასაგან განსხვავებით (ვ. ადამიას საკარუდო კანდიდატურა?!), ვ. არძინბა იყო აფხაზეთის არ-ის უს-ს წევრი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვ. არძინბას გარდა აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარის პოსტზე იყო სხვა კანდიდატურებიც: 1. ს. ტარკილი – გუდაუთის აღმასკომის თავმჯდომარე, აშკარად გამოკვეთილი პროთურქული ორიენტაციის აფხაზი; 2.

ტ. შამბა – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, სსრკ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის პარტორგანიზაციის მდივანი, აშკარად გამოკვეთილი პრორუსული ორიენტაციის აფხაზი; 3. ბ. შინკუბა – მწერალი; 4. ბ. ტარბა – აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი; 5. შ. აჯინჯალი – მწერალი, გამომცემლობა „ალაშარას" დირექტორი.

ბ. შინკუბამ ზ. გამსახურდიასთან სატელეფონო საუბარში განაცხადა: თუ გინდათ აფხაზეთში სტაბილური სიტუაცია იყოს, უნდა ავირჩიოთ ვ. არძინბა, მეც ყველაფერში დაგეხმარებით. ბ.ტარბასა და შ.აჯინჯალის კანდიდატურები იმთავითვე მოიხსნა, რადგანაც აფხაზური რადიკალური ისტებლიშმენტი მათ ნაკლებად უჭერდა მხარს. ვ. არძინბაზე საბოლოო არჩევანის გაკეთებამ დღის წესრიგიდან მოხსნა ს. ტარკილის და ტ. შამბას კანდიდატურებიც.

ბ. ადლეიბამ საკმაოდ დეტალურად ისაუბრა იმის შესახებაც, თუ როგორ დაიძაბებოდა სიტუაცია ავტონომიურ რესპუბლიკაში ვ. არძინბას უს-ს თავმჯდომარის პოსტზე დანიშვნის შედეგად. ამ რთულ სიტუაციაში, განმარტა ბ. ადლეიბამ, მართებული იქნება, ვ. არძინბას მხარი დაუჭიროს ქართულმა დეპუტაციამ, რაც გახდება ქართულ-აფხაზური დიალოგის საფუძველი. თუ წავალთ აშკარა დაპირისპირებაზე, ვ. არძინბა მაინც იქნება არჩეული აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარედ, ქართულ-აფხაზური დიალოგი კი ჩაიშლება. ნ. მგალობლიშვილი დაინტერესდა, იცნობდა თუ არა ბ. ადლეიბა პირადად ვ. არძინბას. საკმაოდ კარგად ვიცნობ, – უპასუხა მან, – ვ. არძინბა არის მართვადი, **"Но он непредсказуем "?!** ამის შემდეგ ადლეიბამ საუბარი გადაიტანა საკუთარ პოლიტიკურ კარიერაზე. ის თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. მომხსნეს, როგორც დამნაშავე, ქართველთმოძულე, – აღშფოთებას ვერ მალავდა ბ. ადლეიბა, – მე კი ის პიროვნება არა ვარ, ვისაც აფხაზეთი საქართველოს გარეშე წარმოუდგენია. მინდა ისევ დავუბრუნდე დიდ პოლიტიკას, დაასკვნა ბ. ადლეიბამ. მან ჩამოაყალიბა საკუთარი ვერსია პოლიტიკაში ხელახალი დაბრუნების შესახებ. ვ. არძინბას უს-ს თავმჯდომარედ არჩევის პარალელურად ბ. ადლეიბა ითხოვდა მის ხელახლა დაბრუნებას აფხაზეთის ასსრ-ის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე. მისი მტკიცებით, უს-ს თავმჯ-

დომარის პოსტზე არჩევის შემთხვევაში ვ. არძინბას პირადად გააკონტროლებდა. ბ. ადლეიბა მართალი იყო! მისი კლანი უძლიერესი იყო აფხაზეთში. სახელისუფლებო ორგანოებში ადლეიბას კლანის წევრები საკმარისად იყვნენ წარმოდგენილნი და, შესაბამისად, ფლობდნენ ვ.არძინბაზე ზემოქმედების სერიოზულ ბერკეტებს. ნ. მგალობლიშვილი დაინტერესდა, თუ რა მექანიზმით იყო შესაძლებელი ბ. ადლეიბას ხელახალი არჩევა აფხაზეთის არ-ის საოლქო კომიტეტის მდივნად. არადა, მექანიზმი მარტივი ყოფილა: აფხაზეთის საოლქო კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის ჩატარება; ამასთან, ხიშბას გადაყენება საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან. სწორედ აქ ითხოვდა ბ. ადლეიბა ქართული მხარისგან დახმარებას (პლენუმის ორგანიზება, საოლქო კომიტეტის ქართველი წევრების მხარდაჭერა). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავად ხიშბა ითხოვდა პირველი მდივნის თანამდებობიდან წასვლას, რადგანაც მისი ყოფნა არ-ში მიუღებელი იყო რადიკალური აფხაზური მოძრაობის ლიდერებისათვის. ბოლოს ბ. ადლეიბამ დაამატა, რომ უახლოეს მომავალში შეიქმნებოდა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, რომლის პრეზიდენტად ის აირჩევდა ვ. არძინბას და, შესაბამისად ჩამოაცილებდა მას საკანონმდებლო საქმიანობას.

ნ. მგალობლიშვილმა შესთავაზა ბ. ადლეიბას, თავად მას ეყარა კენჭი აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარის თანამდებობაზე. ბ. ადლეიბამ კატეგორიულად განაცხადა, რომ ეს შეუძლებელია. მაგრამ ამის შესახებ მას სხვა კომენტარი არ გაუკეთებია. თუ შეიძლება იყოს სხვა კანდიდატურა, – ჩაეძია ნ. მგალობლიშვილი. ეს გადაწყვეტილია, – განაცხადა ბ.ადლეიბამ, აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარის პოსტზე არძინბას წინააღმდეგ არც ერთი აფხაზი არ წავა. ბ. ადლეიბასთან პირველი შეხვედრა ამით დასრულდა.

ბ. ადლეიბასთან შეხვედრის თითოეული დეტალის შესახებ მოახსენეს ბ-ნ ზ. გამსახურდიას. კონფრონტაციის თავიდან აცილების მიზნით ზ. გამსახურდია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოძებნილიყო კომპრომისული ვარიანტი, ე. ი. არძინბას არჩევა უს-ს თავმჯდომარის თანამდებობაზე სასიკეთო ნაბიჯი უნდა ყოფილიყო ქართული მხარესათვის. მ. ომანიძემ წამოაყენა წინადადება: თუ ვ. არძინბას არჩევა გარდუვალია, მაშინ მისი

არჩევის პარალელურად უნდა შეიქმნას აფხაზეთში ქართული ინტერესების დაცვის მექანიზმი. ეს უნდა მოხდეს აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის სახით. ამ ცვლილებების და დამატების მიხედვით ყველა მნიშვნელოვანი საკითხი (ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა, რესპუბლიკის სტატუსის განსაზღვრა, მთავრობის არჩევა და ა. შ.) უნდა გადაწყვეტილიყო უს-ს დეპუტატთა ორი მესამედის მიერ. ასევე, გათვალისწინებული იყო ბ. ადლეიბას თვალსაზრისი აფხაზეთში არჩევნების ჩატარების აუცილებლობის შესახებ. ზ. გამსახურდიამ მოითხოვა იურისტთა ჯგუფის შექმნა და მისი სასწრაფო ჩართვა ქართულ-აფხაზურ დიალოგში. ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ევალებოდა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) ცვლილებების და დამატებების მომზადება. ბ. ადლეიბამ აფხაზური მხარიდან მოიწვია ბ. შინკუბა, ვ. არძინბა, რომელსაც მოჰყვა ა. ჯერგენიაც. ქართულ მხარეს წარმოადგენდა – ლ. ალექსიძე, მ. გამზარდია, ა. დემეტრაშვილი. ამ ჯგუფმა მოამზადა კანონთა პაკეტი საკონსტიტუციო ცვლილებებში შესატანად, რომელიც პროექტის სახით დაიბეჭდა 1990 წ. 10 ნოემბერს გაზეთ „აფხაზეთის ხმაში" ვ. არძინბას არჩევასთან ერთად აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, დაამტკიცა 1990 წ. 4 დეკემბერის აფხაზეთის ასსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეათე სესიის მორიგმა სხდომამ.

ვ. არძინბას „დანიშვნა" აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარის თანამდებობაზე პირდაპირ კავშირშია 1990 წ. 4 დეკემბერს დანიშნულ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმთან. ამ პლენუმზე, ქართულ მხარესთან შეთანხმებით, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად უნდა აერჩიათ ბ. ადლეიბა. ქართველთა გათვლით, ბ. ადლეიბას არჩევას ძალთა ბალანსი უნდა აღედგინა ვ. არძინბას პროსეპარატისტულ და ბ. ადლეიბას პროქართულ მხარეებს შორის. ბ. ადლეიბამ კარგად იცოდა, რომ მოსკოვი მასზე გათვლას არ გააკეთებდა. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე მოსვლის

დღიდან ის დაუფარავად უპირისპირდებოდა იმ სეპარატისტულ ძალებს, რომელნიც აფხაზეთის რუსეთთან მიერთებას მოითხოვდნენ. ამიტომაც, ანტიქართულად განწყობილი ძალები მის კანდიდატურას აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარის თანამდებობაზე მხარს არ დაუჭერდნენ. შესაბამისად, ბ. ადლეიბამ სწორი გათვლა გააკეთა: მან წინააღმდეგობა არ გაუწია ვ. არძინბას არჩევას აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარის პოსტზე, რათა თავისი საბოლოო მიზანი არ გამოემჟღავნებინა. უფრო მეტიც: მან შუამავლის როლი ითამაშა აფხაზურ რადიკალურ ძალებსა და ზ. გამსახურდიას შორის ვ. არძინბას არჩევასთან დაკავშირებით; ბ. ადლეიბამ აფხაზურ მხარესთან მიაღწია შეთანხმებას იმასთან დაკავშირებით, რომ ის დაბრუნდებოდა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე. რასაკვირველია, აფხაზურ მხარეს სერიოზული დაეჭვების საფუძველი რომ არ მისცემოდა, ბ. ადლეიბას უნდა მოეტანა ისეთი არგუმენტი, რომელიც მისაღები იქნებოდა საპირისპირო მხარისთვის. ბ. ადლეიბამ ამ შემთხვევაში მისთვის გროსმაისტერული სვლა გააკეთა. ქართული მხარის ინტერესებიდან გამომდინარე მან ვ. არძინბას პირველს ათქმევინა, რომ უს-ს თავმჯდომარედ არჩევის შემთხვევაში, ის იმთავითვე დატოვებდა პარტბილეთს და დაშლიდა აფხაზეთის პარტორგანიზაციას. თავის მხრივ, ვ. არძინბა რევერანსს უკეთებდა ზ. გამსახურდიას, რომელმაც ჯვაროსნული ომი გამოუცხადა საქართველოს ცკ და პარტიულ ორგანიზაციას. ვ. არძინბას გათვლით, ანტიკომუნისტური განწყობილება ავტორიტეტს მოუპოვებდა მას ზ. გამსახურდიას თვალში, რომლის მხარდაჭერა ვ. არძინბას მაშინ ძალიან სჭირდებოდა. ეს ნიუანსიც გათვალა ბ. ადლეიბამ და ვ. არძინბას პოლიტიკური კეკლუცუობით ისარგებლა. ბ. ადლეიბამ თავისი სათქმელი ვ. არძინბას ათქმევინა, რითაც აფხაზური მოძრაობის რადიკალურ ფრთას დაეჭვების საფუძველი ჩანასახშივე მოუსპო. ქართულ მხარესთან შეხვედრის დროს, როდესაც ვ. არძინბამ განცხადება გააკეთა მისი პარტიიდან გასვლისა და პარტორგანიზაციის დაშლის შესახებ, ბ. ადლეიბამ განაცხადა: კომპარტიის როლი წარსულს ჩაბარდა, საქართველოში მიმდინარე პროცესები კი მოითხოვს, სერიოზულად გადაიხედოს ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა. ბ. ადლეიბამ, ამასთან,

მოითხოვა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტი, რათა მას საშუალება მისცემოდა, თანმიმდევრულად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე დაეშალა აფხაზეთის პარტიული ორგანიზაცია. ვ. არძინბა და ქართული მხარე შეთანხმდნენ, რომ 1990 წ. 4 დეკემბერს ჩატარდებოდა აფხაზეთის ასსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეათე სესიის მორიგი სხდომა, რომელიც ვ. არძინბას აირჩევდა უს-ს თავმჯდომარედ. პარალელურად ჩატარდებოდა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საგანგებო პლენუმი, რომელიც გაანთავისუფლებდა ხიშბას და აირჩევდა ბ. ადლეიბას.

მაგრამ 1990 წ. 4 დეკემბერს დანიშნული პლენუმი ჩაიშალა, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ავტონომიურ რესპუბლიკაში სეპარატისტული ძალების გამარჯვების საქმეში. რატომ ჩაიშალა პლენუმი? ვინ იყო ჩაშლის ინიციატორი? თუ ისევ და ისევ თავი იჩინა ქართული ხასიათისთვის ასე ნიშანდობლივმა უდარდელობამ?! ქართველთა მიერ პლენუმის დანიშვნის სცენარი გათვლილი და შეთანხმებული იყო აფხაზურ მხარესთან. აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარედ ვ. არძინბას არჩევის შემდეგ, მასვე შეხვედრის მონაწილეებისათვის უნდა გაეცნო ოჩამჩირელ დეპუტატთა წინადადება – 4 დეკემბერს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის ჩატარების აუცილებლობის შესახებ. ამაზე, ვ. არძინბას უს-ს სესიაზე თავისი ოფიციალური დასტური უნდა მიეცა. პლენუმის ჩატარების ორგანიზაცია დაევალა პ. ქვაჩახიას. ოჩამჩირელ დეპუტატთა წინადადება, მართლაც წაიკითხა ვ. არძინბამ. მაგრამ მან, როგორც ამას წინასწარი შეთანხმება მოითხოვდა, არ მისცა თავისი ოფიციალური დასტური; მეტიც: არ მოუწოდა აფხაზურ მხარეს დასწრებოდა პლენუმს. პირიქით: ვ. არძინბამ წაიკითხა რა ოჩამჩირიდან არჩეული დეპუტატების წინადადება საოლქო კომიტეტის პლენუმის ჩატარების შესახებ, ირონიულად განაცხადა: ეს ჩემი საქმე არ არის. ბ. ადლეიბაზე ამ ფაქტმა იმდენად მძიმედ იმოქმედა, რომ ძალიან მალე მოსკოვში ის გულის ინფარქტით გარდაიცვალა.

და მაინც: რატომ ჩაიშალა პლენუმი?!

**ვარაუდი პირველი.** ვ. არძინბამ და რადიკალურად განწყობილმა აფხაზურმა ფრთამ იმთავითვე განჭვრიტა ბ. ადლეიბას და ქართული მხარის ჩანაფიქრი. არავისთვის არ იყო უცხო ის გარე-

მოება, რომ ბ. ადლეიბას კლანი სრულ კონტროლს უწევდა ოჩამჩირის აფხაზობას, რომელიც მთელი აფხაზი ერის 40%-ს შეადგენდა. ამასთან ერთად, ბ. ადლეიბა იყო ფრიად სასურველი და მისაღები პიროვნება აფხაზეთის ქართველობისათვის. აქედან გამომდინარე, ბ. ადლეიბას, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში, შეეძლო სრულ კონტროლზე ჰყოლოდა ვ. არძინბა და დაეცვა დაპირისპირებულ ძალთა ბალანსი რესპუბლიკაში. ბ. ადლეიბა მთავარ აქცენტს აკეთებდა არჩევნებზე; მას უნდა შეერბილებინა წინააღმდეგობა ქართულსა და აფხაზურ მხარეებს შორის, რაც კონსტრუქციული ურთიერთობების მყარი გარანტი გახდებოდა. ბ. ადლეიბას გათვლა შორსმჭვრეტელური გახლდათ. საქმე იმაში იყო, რომ ამ დროისათვის აფხაზეთის ასსრ უს-ს უფლებამოსილება ვადაგასული იყო. საქართველოს სსრ XI მოწვევის უმაღლესმა საბჭომ აფხაზეთის უს-ს უფლებამოსილება უვადოდ გაუგრძელა, რაც ავტონომიურ რესპუბლიკაში დესტაბილიზაციისთვის მყარ ნიადაგს ქმნიდა. კონფრონტაციის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელი გახდა აფხაზეთის უს-ს უფლებამოსილების განსაზღვრა და მისი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან შესაბამისობაში მოყვანა. ეს კი დღის წესრიგში აყენებდა აფხაზეთის უს-ს არჩევნების ჩატარების აუცილებლობას. იგი ორივე მხარისთვის მისაღები უნდა ყოფილიყო, როგორც ქართულ-აფხაზური დაპირისპირების თავიდან აცილების გარანტი. ბ. ადლეიბას კლანი, რომელიც, ფაქტობრივად სრულ კონტროლს უწევდა ოჩამჩირის აფხაზობას, არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, აფხაზეთის უს-ში ოჩამჩირედან თავის მომხრეებს გაიყვანდა. ეს სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ ბ. ადლეიბას ქართველ დეპუტატებთან ერთად აფხაზეთის უს-ში ხმათა უმრავლესობა ჰქონოდა. მოკლედ, ბ. ადლეიბას კლანს, რომელიც მაშინ აფხაზეთის არ-ის სახელმწიფო სტრუქტურებში საკმარისად იყო წარმოდგენილი, ბ. ადლეიბას აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩევის შემთხვევაში, ვ. არძინბაზე მართვის და მასზე ზეწოლის მყარი ბერკეტები ექნებოდა ხელთ. პლენუმის ჩაშლით კი ვ. არძინბამ და აფხაზურმა რადიკალურმა ფრთამ მოიცილა მისთვის ფრიად არასასურველი და ძლიერი პოტენციის მქონე ოპოზიცია ბ. ადლეიბას

სახით. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვ. არძინბას იმთავითვე მზაკვრული ჩანაფიქრი ჰქონდა. მან მიამიტის პოზა დაიკავა: თითქოსდა ამ გარდამავალ პერიოდში მას გაუჭირდებოდა აფხაზეთის არ-ის მართვა და მზად იყო ბ. ადლეიბას საოლქო კომიტეტის მდივნად არჩევის შემთხვევაში, დათანხმებულიყო აფხაზეთის არ-ის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობას. მაგრამ გადამწყვეტ სიტუაციაში ბ. ადლეიბას არჩევის საკითხი ვ. არძინბამ საკუთარი პასუხისმგებლობიდან მოიხსნა, აქაოდა, პლენუმის ჩატარება აფხაზეთის კომუნისტების პრეროგატივა არისო!.. **ბ. ადლეიბას გარდაცვალებით, ფაქტობრივად ჩატყდა ის ერთადერთი ხიდი, რომელიც უკიდურესად ანტიქართულ მხარესთან გვაკავშირებდა. შესაბამისად, დაიშალა ბ. ადლეიბას ძლიერი კლანიც, რომლის წევრები (ძირითადად, პროქართული ორიენტაციის) ლიდერის არყოლის გამო „აიდგილარას" გავლენის ქვეშ მოექცნენ და, ნებსით თუ უნებლიედ, ანტიქართულ ფერხულში ჩაებნენ.**

**ვარაუდი მეორე.** ვერც თბილისმა და ვერც აფხაზეთში მოქმედმა ეროვნულმა ძალებმა მთელის სერიოზულობით ვერ გაითავისეს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმის ჩატარების მნიშვნელობა. პლენუმის ჩატარების პასუხისმგებლობა ეროვნულმა ძალებმა საკუთარ თავზე არ აიღეს და იგი მთლიანად გადააბარეს აფხაზეთის ქართულ პარტიულ ნომენკლატურას. ეროვნული ძალების მხრიდან პლენუმის ჩატარებისადმი ასეთი ზედაპირული დამოკიდებულება შეიძლება აიხსნას სხვადასხვა მიზეზებით: ზ. გამსახურდიას პოლიტიკური რეიტინგისთვის წამგებიანი იყო, რომ ეროვნულ ძალებს აფხაზეთში კომპარტიის რეანიმაციისათვის აშკარად დაეჭირა მხარი (ბუნებრივია, ფართო საზოგადოებისათვის ბოლომდე ვერ გაცხადდებოდა ბ. ადლეიბას საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩევის სამომავლო გეგმა?!). ამ ფაქტს, ე. წ. ოპოზიცია გამოიყენებდა ისევ ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ;

**ვარაუდი მესამე.** პლენუმი ჩაიშალა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ქართველი პარტიული ნომენკლატურული მუშაკების მიერ საქმისადმი არასახელმწიფოებრივი მიდგომის გამო.

ზ. გამსახურდია საერთოდ ვერ ხედავდა აფხაზეთის ქართული პარტიული ნომენკლატურის ადგილს აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. უფრო მეტიც, ზ. გამსახურდიამ ღირსა-

დაც არ ჩათვალა აფხაზეთის ქართული პარტიული ნომენკლატურა. ჩაერთო ისინი ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში;

საქართველოს კომპარტია და ცკ აფხაზთა მხრიდან მოსალოდნელი უკმაყოფილების თავიდან აცილების, სინამდვილეში კი, კრემლისადმი მაამებლური ინტერესებისა და, შესაბამისად, საკუთარი სტატუს-ქვოს შენარჩუნების საბაბით, თბილისიდან აფხაზეთში აგზავნიდა საეურისს კადრებს. აფხაზეთის ქართული პარტიული ნომენკლატურა იმთავითვე ექცეოდა აფხაზური ეთნოკრატიის ზეგავლენის ქვეშ, მისი პოლიტიკური ნების უსიტყვო და მორჩილ მხარედ. პარტიული ელიტა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაღლა პირადულს აყენებდა. ამაში გამოიხატებოდა მისი ცნობიერების დაცვედანება.

ცნობილ „ლიხნის წერილს" ბ. ადლეიბა გადააყოლეს. აფხაზეთის ქართველობამ ისე გასწირა ბ. ადლეიბა, რომ პლენუმზე ერთი სიტყვაც არ დასცდენია მის დასაცავად. მათ ვერ გაბედეს, ჯ. პატიაშვილსათვის ეთქვათ სიმართლე. აფხაზეთის ქართულმა მხარემ კარგად იცოდა, რომ „ლიხნის წერილის" შეთითხვნაში ბ. ადლეიბას ხელი არ ერია. ბ. ადლეიბა ფაქტის წინაშე დააყენეს და ექსცესების თავიდან აცილების მიზნით ის იძულებული გახდა, ხელი მოეწერა ამ მიმართვისათვის. ამასთან ერთად, ბ. ადლეიბამ კარგად იცოდა, რომ ე. წ. „ლიხნის წერილი" არაფერს არ წყვეტდა, ის ფარატინა ქაღალდი იყო. სულ სხვა ამბავია, რომ ქართული მხარე არ უნდა წამოგებოდა კრემლის პროვოკაციას. **ქართულ პარტიულ ელიტას ბ. ადლეიბა სულ მცირე, სამი მიზეზის გამო უნდა დაეცვა: 1. ბ. ადლეიბა მიუღებელი იყო მოსკოვისთვის, მისი პროქართული ორიენტაციის გამო; 2. ბ. ადლეიბა ფლობდა აფხაზ სეპარატისტებზე მართვის და ზეწოლის ბერკეტებს. მთელის პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ ბ. ადლეიბას პიროვნება და მისი კლანი სტაბილურობის გარანტი იყო აფხაზეთში; 3. „ლიხნის წერილის" შემდეგ ბ. ადლეიბა კი არ უნდა მოეხსნათ, პირიქით, უნდა განემტკიცებინათ მისი მისი ხელისუფლება ადგილზე, რათა მას, თბილისის და აფხაზეთის ქართველობის აქტიური მხარდაჭერით, განეხორციელებინა შეურიგებელი ბრძოლა აფხაზური სეპარატიზმის წინააღმდეგ.** მოხდა კი პირიქით. შურისძიების პანიკური შიშით შეპყრობილმა აფხაზეთის ქართულმა პარტიულმა ელიტამ (აქაოდა, ბ. ადლეიბამ ანგარიშს-

წორება არ მოგვიწყოსო) ჩაშალა პლენუმი, რითაც ხელ-ფეხი გაუხსნა აფხაზ სეპარატისტებს ანტიქართული ისტერიის გასაჩაღებლად. შედეგები საყოველთაოდ ცნობილია...

კიდევ ერთი მომენტი, რომელიც თითქოსდა უკავშირდება ვ. არძინბას პოლიტიკაში მოსვლამდე ნ. ქარქაშაძის მიერ გათვლილ პროგნოზს. მისი თქმით, ბ. ადლეიბას თხოვნით, ის სესიის წინა ღამეს, 3 სთ-ზე ეახლა მას ოჩამჩირეში. „ადლეიბამ პირდაპირ მითხრა, – წერს ნ. ქარქაშაძე, – ნაპოლეონ, ხვალ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ არძინბა არ ავირჩიოთ. მისი არჩევით ქართულ-აფხაზური ომი გარდაუვალი გახდება" (იხ. გაზ. „ჯორჯიან თაიმსი", 2002, ნ032). მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ კონკრეტულ სიტუაციაში არანაირი დატვირთვა არ ენიჭებოდა იმ ფაქტს, თუ რა მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ბ. ადლეიბას ნ. ქარქაშაძესთან. მეტიც: ნ. ქარქაშაძეს არანაირი ავტორიტეტი არ ჰქონდა აფხაზეთის ქართულ ეროვნულ მოძრაობაში. იგი იყო საქართველოს ცკ ნომენკლატურული ინტელიგენციის წარმომადგენელი, კომპარტიის ნების უსიტყვო და მორჩილი შემსრულებელი. შესაბამისად, ბ. ადლეიბა, როგორც ფრიად ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი პიროვნება, ნ. ქარქაშაძეზე არ გააკეთებდა არჩევანს. ბ. ადლეიბამ, როგორც კულუარულ პოლიტიკაში კარგად ჩახედულმა პიროვნებამ იცოდა, რომ მხოლოდ აფხაზთა და სხვა ეროვნების რიცხობრივი რაოდენობა თამაშობდა გადამწყვეტ როლს ვ. არძინბას არჩევასთან დაკავშირებით. და შესაბამისად, ნ. ქარქაშაძის სასწრაფო გამოცხადება ოჩამჩირეში ღამის 3 სთ-ზე ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით არც არაფერს ცვლიდა. ბ. ადლეიბა ღამის 3 სთ-ზე ნ. ქარქაშაძეს რომ არ გამოიძახებდა ოჩამჩირეში, ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1990 წ. 4 დეკემბერს, აფხაზეთის უს-ს სესიაზე ერთად ეყარა კენჭი უს-ს თავმჯდომარის თანამდებობაზე ვ. არძინბას არჩევის და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საკითხს. ე. ი. ეს საკითხი (ვ. არძინბას არჩევა) წინასწარ შეთანხმებული იყო ქართულ მხარესთან.

ნ. ქარქაშაძე აცხადებს, რომ მას იმდენი გავლენა ჰქონია ბ. ადლეიბაზე, რომ ეს უკანასკნელი საკადრო საკითხებში „ზოგიერთ კანდიდატურას მასთანაც კი ათანხმებდა"?! (იხ. გაზ. „ჯორჯიან

თაიმსი", 2002, №32). თუ დაეჯერება ნ. ქარქაშაძეს მიერ შეთხზულ ჭითს, იბადება შეკითხვაც: ოჩამჩირეში ღამის 3 სთ-ზე მისულ ნ. ქარქაშაძეს რატომ არ ესაუბრა ბ. ადლეიბა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმის ჩატარების მნიშვნელობაზე? რატომ არ სთხოვა თავის „მეგობარს" აქტიურად დაეშირა მხარი ბ. ადლეიბასთვის, რომ ეს უკანასკნელი აერჩიათ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე?! რატომ ჩაშალა პლენუმი აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს, რომლის აქტიური წევრი გახლდათ აფხაზეთისთვის „თავდადებული" ნ. ქარქაშაძე?! რატომ დუმს ყოველივე ამის შესახებ ბ-ნი ნაპოლეონი?! და საერთოდ, სინამდვილეში რისთვის გამოიძახა ბ. ადლეიბამ ღამის 3 სთ-ზე ოჩამჩირეში ნ. ქარქაშაძე, თუ ასეთ ფაქტს, რასაკვირველია, მართლა ჰქონდა ადგილი?! მივყვეთ ყოველივეს თანმიმდევრულად.

როგორც კი აირჩიეს ვ. არძინბა აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარედ, საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებმა (ვისაც ევალებოდა ძირითადად პლენუმის ორგანიზება?!) – ნ. ქარქაშაძემ, პ. ქვაჩახიამ, რ. სალუქვაძემ დატოვეს სესია. მათ არ დაუცადეს ოჩამჩირელი დეპუტატების მოთხოვნას საოლქო კომიტეტის პლენუმის ჩატარების შესახებ. სადაც მდივნად უნდა აერჩიათ ნ. ქარქაშაძის „მეგობარი" ბ. ადლეიბა?! ეგების, ნ. ქარქაშაძე არ იყო საქმის კურსში? ან იქნებ, ყველაფერი მხოლოდ სესიის დღეს გახდა მისთვის ცნობილი? ამ ვერსიას აქარწყლებს თავად ნ. ქარქაშაძის განცხადება იმის შესახებ, რომ სესიის წინა დღეს ისინი შეიკრიბნენ სოხუმში, ალკა XV ყრილობის სახელობის ტურბაზაში. იქ წყდებოდა ვ. არძინბას არჩევის საკითხი. შეუძლებელია, ნ. ქარქაშაძეს იმ დღეს მაინც არ გაეგო, რომ ვ. არძინბას არჩევის პარალელურად აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე უნდა აერჩიათ მისი „მეგობარი" ბ. ადლეიბა?! შეუძლებელია, ნ. ქარქაშაძეს არ სცოდნოდა, რომ 1990 წ. 10 ნოემბერს გაზ. „აფხაზეთის ხმაში" დაიბეჭდა პროექტი აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, რომელიც ვ. არძინბას და ბ. ადლეიბას არჩევის პარალელურად 4 დეკემბერს უნდა დაემტკიცებინა აფხაზეთის უს-ს?! შეუძლებელია, ნ. ქარქაშაძეს არ სცოდნოდა, რომ სწორედ ეს ცვლილებები და დამატებები აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) იყო ის

დამცავი მექანიზმი, რომელიც ვ. არძინბას არჩევის საფასურად მოსთხოვა ქართულმა დეპუტაციამ აფხაზურ მხარეს. რა დამცავ მექანიზმზეა საუბარი? აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) შეტანილი ცვლილებების და დამატებების მიხედვით ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება (ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შეცვლა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი, რეფერენდუმის ჩატარება ამ საკითხებთან დაკავშირებით, მთავრობის ფორმირება, ასევე, კანონები, რომელიც ეხება საკონსტიტუციო ცვლილებებს და ა. შ.) უნდა მიეღო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ კვალიფიცირებულ უმრავლესობას, ანუ დეპუტატთა ხმების ორ მესამედს! ე. ი. აფხაზური მხარე ქართულ მხარესთან შეთანხმების გარეშე ვერც ერთ მნიშვნელოვან საკითხს ვერ გადაწყვეტდა! ცვლილებები და დამატებები აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) და საარჩევნო კანონი (28+26+11) ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის ნდობის, ტრადიციული ურთიერთობის აღდგენის გარანტად მიაჩნდა ქართულ მხარეს. ზ. გამსახურდია თვლიდა, რომ აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები და საარჩევნო კანონით (28+26+11) შესაძლებელი იქნებოდა რუსული ფაქტორის გეერდის ავლით ქართულ-აფხაზური დაპირისპირების მოგვარება.

მოკლედ, ის რაც იცოდა ტურბაზაში შეკრებილმა ქართულმა დეპუტაციამ, ნუთუ არ იცოდა ნ. ქარქაშაძემ? ხოლო თუ იცოდა (არადა ვალდებული იყო, რომ სცოდნოდა!), რაში დასჭირდა ასეთი ფარსის გათამაშება? იმისთვის ხომ არა, რომ შეენიღბა მისი მთავარი დანაშაული – აფხაზეთის საოლქო კომიტეტის იმ პლენუმის ჩაშლა, რომლის ჩატარების მხარდასაჭერად დაიბარა ნ. ქარქაშაძე მისმა „მეგობარმა" ბ. ადლეიბამ ოჩამჩირეში ღამის 3 სთ-ზე. ნ. ქარქაშაძე თავად გახლდათ მის მიერ დადგმული სპექტაკლის რეჟისორიც, სცენარის ავტორიც და მსახიობიც. მან ყველა ნიუანსი საოცარი სიზუსტით გათვალა. ტურბაზაში ნ. ქარქაშაძემ ცალსახად ითხოვა ზ. გამსახურდიასთან სასწრაფოდ დაკავშირება. მან პრეზიდენტი გააფრთხილა იმ მოსალოდნელი საშიშროების შესახებ არძინბას უს-ს თავმჯდომარედ არჩევას რომ უნდა მოჰყოლოდა აფხაზეთში?! სესიის დაწყების წინ ნ. ქარქაშაძე კიდევ ერთხელ სახალხოდ ითხოვს ზ. გამსახურდიასთან დალაპარაკებას. პრეზიდენტის

გარემოცვა ამჯერად არ უსრულებს მას ამ ოცნებას.

შემდეგ სესიის მსვლელობის პროცესში, ნ. ქარქაშაძე საჯაროდ ისევ გამოთქვამს თავის პროტესტს ვ. არძინბას არჩევასთან დაკავშირებით! ბოლოს კი პროტესტის ნიშნად „დემონსტრაციულად" კიდეც ტოვებს აფხაზეთის უს-ს სესიას... ასეთი როლის გათამაშება ნ. ქარქაშაძეს იმისთვის სჭირდებოდა, რათა „წამებული რაინდის" გვირგვინი დაედგა, ხოლო ამის ფონზე შეენიღბა თავისი დანაშაული. არადა, ნ. ქარქაშაძეს არავინ სთხოვდა გამოსულიყო სესიაზე ვ. არძინბას კრიტიკით. მას ბ. ადლეიბას დავალება უნდა შეესრულებინა პირნათლად. ამასთან, ნ. ქარქაშაძეს როგორც საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრს, პ. ქვაჩახიასთან, რ. სალუქვაძესა და სხვა წევრებთან ერთად უნდა უზრუნველეყო პლენუმზე ქართველი წევრების დასწრების ორგანიზება და პლენუმის ჩატარება, რათა, შეთანხმებისამებრ, ბ. ადლეიბა აერჩიათ საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად. ნ. ქარქაშაძის ავანტიურამ ბ. ადლეიბას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. სულ ორ კვირაში ქართველებისგან მიტოვებული და შეურაცხყოფილი ბ. ადლეიბა ინფარქტით გარდაიცვალა მოსკოვში!!!

**პლენუმის ჩაშლა, ბ. ადლეიბას უდროო გარდაცვალება, რასაც საბოლოო ჯამში მოჰყვა აფხაზური მოძრაობის რეაქციული ფრთის აღზევება აფხაზეთში თავისი ტრაგიკული შედეგებითურთ, ნ. ქარქაშაძისა და აფხაზეთის ქართული პარტიული ნომენკლატურის ზუსტად გათვლილი სვლების შედეგია.**

ზ. გამსახურდიას მიერ ვ. არძინბას „დანიშვნა" აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე, არის ე. შევარდნაძის რეჟიმის მიერ შეთითხნილი ისეთი მითი, რომელიც ვერასდროს უძლებს დროს...

## §4. რატომ წავაგეთ იდეოლოგიური ომი აფხაზეთში

"ჩვენ არ შეგვიძლია მოვითმინოთ არც ჩვენი ნაკლოვანებანი და არც მათი გამოსწორების საშუალებანი"
ტაციტუს ლივიუსი




აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება დიდად იყო დამოკიდებული ხელისუფლების ნებაზე. საგარეო თუ საშინაო ფაქტორები ამ შემთხვევაში მხოლოდ ობერტონის როლს თამაშობდნენ. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების შევარდნაძისეული მოდელის არსი მარტივი იყო: ხელისუფლების მოსალოდნელი დაკარგვის პანიკური შიშით შეპყრობილი პრეზიდენტი ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას ეწეოდა.

იგი საქართველოში ორი სუპერდერჟავის ინტერესების გამომხატველი, მათი ნება-სურვილის უსიტყვო და უპირობო შემსრულებელი იყო. ერთისგან (აშშ) ის დავალებული იყო კრიმინალური პუტჩის შემდეგ ხელისუფლებაში მოსვლით, სისხლიანი ხელისუფლების სრული მხარდაჭერით და მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ იმ ფინანსური დახმარებით, მინიმალურ საარსებო პირობებს რომ უქმნიდა მოსახლეობას; მეორისგან (რუსეთი) ის დავალებული იყო ხელისუფლების შენარჩუნებით, ე.ი. როდესაც, მოსკოვთან შეთ-

ანხმების საფუძველზე მოხდა აფხაზეთის გაცვლა საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ.

ერთის (აშშ) ინტერესები მკაფიო იყო: თანამიმდევრულად, ყოველგვარი ძალდატანებისა და აჩქარების გარეშე საქართველოს ხელით რუსეთი განედევნა კავკასიიდან. მეორის (რუსეთი) ინტერესებიც აშკარა იყო: რაც არ უნდა დაჯდომოდა, შეენარჩუნებინა საქართველოში (შესაბამისად, კავკასიაშიც) თავისი გეოპოლიტიკური სტატუსკვო. ასეთ ვითარებაში ე. შევარდნაძის ყოფნა ხელისუფლების სათავეში მეტ-ნაკლებად მისაღები იყო ორივე მხარისათვის, რადგანაც ძალთა ბალანსის რეგულირება რუსეთ-აშშ-ს შორის თანდათან შესაძლებელი ხდებოდა საქართველოში. მოვლენათა ასეთი განვითარება ორივე სუპერდერჟავას უტოვებდა იმის შესაძლებლობას, რომ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენათა განვითარების პირობებში გარკვეულმა ფაქტორებმა, ვინძლო, ისტორიის ჩარხი ერთერთის სასარგებლოდ დაატრიალოს. ეს კი თავის მხრივ, ხანგრძლივი, თავისი მასშტაბებით დამანგრეველი და სისხლიანი პროცესი იყო. მოკლედ, ე.შევარდნაძის მიერ ხელისუფლების შენარჩუნების მანიაკალურ მცდელობას შეეწირა აფხაზეთისა და აფხაზეთის ქართველთა ინტერესები. სწორედ ე.შევარდნაძის ორმაგი სტანდარტის პოლიტიკამ, ანუ ხელისუფლების შენარჩუნების ავადმყოფურმა სურვილმა განაპირობა მარცხი იდეოლოგიურ ფრონტზე.

რატომ წავაგეთ იდეოლოგიური ომი აფხაზეთში? დასკვნა მარტივია: ომის წამოწყება აფხაზეთში ე. შევარდნაძის მხრიდან იმთავითვე დამარცხებისთვის იყო განწირული. ჩანასახშივე წასაგებად პროვოცირებულ ომს სჭირდებოდა სწორედ ისეთი იდეოლოგიური ფონი, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრიობას ქართველთა წინააღმდეგ განაწყობდა.

**ვარაუდი პირველი.** აფხაზეთში ძალოვანი სტრუქტურების გადაადგილების მიზანი იყო მოსალოდნელი კონფლიქტის თავიდან აცილება მინიმალური მსხვერპლითა და ნგრევით, ე.ი. მისი ჩანასახშივე ჩახშობა. ძალოვანი სტრუქტურების დისლოკაცია აფხაზეთში, მოსკოვისაგან ინსპირირებული, მოსალოდნელი კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით უნდა განხორციელებულიყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული იდეოლოგიური კონცეფციის საფუძველზე:

1. ჩვენ ვებრძვით არა აფხაზ ხალხს, არამედ რუსეთის იმპერიას აფხაზეთში. მაშინ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი პოზი-

ტიურად განეწყობოდა არა აფხაზი ხალხისადმი, რომელიც თავისი პოლიტიკური ორიენტაციით რუსეთს უნარჩუნებდა გეოპოლიტიკურ სტატუს-კვოს კავკასიაში, არამედ ქართველი ერისადმი, რომელიც რუსეთის იმპერიის სამხედრო-სტრატეგიული სივრციდან თავის დაღწევას ლამობდა;

2. ოფიციალურ დონეზე რუსეთის გამოცხადება აგრესორად თავისთავად გამორიცხავდა ჩანასახშივე ჩრდ. კავკასიის ხალხების ჩართვას აფხაზეთის კონფლიქტში, რადგანაც დაპირისპირების ობიექტი იქნებოდა არა მცირერიცხოვანი აფხაზი ხალხი, არამედ რუსეთის იმპერია;

3. ჩრდ. კავკასიის ხალხთა შეურიგებელი დაპირისპირება რუსეთთან, ბიოლოგიურ სიძულვილშია გადაზრდილი. ამდენად მის მიერ შეკოწიწებული კავკასიის მთის ხალხთა კონფედერაციას ამოფარებული რუსეთი ვერ შეძლებდა აქტიური სამხედრო ოპერაციების ჩატარებას საქართველოს წინააღმდეგ; როგორც ეს ვერ შესძლო მან, ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის შემთხვევაში ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს.

4. კონფლიქტი აფხაზეთში (განხორციელების შემთხვევაში) უნდა შემოფარგლულიყო ლოკალური მასშტაბით. მას არ უნდა მისცემოდა ეთნოკონფლიქტის სახე და, მით უმეტეს, ის არ უნდა ყოფილიყო აყვანილი რუსეთ-ჩეჩნეთის დაპირისპირების რანგში. მოსალოდნელი კონფლიქტი უნდა შეფასებულიყო, როგორც დაპირისპირება სეპარატისტულად განწყობილი მოსახლეობის 17%-სა და ტერიტორიული მთლიანობის დამცველი მოსახლეობის 83%-ს შორის. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობას ხმა მისცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 66%-მა, ანუ მოსახლეობის ორმა მესამედმა.

5. 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, ვ.არძინბას მეთაურობით, თვითნებურად გააუქმა ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია და აღადგინა 1925 წლის ე.წ. აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია. ასე, რომ, თუ მაინცდამაინც საჭირო იყო აფხაზეთში საქართველოს სამხედრო შენაერთების დისლოკაცია, დიდი სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით ეს უნდა მომხდარიყო არა რკინიგზის დაცვის ყბადაღებული ლოზუნგის ფონზე, არამედ მკაფ-

ოდ ჩამოყალიბებული იდეოლოგიური დოქტრინის საფუძველზე **საქართველოს ძალოვან სტრუქტურებს უნდა დაეცვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1991 წლის გამსახურდია-არძინბას მიერ შესწორებული და დამტკიცებული კონსტიტუცია, რომელიც ცალმხრივად დაარღვია ვ. არძინბას ფაშისტურმა რეჟიმმა.**

6. ქართული მხარის მიერ მკაფიოდ ჩამოყალიბებული იდეოლოგიური დოქტრინა საშუალებას მისცემდა თბილისს, მოსკოვიდან ინსპირირებულ კონფლიქტში თავად გამოსულიყო შემრიგებლის, ანუ შუამავლის როლში. ასე, მაგალითად: სომხეთი ცალსახად უარყოფს თავის მონაწილეობას ყარაბაღის კონფლიქტში. ამ დაპირისპირებას იგი წარმოაჩენს როგორც ყარაბაღის ხალხის (?!) და არა სომხური ეროვნების მოსახლეობის ბრძოლას თვითგამორკვევისათვის. თავად სომხეთი კი შუამავლის როლს კისრულობს ყარაბაღის კონფლიქტში, რითაც სომხურ-აზერბაიჯანულ დაპირისპირებას ყარაბაღში ეთნიკურ ნიადაგს აცლის. შესაბამისად, ხელს უწყობს მსოფლიო საზოგადოებრიობას, დადებითად განეწყოს ყარაბაღი ხალხის თვითგამორკვევისადმი.

**ვარაუდი მეორე.** კონფლიქტი აფხაზეთში გარდაუვალი იყო. ასე, რომ, ქართული საჯარისო ფორმირებების შეყვანა აფხაზეთში მხოლოდ საბაბი იყო საქართველოს ომში ჩათრევისათვის. ბუნებრივად იბადება კითხვა: აფხაზთა მხრიდან კონფლიქტის პროვოცირება ავტონომიურ რესპუბლიკაში რატომ არ მოხდა 1992 წლის მარტში, „მხედრიონის" შეყვანის დროს. იმის მტკიცება, რომ აფხაზები არ იყვნენ მზად საომარი მოქმედებისათვის, ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას. აფხაზები არც 1992 წლის აგვისტოში იყვნენ მზად ომისათვის: შეიარაღებაში მათ ერთი დანჯღრეული ბმპ-ს გარდა არაფერი ებადათ. 1992 წ. მარტში „მხედრიონის" შეყვანით იმიტომ არ მოხდა ომის პროვოცირება, რომ აფხაზური მხარე არა ჩვენდამი დიდი სიყვარულის გამო, არამედ აფხაზთა მხრიდან დიდი მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით არ წავიდა ავანტიურაზე. ამ ე.წ. „აფხაზური პროვოკაციის" შედეგიც სახეზეა: 1992-2000 წლებში ფიზიკურად განადგურდა 5000-მდე აფხაზი (17-დან 40 წლის ჩათვლით); დაახლოებით 40 ათასმა აფხაზმა მიატოვა აფხაზეთი და რუსეთში გადასახლდა, ე.ი. აფხაზი ხალხის გენოფონდის ნახევარზე მეტი განადგურებულია. მოისპო

აფხაზური კულტურა, აფხაზეთიც ვერასოდეს გახდება შვეიცარია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველოს თანხმობის გარეშე აფხაზეთი ვერასოდეს მიიღებს სანუკვარ დამოუკიდებლობას.

უსუსურია იყო ე.შევარდნაძის მიერ აფხაზეთში ქართული საჯარისო ფორმირებების შეყვანის მოტივაცია. „რაც უნდა მოხდეს, თბილისისა და სომხეთისაკენ მიმავალი ტვირთები უნდა მივიღოთ შეუფერხებლად, – განაცხადა ე.შევარდნაძემ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე 1992 წლის 11 აგვისტოს, – საქმის გადადება არ შეიძლება, არც სხვა გამოსავალი არის...“ (იხ. გაზ. „ახალი 7 დღე“ 27 ივლისი, 2000 წ.). დავუშვათ, რომ ტვირთები რეალურად იძარცვებოდა, რითაც დიდი მატერიალური ზარალი ადგებოდა სომხეთსა და საქართველოს. შესაბამისად, აუცილებელიც იყო სამტრედიის-ფსოუს რკინიგზის მონაკვეთის დაცვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ. მაგრამ იყო მეორე რეალობაც: მოსკოვის წაქეზებით აფხაზეთში უკვე ყველა პირობა არსებობდა ეთნოკონფლიქტის ინსპირირებისათვის, ამიტომაც საჭირო იყო სერიოზული მუშაობის გაჩაღება იდეოლოგიურ ფრონტზე. აუცილებელი იყო ე.შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი სოხუმში. თბილისსა და სოხუმს შორის უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულება: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფების მიერ. მათ ერთობლივად უნდა დაეცვათ სამტრედია-ფსოუს რკინიგზის მონაკვეთი. ამდენად არც ვ. არძინბას მტკიცებას საქართველოს მიერ აფხაზეთის ოკუპაციის შესახებ არ ექნებოდა იდეოლოგიური საფუძველი. ეს არ გაკეთდა.

ე.შევარდნაძემ თავის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით გ.ჩარკვიანთან სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რომ სოხუმში ჩასასვლელად და ვ. არძინბასთან მოსალაპარაკებლად მაშინ ვერ მოიცალა (?!). ომის დაწყების წინ სახელმწიფო მეთაური ვერ იცლის მოლაპარაკებისათვის!... სხვა რამეებისათვის ე.შევარდნაძე „იცლის“: მოუმზადებლად შეჰყავს საჯარისო ფორმირებები და „მხედრიონის“ კრიმინალური ბანდები აფხაზეთში, რასაც ემსხვერპლა 30 ათასი ქართველი, 5 ათასი აფხაზი, 300 ათასი ქართველი აიყარა აფხაზეთიდან! უკვე ომის წაგების შემდეგ ე. შევარდნაძე პირზე კოცნით ხვდება ქართველთმოძულე ვ. არძინბას სოხუმსა და თბილისში.

მეორე მხრივ, გაუგებარია, რატომ იჩქარა ასე ე. შევარდნაძემ? რატომ არ შეიძლებოდა ქართული საჯარისო ფორმირებების შეყვანა აფხაზეთში არჩევნების ჩატარების შემდეგ? 14 აგვისტოდან 11 ოქტომბრამდე რა ასეთ მატერიალურ ზარალს ნახავდა საქართველო და სომხეთი სამტრედია-ფსოუს რკინიგზის მაგისტრალზე არსებული უკანონობის გამო? განა სომხეთი და საქართველო ახლა უფრო მეტად არ ზარალდებიან იმით, რომ რუსეთთან დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის აფხაზეთის მონაკვეთი უკვე 10 წელია არ ფუნქციონირებს? განა ე.შევარდნაძისათვის, რომელიც ხელისუფლებაში შეიარაღებული გადატრიალების გზით მოვიდა, უმჯობესი არ იქნებოდა აფხაზეთის პრობლემის მოგვარება მისი ხელისუფლების ლეგიტიმაციის შემდეგ? მაშ, რამ გამოიწვია ქართული საჯარისო ფორმირებების ასეთი ნაჩქარევი და მოუმზადებელი გადასროლა აფხაზეთში?

1991-1992 წ. დეკემბერ-იანვარში კრიმინალური გადატრიალების გზით მოსული სახელმწიფო საბჭოსადმი მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება სულ უფრო მწვავდებოდა. ამდენად, 1992 წლის 11 ოქტომბრისათვის დანიშნულ არჩევნებში ე.შევარდნაძის გამარჯვება სათუო იყო. იყო იმის სერიოზული წინაპირობა, რომ საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილი მაინც (სამეგრელო-აფხაზეთი) ბოიკოტს გამოუცხადებდა არჩევნებს. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ზ. გამსახურდია იმხანად ცოცხალი იყო და არჩევნებისადმი ბოიკოტის აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა. რადგანაც კრიმინალური ხელისუფლება ვერ ანიჭებდა ე. შევარდნაძეს, როგორც ქვეყნის მეთაურს ლეგიტიმაციას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბაბით აუცილებელი გახდა ეთნოკონფლიქტის ინსპირირება აფხაზეთში. ამასთან, სამეგრელო-აფხაზეთის ქართველობა, დაპირისპირებული ე. შევარდნაძის კრიმინალურ-ფაშისტურ რეჟიმთან, ბუნებრივად ჩაერთვებოდა ამ კონფლიქტში. ბუნებრივია, ომის მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობა ხელისუფლების გარეშე ვერ დარჩებოდა. შესაბამისად, ე. შევარდნაძემ ერთბაშად ორ „ფრონტზე მოიგო ომი": აფხაზეთისა და სამეგრელოს მოსახლეობა აიძულა, მონაწილეობა მიეღო 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში, რითაც კრიმინალურ ხელისუფლებას ლეგიტიმური ხასიათი მისცა; რაც მთავარია: მისდამი

მტრულად განწყობილი სამეგრელოსა და აფხაზეთის ქართველობა აფხაზებთან (სინამდვილეში რუსეთთან) სამკვდრო-სასიცოცხლო კონფლიქტში გახვია, რასაც, ბუნებრივია, ყველაზე ბრძოლისუნარიანი და ჯანსაღი, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ახალგაზრდობა შეეწირა.

**ამრიგად, აფხაზეთში ე.წ. საჯარისო შენაერთების შეყვანის მიზანი იყო არა რკინიგზის მაგისტრალის დაცვა ბანდფორმირებებისაგან, არამედ ეროვნული ძალების განადგურება მათი სისხლიან კონფლიქტში ჩათრევის გზით. ეს იყო ბრძოლა არა აფხაზური სეპარატიზმის, არამედ აფხაზეთის ქართველობის წინააღმდეგ. მიზეზი მარტივია: აფხაზეთის ქართველობამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა ე. შევარდნაძის კრიმინალურ რეჟიმს და სამეგრელოს ქართველობასთან ერთად სამაგალითოდ დაისაჯა.**

შეგვიძლია პასუხისმგებლობით განვაცხადოთ: ქართულ-აფხაზური ეთნოკონფლიქტი არ ყოფილა. ეს იყო ბრძოლა საქართველოს-რუსეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში ხელახალი დაბრუნებისათვის, ერთის მხრივ, ე. შევარდნაძის კრიმინალურ რეჟიმსა და კანონიერი ხელისუფლების დამცველ მოსახლეობას შორის.

რა გვაძლევს ამგვარი ვარაუდის გამოთქმის უფლებას? ის გაურკვევლობა იდეოლოგიურ ფრონტზე, რომელიც ამ ე.წ. ეთნოკონფლიქტს ახლდა ომის დაწყებიდან დღემდე:

1. ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რატომ მიეცა ეთნოკონფლოქტის კვალიფიკაცია?

2. ე.წ.ქართულ-აფხაზური კონფლიქტი რატომ იქნა აყვანილი რუსეთ-ჩეჩნეთის დაპირისპირების რანგში?

3. რატომ არ მისცა საქართველოს პარლამენტმა აფხაზეთში ქართველთა ეთნიკურ წმენდას და გენოციდს პოლიტიკური შეფასება და, შესაბამისად, არ მოითხოვა მისი აღიარება საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ეუთო, ევროკავშირი) მიერ?

4. რატომ მოხდა ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ინტერნაციონალიზაცია, ანუ რატომ გადააბარა ე. შევარდნაძემ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება გაეროს?!

შეუძლებელია, ე. შევარდნაძეს, მსოფლიოს პოლიტიკის სამზარეულოში ღრმად ჩახედულ პიროვნებას, არ სცოდნოდა, რომ ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ეთნოკონფლიქტის რანგში აყვანა

მორალური თვალსაზრისით, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა საქართველოს. რაოდენობრივად დიდ და მცირე ხალხებს შორის კონფლიქტი ავტომატურად დასავლეთის თვალში იწვევს სიმპათიას ამ უკანასკნელის მისამართით. შესაბამისად, მრავალრიცხოვანი ერისათვის იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლა ჩანასახშივე წაგებულია.

არსებობს ასეთი ჰიპოთეზაც: აფხაზეთში ქართული საჯარისო ფორმირებების შესაყვანად ე. შევარდნაძე აშშ შეაგულიანა. ეს სამხედრო ვოიაჟი ე. შევარდნაძის ძლევამოსილი ტრიუმფით უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ შემდგომში მოვლენები ისე წარიმართა, რომ ე. შევარდნაძე პირისპირ აღმოჩნდა კრემლთან, ხოლო აშშ თითიც არ გაანძრია რაიმეს შესაცვლელად. ამ შემთხვევაში როგორ უნდა ემოქმედა ე. შევარდნაძეს? რასაკვირველია, ის ვერ იტყოდა, რომ საჯარისო ფორმირების დისლოკაცია ეს იყო ბრძოლა კრიმინალური რეჟიმის შენარჩუნებისათვის (სამეგრელოს შემდეგ) აფხაზეთში. ეს საკუთარი თავის წინააღმდეგ წასვლას ნიშნავდა; ე. შევარდნაძე საჯაროდ ვერც იმას განაცხადებდა, რომ ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთისათვის, რაც რუსეთთან აშკარა დაპირისპირებას ნიშნავდა. იდეოლოგიურმა დაბნეულობამ ე. შევარდნაძე აბსურდულ განცხადებამდე მიიყვანა. კონფლიქტის დასაწყისში მან ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებას სამამულო ომის კვალიფიკაცია მისცა. მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ (აშშ-ის განდგომამ, შევარდნაძისაგან, რამაც კონფლიქტისათვის რუსეთ-საქართველოს შორის ომის კვალიფიკაციის მიცემა შეუძლებელი გახადა) უაზრო გახადა სამამულო ომზე საუბარი. სამამულო ომს არავინ არ აწარმოებს ქვეყნის შიგნით, მითუმეტეს, მცირერიცხოვან ხალხთან. ასე, რომ ე.შევარდნაძის ე.წ. „ნებადართული მამაცობა" აფხაზეთში კატასტროფით დასრულდა. აშშ-ს და რუსეთის ზეწოლის შედეგად (რომელთაც ერთნაირი ინტერესები ამოძრავებდათ საქართველოში), ე.შევარდნაძემ ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებას ეთნოკონფლიქტის ხასიათი მისცა, რითაც გაწირა საბოლოოდ აფხაზეთის ქართველობა დამარცხებისთვის.

იდეოლოგიური თვალსაზრისით, ე. შევარდნაძის მხრივ ე.წ. აფხაზეთის კონფლიქტის აყვანა რუსეთ-ჩეჩნეთის დაპირისპირების

ირანგში დანაშაული იყო. ანბანური ჭეშმარიტებაა: აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი ეთნო-კულტურული ერთეული, რომელიც ისტორიულად ყოველთვის დასახლებული იყო ქართველური ტომებით. რაც შეეხება ჩეჩნეთს, იქ ისტორიულად მხოლოდ ჩეჩნები სახლობდნენ, ხოლო რუსებმა უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე ორჯერ მოახდინეს ჩეჩნეთის ოკუპაცია და მოსახლეობის იძულებითი დეპორტაცია. დასავლეთის საზოგადოებრივ ცნობიერებაში და პოლიტიკურ წრეებში რუსეთ-ჩეჩნეთისა და „საქართველო-აფხაზეთის" დაპირისპირების ერთ სიბრტყეზე დაყენებამ (რომლის მიზანმიმართულ პროპაგანდას მუდმივად ეწეოდა საქართველოს ხელისუფლება) შექმნა მცდარი შეხედულება: რუსეთის და საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ ძალდატანებით მიერთებული ხალხები - ჩეჩნები და აფხაზები - იბრძვიან თვითგამორკვევისათვის და სურთ ჩამოყალიბდნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად. ქართულ საზოგადოებაში არსებობს შიშის რეალური საფუძველი: დასავლეთმა საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას შეიძლება ბაქო-ჯეიჰანის და ბაქო-ერზრუმის ენერგოპროექტების სანაცვლოდ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, საქართველოს შემადგენლობაში ასოცირებულ წევრად შესვლას მოსთხოვოს. ეს კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის კატასტროფის ტოლფასი ქმედება იქნება.

კონფლიქტის დაწყებიდან 10 წლისთავზეც ე.შევარდნაძემ ვერ დაასახელა აფხაზეთის ომის მთავარი დამნაშავე. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებიდან და კონფლიქტის შემდგომ პერიოდშიც **მან ოფიციალურ დონეზე არც ერთხელ არ ამხილა რუსეთი, როგორც აგრესორი. ე.შევარდნაძეს არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ფორუმზე ერთხელაც არ დაუდანაშაულებია რუსეთი ქართველთა ეთნიკურ წმენდასა და გენოციდში.** ან როგორ შეიძლებოდა რუსეთი გამოეცხადებინა აგრესორად აფხაზეთის კონფლიქტში, როდესაც შევარდნაძემ 1994 წლის მარტში რუსეთს სამშვიდობო ფუნქცია დააკისრა აფხაზეთში? ამით ე.შევარდნაძემ სამართლებრივი ბაზა გამოაცალა საქართველოს საერთაშორისო დონეზე ემხილა რუსეთი, როგორც აგრესორი აფხაზეთის კონფლიქტში. ჩვენ ხშირად ვადანაშაულებთ გაეროს უმოქმედობაში, მაგრამ რატომღაც არაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ აფხაზეთში

ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა არ აღიარა საქართველოს პარლამენტმა. უფრო მეტიც: მან არც გამოიტანა ეს საკითხი განსახილველად. არსებობს 200-მდე ტომი, მოძიებული საქართველოს პროკურატურის მიერ. საგამოძიებო საქმე ბოლომდე ტაბუირებული იყო საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის მიერ. რატომ? საქართველოს პარლამენტში ამ საკითხის გატანას მაინც არ სჭირდება გაეროს უშიშროების საბჭოს ან ესენგეს სამიტის სანქცია. ეთნიკური წმენდის და გენოციდის აღიარებისას ოფიციალურ დონეზე პარლამენტს და შესაბამისად, პრეზიდენტს უნდა დაედანაშაულებინა რუსეთი. ამაზე კი ე.შევარდნაძე არასოდეს წასულა. **რადგანაც 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მისი ხელისუფლების შენარჩუნება სწორედ რუსეთთან წინასწარი შეთანხმებით მოხდა: აფხაზეთის დათმობა პრეზიდენტის სკამის სანაცვლოდ!**

**ვარაუდი მესამე.** აფხაზეთში ქართველთა გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაში უნდა დავადანაშაულოთ ვ. არძინბას ფაშისტური რეჟიმი. შესაბამისად, საქართველოს გენერალურ პროკურორს უნდა აღეძრა სისხლის სამართლის საქმე ვ. არძინბას რეჟიმის წინააღმდეგ. გაეცა სანქცია მათი დაპატიმრების შესახებ. უკიდურეს შემთხვევაში, ე.შევარდნაძეს უნდა გამოეყენებინა თავისი ავტორიტეტი და გადაეცა ვ. არძინბა ჰააგის სასამართლოსთვის, როგორც მთავარი დამნაშავე ქართველთა გენოციდში. არავითარი მსგავსი რამ არ მომხდარა, უფრო მეტიც, ე.შევარდნაძე არა ერთხელ შეხვდა ვ. არძინბას პირზე კოცნით და ოფიციალურად დააფიქსირა, რომ მოლაპარაკებებს ვ. არძინბას ხელისუფლებასთან აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოლაპარაკების შესახებ ალტერნატივა არ ჰქონდა...

იქმნებოდა პარადოქსული სიტუაცია: ე. შევარდნაძეს ოფიციალურ დონეზე, აფხაზეთში ჩატარებულ ქართველთა გენოციდში არ დაუდანაშაულებია არც რუსეთის და არც არძინბას ხელისუფლება. მიზეზი მარტივი იყო - ხელისუფლების შენარჩუნების ავადმყოფური სურვილი...

ე. შევარდნაძემ, მსოფლიო პოლიტიკის სამზარეულოში ღრმად ჩახედულმა პოლიტიკოსმა, მშვენივრად იცის, რომ გაერო არის უზარმაზარი ბიუროკრატიული ორგანიზაცია, რომლის კო-

მპეტენცია მხოლოდ ფარატინა რეზოლუციების მიღებით იფარგლება. ესაა და ეს! ამასთან ერთად გაეროს ჩართვა აფხაზეთის დაბრუნებასთან დაკავშირებით გაუმართლებელია რიგი ფაქტორების გამო: 1. აფხაზეთის კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციამ სოხუმის თვითმარქვია ხელისუფლებას გარკვეული „აღიარება" და „ლეგიტიმაცია" მოუტანა; 2. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ რუსეთი არის გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, რომელიც ვეტოს დადების უფლებით სარგებლობს. შესაბამისად რუსეთი, როგორც დაინტერესებული მხარე აფხაზეთის კონფლიქტში, ყოველთვის დაბლოკავს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, გაეროს ნებისმიერ პოზიტიურ გადაწყვეტილებას.

**რომის პირსისხლიანი დიქტატორის ნერონის მსგავსად, „ნეტავი რომს ერთი თავი ჰქონდეს, ხმლის ერთი მოქნევით თავს წავაცლიდიო" – ე. შევარდნაძემ აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს მიუგდო. და ესეც, საქართველოს წინააღმდეგ ამ დიდი შეთქმულების ნაწილი გახლავთ, რომლის ავტორი ე.შევარდნაძე იყო. მიზანი ცალსახაა: გაერომ უნდა შეამზადოს მსოფლიო საზოგადოებრიობა აფხაზეთის ხალხის თვითგამორკვევის და მისი საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ჩამოყალიბების საქმეში.**

## §5. აფხაზეთის კონფლიქტი კავკასიის გეოპოლიტიკურ ჭრილში

რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთში (და არა ე. წ. „ქართულ-აფხაზური" კონფლიქტი) უნდა განვიხილოთ იმ პოლიტიკური რეალობის ფონზე, საბჭოთა კავშირის სპონტანურად დაშლას რომ მოჰყვა. საქართველო (შესაბამისად, სამხრეთ კავკასია), უნიკალური გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, იმთავითვე მოექცა დასავლეთის ყურადღების ცენტრში. დასავლეთი, რომელმაც გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა 1921 წელს და საქართველო (შესაბამისად, სამხრეთ კავკასია) რუსეთ-თურქეთს მიუგდო საჯიჯგნად, დღეს

თანმიმდევრულად, მიზანმიმართულად იმკვიდრებს თავს სამხრეთ კავკასიაში სამი მიმართულებით: **1. საუკუნის პროექტები – ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-ერზრუმის გაზსადენი; 2. ნატოს თანმიმდევრული დამკვიდრება სამხ. კავკასიაში; 3. სამხ. კავკასიის ინტეგრაცია ევროკავშირში და ევროსაბჭოში.**

დასავლეთის სტრატეგიულ ხაზს უახლოეს მომავალში, შესაძლოა, მოჰყვეს რუსეთის განდევნა სამხ. კავკასიიდან. რუსეთი, რადაც არ უნდა დაუჯდეს, შეეცდება შეინარჩუნოს საქართველოში (შესაბამისად, სამხ. კავკასიაშიც) თავისი გეოპოლიტიკური სტატუსკვო. მაგრამ მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ რუსეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს არა მარტო სამხრეთ, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაშიც?! მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური დასავლეთი უპირობოდ ცნობს რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას, გარკვეული პოლიტიკური წრეები, პოლიტილოგები (რიჩარდ პაიპსი, ზბიგნევ ბზეჟინსკი და სხვა) არც თუ ისე შორეულ პერსპექტივაში ვარაუდობენ ჩრდ. კავკასიის რესპუბლიკების რუსეთის შემადგენლობიდან გამოსვლას და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებას.

**სამომავლოდ ჩრდ. კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ფორმირების საქმეში გადამწყვეტ როლს ორი ფაქტორი ითამაშებს: ჩრდ. კავკასიის რესპუბლიკების გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობა: მათი სასაზღვრო ზოლი პირდაპირ გადის უცხო ქვეყანაზე (საქართველო, ნაწილობრივ, აზერბაიჯანი), რუსეთის ფარგლებში შემავალი იმ რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, რომელთაც ჩაკეტილი საზღვრები აქვთ (ჩუვაშეთი, მორდოვა, კომი, თათრეთი, ბაშკირეთი და ა.შ.). და, რაც მთავარია: საქართველოს რეალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება (რაც უპირობოდ გულისხმობს საქართველოს გამოსვლას რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული სივრციდან).**

რუსეთის საზოგადოების ერთი ნაწილი (ა. სოლჟენიცინი, ვ. ნოვოდვორსკაია და ა.შ.) არც თუ ისე შორეულ პერსპექტივაში მოიაზრებენ ჩრდ. კავკასიის რესპუბლიკების გამოსვლას რუსეთის ფედერაციის შემადგენლობიდან. ხაზს ვუსვამთ, მხოლოდ ჩრდ. კავკასიის რესპუბლიკების!... რამეთუ შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად ჩანს, რომ კრემლი ჩრდ. კავკასიის რეგიონების გარდა

რუსეთის ფედერაციაში შემავალ არც ერთ სუბიექტთან არ მიმართავს ეთნოკონფლიქტის მექანიზმის დემონსტრირებას, როგორც გარდამავალ პერიოდში რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების გამოცდილ მექანიზმს. მიზეზი მარტივია. მოსკოვი საომარი მოქმედებების ინსპირირებას ეწევა ე. წ. დსთ-ს იმ სახელმწიფოებში და რუსეთის ფედერაციის იმ რეგიონებში, რომელთაც მომავალში არ უწერიათ რუსეთის სამხედრო-სტრატეგიულ სივრცეში დარჩენა.

პერმანენტული ხასიათის საომარი მოქმედებები, დივერსიული აქტები რუსი სამხედროების მიმართ, რუსი მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია ჩრდ. კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებიდან მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებს რუსეთის საზოგადოებრიობას. ქვეყნის სხვა რეგიონებსაც სეპარატიზმის ბაცილით შესაძლო დასნეულების შიში იპყრობს. რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო წრეები არც თუ შორეულ მომავალში შესაძლოა, ისტორიული გარდაუვალობის წინაშე აღმოჩნდნენ: რუსეთისაგან ჩრდ. კავკასიის მოკვეთა. მაგრამ ოფიციალური მოსკოვი ამ ეტაპზე ვერ ეგუება არა მარტო ჩრდ. კავკასიის, არამედ სამხ. კავკასიის რეგიონის ამოვარდნას რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული სივრციდან. და ეს გასაგებიცაა: 1. რუსეთი, რომელიც ჯერ კიდევ არსებითად ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესშია, აგონიაში იმყოფება მისი ტერიტორიული მთლიანობის მოსალოდნელი დაშლის პანიკური შიშის გამო; 2. რუსეთის გენერალიტეტი და სსკ (სამხედრო სამრეწველო კომპლექსი) ასე იოლად ვერ შეელევა სამხედრო შეკვეთებს, კავკასიის რეგიონთან დაკავშირებულ დოტაციებს; 3. რუსეთი, კავკასიიდან სპონტანური გასვლის შემთხვევაში, დარჩება დაუცველი საზღვრებით მის ახალ მეზობლებთან (თუმცა ე. წ. „სამხრეთული ფარის" შექმნა რუსეთმა უკვე დაიწყო სამხედრო ბაზების შექმნით ანაპაში, როსტოვში, კრასნოდარში, სტავროპოლში. როგორც მოსალოდნელია, ეს პროცესი გაგრძელდება); 4. რუსეთის საზოგადოებრიობა არ არის ფსიქოლოგიურად მზად, რომ შესაძლოა, დაკარგოს ჩრდ. კავკასია. შესაბამისად, აუცილებელი გახდა იდეოლოგიური ხაზით მთელი რიგი სამუშაოების ჩატარება. (ლოკალური ხასიათის სადამსჯელო სამხედრო ოპერაციების დემონსტრირება ინგუშეთში, ჩეჩნეთში).

რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ეტაპობრივად, დაჟინებით იქმნება ე. წ. „ლიცო კავკაზსკოი ნაციონალნოსტი"-საგან ბანდიტის, სისხლისმსმელის, მკვლელის, ტერორისტის იმიჯი, რომ ჩრდ. კავკასია – ეს არის `...**гангренозный член на теле Росии и... для спасения всего организма его надо отсеч хирургическим образом** ~ (ა. სოლჟენიცინი).

და კიდევ ერთი: ის ფაქტი, რომ ყაზახეთის, თურქმენეთის და აზერბაიჯანის ენერგორესურსების გადაქაჩვა ევროპაში საქართველოს გზით მოხდება, არავითარ ეჭვს არ იწვევს. და აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა არა ე. წ. ე. შევარდნაძის ფაქტორს (როგორც თავად უნდოდა ამის წარმოჩენა), არამედ საქართველოს გეოგრაფიულ ადგილ-მდებარეობას. კერძოდ, გულუბრყვილობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ დასავლეთი, ყაზახეთის, შუა აზიის და აზერბაიჯანის ენერგორესურსების რუსეთის მარშრუტით სავარაუდო გადაქაჩვით, მოსკოვს გადაულოცავდა პოლიტიკური ძალდატანების ბერკეტს. შესაბამისად, რუსეთს, მოვლენების ამდაგვარი განვითარების შემთხვევაში, ზესახელმწიფოდან მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გადაქცევის პერსპექტივა ელის. ამას, ბუნებრივია, რუსეთი არანაირად არ შეურიგდება. სწორედ ამიტომაც, მოსკოვმა მოქმედებაში მოიყვანა შენელებული მოქმედების ნაღმი – ეთნოკონფლიქტი. კრემლი ეთნოკონფლიქტების ინსპირირებით ერთბაშად „რამდენიმე კურდღელს იჭერს":

სიძულვილს, უნდობლობას თესავს ჩრდ. კავკასიის ხალხებს შორის (რაც თავისთავად შეუძლებელს ხდის „საერთოკავკასიური სახლის" მშენებლობას);

ხელოვნურად ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების ფონზე ხდება ჩრდ. კავკასიის ხალხთა ჯანსაღი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დისკრედიტაცია; რუსეთმა მომავალში მსოფლიო საზოგადოების თვალში თავი უნდა გაიმართლოს: თუ რატომ ახშობდა ჩრდ. კავკასიის ხალხთა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის მცდელობას ძალისმიერი მეთოდებით;

„აგრესიული სეპარატიზმის" დასჯით (სინამდვილეში კი, ჩრდ. კავკასიის მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდი) რუსეთის ფედერაციაში შემავალი სხვა ავტონომიური რესპუბლიკების აბორიგენი მოსახლეობისათვის ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილის მიცე-

მა. ჩანაფიქრი მარტივია: ჩრდ. კავკასიის ხალხების მსგავსად, მათ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობიდან გასვლაზე ფიქრიც კი ვერ გაბედონ;

ეთნოკონფლიქტების კონსერვაციით და მათი პერმანენტული ამოქმედებით ანტირუსული განწყობილების გაღვივება კავკასიის მთის ხალხებში (ე.წ. სამშვიდობო ძალების თანმიმდევრული განადგურება, ჩრდ. კავკასიის რესპუბლიკებიდან რუსული მოსახლეობის ფართომასშტაბიანი განდევნა). კრემლის მიერ ინსპირირებული გეგმები მუდამ გამიზნულია იმისათვის, რომ რუსეთის საზოგადოებაში გამოიწვიოს უკურეაქცია. კერძოდ, „ბუმერანგის სინდრომი" ხელფეხს გაუხსნის ჩრდ. კავკასიაში მცხოვრებ კაზაკებს კავკასიელი მთიელების მასობრივი დეპორტაციის საქმეში; და განსაკუთრებით იქ, სადაც რიცხოვბრივად სჭარბობს რუსულენოვანი მოსახლეობა: შაპსუგებისგან (აბაზურ-ადიღური მოდგმის უკანასკნელი წარმომადგენლები შავი ზღვის სანაპიროზე), ადიღეელებისგან (ადიღეს რესპუბლიკაში ადიღეელები შეადგენენ მოსახლეობის 20%-ს, ხოლო რუსები – 80%-ს) და ჩრდ. კავკასიის სხვა აბორიგენი მოსახლეობისაგან; ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეში. შესაბამისად, ამით დასრულდება ხარისხობრივად ახალი ეტაპი რუსეთის იმპერიის მიერ ჩრდ. კავკასიაში რუსი მოსახლეობის ერთპიროვნული თვითდამკვდირებისა და აღ. შავიზღვისპირეთში მცხოვრები აბაზურ-ადიღური წარმოშობის ხალხთა ეთნიკური წმენდის საქმეში.

პერმანენტული ხასიათის ეთნოკონფლიქტები ჩრდ. კავკასიაში, რომლის მართვას მოსკოვი ჯერჯერობით არეგულირებს, საბოლოოდ გააჩანაგებს რეგიონის ეკონომიკას, ფიზიკურად გაანადგურებს კავკასიელთა გენოფონდის მნიშვნელოვან ნაწილს. მოსკოვის მიერ ინსპირირებული ტერიტორიული ხასიათის ურთიერთპრეტენზიები საბოლოო ჯამში მთიელ ხალხთა შორის დაუნდობელ, მრავალწლიან ეთნოკონფლიქტებში გადაიზრდება. ეკონომიკურად უკვე მოშლილი და ბრძოლებისაგან ძალადაცლილი კავკასია რუსეთის სახელმწიფოსთვის ვერ იქნება საშიში. ბუნებრივია კრემლი საიმედოდაც გაამაგრებს ახალ ტერიტორიულ საზღვრებს. ხოლო ტერიტორიულად საგრძნობლად შეკვეცილი, ომის ქარცეცხლში გახვეული ჩრდ. კავკასია დიდი ხნით

ჩაუკლავს ცარიზმის მიერ დეპორტირებულ მილიონობით ჩერქეზ, ჩეჩენ, დაღესტნელ ხალხებს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებ-ის იმედს.

თავის მხრივ აშშ-ც აქტიურობას იჩენს ჩრდ. კავკასიის მიმართ. თეთრი სახლის ადმინისტრაციის ხელდასხმით რადიო „თავისუფლ-ბამ" მაუწყებლობა დაიწყო ჩრდ. კავკასიის ხალხთა ენებზე: ხუნ-ძურზე, ვაინახურზე და ჩერქეზულზე. როგორც ჩანს, ბუშის ადმინ-ისტრაცია რუსეთის ფედერაციის რღვევის საინფორმაციო უზრუნ-ველყოფას სწორედ ჩრდ. კავკასიიდან იწყებს. ამ ფაქტმა მოსკოვის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. მოვლენათა ასეთი განვითარება ცხადყოფს, რომ აშშ კავკასიას, განიხილავს როგორც ერთიან გეოპოლიტიკურ სივრცეს, როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ასევე, საგაჭრო-სატრანზიტო თვალსაზრისით.

რუსეთის დასავლეთთან დაპირისპირება კავკასიასთან მიმა-რთებაში შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. ჯერ კიდევ 1939 წ ბრიტანეთის ხელისუფლებამ გამოხატა თავისი დამოკიდებულ-ება კავკასიასთან მიმართებაში: „ხელისუფლებას, რომელიც განმტ-კიცდება კავკასიის ყელზე, შეუძლია დააბრკოლოს ცენტრალური რუსეთისაკენ მოძრაობა ვოლგის დიდი არტერიით და კონტრო-ლის ქვეშ იყოლიოს დღევანდელი დიდი რუსეთის შემცირებული სახელმწიფო. ერთდროულად იმავე ხელისუფლებას მნიშვნელოვანი შესაძლებლობანი ექნება, მიუახლოვდეს სპარსეთის უბეს, ერაყის და ირანის ნავთობის ზონას" ბუნებრივია, არც რუსეთის „კგბ" იჯდა წლების განმავლობაში გულზე ხელდაკრეფილი და კავკასია-ში ობობას ქსელს ხლართავდა. „კგბ"-ს გათვლით, საბჭოთა კავ-შირის მოსალოდნელ დაშლას, იმთავითვე უნდა მოჰყოლოდა კავკა-სიაში ეთნოკონფლიქტების კარგად აწყობილი ქსელის ამუშავება, რომელიც, მოსკოვის ვარაუდით, დიდ კავკასიურ ომში უნდა გადაზრდილიყო. მოვლენების ასეთი განვითარება შესაძლებლობას მისცემდა რუსეთს, რელიგიურ და ეთნიკურ ომებში ჩაძირული კავკასია, დიდი ხნით დაეტოვებინა დას. ევროპის და აშშ-ის პოლიტიკური ორბიტის მიღმა.

მაგრამ მოსკოვს, საბჭოთა კავშირი დაშლის შემდეგ, საქარ-თველოში არახელსაყრელი სიტუაცია შეექმნა. კერძოდ, 1990 წლის ოქტომბრის დემოკრატიული არჩევნების შედეგად ქვეყნის სათავე-

ში დისიდენტი და ნაციონალისტი – ზვიად გამსახურდია მოვიდა. ზ. გამსახურდიას პიროვნება იყო სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორი აფხაზეთში ეთნოკონფლიქტის ინსპირირების საქმეში, რომელიც მოსკოვის გათვლით შემდგომში ქართულ-კავკასიურ დიდ ომში უნდა გადაზრდილიყო. მოსკოვმა რენეგატი ქართველების წყალობით ადვილად გაართვა თავი ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობას და მის მიერ დასმული მარიონეტის წყალობით ეთნოკონფლიქტის სცენარი გაითამაშა აფხაზეთში. როგორც ჩანს, **ე. შევარდნაძეს სხვა დავალებაც ჰქონდა მოსკოვისაგან: კავკასიის მთის ხალხთა სახით მტრის იმიჯის შექმნა ქართველი ერის ცნობიერებაში.** ამასთან ერთად, ეთნონიმი ჩეჩენი გახდა მთელი ჩრდ. კავკასიის ხალხთა ყოვლისმომცველი, კრებითი ტერმინი. ე. შევარდნაძეს კონფლიქტის პერიოდში, და მის შემდგომაც, ერთხელაც არ დასცდენია, რომ რუსეთი იყო მთავარი აგრესორი აფხაზეთის კონფლიქტში და რომ რუსეთმა მოახდინა საქართველოს ამ კუთხის ოკუპაცია. სამაგიეროდ, **ე. შევარდნაძის რეჟიმს დაქვემდებარებული ჟითელი პრესა მთელი მსოფლიოს გასაგონად ავრცელებდა დეზინფორმაციას, თუ როგორ დაუნდობლად ჟლეტდნენ ჩეჩენი ბოევიკები აფხაზეთის მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას, და, რომ ჩეჩნებმა ითამაშეს გადამწყვეტი როლი აფხაზეთის ოკუპაციაში...** აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ რუსეთმა სწორედ ე. შევარდნაძის ინიციატივით შემოიყვანა რუსი მშვიდობისმყოფელები ავტონომიურ რესპუბლიკაში. ამით ე. შევარდნაძემ იდეოლოგიური საფუძველი გამოაცალა საქართველოს, მსოფლიო საზოგადოების თვალში რუსეთი გამოეცხადებინა აგრესორად აფხაზეთის კონფლიქტში. მეტიც: **ე. შევარდნაძემ საკუთარი პრეზიდენტის სკამი ანაცვალა აფხაზეთს. ამასთან ერთად, მიღწეულ იქნა მთავარი მიზანი: ჩეჩენი და კავკასიის მთის ხალხთა სახით ქართველი ერის ცნობიერებაში დამკვიდრდა მტრის ხატი. მოსკოვმაც არ დააყოვნა და დაიწყო ჩეჩნეთის რიგით მესამე, ოკუპაცია. ქართველი ერი, იოლადაც შეეგუა ჩეჩენი ხალხის არნახულ ხოცვა-ჟლეტას. ვერაგი საქმე გაკეთდა. მაგრამ მთლიანობაში მოსკოვმა მაინც ვერ შესძლო ე. წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ქართულ-კავკასიურ ომში გადაეზარდა. და აქ ორმა მთავარმა ფაქტორმა ითამაშა გადამწყვეტი როლი: 1. მთის კავკასიის ხალხ-**

**თა სიბრძნემ და შორსმჭვრეტელობამ; 2. მსოფლიოში მიმდინარე ისტორიულმა პროცესებმა. კერძოდ, დასავლეთმა სერიოზულად მიაპყრო თავისი მზერა კავკასიას და თავის უახლოეს ამოცანად – კავკასიიდან რუსეთის პირწმინდად განდევნა დაისახა.**

და კიდევ ერთი: აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების (ალხ) ყბადაღებული განცხადება რომ ჩრდ. კავკასიურმა ფაქტორმა გადამწყვეტი როლი ითამაშა აფხაზეთის კონფლიქტში, უვიცობასთან ერთად წმინდა წყლის პროვოკაციაა. ალხ-აც იზიარებდა კრემლის შეხედულებას: კავკასიის მთიელებს პერმანენტულად ეკავათ პროაფხაზური ორიენტაცია (მათ შორის 1918-1921 წწ.) და მათი ერთადერთი მიზანი იყო, ისტორიული ქართული მიწა-წყლიდან (აფხაზეთიდან), გასასვლელის მოპოვება შავ ზღვაზე. ამასთან ერთად, მიმდინარეობდა მიზანმიმართული პროპაგანდა: 1989 წ. 14 ივლისის აფხაზეთის ცნობილი მოვლენების შემდეგ თანაბარ კონტექსტში უნდა განხილულიყო კრემლის მიერ შეკოწიწებული კავკასიის მთის ხალხთა კონფედერაცია (კმხკ) და კავკასიის მთიელთა კავშირის რესპუბლიკა (1918-1920 წწ).

რამდენად შეეფერებოდა ალხ-ის შეთხზული პოზიცია ისტორიულ სიმართლეს?!

1989 წ. 14 ივლისის აფხაზეთის ცნობილი მოვლენების შემდეგ მოსკოვის მიერ შეკოწიწებული კმხკ ჩანასახშივე მკვდარი იდეაა, რადგანაც მისი განხორციელების არც ისტორიულ-კულტურული, არც პოლიტიკური, არც რელიგიური მექანიზმი არ არსებობს. უფრო მეტიც: ცარისტულ-ბოლშევიკური ექსპანსიის შედეგად ჭრილობების მოშუშებას ჩრდ. კავკასიაში (ძირითადად, ტერიტორიული ხასიათის) ალბათ, ათეული წლები დასჭირდება. ამასთან ერთად, საეჭვოა, რომ რუსი ნაციონალისტები, რომლებიც „ისტორიული რუსეთის" აღდგენას ლამობენ (1914 წლის ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში), თავად დაუშვებენ კმხკ-ის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, ისიც, გასასვლელით შავ ზღვაზე?! კმხკ-ის შექნის იდეა უფრო შორსგამიზნული ჩანაფიქრი იყო და ძირითადად მიმართული იყო საქართველოს წინააღმდეგ. ყარაბახის კონფლიქტით რუსეთმა, ფაქტობრივად, ბრძოლის ველიდან გამოთიშა მისადმი დაპირისპირებული კავკასიის ორი ძლიერი სახელმწიფო – სომხეთი და აზერბაიჯანი

და ტერიტორიული ხასიათის პრეტენზიები ბიოლოგიური სიძულ-ვილის დონემდე აიყვანა; ე.წ. სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტით კი მან ვერ შესძლო საქართველო ჩაეთრია ამ ომში და მიეცა მისთვის საქართველო-კავკასიური ომის ხასიათი. როგორც ჩანს, თავისი სიტყვა თქვა ოსურმა ფაქტორმაც, რადგანაც ოსებისადმი ჩრდ. კავკასიაში მთის ხალხების დამოკიდებულება ოდითგანვე არაკეთილგანწყობილი, მტრული იყო. ამ რეალობამ, შესაბამის-ად, ე.წ. ქართულ-ოსურ კონფლიქტში კავკასიის მთის ხალხთა საქართველოს წინააღმდეგ დარაზმვის შესაძლებლობა გამორიცხა. **მოსკოვმა კი კმკ-ის შექმნით სწორი გათვლა გააკეთა: 1. კავკასიის მთის ხალხთა ცნობიერებაში 1918-1920 წწ არსებული კავკასიის მთიელთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს რეანიმაციის ილუზია შექმნა; 2. კმკ-ას უნდა ემხილა მსოფლიოს წინაშე საქართვე-ლოს „იმპერიული" პოლიტიკა მცირერიცხოვანი აფხაზი ხალხის მიმართ.** ცხადი იყო, რომ კმკ რუსეთის ხელში მძლავრი იარაღი იყო ანტიქართული შეთქმულების მოწყობისათვის. ვარაუდი, რომ კმკ-ის საქმიანობას ტონს აძლევდა აფხაზური მოძრაობა, რომელიც თავის მხრივ პროიმპერიული პოლიტიკის პლაცდარმის როლს თამაშობდა კავკასიაში, გამართლდა. კერძოდ, აფხაზური მოძრაობის ერთ-ერთი იდეოლოგი ზ. აჩბა სტატიაში **"Пора понять, что Абхазия – Это Россия"** წერდა: **"Думаю, несмотря на кажущуюся незначительность Абхазии, здесь процесс может пройти в обратную сторону _ в сторону укрепления _ российской государственности и, возможно, именно АбХАЗИЯ ДАСТ ТОЛЧОК ЭТОМУ ПРОЦЕССУ** (ხაზი ჩვენია – ვ. ჭ.) **...Ето выгодно и россии, которой пора остановить свой распад, пора вернуться к традиционной геополитике "** (იხ. გაზ. `**Свободная Грузия** ", 1992, 01, 12). ფაქტია, რომ კმკ-ის შექმნით გამოიკვეთა არსე-ბითი მომენტი: საქართველოს „იმპერიის" წინააღმდეგ აფხაზების ბრძოლისა და ჩრდ. კავკასიაში მცხოვრები ხალხების „ძმური" დახმარების ფონზე აფხაზეთის მიერთება რუსეთთან. ოსური ფაქ-ტორისგან განსხვავებით, მოსკოვის ვარაუდით, კავკასიის მთის ხალხთა დარაზმვა ანტიქართულ კოალიციაში უფრო მოსახერხე-ბელი გახლდათ რიგი მიზეზების გამო: **1. ნათესაური, გენე-ტიკური კავშირი აფხაზებსა და ჩრდ. კავკასიის მთის ხალხებს**

შორის; 2. მუჰაჯირობის ფაქტორი, რომელიც აერთიანებს აფხაზებს, ადიღეელებს, ჩეჩნებს, დაღესტნელებს; მათ ამოძრავებთ მამა-პაპათა მიწიდან მათი ამყრელი და შემდგომში იქ ჩასახლებული კოლონისტებისადმი (აფხაზების ცნობიერებაში ქართველები აფხაზეთის ტერიტორიაზე მუჰაჯირობის შემდეგდროინდელი ემიგრანტია) შურისძიების წყურვილი; 3. იდეა-ფიქსი: კავკასიის მთის ხალხთა კონფედერაციას სჭირდებოდა შეუზღუდავი გასასვლელი შავ ზღვაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი დამოუკიდებლობა ფიქცია იქნება. აფხაზეთი კი ამ თვალსაზრისით ერთადერთი სასიცოცხლო არტერიაა მათი სახელმწიფოს დამოუკიდებლად არსებობის საქმეში. ეროვნული ცნობიერების ნიღაბს ამოფარებულმა კმჯ-ის ლიდერებმა (მუსა შანიბოვი, იუსუპ სოსლანბეკოვი, ზაურ ნალოევი, იური კალმიკოვი) დიდი იდეოლოგიური ხასიათის მუშაობა ჩაატარეს ჩრდ. კავკასიაში და, ფაქტობრივად, შეამზადეს ნიადაგი ანტიქართული ატმოსფეროს შესაქმნელად მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში. შესაბამისად, კრემლის მიერ ინსპირირებული ე. წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი კავკასიის მთის ხალხებში თავის დასაწყის ეტაპზე აღქმულ იქნა, როგორც აფხაზი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის საქართველოს „იმპერიის" წინააღმდეგ. ე. შევარდნაძის რეჟიმმა, ნებსით თუ უნებლიედ, სერიოზული ანგარიში არ გაუწია კრემლის მიერ მართვად კმჯ-განმოსალოდნელ საფრთხეს. სამწუხარო შედეგი მივიღეთ: კმჯ-ას ამოფარებით მოსკოვმა შესძლო აფხაზეთის დროებითი ოკუპაცია. ხოლო, მეორე მხრივ, კმჯ-მ ქართველი ეაცის ცნობიერებაში ჩრდ. კავკასიის ხალხების სახით შექმნა მტრის ხატი და, პირიქით.

რაც შეეხება კავკასიის მთის ხალხთა კავშირის რესპუბლიკას, რომელიც 1918-1920 წწ. არსებობდა, სდრ-ის ხელისუფლებასთან ფრიად თბილი და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. თბილისში ოფიციალურად არსებობდა კმჯრ-ის წარმომადგენლობა, კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭო. ოფიციალურად გამოდიოდა გაზ. **"Волный Горец" (Органъ революционной демократии горских народов Северного Кавказа),** რომლის რედაქცია რუსთაველის პროსპექტზე მდებარე სასტუმრო „ევროპაში" იყო განთავსებული. გაზ. `**Вольный Горец** "-ის რედაქტორი იყო

ახმედ ცალიკოვი. სდრ-ის მთავრობა მიზანმიმართულად, თანმიმდევრულად ეხმარებოდა კავკასიის მთიელებს იარაღით, სხვადასხვა სამხედრო აღჭურვილობით (იქნებოდა ეს სამხედრო-დანიშნულების რადიო-სადგური, აეროპლანი და სხვა) და ფულით. უფრო მეტიც: სდრ მთავრობა არ მოერიდა იმასაც, რომ ქართული ჯარით დახმარებოდა ინგუშ ხალხს ა. დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ფაქტს ადასტურებს ერთი დოკუმენტი. იგი გვამცნობს, რომ 1919 წ. 23 ივნისს ნ. რამიშვილის მეთაურობით ჩატარდა სამხედრო საბჭო, რომელმაც დაადგინა: „ჩვენ აქამდე კეთილგანწყობილებაში ვიყავით ინგუშებთან და სასურველია ეს განწყობილება შემდგომშიც განვაგრძოთ. სამხედრო საბჭო სცნობს შესაძლოდ გაუმართოთ მათ ხელი, რითაც შეიძლება; გარდა ამისა, **სამხედრო საბჭო არ ხედავს დაბრკოლებას, რომ გადავცეთ იარაღი. სამხედრო საბჭოს წევრს მახარაძეს მიენდოს, ამ დადგენილების შინაარსი აცნობოს ინგუშეთის ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებს**" (იხ. საქ. ცსსა, ფ. 2037, აღწ. 1, საქმე 7, ფურც. 1-2). **მთის რესპუბლიკის მეჯლისმა, ახმედ ცალიკოვის მეთაურობით, დანიშნა გენერალი კერესელიძე მთის რესპუბლიკის ჯარების უმაღლეს მთავარსარდლად. ქართველი ოფიცრების, საჯარისო ფორმირებების, ჩეჩენი და ინგუში მოხალისეების მხარდაჭერით გენერალმა კერესელიძემ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია ა. დენიკინს ჩრდ. კავკასიაში.** რომ არა ინგლისელების ორჭოფული პოლიტიკა, ჩრდ. კავკასიის ხალხების ბედი სულ სხვაგვარად წარიმართებოდა (იხ. ა. დენიკინი. ნარკვევები რუსული ბუნტის ისტორიიდან (1919-1920წწ.), მინსკი, 2002 წ. გვ. 266-267. რუს. ენაზე). სდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი ცალსახად უჭერდა მხარს კავკასიის მთიელთა დამოუკიდებლობას, ამხელდა ა. დენიკინის „მოხალისეთა" ძალადობას კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ, იქნებოდა ეს „საერთოკავკასიური კონფერენციებზე", ყუბანის, თერგის, დონის რესპუბლიკების მთავრობების წარმომადგენლებთან შეხვედრებზე თუ საერთაშორისო კონფერენციებზე. ასე, მაგალითად, 1919წ. 30 მაისს თბილისში ჩატარებულ „საერთოკავკასიურ კონფერენციაზე" ნ. რამიშვილმა ცალსახად განაცხადა: **"Я имею предложение: заявить энергичный протест перед Мирной Конференции по поводу того, что Армия Деникина употребляеть**

**вооружение и снаряды, данные ей союзниками для борьбы с большевиками, против маленьких новообразовавшихся государств. Кроме того, у меня есть еще предложение: МЫ СЧИТАЛИ БЫ ЖЕЛАТЕЛЬНЫМ (В КАКОЙ ФОРМЕ ЭТО СДЕЛАТЬ _ ДРУГОЙ ВОПРОСЬ), ЧТОБЫ АРМИЯ ДЕНИКИНА БЫЛА ВЫВЕДЕНА ИЗ ОБЛАСТЕЙ ЭТИХ РЕСПУБЛИК И ТАМ ПОСТАВЛЕНЫ СОЮЗНЫЕ ВОЙСКА"** (საქ. ცსსა, ფ. 1861, აღწ. 1, საქმე 658, ფურც. 7). 1920 წ. 15 მარტს გამართულ კონფერენციაზე, სდრ მთავრობასა და თერგის, ყუბანის დონის რესპუბლიკების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა ცალსახად დაუჭირა მხარი კავკასიის მთიელთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას (იხ. საქ. ცსსა, ფ. 1864, აღწ. 1. საქმე 112, ფურც. 8-9). სდრ-ის მთავრობის კეთილგანწყობილი პოლიტიკა კავკასიის მთიელებისადმი სწორი სტრატეგია იყო. კავკასიის მთიელების სახით, საქართველოს სჭირდებოდა ჩრდილოეთის ფარი რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. სწორედ ასეთმა სწორმა სტრატეგიამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ავარიის (დაღესტანი) მხარემ ითხოვა საქართველოსთან შეერთება. საქართელოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია ავარიის მმართველის, პოლკოვნიკ ყაითმაზ ალიხანოვის მოხსენებითი ბარათი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე (ფ. 1864, აღწერა 1, საქმე 25), დათარიღებული 1920 წლის 2 ივნისით. ყაითმაზ ალიხანოვის ინფორმაციით, ავარიაში ჩატარდა დიდი კრება, სადაც გადაწყდა, რომ: **"...ОБРАТИТЬСЯ К ГРУЗИИ, ЧТОБЫ ОНА ПРИСОЕДИНИЛА К СЕБЕ АВАРИЮ НА АВТОНОМНЫХ НАЧАЛАХ, Т. Е. ВНЕШНАЯ ПОЛИТИКА, ВОЕННОЕ ДЕЛО, ФИНАНСЫ И ПРОСВЕЩЕНИЕ ДОЛЖНЫ БЫТЬ ОБЩИ, НАМ ЖЕ ПРЕДСТАВЛЕНО ВНУТРЕННЕЕ САМОУПРАВЛЕНИЕ И СУД НА НАЧАЛАХ ШАРИАТА"**. რომ არა 1920 წ. 7 მაისის რუსეთ-საქართველოს „მეგობრული" ხელშეკრულება (მზაკვრული ჩანაფიქრით რუსეთის მხრიდან?!) და 1921 წელს დასავლეთის მხრიდან კავკასიაში რუსეთის გეოპოლიტიკური სტატუს-კვოს აღიარება – საქართველოს ისტორიული ბედი სულ სხვაგვარად წარიმართებოდა.

და კიდევ ერთი: როდესაც დაიწყო ა. დენიკინის მოხალი-

სეების მიერ აფხაზეთის ოკუპაცია. გენერალმა გ. მაზნიაშვილმა მათ სასტიკი მარცხი აგემა. 1918 წ. 6 ივლისს გ. მაზნიაშვილმა აიღო ქ. სოჩი და იქ სდრ-ის მთავრობამ დანიშნა თავისი წარმომადგენელი გ. ანჯაფარიძე. 1918 წ. 26 ივლისს გ. მაზნიაშ-ვილმა ქ. ტუაპსე აიღო და გაანადგურა რუსთა ოთხათასიანი დაჯგუფება, რომელსაც გენერალი ანტონოვი ხელმძღვანელობ-და. აქვე უნდა ითქვას საქართველოს საჯარისო ფორმირებების შესახებ: მთელი ამ ოპერაციის პერიოდში, კავკასიის მთიელთა მხრიდან არ დაფიქსირებულა არც ერთი საპროტესტო ნოტა, რომელიც ამხელდა სდრ-ის პოლიტიკას აფხაზეთში. **კავკასიის მთის ხალხებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართული საჯარისო ფორმირებანი ებრძოდნენ არა აფხაზ ხალხს, არამედ ა. დენი-კინის „მოხალისეთა" არმიას და რომ გენერალ გ. მაზიანშვილს სურდა, რუსები გაეყარა აფხაზეთიდან და არა აფხაზები აფხ-აზეთიდან?!**

ასე, რომ მოსკოვის მიერ 1989 წ. სახელდახელოდ შექმნილ კმკ-სა და 1918-1920 წწ. არსებულ კავკასიის მთის ხალხთა კავშირის რესპუბლიკას შორის არანაირი შეხების წერტილი არ არსებობს. ასე მაგალითად, კმკ-ის წარმომადგენლობა ყაბარდოში, ქ. ნალჩიკშია განთავსებული. ამ ორგანიზაციის ლიდერიც ყაბარდოელია – მუსა შანიბოვი. მაგრამ რატომღაც ყაბარდოელ მუსა შანიბოვს სულაც არ ადარდებს, რომ ქართველმა სტალინმა ყაბარდოელების ისტორი-ული ტერიტორია – მაზდოკი 1944 წელს ოსებს აჩუქა; არ ადარდებს არც ის, რომ ერთი ხალხი – ყაბარდოელები, ჩერქეზები და ადიღეელები სამ რესპუბლიკად არის გახლეჩილი. მაგრამ რატომღაც „აშფოთებს" ქართველების მხრიდან „შევიწროვებული" აფხაზი ხალხის ბედი...?! 1944 წ., როდესაც გაასახლეს ინგუშები, მათი ტერიტორიის ერთი ნაწილი, პრიგოროდნის რაიონი, ქართველმა სტალინმა ოსებს აჩუქა?! 1992-1993 წწ ინგუშების სამართლიან მოთხოვნას, დაე-ბრუნებინათ ისტორიული ტერიტორია, მოსკოვის მხრიდან ინგუშთა არნახული ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა. კმკ ინგუშთა მასობრივ ხოცვა-ჟლეტას რა თქმა უნდა დუმილით შეხვდა. და ბოლოს: ჩეჩენი ხალხის უსასტიკეს გენოციდს ახორციელებს რუსეთის „დემოკრატიული იმპე-რია" კმკ ამ საშინელ ფაქტთან დაკავშირებით საპროტესტო ნო-ტაც არ გაუგზავნია ელცინ-პუტინისთვის.

თავად რუსეთს რატომ არ აძლევს ხელს, ჰქონდეს საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობა? რას უფრთხის რუსეთი?

**1. რუსეთი ამ ეტაპზე შინაგანად არ არის მზად, მოახდინოს საკუთარი ცნობიერების ტრანსფორმაცია კავკასიასთან მიმართებაში. შესაბამისად, მისი დამოკიდებულება კავკასიელი ხალხებისადმი მონღოლების შემდგომდროინდელი რუსეთის მენტალიტეტს ვერ გასცდა. ცნობისთვის: მონღოლები უარყოფდნენ დაპირისპირებულ ძალასთან პარტნიორობის ფაქტორს და მოწინააღმდეგესთან მხოლოდ უპირობო მორჩილების პრინციპს აღიარებდნენ;**

2. ჩრდ. კავკასიაზე სპონტანურად უარის თქმა მოასწავებს ჯაჭვურ რეაქციას მთელს იმპერიაში. მეტიც: რუსეთს ეს ჩაითრევს რელიგიურ და ეთნიკურ ომებში, შესაბამისი კატასტროფიული შედეგებითურთ;

3. რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხეს უქმნის კავკასიის მთის ხალხთა გეოგრაფიული ადგილმდებარეობაც. კერძოდ, ის რეალობა, რომ მათი სასაზღვრო ზოლი პირდაპირ გადის უცხო ქვეყანაზე (საქართველო, ნაწილობრივ, აზერბაიჯანი), რუსეთის ფარგლებში შემავალი იმ სხვა რესპუბლიკებისგან განსხვავებით, რომელთაც ჩაკეტილი საზღვრები აქვთ (ჩუვაშეთი, მორდოვა, კომი, თათრეთი, ბაშკირეთი და სხვა).

შესაბამისად, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთს არ დარჩა სხვა გამოსავალი, გარდა ერთისა: აემოქმედებინა თავდაცვითი ბერკეტები – ეთნოკონფლიქტები, ე. წ. შენელებული მოქმედების ნაღმი. შედეგი სახეზეა: აფხაზეთი, სამხ. ოსეთი, ყარაბახი. საერთაშორისო ტერორიზმთან მებრძოლი ქვეყნის სახელით რუსეთი დაუნდობლად ებრძვის ჩეჩენ ერს (ისე, როგორც რომანოვების და ბოლშევიკების ეპოქაში). არადა, ჩეჩნური კონფლიქტის გაჭიანურების შემთხვევაში, ჩეჩნური სინდრომი მეტასტაზივით მოედება რუსეთის იმპერიას და მისი ტერიტორიული დაშლა შეუქცევად ხასიათს მიიღებს.

სკეპტიკოსები არ ცხრებიან: აშშ საქართველოს გამო რუსეთთან არ გაამწვავებს ურთიერთობას. მაგრამ პოლიტიკაში არ არსებობს მუდმივი მეგობრები, არამედ არსებობენ მუდმივი ინტერესები. ან რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის, რომ საქართველოს

გამო აშშ თითქოსდა გაამწვავებს ურთიერთობას რუსეთთან?! საქართველო, ნებსით თუ უნებლიედ, ექცევა აშშ-ის და დას. ევროპის ეროვნულ ინტერესებში. და ყველაზე მთავარი: ცოტა ადრე აშშ-ის დაინტერესება საქართველოთი განპირობებულია არა ბეიკერის „ძმაკაცის", ე. შევარდნაძის ავტორიტეტით, არამედ დიდი გეოპოლიტიკური გადანაწილებით, უახლოეს მომავალში რომ ექნება ადგილი მსოფლიოში.

მსოფლიოს ხელახალი გეოპოლიტიკური გადანაწილება, რომლის წინაშე, ნებსით თუ უნებლიედ, დადგა დასავლეთი ერაყის ომის შემდგომ – აშშ-გან უპირობოდ მოითხოვს ფუნდამენტალური საკითხების გადაწყვეტას: 1. ნავთობი; 2. თურქეთი; 3. ისლამური ფუნდამენტალიზმი.

ნავთობი, რომელიც განსაზღვრავს დღევანდელი მსოფლიოს ეკონომიკას, თეთრი სახლის მიერ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების რანგშია აყვანილი. ერაყის ნავთობზე კონტროლი არ ნიშნავს, რომ ოპეკის ქვეყნებთან (ნავთობის გადამამუშავებელი ქვეყნები) უახლოეს ხანებში აშშ-ს არ ექნება დაპირისპირება. ამიტომაც ოპეკის ქვეყნების განეიტრალებას აშშ ცდილობს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენით. ცნობილია, რომ ეს მარშრუტი გაივლის არა რუსეთზე, არამედ კავკასია-თურქეთის ტერიტორიაზე. როგორც ვხედავთ, აშშ უკვე წავიდა რუსეთთან აშკარა კონფრონტაციაზე, რადგანაც ხსენებული პროექტი შედის აშშ-ის ეროვნულ ინტერესებში. უფრო მეტიც: აშშ სერიოზულად თანამშრომლობს საქართველო-აზერბაიჯანთან სამხედრო-სტრატეგიულ საკითხებში, რაც, სავარაუდოა, 2010 წლისათვის საქართველო-აზერბაიჯანის ნატოში გაწევრიანებით დასრულდეს. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია?! რასაკვირველია, აშშ ამას აკეთებს არა საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე და არც რუსეთთან მიდის კონფრონტაციაზე საქართველოს გამო!

სსრკ-ის სპონტანტურმა დაშლამ კავკასია-შუა აზიის სივრცეში შექმნა გეოპოლიტიკური ვაკუუმი. ტრადიციულად, დასავლეთი კავკასიას განიხილავდა, როგორც მხოლოდ თურქეთის საშინაო საკითხს. XX ს-ის 20-იან წლებში ა. მ. ვილსონი საჯაროდ აცხადებდა, რომ კავკასიის საკითხი უნდა განვიხილოთ, როგორც თურქეთის იმპერიის პრობლემაო. 1940 წ. საფრანგეთის პრემიერ-

...ი დალადიე თურქეთს აქეზებდა, დაეპყრო კავკასია. (ცნობილისათვის: 1945 წ. პოტსდამის კონფერენციაზე (17 ივლისი 2 აგვისტო) სტალინ-მოლოტოვის მოთხოვნა, თურქეთს დაებრუნებინა 1921 წ. 16 მარტის ხელშეკრულებით მითვისებული ქართული მიწები – ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი, აშშ-მა და ბრიტანეთმა კატეგორიულად გააპროტესტა). სიტუაცია რადიკალურად არც ბოლო დრომდე შეცვლილა. დასავლეთი უპირობოდ აღიარებდა და მხარს უჭერდა თურქეთის „კავკასიურ პოლიტიკას" რასაკვირველია, დასავლეთის ამდაგვარი პოზიცია არც თურქეთისადმი კეთილგანწყობაზე მიუთითებდა და არც კავკასიის ხალხებისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებაზე. საქმე მარტივადაა. თურქეთი სსრკ-ის დაშლამდე დასავლეთისათვის სამხრეთული ფარის ფუნქციას ასრულებდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ესაა და ეს! მაგრამ, დასავლეთის ამდაგვარმა პოზიციამ მეორე უკიდურესობა წარმოშვა. კერძოდ: საგრძნობლად გამოიღვიძა თურქეთის მიძინებულმა იმპერიულმა მადამ. თურქეთმა დაიწყო სერიოზული ინვესტიციების ჩადება შუა აზიის რესპუბლიკებში და აზერბაიჯანში. ამ ბოლო პერიოდში თურქეთის „პანისლამისტურ" და „პანთურქისტულ" წრეებში საკმაოდ პოპულარულია პოლიტიკური დოქტრინა – „დიდი თურანის" იდეა, ანუ დიდი თურქული სახელმწიფოს შექმნა, რომელშიც შუა აზიის, ციმბირის, ვოლგისპირეთის თურქულენოვანი ხალხების გარდა, კავკასიაც მოაზრება. საქმე ის არის, რომ თურქები ვერასოდეს აიხდენენ ისტორიულ ოცნებას, თუ თავიანთ კონტროლს არ დაუქვემდებარებენ კავკასიას, უპირველეს ყოვლისა კი, საქართველოს. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველო არის სწორედ ის ქვეყანა, რომლის საშუალებით თურქეთი აღასრულებს თავის ისტორიულ მისიას.

ერაყის ომმა კი რადიკალურად შეცვლა აშშ-ის დამოკიდებულება თურქეთისადმი, როგორც სტრატეგიული პარტნიორისადმი. **შესაბამისად, თურქეთის „კავკასიური პოლიტიკისადმი" მხარდაჭერას აშშ-გან წყალი შეუდგა.** ეს განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა: **1. თურქეთმა, რომელიც იყო დასავლეთ ევროპის და აშშ-ის სამხრეთული ფარი ბოლშევიზმის წინააღმდეგ, სსრკ-ის დაშლის შემდეგ ეს ფუნქცია დაკარგა; 2. თურქეთის ორეოფული პოლიტიკა აშშ-ერაყის ომში; 3. ისლამური ფუნდამენტალიზ-**

**მის ფაქტორი, რომელიც უახლოეს მომავალში სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის აშშ-ის პოლიტიკას მახლობელი აღმოსავლეთის და შუა აზიის რეგიონში.** საქმე ის არის, რომ, როდესაც ისლამი ხდება პოლიტიკურად „შეფერილი" ფართო მოძრაობის იდეოლოგია, მაშინ ეროვნული კუთვნილება მეორე პლანზე დგება და უპირატესობა ენიჭება რელიგიურ ფაქტორს. ისლამი ხომ საერთოდ არ ცნობს ამა თუ იმ ადამიანის ეროვნულ კუთვნილებას და მთელს მსოფლიოს მხოლოდ მორწმუნეებად და ურჯულოებად ჰყოფს. ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობა სამომავლოდ დიდ საფრთხეს შეუქმნის აშშ-ის პოლიტიკას მახლობელ აღმოსავლეთში და შუა აზიის რეგიონში; **4. ბაქო-ჯეიჰანის და ბაქო-ერზრუმის საუკუნის პროექტები უფრო დააახლოებს თურქეთს აზერბაიჯანის, შუა აზიის, ვოლგისპირეთის და ციმბირის თურქულენოვან ხალხებთან, როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად. ეს კი, არც თუ ისე შორეულ მომავალში, უფრო რეალურს გახდის „დიდი თურანის" იდეის რეალიზებას, რაც თურქეთის იმპერიულ პოლიტიკას ნაკლებად კონტროლებადს გახდის აშშ-ის მხრიდან თავისი შორსმიმავალი, არასასურველი შედეგებითურთ...**

ვიმეორებთ, პოლიტიკა რეალობაა და არა ვისმეს სურვილი. სწორედ ეს რეალობა აიძულებს აშშ-ს, სერიოზულად გადახედოს თურქეთთან სამომავლოდ სტრატეგიული პარტნიორობის საკითხს. ამისი პირდაპირი დადასტურებაა ის სტრატეგიული ნაბიჯები, რომელიც მომავლის პერსპექტივაზეა გათვლილი: 1. აშშ ქმნის სამხედრო ბაზას ერაყის ჩრდილოეთით, ქურთთა კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიაზე. „ქურთული სინდრომი" საიმედო ბერკეტია აშშ-ის ხელში, თურქეთის იმპერიული მადის მოსათოკად; 2. გერმანიის გაერთიანებისა და ევროპაში ბოლშევიზმის კრახის შემდეგ აშშ-ის სამხედრო კონტიგენტის ყოფნამ ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში, თავისი ფუნქცია დაკარგა. შესაბამისად, აშშ დაიწყო გერმანიიდან სამხედრო ბაზების დისლოკაცია ბულგარეთსა და რუმინეთში, კერძოდ, შავი ზღვის აკვატორიაზე. ფაქტია, რომ აშშ იწყებს შავი ზღვის აკვატორიის თანმიმდევრულ, მიზანმიმართულ ათვისებას, სადაც დღემდე აშშ-ის ხელშეწყობით დომინანტი პოზიცია ეკავა თურქეთს. თუ უახლოეს ხანებში აშშ-ის საზღვაო ბაზები გან-

ლაგდება უკრაინა-საქართველოს მიერ კონტროლირებად საზღვაო აკვატორიაზე. მაშინ აშშ საგრძნობლად მოთოკავს თურქეთის იმპერიულ ამბიციებს შავი ზღვის სანაპიროზე.

აი, სწორედ აქ ემთხვევა ერთმანეთს აშშ-საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესები ერთმანეთს. ამ გარდამავალ პერიოდში, ისტორიული წყენის პრინციპით აპელირება – რატომ მიუგდო დასავლეთმა 1992 წ. საქართველო საჯიჯგნად რუსეთს, სასაცილოა. სატირალი რომ არ იყოს. საქართველოს ეძლევა რეალური შანსი, აღიდგინოს თავისი ისტორიული ფუნქცია კავკასიაში.. ამ ისტორიული ფუნქციის აღდგენაში დევს, აგრეთვე, აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გასაღები. მაგრამ აქ ერთი უნდა ითქვას ცალსახად: საქართველო არასოდეს არ გახდება რომელიმე სუპერდერჟავის დანამატი. საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები კავკასიაში ისტორიულად საქართველოსაც ჰქონდა და აქვს დღესაც და ის უნდა იყოს მოყვანილი შესაბამისობაში დასავლეთის ინტერესებთან. საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის და გეოპოლიტიკური ინტერესების შესაბამისობაში მოყვანის შემთხვევაში უპირობოდ უნდა იყოს დაცული სამი ფუნდამენტალური ფაქტორი: 1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა; 2. მართლმადიდებლობა, რომელიც უნდა იყოს აყვანილი სახელმწიფო რელიგიის რანგში; 3. კავკასიის მთის ხალხთა საქართველოს გეოპოლიტიკურ სივრცეში დაბრუნება. ამ ერთიანი კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცის აღდგენა არის უპირველესი წინაპირობა ქართული სახელმწიფოს, ენის და კულტურის უნივერსალურობის მინიჭების საქმეში. ამასთან ერთად, ჩრდ. კავკასიის ხალხების იბერიულ-კავკასიურ სამყაროში მოქცევა (ანუ ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცის აღდგენა), არის ერთადერთი გარანტი იბერიულ-კავკასიური ცივილიზაციის, საერთოდ იბერიულ-კავკასიური მოდგმის ფიზიკური გადარჩენის საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. ჩრდ. კავკასიაში რუსთა სამუდამოდ დამკვიდრება, პერმანენტულად ამყოფებს დენთის კასრზე აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოებას და გეოპოლიტიკურ ინტერესებს კავკასია-შუა აზიის რეგიონში, ხოლო ქართულ სახელმწიფოს დამოკლეს მახვილივით შეუქმნის საფრთხეს.

## §6. აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება: ორსახოვანი იანუსი

აფხაზეთის საკითხი დამოკლეს მახვილივით დაეკიდა საქართველოს. აფხაზეთის საკითხთან მიმართებაში ე. შევარდნაძის – რუსეთის მარიონეტის პოლიტიკა ჩიხში შევიდა. ამასთან, ხელისულფების მიზანამიმართული პოლიტიკით ერთმანეთს დაუპირისპირდა „პრორუსული" აჭარის და „პროდასავლური" აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ლიდერები – ა. აბაშიძე და თ. ნადარეიშვილი.

**მაგრამ რეალურად, აბაშიძე-ნადარეიშვილის „დაპირისპირება" იყო ფარსი, რომელიც ე. შევარდნაძის სცენარით იმართებოდა.** შორსგამიზნული პოლიტიკა ითვალისწინებდა ე. წ. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში რუსული ფაქტორის გამორიცხვას. ე. შევარდნაძემ, რომლის ანტიქართული პოლიტიკა მთლიანად რუსულ იმპერიულ სტერეოტიპზე იყო აგებული, ქართულ-აფხაზური დაპირისპირება ეთნოკონფლიქტის რანგში აიყვანა. ა. აბაშიძე დღესაც კატეგორიულად უარყოფს აფხაზეთში ქართველთა ეთნიკურ გენოციდს, რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციას. ა. აბაშიძე თ. ნადარეიშვილს აფხაზეთის კონფლიქტის გაღვივებაშიც კი ადანაშაულებს. მისი აზრით, თ. ნადარეიშვილმა ვერ მოახერხა რა მშვიდობიანი გზით ომამდელი ქართულ-აფხაზური დაპირისპირების დარეგულირება, ხელისუფლების შენარჩუნების მიზენით აიძულა ე. შევარდნაძე, საჭარისო ფორმირებები შემოეყვანა აფხაზეთში.

თ. ნადარეიშვილი, ა. აბაშიძისგან განსხვავებით, ამხელდა რუსეთს, როგორც აგრესორს და მას ქართველთა ეთნიკურ წმენდაში ადანაშაულებდა. მაგრამ თ. ნადარეიშვილი არაფერს ამბობდა ე. შევარდნაძის პასუხისმგებლობაზე აფხაზეთის კონფლიქტში. თ. ნადარეიშვილი თითქოს „ვერც აცნობიერებს", რომ რუსეთმა სწორედ ე. შევარდნაძის ხელით განახორციელა აფხაზეთის ოკუპაცია და ქართველთა ეთნიკური წმენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია, თუ რატომ არ აღიარა ე. შევარდნაძემ რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსია; რატომ არ ამხილა ე. შევარდნაძემ და პარლამენტის უმრავლესობამ აფხაზეთში ქართველთა გენოციდი; რატომ შემოიყვანა ე. შევარდნაძემ აფხაზეთში რუსი სამშვიდობოები, რითაც მან სამართლებრივი

ბაზა შეუქმნა რუსეთს აფხაზეთის ანექსიის დაკანონებაში.

**როგორც ვხედავთ, ე. შევარდნაძესთან ერთად ა. აბაშიძე და თ. ნადარეიშვილი საერთო საქმეს ემსახურებოდნენ. ე. შევარდნაძესგან „ნებადართული მამაცობა" ავალდებულებდა თ. ნადარეიშვილს, „დაედანაშაულებინა" რუსეთი აფხაზეთის კონფლიქტში, მაგრამ მთლიანად გამოერიცხა ე. შევარდნაძის ფაქტორი. ა. აბაშიძე ე. შევარდნაძის მითითებით მხოლოდ თ. ნადარეიშვილსა და ალხს ამხელდა და აფხაზეთის საკითხის მოგვარებაში პრიორიტეტს უპირობოდ რუსეთს ანიჭებდა.**

ჩვენთვის მიუღებელია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების აბაშიძისეული მოდელიც. აქ აქცენტები ძირითადად რუსეთის ფაქტორზე კეთდება. რუსეთს კი აფხაზეთის და ე. წ. სამხ. ოსეთის კონფლიქტები სჭირდება, როგორც პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტები, რათა საქართველო ისევ რუსეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში დააბრუნოს.

ამ ვითარებაში ალხ, დევნილთა ცნობიერებაში თავის უნიათო და უსუსური პოლიტიკის წყალობით, ე. შევარდნაძის მხრიდან, ლტოლვილთა დასაშოშმინებელ და სიტუაციის დასარეგულირებელ ორგანოდ იქცა. დევნილებისაგან განსხვავებით, რომელნიც უმძიმეს სოციალურ მდგომარეობაში იმყოფებიან, ალხ და „უვადო დეპუტატობამისჯილი" აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს და საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის ფრაქციის უმრავლესობა, პრივილიგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებისა და დევნილთა წინაშე მოწამებრივი იმიჯის შესაქმნელად, თ. ნადარეიშვილს გააჩნდა რამდენიმე მომგებიანი კოზირი:

1. გაეროს მეშვიდე მუხლის ამოქმედება, ანუ ძალისმიერი გზით აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება;

2. რუსეთის, როგორც აგრესორის და აფხაზეთის ოკუპანტის მხილება;

3. რომის პაქტის ფაქტორი, როგორც აფხაზეთში ქართველთა ეთნიკური წმენდის და გენოციდის მხილების და აღიარების სამართლებრივი მექანიზმი.

აშშ-ერაყის ომის დასრულების შემდეგ ბრძოლა კავკასიისათვის ახალ ფაზაში შევიდა. სწორედ ამ ფონზე უნდა განვიხილოთ აფხაზეთის საკითხი. შესაბამისად გაერო მიიღებს სწორედ ისეთ გადაწ-

ყვეტილებას აფხაზეთთან მიმართებაში, როგორც აწყობს ეს ვაშინგ-ტონს და მოსკოვს ამ ეტაპზე. საქმე მარტივად არის. საკმარისია, რომ გაერომ ცნოს აფხაზეთში ქართველთა ეთნიკური წმენდა და გენოციდი, მაშინ ავტომატურად ამოქმედდება გაეროს მეშვიდე თავის 39-ე და 40-ე მუხლები – ძალით მშვიდობის დამყარების შესახებ. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, თუ რა რეაქცია მოჰყვება ამ ფაქტს რუსეთში, როდესაც გაეროს ეგიდით ნატოს ჯარები „მშვიდობას" დაამყარებენ აფხაზეთში – რუსეთთან საზღვარზე?

ამიტომაც ალხ-ის მიერ მრავალგზის განმეორებული განცხადებანი იმის შესახებ, რომ გაერო აამოქმედებს მე-7 თავს, ან პოლიტიკური ანბანის უცოდინარობაა, ანდა აფხაზეთის ქართველობის გაბრიყვების მიზანმიმართული პოლიტიკა.

თუ ჩვენ გვსურს, გაეროს ავლით კონფლიქტი აფხაზეთში მოვაგვაროთ ძალისმიერი გზით, საჭიროა ქვეყანაში გამოკვეთილი იდეოლოგიური მუშაობის წარმართვა. ამასთან, საერთაშორისო შეხვედრების დროს ოფიციალურად ითქვას: 1. რუსეთმა მოახდინა კონფლიქტის ესკალაცია აფხაზეთში; 2. რუსეთმა (და არა რეაქციულმა ძალებმა) მოახდინა საქართველოს ტერიტორიის – აფხაზეთის ოკუპაცია? 3. რუსეთმა მოუწყო გენოციდი და ეთნიკური წმენდა აფხაზეთის ქართველობას.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მცირერიცხოვანი ხალხის წინააღმდეგ ხელახალი ესკალაციით, მსოფლიო საზოგადოებრიობა უარყოფითად განეწყობა საქართველოს მიმართ. ე. ი. იდეოლოგიურ ფრონტზე ომს ჩვენ ისევ წავაგებთ.

და კიდევ ერთი: კოსოვოში ამოქმედებული გაეროს მე-7 თავის 39-ე და მე-40-ე მუხლების „ძალით მშვიდობის დამყარება" მექანიკური გადმოტანა ჩვენს სინამდვილეში, გაუმართლებლად მიგვაჩნია. აშშ გაეროს ეგიდით დასაჯა არა სეპარატისტი კოსოველი ალბანელები, არამედ ტერიტორიული მთლიანობის დამცველი სერბები. კოსოვოს ვარიანტის გადმოტანა აფხაზეთში ნიშნავს იმას, რომ ამერიკელები დაბომბავენ არა სეპარატისტ აფხაზებს, არამედ ტერიტორიული მთლიანობის დამცველ ქართველებს.

გაეროს მეშვიდე თავის 39-ე და მე-40-ე მუხლები – ძალით მშვიდობის დამყარების. შესახებ, რომელსაც ასე ხშირად ახსენებდა თ. ნადარეიშვილი, აფხაზეთში ამოქმედდება იმ შემთხვევაში, თუ

იქნება კონფლიქტის ესკალაცია აფხაზეთში; თუ რუსეთის სამშვიდობო ძალები დატოვებენ აფხაზეთს. მაგრამ ე. შევარდნაძემ ცალსახად განაცხადა, რომ მისი პრეზიდენტობის პერიოდში ის არ დაუშვებდა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას ძალისმიერი გზით.

რუსეთის, როგორც აგრესორისა და ოკუპანტის პერმანენტული მხილება, თ. ნადარეიშვილს მოსახლეობისათვის თვალის ასახვევად სჭირდება. თანაც, ასეთი მკვეთრი განცხადებები კეთდება მხოლოდ საქართველოს ტელევიზიით და გათვლილია მარტო ქართველებისათვის. ფაქტია, რომ არც ერთ საერთაშორისო ფორუმზე და რუსეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუებში, თ. ნადარეიშვილმა ოფიციალური რუსეთი, პრეზიდენტები ბ. ელცინი და ვ. პუტინი არც ერთხელ არ დაასახელა და არ ამხილა როგორც აგრესორები და ოკუპანტები. საუბარია მხოლოდ სხვადასხვა საჯარისო ფორმირებებზე და რუსეთის ფედერაციის ჩრდ. კავკასიური წარმოშობის მოქალაქეებზე, რომელნიც ოფიციალური მოსკოვისგან დამოუკიდებლად (?!) აწარმოებდნენ ომს აფხაზეთში და მოახდინეს აფხაზეთის ოკუპაცია. თ. ნადარეიშვილი ხშირად იმუქრებოდა დევნილთა მასობრივი გამოსვლებით, თუ ხელისუფლება არ გაატარებდა ქმედით ღონისძიებებს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში. მაგრამ ესეც მუდამ წინასაარჩევნო ბლეფი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ არ გამოიყვანა თ. ნადარეიშვილმა ქუჩაში ათასობით დევნილი, როდესაც ე. შევარდნაძემ ხელი არ მოაწერა პარლამენტის ერთსულოვან გადაწყვეტილებას აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანასთან დაკავშირებით?! რატომ არ მოუწოდა თ. ნადარეიშვილმა აფხაზეთის ქართველობას, საჯაროდ დაპირისპირებოდა ე. შევარდნაძეს? მან ამ ათი წლის განმავლობაში ოფიციალურ დონეზე ერთხელაც არ ამხილა რუსეთი (ოფიციალური და არა რეაქციული?!), როგორც აგრესორი და ოკუპანტი?! რატომ არ ილაშქრებდა თ. ნადარეიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, რომელმაც ამ რვა წლის განმავლობაში ოფიციალურ დონეზე არც ერთხელ არ სცნო აფხაზეთში ქართველთა ეთნიკური წმენდის და გენოციდის ფაქტი?!; და ბოლოს, რატომ არ მოუწოდა თ. ნადარეიშვილმა აფხაზეთის ქართველობას სრული დაუმორჩილებისაკენ, როდესაც თბილისში ე. შევარდნაძე შეხვდა აფხაზეთის ქართველთა ეთნიკური წმენდის და გენოციდის მომწყობ

ვ. არძინბას?! ერთადერთი, რაც „გაბედა" თ. ნადარეიშვილმა, იყო ის, რომ პროტესტის ნიშნად გადადგა აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარის პოსტიდან. მაგრამ როგორც ე. შევარდნაძე მოაბრუნა დაჩოქილმა ბრბომ, ასევე, შეჰღალადეს თანამდებობაზე დაბრუნება ალხ-ის ჩინოვნიკებმა თ. ნადარეიშვილს. და მანაც, ე. შევარდნაძის მსგავსად, შეისმინა „ერის ხმა" და თანამდებობაზე დაბრუნდა. ასე რომ, თ. ნადარეიშვილს და ალხ-ს ე. შევარდნაძისგან ლიცენზირებული ე. წ. „ნებადართული მამაცობა" ანიჭებდა ბუფერის ფუნქციას, ე. შევარდნაძესა და ლტოლვილებს შორის არსებული, საკონფლიქტო სიტუაციების განმუხტვის საქმეში.

ამ ბოლო პერიოდში დევნილი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა სისხლის სამართლის საერთაშორისო სამართალი, რომის სტატუსი, რომელიც ალხ-ის მიერ ლამის ღვთის წყალობად გამოცხადდა. რას მისცემს საქართველოს რომის სტატუსთან მიერთება? რა დადებითი თუ უარყოფითი მომენტები იჩენს თავს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით, თუ საქართველოს შეუერთდება რომის პაქტს.

საქართველოს მიეცემა უფლება, საერთაშორისო სასამართლოში შეიტანოს სარჩელი აფხაზეთში ჩატარებულ ქართველთა ეთნიკურ გენოციდთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ გენოციდის ფაქტების ფიქსაცია იწყება 2002 წლიდან, ხოლო 1992-1993 წწ. აფხაზეთში განხორციელებული ქართველთა ეთნიკური გენოციდი სათვალავში არ არის?!

საქართველო, რომის პაქტთან მიერთების შემთხვევაში, კონფლიქტის ზონაში გაეროს სამშვიდობო მისიის იმედად რჩება. ე. ი. აფხაზეთის კონფლიქტის ძალისმიერი მოგვარების შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლება თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება.

რომის სტატუსის მიხედვით, აფხაზეთის კონფლიქტის ძალისმიერი მოგვარების შემთხთვევაში საქართველოს ხელისუფლება პასუხს აგებს საერთაშორისო სასამართლოს წინაშე, როგორც ბრალდებული.

რომის სტატუსთან მიერთების შემთხვევაში, ე. ი. თუ საქართველოს თვითნებურად გადაწყვეტს, რომ აფხაზეთში ძალის გამოყენება აუცილებელია, ამ ფაქტის შეფასება თვით რომის პაქტის პრეროგატივა იქნება: იყო ეს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მცდელობა თუ უბრალო აგრესია?!

ნებისმიერი პარტიზანული დივერსია მიმართული ვ. არძინბას ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ, რომის პაქტის მიერ აღიქმება, როგორც დაუფარავი აგრესია აფხაზეთის დე-ფაქტო მშვიდობიანი მოსახლეობის მისამართით.

ამრიგად, რომის პაქტთან საქართველოს მიერთების შემთხვევაში, და ამასთან თუ აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტის ძალისმიერ გზას აირჩევს საქართველოს ხელისუფლება, ის აღმოჩნდება გამოუვალ მდგომარეობაში. აფხაზეთის დე-ფაქტო მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ მისი ყოველი ძალისმიერი ქმედება შეფასებული იქნება, როგორც დაუფარავი აგრესია.

რომის პაქტი, რომლის პოპულარიზაციას ეწეოდა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება იყო სატყუარა დევნილებისათვის და მმართველი პარტიის წინასაარჩევნო პოპულიზმი.

პარლამენტში მოხვედრის სურვილით შეპყრობილმა, სხვადასხვა პარტიებთან კარდაკარ მოსიარულე აფხაზეთის უს-ს თავმჯდომარემ თ. ნადარეიშვილმა სახალხოდ უპატაკა მამა-მარჩენალს ე. შევარდნაძეს, რომ აფხაზეთიდან დევნილები, ისევ ე. შევარდნაძეს უჭერენ მხარს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტი: თ. ნადარეიშვილმა დაკარგა რეალობის გრძნობა, დაშორდა თავის ხალხს და საბოლოო ჯამში, ე. შევარდნაძის მიერ მართვად კაბინეტურ ლიდერად ჩამოყალიბდა.

თ. ნადარეიშვილი უფლებამოსილი იყო თავისი ხმა მიეცა ე. შევარდნაძისათვის. მაგრამ მას არ ჰქონდა მორალური უფლება, ელაპარაკა აფხაზეთის ქართველობის სახელით; ის ბოლომდე მხარს უჭერდა ე. შევარდნაძის იმ კრიმინალურ რეჟიმს, ათი წელიწადი სულში რომ აფურთხებდა ლტოლვილებს, შეურაცხყოფდა იმ გმირებს ე. შევარდნაძის რეჟიმის განმტკიცებას რომ შეეწირნენ აფხაზეთში...

აფხაზეთის ქართველ დეპუტატთა საპარლამენტო ფრაქცია, როგორც მოსალოდნელი იყო შემგუებლურ-გამრიგებლურ პოზიციაზე დარჩა. და, რაც მთავარია, სარგებლობდა ყველანაირი პრივილეგიით (ლტოლვილთა უმრავლესობის გაღატაკებული ცხოვრების ფონზე), თანაც ისე, რომ არაფერზე აგებდა პასუხს! ამისთვის კი საჭირო იყო სულ „ცოტა": პრეზიდენტზე აუგი არ წამოგცდენოდა.

**თ. ნადარეიშვილი ე. შევარდნაძის პოლიტიკური თამაშის აქტიური წევრი იყო, რამაც განსაზღვრა კიდეც მისი გაორებული**

**ცნობიერება. თ. ნადარეიშვილის ჯელაზე დიდი შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ მან აფხაზეთის კონფლიქტის დაწყების დღიდან აფხაზეთის საკითხის მოგვარების მექანიზმი ე. შევარდნაძის კრიმინალურ რეჟიმზე ააგო. თ. ნადარეიშვილმა ვერ განჭვრიტა, რომ სამეგრელოს შვიდჯერ ამწიოკებელი პრეზიდენტი აფხაზეთში ჯარს სეპარატიზმის ასალაგმავად არ შეიყვანდა.** და რომ ნებისმიერი საკონფლიქტო სიტუაციები ე. შევარდნაძეს სჭირდებოდა მხოლოდ ხელისუფლების შენარჩუნება-განმტკიცებისათვის (იგივე განმეორდა პანკისის ხეობაში).

აფხაზეთის საკითხის მოგვარების მექანიზმი შევარდნაძეზე არ გადიოდა, ეს აქსიომაა. აფხაზეთის საკითხის მოგვარებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სამართლებრივი მექანიზმის აღდგენა: 1. უნდა აღდგეს სამართალმემკვიდრეობა, ე. ი. 1990 წლის საქართველოს რუსპუბლიკის კონსტიტუცია, სადაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა გამოცხადებულია საქართველოს რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილად; 2. იგივე დაადასტურა 1990 წ. 4 დეკემბრის აფხაზეთის არ-ის კონსტიტუციაში შეტანილმა შესწორებებმა, რის საფუძველზეც ვ. არძინბამ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ცნო საქართველოს რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილად; 3. 1991 წ. 31 მარტის რეფერენდუმის მიხედვით, საქართველოს დამოუკიდებლობას ხმა მისცა აფხაზეთის არ-ის მოსახლეობის 66 პროცენტმა, ე. ი. ორმა მესამედმა.

ავადმყოფის სწორი მკურნალობისათვის აუცილებელია ზუსტი დიაგნოზი. არასწორი დიაგნოზის დასმის შემთხვევაში ავადმყოფი შეიძლება გარდაიცვალოს, ხოლო უკეთეს შემთხვევაში, ხეიბარი დარჩეს. შესაბამისად, თ. ნადარეიშვილს და ალხ-ს არა კულუარებში, არამედ საჯაროდ, ხალხის გასაგონად უნდა განეცხადებინათ:

– რომ ე. შევარდნაძე იყო აფხაზეთის კონფლიქტის ერთ-ერთი შემკვეთი და შემსრულებელი – და ეს არის რეალობა!

– რომ ე. შევარდნაძე იყო აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების მთავარი შემაფერხებელი ბერკეტი – და ეს არის რეალობა!

თ. ნადარეიშვილის, როგორც პოლიტიკოსის ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ მან ვერ გააცნობიერა სახარებისეული ჭეშმარიტება: **„ორთა ბატონთა მონება არავის ხელეწოფების"!**

## §7 „ბაკულას ღორების“ სინდრომი ანუ გაეროს ფაქტორი აფხაზეთის კონფლიქტში

მეზობლის დაშინების მიზნით ბაკულას ღორებით შეწუხებული გალაქტიონ ხოსოლიანი დაბის სეკრეტარს დაპატიჟებს ოჯახში პურ-მარილზე. გალაქტიონი ეიფორიაში იყო, როცა ხედავდა, როგორი მოწიწებით ესალმებოდა ბაკულას ღორების პატრონის დასაშინებლად მოყვანილ რუსის სეკრეტარს ეკლესიის გალავანში გამოფენილი სოფლის მოსახლეობა. „ნუ ჩტო, პუგაიტსა“ – აგულიანებდა ვასილ ივანიჩი ალექსანდრეს. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. ბაკულას ღორები არა თუ დაშინდნენ სეკრეტარის გამოჩენით, უფრო მეტიც: მისთვის საგანგებოდ გაწყობილ პურ-მარილს დაერივნენ. გაშწარებული გალაქტიონი ჩასძახოდა გალეშილ რუსის სეკრეტარს:

– „ვასილი ივანიჩ, სვინი... სვინი.

– ნუ ტებია... სამ სვინია! კ ჩორტუ!“

მსგავს კომიკურ სიტუაციაში ვართ ჩავარდნილნი დღეს გაეროს გადამკიდე ქართველები. ფარატინა რეზოლუციები, რომელსაც სეპარატისტების „დასაშინებლად“ ღებულობს გაერო, რუსებსა და აფხაზებს სასაცილოდაც არ ჰყოფნით: ბაკულას ღორების მსგავსად, ყურებსაც არ აპარტყუნებენ. ათ წელზე მეტია, გრძელდება აფხაზეთის ანექსია და ყოველგვარი ქართულის ამოძირკვა ამ მხარეში...

აფხაზეთის კონფლიქტში და პოსტკონფლიქტურ პერიოდში ე. შევარდნაძე და მისი გარემოცვა თავს იწონებდა დევნილების წინაშე გაეროს მიერ მიღებული რეზოლუციებით, რომელშიც აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ლტოლვილთა უპირობო დაბრუნების აუცილებლობა აფხაზეთში. ხოლო კოსოვოს კონფლიქტში, გაეროს მე-7 თავის – ძალით მშვიდობის დამყარების შესახებ ამოქმედებით გულმიცემულმა ე. შევარდნაძემ, რომ იტყვიან სულ თითები უქნია და ფეხები უბაკუნა აფხაზ სეპარატისტებს. ყველაფერი კი ფარატინა ქაღალდად დარჩა.

გაერო, ეუთო და ა. შ. რომელიც ტოტალიტარულ გარემოცვაში გაზრდილი მოსახლეობისათვის აღიქმებოდა, თავისუფლებისა და დემოკრატიის სიმბოლო. ე. შევარდნაძემ, რომელმაც ისარგებლა

ქართველი კაცის მიმნდობი ბუნებით, თანმიმდევრულად დაარწმუ-ნა ჩვენი საზოგადოებრიობა ერის არასრულფასოვნებაში. შესაბამ-ისად, ე. შევარდნაძემ ქართველი ერის ცნობიერება მიიყვანა იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ საქართველოს მხოლოდ საკუთარი ძალებით არ ძალუძს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება. კონ-ფლიქტის ინტერნაციონალიზაცია გამოცხადდა პრობლემის მოგ-ვარების ერთადერთ გზად. იმედის ნაპერწკალი საპნის ბუშტივით მაშინ გასკდა, როდესაც გაერომ ოფიციალურ დონეზე არ სცნო ქართველთა ეთნიკური წმენდა და გენოციდი, ჰაგის ტრიბუნალს არ გადასცა ვ. არძინბას ფაშისტური ხროვა და არ დაიწყო გაეროს მიერ არაერთხელ ოფიციალურ დონეზე დეკლარირებული – ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მასო-ბრივი, უპირობო დაბრუნება მათ საცხოვრებელ ადგილებში, აფხ-აზეთის მთელ ტერიტორიაზე.

ჩვენს ხელთ არის კრებულის – „აფხაზეთის საკითხი ოფი-ციალურ დოკუმენტებში" ორტომეული, სადაც თავმოყრილია

აფხაზეთის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად არსებული ნორმატიული აქტები, დოკუმენტები, გაეროს, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ფორუმებზე მიღებული გადაწყვეტილებები და ა. შ. მოკლედ, მთელი ჩვენი პოლიტიკური ელიტის „ისტორიული მეხსიერება", აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ამ ორტომეულშია მოქცეული. ხსენებული ორტომეული ჩვენს დაინტერესებას იწვევს რამდენიმე ასპექტით:

1. რა კონტექსტშია მოცემული ე. წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ანუ რა სამართლებრივი შეფასება ეძლევა ამ დაპირისპირებას გაეროს, ეუთოს და სხვა საერთაშორისო ფორუმების მიერ;

2. როგორია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, პარლამენტის და ხელისუფლების სამართლებრივი შეფასება ე. წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტისადმი იმ დადგენილებების, რეზოლუციების და ა. შ. მიხედვით, რომელიც გაეგზავნა ან მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის თანხმობით გაეროს, ეუთოს და სხვა საერთაშორისო ფორუმებზე;

3. აფხაზ სეპარატისტებზე ზეწოლის რა ბერკეტები შეიმუშავა და რა კონკრეტულ ქმედებაში მოიყვანა გაერომ, ეუთომ, დსთ და სხვა საერთაშორისო ფორუმებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ლტოლვილთა უპირობო და ღირსეულად დაბრუნების საქმეში;

4. რა ფორმით არის დაფიქსირებული გაეროს, ეუთოს, დსთ-ს და სხვა საერთაშორისო ფორუმების დამოკიდებულება აფხაზეთში განხორციელებულ ქართველთა ეთნიკურ წმენდასა და გენოციდთან დაკავშირებით და რა კონკრეტული ღონისძიებანი იქნა გატარებული ეთნიკური წმენდის და გენოციდის მომწყობ ვ. არძინბას ფაშისტურ ხროვასთან მიმართებაში.

გაეროს, ეუთოს, დსთ და სხვა საერთაშორისო ფორუმებზე მიღებულ დეკლარაციებში, რეზოლუციებსა და დადგენილებებში ე.წ. ქართულ-აფხაზური დაპირისპირება შემდეგი ფორმულირებითაა წარმოდგენილი:

1. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი;
2. აფხაზეთის (საქართველოს) კონფლიქტის შესახებ;
3. კონფლიქტი აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა.

კონფლიქტის და მისი მოწესრიგების მცდელობის ადრეულ (1992-

1995 წწ) და პოსტკონფლიქტურ (1995-2003 წწ.) პერიოდში გაეროს უეთოს, დსთ და სხვა საერთაშორისო ფორუმებზე მიღებულ რეზოლუციებში, დადგენილებებში სიტყვაც არ არის თქმული რუსეთზე, როგორც აგრესორზე, რომელმაც მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია და ანექსია, მოუწყო გენოციდი და ეთნიკური წმენდა აფხაზეთის ქართველობას.

მაგრამ რას ვერჩოდით გაეროს, ეუთოს, დსთ-ს, როდესაც საქართველოს ყველა მოწვევის პარლამენტს, პრეზიდენტ ე. შევარდნაძეს ოფიციალურ დონეზე ერთხელაც არ დაუსახელებია რუსეთი, როგორც აგრესორი აფხაზეთის კონფლიქტში, ქვეყანა, რომელმაც მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია და ანექსია. ქართული მხრიდან საკითხისადმი ასეთმა მიდგომამ, ძირითადად, განაპირობა ის, რომ გაერომ, ეუთომ, დსთ-მ აფხაზეთში კონფლიქტს ეთნოკონფლიქტის კვალიფიკაცია მისცა. ე. შევარდნაძემ 1994 წ. 9 მარტის გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე განაცხადა: „კონფლიქტი აფხაზეთში არ არის კონფლიქტი ეთნიკურ წინააღმდეგობათა ნიადაგზე, კონფლიქტი ქართველებსა და აფხაზებს შორის. ეთნონაციონალური ელფერი მას განზრახ მიანიჭეს (იხ. „აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში" თბ., 2000, ტ. I, გვ. 312). ამაზეა ნათქვამი: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. ე.წ. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციებსა და დადგენილებებზე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ე. შევარდნაძის და ჯ. იოსელიანის ხელმოწერებია. მაგალითების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება:

1. 1994 წ; 22 აგვისტო. რუსეთის ფედერაცია. ქ. მოსკოვი.

**Решение об использовании Коллективных сил по поддержанию мира в зоне грузино-абхазского конфликта** ( იხ. დას. კრებ. ტ. I, გვ. 365);

2. 1994 წ. 21 ოქტომბერი. რუსეთის ფედერაცია. ქ. მოსკოვი

**Решение о назначении Командующего Коллективными силами по поддержанию мира в зоне грузино-абхазского конфликта** ( იხ. დას. კრებ. ტ. I, გვ. 384);

3. 1994 წ. 21 ოქტომბერი. რუსეთის ფედერაცია. ქ. მოსკოვი

**Решение об утверждении Мандата на проведение операции по поддержанию мира в зоне грузино-абхазского конфликта** ( იხ. დას. კრებ. ტ. I, გვ. 384);

4. 1995 წ. 26 მაისი. ბელორუსიის რესპუბლიკა

**Решение о продлении срока пребывании Коллективных сил по поддержанию мира зоне конфликта в Абхазии, Республика Грузия** (იხ. დას. კრებ. ტ. I. გვ. 450-451)

5. 1995 წ. 26 მაისი. ბელორუსიის რესპუბლიკა

**Решение о предложениях, о согласованных действиях по урегулированию конфликта в Абхазии, Республика Грузия** ( იხ. დას. კრებ. ტ. I, გვ. 456)

6. 1996 წ. 19 იანვარი. რუსეთის ფედერაცია. ქ. მოსკოვი

**Решение о мерах по урегулированию конфликта в Абхазии, Республика Грузия** (იხ. დას. კრებ. ტ. II, გვ. 39-40);

7. 1996 წ. 17 მაისი. რუსეთის ფედერაცია. ქ. მოსკოვი

**Решение о пребывании Коллективных сил по поддержанию мира (КСПМ) в зоне конфликта в Абхазии, Грузия** ( იხ. დას. კრებ. ტ. II, გვ. 60)

8. 1997 წ. 28 მარტი. რუსეთის ფედერაცია. ქ. მოსკოვი

**Решение о ходе урегулирования конфликта в Абхазии, Грузия** (იხ. დას. კრებ. ტ. II, გვ. 148-149)

9. 1997 წ. 28 მარტი. რუსეთის ფედერაცია. ქ. მოსკოვი.

**Решение о Командующем Коллективными силами по поддержанию мира в зоне конфликта в Абхазии, Грузия** ( იხ. დას. კრებ. ტ. II, გვ. 149).

10. 1994 წ. 4 აპრილი. რუსეთის ფედერაცია

**Заявление о мерах по политическому урегулированию Грузино-Абхазского конфликта** ( იხ. დას. კრებ. ტ. I, გვ. 330)

11. 1997 წ. 21 ივლისი. აშშ. ნიუ-იორკი

**Из выступления Президента Грузии Э. Шеварднадзе на заседании Совета Безопасности ООН 21 июля 1997 г.**

**«Заявление о мерах по политическому урегулированию грузино-абхазского конфликта...»** და ა.შ. დაუსრულებლად!

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

რუსეთი არა თუ არ არის მხილებული, როგორც აგრესორი, არც ერთ მიმართვასა თუ დადგენილებაში სიტყვაც არ არის ნახსენები, რომ სწორედ რუსეთმა მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია და ანექსია და მან მოუწყო აფხაზეთის ქართველობას გენოციდი.

სამაგიეროდ, საქართველოს პარლამენტი ბრალდებას უყენებს რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებიდან ჩამოსულ დაქირავებულ ტერორისტებს და რუსეთის რეაქციულ ძალებს; აფხაზ სეპარატისტებს და კაზაკებს; რუსეთის ზოგიერთი რეაქციონერი თანამდებობის პირებს და გუდაუთელ სეპარატისტებს; რადიკალურ თუ აგრესიულ სეპარატიზმს; სოხუმის სეპარატისტულ რეჟიმს თუ აგრესიულ ნაციონალიზმს და ა. შ. მაგრამ არც ერთი სიტყვა ოფიციალური რუსეთის დანაშაულებრივ ქმედებაზე აფხაზეთის კონფლიქტში!!! უფრო მეტიც: საქართველოს პარლამენტი აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიას ეთნოკონფლიქტის კვალიფიკაციას აძლევს. ასე, მაგალითად:

1994 წ. 12 ოქტომბერი. საქართველოს რესპუბლიკა. ქ. თბილისი. საქართველოს პარლამენტის განცხადება:

1. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დამარეგულირებელი ორმხრივი კომისიის სოჭის შეხვედრის მონაწილეებს.

მის აღმატებულებას, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების სარდალს გენერალ-მაიორ ვასილ იაკუშევს" (იხ. დას. კრებ. ტ I, გვ 382).

იქნებ, გაერო, ეუთო, მსოფლიოში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, არ იზიარებდნენ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის და პარლამენტის დაჟინებულ მოთხოვნას, კონფლიქტს აფხაზეთში მისცემოდა რუსეთ-საქართველოს ომის კვალიფიკაცია?! არაფერი მაგის მსგავსი! უფრო მეტიც, 1994 წ. მარტის ხელშეკრულებით ე. შევარდნაძეს რუსი სამშვიდობოები შემოჰყავს კონფლიქტის ზონაში და, ფაქტობრივად, სამართლებრივ ბაზას უქმნის აფხაზ სეპარატისტებს დანაშაულებრივი ქმედებებისათვის აფხაზეთში დარჩენილი ქართველების მიმართ.

1996 წ. 11 აგვისტოს **ე. შევარდნაძე** გაეროსადმი გაგზავნილ მიმართვაში ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ პოზიციას აფიქსირებს: **"МЫ БЛАГОДАРНЫ ПОЛИТИКАМ И ДИПЛОМАТАМ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ ЗА ИХ АКТИВНОСТЬ В УРЕГУЛИРОВАНИИ КОНФЛКИТОВ В ГРУЗИИ, ЗА ПОЛОЖИТЕЛЬНУЮ РОЛЬ МИРОТВОРЧЕСКИХ СИЛ... БЕЗ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ УРЕГУЛИРОВАНИЕ КОНФЛИКТОВ НА КАВКАЗЕ В КРАТКИЕ СРОКИ ИЛЛЮЗИЯ, И ЭТО ДОЛЖНЫ**

**ПОНЯТЬ ВСЕ "** (იხ. ხსენ. კრებ. ტ. II, გვ. 79). ეს არის ე. შევარდნაძის მხრიდან აფხაზეთის ქართველობისადმი ცინიზმის, ბიოლოგიური სიძულვილის დემონსტრირება!!!

არც საქართველოს პარლამენტი დარჩა „ვალში" აფხაზეთის ქართველობის წინაშე!

1992 წ. 2 ოქტომბერი. საქართველოს რესპუბლიკა. თბილისი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიმართვა გაეროს გენერალურ მდივანს, მის აღმატებულებას ბ-ნ ბუტროს-ბუტროს გალის: „სავსებით აშკარაა აფხაზ სეპარატისტთა შეთქმულება რუსეთის რეაქციულ ძალებთან... რომელიც მოქმედებს იმ დემოკრატიული რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ, პრეზიდენტი ბორის ელცინი რომ მეთაურობს" (იხ. დას.. კრებ. ტ. I, გვ. 87). როგორც იტყვიან, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო!

შესაბამისად, ადეკვატურია გაეროს, ეუთოს პოზიცია რუსის სამშვიდობო მისიასთან მიმართებაში კონფლიქტის ზონაში. ასე, მაგალითად, გაეროს უშიშროების საბჭო 1995 წ. 12 იანვრის მიღებულ №971 რეზოლუციაში ცალსახად აფიქსირებს თავის პოზიციას კონფლიქტის ზონაში: **"Высоко оценивая вклад миротворческих сил СНГ ... в поддержании прекращения огня и стабилизацию обстановки в зоне грузино-абхазского конфликта "** (იხ. დას. კრებ. ტ. I, გვ. 432).

გაეროს, ეუთოს, და სხვა საერთაშორისო ფორუმების როლი აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების საქმეში ამოიწურება დემაგოგიური ფრაზებით, რომელიც გაეროს, ეუთოს მიერ მიღებული ერთი რეზოლუციიდან მეორეში მეორდება:

1. გაერო კვლავაც ადასტურებს სრულ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში;

2. უმაღლეს შეფასებას აძლევს დსთ-ს ქვეყნების მონდომებას მიმართულს ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით აფხაზეთში;

3. დაჟინებით მოუწოდებს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს, რაც შეიძლება მალე აღადგინონ მოლაპარაკებები და მიაღწიონ არსებით პროგრესს კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების საქმეში;

4. გამოთქვამს სინანულს იმასთან დაკავშირებით, რომ არ არის მიღწეული არანაირი შედეგი აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების საქმეში და ლტოლვილთა უპირობო დაბრუნებასთან

დაკავშირებით ავტონომიურ რესპუბლიკაში;

5. მოუწოდებს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკურ დარეგულირებამდე თავი შეიკავონ ძალის გამოყენებისაგან;

6. გაერო გამოთქვამს სერიოზულ შეშფოთებას, რომ კონფლიქტის ესკალაცია აფხაზეთში სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის მშვიდობას და სტაბილურობას მთელს რეგიონში;

7. უპირობოდ მოითხოვს ლტოლვილთა და იძულებით გადადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

8. გამოხატავს თავის შეშფოთებას ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობს გამო;

9. მიესალმება გაეროს სპეციალური წარმომადგენლის ძალისხმევას გალის რაიონში ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნებასთან დაკავშირებით (თუ ვის იურისდიქციის ქვეშ უნდა დაბრუნდნენ ლტოლვილები გალში, ეს გაეროს არც ერთ რეზოლუციაში არ არის განსაზღვრული?!);

10. გაერო იწონებს დსთ-ს სამშვიდობო ძალების ძალისხმევას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში არსებული „მშვიდობის" შენარჩუნებისათვის.

და ასე შემდეგ დაუსრულებლად...?!

კიდევ უფრო მეტ კომიკურ ელფერს იძენს გაეროს, ეუთოს და სხვა საერთაშორისო ფორუმების დამოკიდებულება აფხაზეთში განხორციელებულ ქართველთა ეთნიკურ წმენდასთან და გენოციდთან დაკავშირებით. **თავად პრეზიდენტი ე. შევარდნაძე ბოლომდე „იძიებდა", თუ ვინ მოუწყო აფხაზეთში ქართველებს ეთნიკური წმენდა და გენოციდი და ვის უნდა მოეთხოვოს ამაზე პასუხი?!** შესაბამისად, გაეროც, ეუთოც, თუ ერთი მხრივ ცნობდნენ გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტს აფხაზეთში, მეორე მხრივ, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, მკაფიო პოზიციის არქონის გამო არანაირ ღონისძიებებს არ მიმართავდნენ.

სამართლიანობა მოითხოვს და უნდა ვაღიაროთ, რომ ე. შევარდნაძემ თავის პირად გამოსვლებში არაერთხელ განაცხადა, რომ აფხაზეთში ადგილი ჰქონდა ქართველთა ეთნიკურ წმენდას და გენოციდს. „აფხაზ სეპარატისტთა მიერ შეიარაღებული კონფლიქტის

პროვოცირების გზით. – წერს იგი – აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მიმართ განხორციელებული ეთნიკური წმენდა – გენოციდი თავისი ფაშისტური ბუნებით, მასშტაბებითა და სისასტიკით უდიდესი დანაშაულია არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობის წინაშე" (იხ. დას. კრებული, ტ. I, გვ. 379). 1996 წ. 11 აგვისტოს, გაეროსადმი გაგზავნილ წერილში ე. შევარდნაძე წერდა: **"Выражаю благодарность Будапештскому саммиту Организации по безопастности и сотрудничеству в Европе, осудившему этническую чистку в Абхазии"** (იხ. დას. კრებ. ტ. II, გვ. 80).

ე. შევარდნაძემ, როგორც რუსეთის მორჩილმა, ე.წ. ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებას ეთნოკონფლიქტის და არა რუსეთ-საქართველოს ომის კვალიფიკაცია მისცა. არც ერთ გამოსვლაში ე. შევარდნაძე არ ადანაშაულებდა ოფიციალურ მოსკოვს (და არა „რეაქციულ რუსეთს"?!) აფხაზეთში განხორციელებულ ქართველთა ეთნიკურ წმენდასთან და გენოციდთან დაკავშირებით. ე. შევარდნაძე კრინტს არ ძრავს ვ. არძინბაზე, როგორც ქართველთა ეთნიკური წმენდის „შემსრულებელზე?!" არადა ბოლო არ უჩანდა ქართველთა გენოციდის მომწყობთა მისამართით გამოთქმულ ეპითეტებს: გუდაუთელი სეპარატისტები, „გუდაუთის დაჯგუფება", „გუდაუთის რეჟიმი" და ა. შ. უფრო მეტიც: ე. შევარდნაძემ არა ერთხელ განაცხადა, რომ სურს შეხვდეს ვ. არძინბას, რათა მშვიდობიანი გზით (?!) მოაგვაროს კონფლიქტი აფხაზეთში. შეხვდა კიდევაც ქართველთ-მოძულე ვ. არძინბას გუდაუთასა და თბილისში...

ე. შევარდნაძე ვერ აღძრავდა სისხლის სამართლის საქმეს ვ. არძინბას წინააღმდეგ, რადგანაც ხელები ჰქონდა მოსკოვიდან შეკრული. შესაბამისად, ვერც საქართველოს პარლამენტი აღიარებდა ოფიციალურად აფხაზეთში მომხდარ ქართველთა გენოციდს ე. შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში. ამ შემთხვევაში უნდა დასახელებულიყო გენოციდის მომწყობი პირები და მათი შემკვეთნი. სწორედ საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე ღებულობდა გაერო შესაბამის გადაწყვეტილებას. ასე, მაგალითად, **კოსოვოში ალბანელთა გენოციდში გაერომ დაადანაშაულა არა სერბეთის „რეაქციული ძალები", არამედ სერბეთის ოფიციალური ხელისუფლება მილოშევიჩის მეთაურობით და, შესაბამისად, სასტიკად დასაჯა ისინი.** სწორედ საქართველოს ხელისუფლების ორ-

ჭოფული და გაორებული პოლიტიკის გამო გაერო, ეუთო არაფერისმთქმელ რეზოლუციებს ღებულობდა. ასე მაგალითად, ეუთომ ბუდაპეშტში, 1994 წ. 6 დეკემბერს მიღებულ დოკუმენტში გამოხატა **"...глубокую озабоченность в связи с "этнической чисткой", массовым изгнанием населения-преимущественно грузинского_ из мест проживания и гибелью большого числа невинных гражданских лиц "** (იხ. დას. კრებ. ტ. I, გვ. 409).

1996 წ. 3 დეკემბერს, ლისაბონში ეუთოს უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიღებულ დეკლარაციაში ნათქვამია: „ჩვენ ვგმობთ აფხაზეთში „ეთნიკურ წმენდას", რასაც მოჰყვა ძირითადად ქართველი მოსახლეობის მასობრივი განადგურება და იძულებითი განდევნა" (იხ. დას. კრებ. ტ. II, გვ. 127). მაგრამ არანაირი კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით არ გადადგმულა, როგორც, ეს მოხდა კოსოვოში. რაც შეეხება გაეროს და დსთ-ს ისინიც გამოხატავენ წუხილს „ეთნიკურ წმენდასთან" დაკავშირებით და „კიცხავენ" აფხაზ სეპარატისტებს ჩადენილი დანაშაულისათვის...

აფხაზეთში ქართველთა ეთნიკური წმენდის და გენოციდის აღიარებას გაეროს მიერ და შესაბამისი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას, უპირველეს ყოვლისა, სჭირდება საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ნება!!! საქართველოს პრეზიდენტის და პარლამენტის დონეზე ოფიციალურად უნდა განცხადდეს მსოფლიო საზოგადოების წინაშე:

1. საქართველო ეომებოდა არა აფხაზეთს, არამედ რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიას აფხაზეთში. შესაბამისად, ეს იყო არა ქართულ-აფხაზური ეთნოკონფლიქტი, არამედ რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთში;

2. რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიის – აფხაზეთის ოკუპაცია და ანექსია;

3. რუსეთმა მარიონეტ ვ. არძინბას ხელით მოახდინა ქართველთა ეთნიკური წმენდა და გენოციდი;

4. საქართველოს გენერალურმა პროკურორმა უნდა აღძრას სისხლის სამართლის საქმე, ვ. არძინბას და მისი ფაშისტური ხროვის მიმართ;

5. უმოკლეს დროში რუსეთის სამშვიდობო ძალები უპირობოდ უნდა იქნას გაყვანილი აფხაზეთიდან.

6. სტამბულის გადაწყვეტილების საფუძველზე ჩატარდეს გუდაუთის სამხედრო ბაზის მონიტორინგი. ამასთან, რუსის სამხედროებმა უნდა დატოვონ გუდაუთა.

ყოველივე ამის შემდეგ უნდა მოვახდინოთ ზეწოლა გაეროზე, რათა მან პოლიტიკური ან ძალისმიერი გზით მოაგვაროს კონფლიქტი აფხაზეთში. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო იტოვებს უფლებას, თავისი ძალებით აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა აფხაზეთში...

ამერიკელი პოლიტოლოგის ზ. ბზეჟინსკის აზრით: „თუ საქართველოს პოზიცია მტკიცე იქნება, რუსები თითსაც ვერ დაგვაკარებენ. რადგანაც როდესაც ქვეყანა იბრძვის დამოუკიდებლობისათვის, იგი ახდენს მხარდაჭერისა და კეთილგანწყობის მობილიზებას" **წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ საქართველო გაეროს რეზოლუციების მოიმედე იქნება, რუსები და აფხაზი სეპარატისტები, საბოლოოდ ამოძირკვავენ ყოველივე ქართულს აფხაზეთში...**

## §8. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება ანუ „ტოლერანტობა ქართულად"

ე.წ. „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის" გაჭიანურებული ხასიათი ჩვენს საზოგადოებას კონფლიქტის მოგვარების სხვადასხვა გზისკენ უბიძგებს. მაგრამ სრულიად გაუგებარია (და ამდენად გაუმართლებელი), როდესაც აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში პრიორიტეტს ვანიჭებთ ეროვნულ ხასიათში გენეტიკურად კოდირებულ ე. წ. ტოლერანტობას ანუ ყბადაღებულ შემწყნარებლობას. ტოლერანტობა ჩვენს ფსევდო-დემოკრატებს გაუკუღმართებულად აქვთ გაგებული. მათი პოზიცია მარტივია: როცა ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობა იარაღით ხელში ილაშქრებს ქვეყნის წინააღმდეგ და მის ტერიტორიულ მთლიანობას უქმნის საფრთხეს, ამაში თურმე დამნაშავე ქართველთა გადაჭარბებული ნაციონალიზმი ყოფილა. შესაბამისად „ცოდვები" ქართველებმა, თურმე, მონანიებით უნდა გამოვისყიდოთ, უნდა „გავიხსენოთ", რომ ისტორიულად ვართ ტოლერანტები და გვევალება სხვისი დანაშაულის (თუნდაც სახელმწიფო ღალატის დონეზე) მიტევება. ამ შემთხვევაში

ჩვენი ფსევდო-დემოკრატები ნიშნის მოგებით საუბრობენ დავით აღმაშენებლის მუსულმანებისადმი შემწყნარებლურ დამოკიდებულობაზე.

**ჯერ-ერთი,** დავით აღმაშენებლის შემწყნარებლობა მუსულმანური რელიგიისადმი განპირობებებული იყო არა ჩვენი ეროვნული ხასიათი-სათვის თანდაყოლილი ე. წ. ტოლერანტობით, არამედ შექმნილი პოლი-ტიკური ვითარებით და იმ გეოგრაფიული ადგილმდებარეობით, სადაც ცხოვრობდა ისტორიულად ქართველი ერი. ირჩევენ მეგობრებს და არა მეზობლებს. ეს ჭეშმარიტება კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ქართველ მეფეებს ისტორიულ წარსულში. გარდა ამისა, საუკუნეების მანძილზე საქართველოს, ფაქტობრივ მარტო უხდებოდა ბრძოლა ისლამური სამყაროს წინააღმდეგ. საამისო ფიზიკური რესურსები კი ყოველთვის არ არსებობდა. შესაბამისად, აუცილებელი იყო მშვიდობიანი თანაარსებობის მოდელის ძიება. ამრიგად ძალთა უთანასწორო მდგომარეობა მუდმივად განაპირობებდა სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში ე. წ. „ქართული ტოლ-ერანტობის" წინა პლანზე წამოწევას. **მეორეს მხრივ,** გარე ძალების

მიერ ძალოვნურად შეკოწიწებული კონცეფცია „შემწყნარებლური ბუნების" შესახებ, როგორც იდეოლოგიური იარაღი, მიმართული იყო ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ XIX ს-ში ცარიზმმა შექმნა იდეოლოგიური დოქტრინა „პატარა ქართული იმპერიის" სახით. ამ კონცეფციის მიხედვით ჩვენი ქვეყანა მოიცავდა არაქართული ერებით დასახლებულ ტერიტორიებსაც (აფხაზეთი, სამხ. ოსეთი, მესხეთ-ჯავახეთი, ქვემო ქართლი). ცარიზმის მემკვიდრე ბოლშევიკები და ე.წ. რუსი დისიდენტები (სახაროვი, სოლჟენიცინი) ძიზანმიმართულად მოქმედებენ; არწმუნებდნენ მსოფლიო საზოგადოებას, რომ ქართული ნაციონალიზმი საშიში მოვლენაა: როდესაც ქართველები იცავენ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის, ამით უპირისპირდებიან არაქართულ მოსახლეობას, მოაწყონ თავიანთი სახელმწიფოებრივი წყობა, მოაწყონ სურვილისამებრ, ე.ი. საქართველოსგან დამოუკიდებლად. ამის მიზეზი მარტივია: ტერიტორიები ანუ სადაც ცხოვრობს არაქართული მოსახლეობა, დაპყრობილია ქართველი „ნაციონალისტების" მიერ და, შესაბამისად, ადგილი აქვს იძულებით „გრუზინიფიკაციას"

ასე, რომ ყბადაღებული **„ქართული ტოლერანტობა"** ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული იდეოლოგიური იარაღია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტ ქრისტიანულ შემწყნარებლობასთან, იმასთან, რაც ასე ნიშანდობლივია ქართული ბუნებისათვის.

და კიდევ ერთი: შემწყნარებლობას მაშინ ააქვს ფასი, როდესაც ძლიერი ხარ და შენს სუსტ მეზობელთან ძალის დემონსტრირებას კი არ ახდენ, არამედ პოლიტიკური პარტნიორობის, ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე აგებ თანამშრომლობას (რაც ქრისტიანული იდეოლოგიის ამოსავალია).

მაგრამ ყოველთვის როდი ვიჩენდით **„ქართულ ტოლერანტობას?"** ჩვენი ქვეყნის შორეული წარსულიდან მოხმობილი არა ერთი ფაქტი მიგვანიშნებს ამაზე:

გიორგი III დროს ქვეყანაში დიდხანს ომი აღარ იყო; დიდებულებმა და ჯარმა მოახსენეს მეფეს: **„არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თკნიერ ლაშქრობისა და რბევისა"** („ქ.ც", ტ. II, გვ. 15). და მეფე გიორგი III-ის ბრძანებისამებრ ქართველებმა არაფრის გამო დაარბიეს და გაძარცვეს მეზობელი ქვეყნები...

ქართველებმა ლაშა-გიორგი IV-ის დაბადების აღსანიშნავად დაარბიეს და გაძარცვეს მოხარკე ქვეყნები – ბარდავი და კარნუ-ქალაქი, რომელნიც თამარ მეფეს ისედაც სრულ მორჩილებას უცხ-ადებდნენ?!

ქართველებმა თამარ მეფის ბრძანებით, დაიწყეს სომხების ძალ-დატანებითი გადაყვანა მონოფიზიტური აღმსარებლობიდან დიოფიზ-იტურზე?! თამარ მეფის პოლიტიკის ურჩობის გამო ზაქარია მხარ-გრძელმა სასტიკად აცემინა სომეხთა პატრიარქი და სამღვდელო პირნი, რომელთაც გამო

ბის – ინდიელების პირწმინდად ამომწყვეტ ინგლისელებს, გერმანელებს, რომლებმაც ფაშისტურ ბანაკებში მილიონობით ადამიანი აწამეს. ბართლომეს ღამეს რელიგიურ ნიადაგზე ჰუგენოტების ამომელეტ ფრანგებს, რომ თქვენ ტოლერანტები არ ბრძანდებით?! მაგრამ როდესაც ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე ემუქრება, მაშინ ტოლერანტობას არავინ არაფრად დაგიდებს. ხომ ვნახეთ ინგლისელებმა რა დღეც აყარეს არგენტინელებს ფოლკლენდის კუნძულების გამო. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. განა ასეთი რა გვქირს? საკუთარი, ძირძველი ტერიტორიების დაცვა „ნაციონალიზმში" რატომ გვეთვლება? თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, გამოდის, „ნაციონალისტებად" უნდა მოვინათლოთ დიდი ქართველი მეფეებიც (დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე და ა. შ), რომელნიც დაუნდობლად ებრძოდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ტომელებს. მოკლედ ყბადაღებული ტოლერანტობა აქ არაფერ შუაშია. ეს არის ჩვენი დაცვედანებული პოლიტიკის შედეგი...

ამას წინათ კალიფორნიის უნივერსიტეტის ეგიდით გამოცემული კრებულის **"Аспекты грузино-абхазского конфликта"** მეოთხე ტომი ჩამივარდა ხელში. წიგნი საგულდაგულოდ წავიკითხე. კრებულში გადმოცემულმა მოსაზრებებმა, აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, საგონებელში ჩამაგდო. აფხაზებს რას ვერჩით, როდესაც ქართველი ფსევდო-დემოკრატები გულგრილობას და სრულ ინდიფერენტიზმს იჩენენ აფხაზეთის ქართველობის მიმართ. ხოლო აფხაზეთის მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხს ისე განიხილავენ, თითქოსდა ეს ქართული მიწა კი არა, დაპყრობილი ტერიტორია იყოს!!!

როგორ არის დანახული აფხაზეთის კონფლიქტი აფხაზი და ქართველი ფსევდო-დემოკრატების მიერ?!

1. თბილისმა უარი უნდა განაცხადოს აფხაზეთში ომამდელი დემოგრაფიული მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნაზე. (დ. ბერძენიშვილი, გ. ანჩაბაძე);

2. დასავლეთის ფინანსური დახმარებით განხორციელდეს აფხაზეთიდან დევნილი ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილის ადაპტაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (დ. ბერძენიშვილი);

3. აფხაზეთში ქართველი ლტოლვილების უპირობო დაბრუნება

უნდა მოხდეს აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების სანაცვლოდ (გ. ანჩაბაძე);

4. აფხაზეთის ტერიტორიის გამიჯვნა ეთნიკური ნიშნის მიხედვით (გ. ანჩაბაძე, დ. ბერძენიშვილი);

5. აფხაზებს, როგორც აფხაზეთის ერთადერთ აბორიგენ მოსახლეობას აქვთ ეროვნული თვითგამორკვევის უფლება – საქართველოდან გამოყოფის ჩათვლით (ა. ლეპსაია);

6. ქართველები არ არიან აფხაზეთის აბორიგენი მოსახლეობა. შესაბამისად, ისინი არ ჩაითვლებიან ლტოლვილებად, რადგანაც დაუბრუნდნენ თავიანთ ისტორიულ მიწა-წყალს (ბ. კობახია);

7. ლტოლვილების დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ცნობენ აფხაზეთის იურისდიქციის და მიიღებენ აფხაზეთის მოქალაქეობას (ბ. კობახია);

8. როდესაც აფხაზეთში ქართველი ლტოლვილების დაბრუნება დაიწყება,

ყოველ მათგანს უნდა ჩამოერთვას ხელწერილი: მათ უნდა აღიარონ, რომ აფხაზეთი – ეს აფხაზეთია და არა საქართველო (ბ. კობახია);

9. აფხაზეთში „ბერიევშჩინას" დროს მოხდა აფხაზური სკოლების ძალდატანებითი „რეორგანიზაცია" ანუ გაქართველება და აფხაზური დამწერლობის ლათინური ანბანიდან ქართულ ანბანზე იძულებითი გადასვლა, რამაც ძალზე უარყოფითად იმოქმედა აფხაზი ხალხის „განათლებაზე" (დ. სილაგაძე);

10. აფხაზი ხალხის უმრავლესობის პოზიცია არის მკაფიო და ცალსახა-მათ არ უნდათ ქართველებთან ერთად ცხოვრება (ნ. აკაბა)

ე.წ. ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ძირითად მიზეზად ქართველი ფსევდო-დემოკრატები ასახელებენ აფხაზეთში ქართველთა ეთნიკურ სიმრავლეს, რომელიც, თითქოსდა, ხელოვნურად გამოიწვია ე.წ. „ბერიოვშჩინამ"; იმ სისტემამ, რომლის დროსაც აფხაზთა „ძირძველ მიწაზე" ქართველი „პარაშუტისტების" იძულებითი ჩასახლება ხდებოდა. მოვუსმინოთ ფსევდო-დემოკრატს დ. ბერძენიშვილს: **"ТБИЛИСИ ДОЛЖЕН ОТКАЗАТЬСЯ ОТ ТРЕБОВАНИЯ ВОССТАНОВЛЕНИЯ ДОВОЕННОЙ ДЕМОГРАФИЧЕСКОЙ СИТУАЦИИ СЕМИЛЕТНОЙ ДАВНОСТИ, АБХАЗЫ НЕ МОГУТ СОГЛАСИТЬСЯ С ТЕМ, ЧТОБЫ**

**ГРУЗИН В АБХАЗИИ СНОВА БЫЛО В ДВА С ПОЛОВИНОЙ РАЗА БОЛЬШЕ НИХ. ТАКОЕ СООТНОШЕНИЕ -РЕЗУЛЬТАТ НАЧАТОЙ ЛАВРЕНТИЕМ БЕРИЯ ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ ДЕМОГРАФИЧЕСКОЙ ЭКСПАНСИИ"** (იხ. **"Аспекты грузино-абхазского конфликта" М., 2000,** ტ. IV, გვ 92). არც მეტი, არც ნაკლები – **აფხაზეთის ქართველობა ბერიას ნაშიერებად გამოცხადდა!!!** და ამას საქვეყნოდ გაჰყვირის ქართველი! განა რას ამბობს ამაზე უარესს ვ. არძინბა? ფაქტია: ანტიკურ და შუა საუკუნეების ქართულ თუ უცხოურ წყაროებში დაცულ ინფორმაციას ორივე ერთნაირად უგულებელყოფს. თავს უფლებას მივცემ მკითხველს გავაცნო რამდენიმე უცხოური წყარო, სადაც დაცულია ინფორმაცია ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ისტორიულად ქართველურ ტომთა მკვიდრობის შესახებ. ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე კოლხების, ჰენიოხების, მისიმიანების, სანიგების, ლაზების აბორიგენობა და მათი გენეტიკური მემკვიდრეობა მეგრელებთან, სვანებთან დადასტურებულია ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში ძვ. წ. აღ. VI ს. -ახ. წ. აღ. VI სს-ში (ჰეროდოტე, ჰეკატაიოს მილეთელი, ფსევდო-სკილაქს კარიანდელი, სტრაბონი, ფლავიუს არიანე, კლავდიუს პტოლემაიოსი, V ს-ის ბიზანტიელი ანონიმი ისტორიკოსი, აგათია სქოლასტიკოსი, პროკოპი კესარიელი, იოანე ლიდე). V-ის ანონიმი ისტორიკოსი გვაუწყებს, რომ **„დიოსკურიიდან (რომელსაც აგრეთვე სებასტუპოლი ეწოდება) ვიდრე აფსარის წყლამდე (თანამედროვე მდ. ჭოროხი – ვ.ჭ.) წინათ ცხოვრობდა ის ხალხი, რომელსაც კოლხები ეწოდებოდათ და მერე გადაერქვათ ლაზები"** (იხ. გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965, გვ 6). VI ს-ის ბიზანტიელ ისტორიკოსს – პროკოპი კესარიელს ასევე, არ ეპარება ეჭვი კოლხებისა და ლაზების იდენტურობაში: **„კოლხები, სხვანაირად ლაზებს რომ ეძახიან", „ხოლო სახელი „კოლხები", როგორც სხვა მრავალი ტომებისა, ამჟამად „ლაზთა" სახელად შეიცვალა"** (იხ. გეორგიკა. ტ. II, გვ. 120). კოლხების და ლაზების იდენტურობას ადასტურებენ, აგრეთვე, VI-ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსები იოანე ლიდე (იხ. გეორგიკა, ტ. II, გვ. 242) და აგათია სქოლასტიკოსი: **„ლაზებს, რომ ძველად კოლხები ეწოდებათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის, თუკი ის გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და მათ გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობის"; ლაზები „ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით..."** (იხ. გეორგიკა. ტ. III, ტფ., 1936, გვ. 27, 50). ზემოთ

ხსენებული წყაროები აშკარად ცხადყოფენ, რომ ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე (კერძოდ, დიოსკურია-მდ. ჭოროხის მონაკვეთი), ძვ. წ. აღ. VIს-დან-ახ. წ. აღ. VI ს-ის ჩათვლით, ადგილი არ ჰქონია რაიმე ცვლილებებს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში.

რაც შეეხება ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიის სოხუმი-გაგრა-ბიჭვინთის მონაკვეთს, ძვ. წ. აღ. V-ს-დან ახ. წ. აღ. VI-VII სს-ში, „აფსილ-აბასგებთან" ერთად (თანამედროვე აფხაზების საკარაუდო წინაპრები), აქ ცხოვრობდნენ ქართველური ტომები: ლაზები, ჰენიოხები, სანიგები, მისიმიანები, სუანო-კოლხები, ეგერ-სუანები. II ს-ის ისტორიკოსები ფლავიუს არიანე და კლავდიუს პტოლემაიოსი ნიკოფსიასთან (თანამედროვე ტუაფსე) ასახელებენ გეოგრაფიულ პუნქტს – ლაზიკას. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ არიანე ამ პუნქტს „ძველ ლაზიკას" უწოდებს, რაც აქ უძველესი დროიდან კოლხურ-ლაზური მოსახლეობის არსებობის უტყუარი ნიშანია... ანტიკური ისტორიკოსების თანახმად (ჰელანიკე მიტილენელი – ძვ. წ. აღ. Vს.; ფსევდო-სკილაკს კარიანდელი – ძვ. წ. აღ. IVს; არისტოტელე – ძვ. წ. აღ. IVს.; არტიმიოდრე ეფესელი – ძვ. წ. აღ. II-I სს; სტრაბონი – ძვ. წ. აღ. I ს– ახ წ. აღ. I ს.; ახ. წ. აღ. I-ს-ის პომპონიუს მელა, ივიდიუსი, პლინიუს უფროსი), კოლხეთის სანაპიროზე პიტიუნტის (ბიჭვინთა) და დიოსკურიას (სოხუმი) შორის მონაკვეთზე ცხოვრობდნენ ჰენიოხები, ხოლო შემდეგ სანიგები. ახ. წ. აღ. II ს-ის ისტორიკოსი კლავდიუს პტოლემაიოსი სანიგების ნაცვლად ამ ტერიტორიაზე სუანო-კოლხებს მოიხსენიებს, ხოლო V ს-ის სომეხი ისტორიკოსი ფავოსტ ბუზანტი – ეგერ-სუანებს. ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ ჰენიოხები, სანიგები, სუანო-კოლხები, ეგერ-სუანები ერთი და იგივე ხალხის აღმნიშვნელი ეთნონიმებია. ამ მოსაზრებას ამყარებს VII ს-ის სომხურ გეოგრაფიაში („აშხარაცუიცი") დაცული ცნობა ბიჭვინთა-სოხუმს შორის „სუანთა" განსახლების შესახებ (იხ. ს. ტ. ერემიანი. სომხეთი „აშხარაცუიცის" მიხედვით. ერევანი., 1963, გვ. 101. რუს. ენაზე).

ამრიგად, **აფხაზეთში ქართველთა ეთნიკური სიმრავლე ე. წ. „ქართული საბჭოური დემოგრაფიული ექსპანსიის" შედეგი როდია. ეს არის ამჟამინდელ აფხაზეთში ისტორიულად ქართველურ ტომთა მკვიდრობის უტყუარი ფაქტი.** დ. ბერძენიშვილს რატომღაც საშველს აღარ აძლევს ქართველთა რაოდენობრივი უპირატესობა

| აფხაზეთში მცხოვრები ხალხები | 1886 წ. | | 1926 წ. | | 1969 წ. | | 1989 წ. | | მოსახლეობის პროცენტული ზრდა 1886-1989 წწ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა | პროცენტი | რაოდენობა | პროცენტი | რაოდენობა | პროცენტი | რაოდენობა | პროცენტი | |
| ქართველები | 34,5 | 50,6% | 76,4 | 36,6% | 158,2 | 39,1% | 239,8 | 45,7% | 6,8% |
| აფხაზები | 28,3 | 41,2% | 55,9 | 30% | 61,1 | 15,1% | 93,2 | 17,8% | 3,2% |
| სომხები | 1,0 | 1,6% | 25,6 | 13,9 | 64,4 | 15,9% | 76,5 | 14,6% | 70,2% |
| რუსები | 1,2 | 1,8% | 12,5 | 6,7% | 86,7 | 21,4% | 74,9 | 14,2% | 61,6% |

ცალკეულობა თითქმისაც ამ რასის ადამიანებს ეფიქრებოდ ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესებზე. მიგვაჩნია, ეს ფაქტორი ამ ადგილებში ეროვნული ინტერესებიც ეცვლებოდა ადგილობრივ ეროვნულ ინტერესებზე. ეს ფაქტორი ამ ადგილებში ეროვნული ინტერესებიც ეცვლებოდა ადგილობრივ ეროვნულ ინტერესებზე.

როგორც ვხედავთ, თავის ისტორიულ მიწა-წყალზე ქართველების პროცენტული ზრდა მთელი ასი წლის მანძილზე არ აღემატება 6,8 %, ხოლო რუსების – 61,6 %, სომხების კი – 70,2 %. ე.ი. **ქართველი ფსევდო-დემოკრატების ლოგიკით, აფხაზეთის ძირძველ ქართულ მიწაზე ლ. ბერიას მიერ ქართველთა ჩასახლება – „ქართული საბჭოური დემოგრაფიული ექსპანსია" ყოფილა, ხოლო მეფის რუსეთის და ბოლშევიკების მიერ რუსების და სომხების ჩასახლება-ღვთის წყალობა!!!**

მეტიც: თუ ისტორიულ წყაროებს დავიმოწმებთ, აბაზურ-აფხაზური ეთნოსის დემოგრაფიულ ექსპანსიას საქართველოში (კერძოდ, ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე) სამჯერ ჰქონდა ადგილი. პირველად – ანტიკურ ხანაში. ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფსილ-აბასგები (თანამედროვე აფხაზების სავარაუდო წინაპრები) ახ. წ. აღ. V-VI სს-ში ჩნდებიან. ახ. წ. აღ. V ს-ის ანონიმი ბიზანტიელი ისტორიკოსი წერს: „ძველი აქაიიდან ვიდრე „ძველ ლაზიკამდე" (ნიკოფსია-ხაზი ჩვენია) და შემდეგ ვიდრე აქეუნტის მდინარემდე წინათ ცხოვრობდნენ ტომები, რომელთაც ეწოდებოდათ ჰენიოხები, კორაქსები და კილიკები, მელანქლენები, კოლხები და ლაზები, ამჟამად ცხოვრობენ ჯიქები" (სავარაუდოდ ჯიქები იყვნენ აფხაზურ-ადიღური მოდგმისანი. იხ. გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965, გვ 11).

XVI-XVII სს-ში სამეგრელოს ტერიტორიაზე იწყება აფხაზთა მეორე დემოგრაფიული ექსპანსია, რომელიც საგულდაგულოდ აქვს აღწერილი ვახუშტი ბაგრატიონს. სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა საგანგებო კედელი ააგო აფხაზთაგან დასაცავად. ამ კედლის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: **„– ანაკოფიის აღმოსავლით ზღუდამ მთამდე შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსლველობისათვს–„**(იხ. „ქ. ცხ.", ტ. IV, გვ. 782). XVII ს-ის იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის რუკაზე ამ კედელს, რომელიც მდ. კელასურის გაყოლებით არის აღმართული, აწერია: **„კედელი აფხაზთა თავდასხმების წინააღმდეგ"** (იხ. არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 207).

XVII ს-ის შუა წლებში დრანდა, მოქვი, ილორი, ბედია, ანაკოფია, ბიჭვინთა აფხაზეთი არაა და იქ ძირითადად მეგრელები ცხოვრობენ. (კასტელი, ლამბერტი, ჯუდიჩი, ჟან შარდენი). XVII ს-ის იტალიელი მისიონერი ძამპი, მოგვითხრობს რა დასავლეთ საქართვე-

ლოს კათალიკოსის შესახებ. წერს: **„ამ კათალიკოსის ძალაუფლება ვრცელდება ოდიშში, იმერლების, გურულების, აფხაზთა და სვანთა ქვეყნებში. მისი სამიტროპოლიტო საყდარი არის ბიჭვინთაში, აფხაზთა ახლოს** (ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში", თბ., 1975, გვ. 137)

როგორც ვხედავთ, XVII ს-ის შუა წლებამდე აფხაზები ჯერ არ ცხოვრობენ ბიჭვინთაში. ე.ი. არ მომხდარა მათი ჩამოწოლა მთიდან ბარში. XVII-XVIII სს-ში ჩრდ. კავკასიიდან ჩამოწოლილი მთიელები – აფხაზები იპყრობენ ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიას. ქართული მოსახლეობის ერთ ნაწილს ფიზიკურად სპობენ, სხვები – მეზობელ სამეგრელოში გაქცევით შველიან თავს, ხოლო დანარჩენები – გააფხაზებას ექვემდებარებიან. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი, რომელიც XVII ს-ის 70-იან წლებში დასავლეთ საქართველოს ეწვია, აღნიშნავს: **„აფხაზებმა ააოხრეს მოქვი, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე** (მდ. ცხენისწყალი-ხაზი ჩვენია) (იხ. **М. Селезнев. "Руководство к познанию Кавказа". СПБ.**, 1847, გვ. 46). XVII ს-ის შუა ხანებში სოხუმი, ოჩამჩირე, გალი აფხაზებით რომ ყოფილიყო დასახლებული, რატომ ააოხრებდნენ მას აფხაზები?! XVIII ს-ის ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი აფხაზების ჩასახლების შესახებ წერდა: **„გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს... და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ხმელითა და სტყუევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარედმდე, და დაეშენებოდენ თჳთ აფხაზნი...**" (იხ. „ქართლის ცხოვრება", ტ. IV, გვ. 845)

სამეგრელოში აფხაზთა მესამე დემოგრაფიული ექსპანსია განხორციელდა აფხაზეთის გაბოლშევიკების შემდეგ. მოვუსმინოთ აფხაზ ბოლშევიკთა ლიდერს ნ. ლაკობას, რომელიც მოგვითხრობს 1926წ. საბჭოთა კავშირში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგებზე: **"По предворительным данным последней переписи (всесоюзной) население в Абхазии исчисляается почти в 200 тыс. душ... ИЗ НИХ МЫ ИМЕЕМ АБХАЗОВ С БОЛЬШОЙ НАТЯЖКОЙ ОКОЛО 57-60 ТЫС. ДУШ...ПОЧЕМУ С БОЛЬШОЙ НАТЯЖКОЙ? ПОТОМУ ЧТО НЕСКОЛЬКО ТЫС. ЧЕЛОВЕК ПРИЧИСЛЯЮТ СЕБЕ К АБХАЗСКОЙ НАРОДНОСТИ, НО ЯЗЫК У НИХ НЕ АБХАЗСКИЙ, А МИНГРЕЛЬСКИЙ (Н. Лакоба. "Статьи и речи."**

სოხუმი., 1978, გვ. 213). 1926 წ. სსრ კავშირის აღწერის მიხედვით, ოჩამჩირის რაიონში მეგრელთა 90 პროცენტი იძულებით ჩაწერეს აფხაზებად. აქედან გამომდინარე, 1989 წ. სსრ კავშირის აღწერის მიხედვით, ოჩამჩირის აფხაზების (მთელი აფხაზი ერის 50 პროცენ-ტი) 90 პროცენტი – თავისი წარმოშობით მეგრელია! როგორც ვხედავთ, თავად აფხაზებს დიდი წვლილი მიუძღვით მეგრელთა გააფხაზებაში. რადგანაც ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართველები ხომ რიცხობრივად „ბერიოვშჩინამდეც" აღემატებოდნენ აფხაზებს. რასაკვირველია არავინ არ უარყოფს აფხაზეთში XX ს-ის 40-იან წლებში ქართველთა ჩამოსახლების ფაქტს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ აფხაზი კაცის ცნობიერებაში ქართველთა ეთნიკური დამკვი-დრება აფხაზეთში (და, შესაბამისად, რიცხობრივი უპირატესობა) გაიგივებულია მხოლოდ ლ. ბერიას სახელთან. ისტორიული ფაქტი, კი რომ აფხაზეთი ოდითგანვე კოლხთა სამკვიდროა, აფხაზი ხალხის ცნობიერებაში ხელოვნურადაა მიჩქმალული. აფხაზეთი ძირძველი ქართული მიწაა, სადაც აფხაზები XVI-XVII სს-ში იწყებენ დასახ-ლებას ჩრდ. კავკასიიდან. როგორც ვხედავთ, ქართველ ერს ჰქონია ისტორიული, მორალური უფლება დასახლებულიყო აფხაზეთში და „ბერიოვშჩინა" აქ არაფერ შუაშია. „ბეროვშჩინამდე" დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ 1877 წ. დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი მთელის კატეგორიულობით მოითხოვდა აფხ-აზთაგან დაცარიელებულ კუთხეში მეგრელთა ჩასახლებას. (იაკობ გოგებაშვილი. „ვინ უნდა იქნეს დასახლებული აფხაზეთში" თხზ., ტ. I, თბ., 1952, გვ. 90-120). იაკობ გოგებაშვილი აფხაზ ხალხს დიდ პატივს სცემდა, გულით განიცდიდა მუჰაჯირობას, მისით გამოწვეულ მძიმე შედეგებს. მეტიც: მოითხოვდა აფხაზებისათვის ქართული ანბანის საფუძველზე საკუთარი დამწერლობის შექმნას, ძველი და ახალი აღთქმის თარგმნას აფხაზურ ენაზე. მაგრამ, ამასთან, საჯაროდ აცხადებდა: აფხაზეთი ძირძველი ქართული მიწაა და აქ ცხოვრების სრული უფლება აქვთ მეგრელებს. **ზოგიერთი ჩვენი თანამედროვე ფსევდო-დემოკრატიზით კუდის ქიცინი არ დაუწყია აფხაზებისათვის და არც ყბადაღებული „ქართული ტოლერანტო-ბა" გამოუმჟღავნებია, როდესაც მთელი სიმწვავით დადგა საკითხი აფხაზეთში, მეგრელთა ისტორიულ სამკვიდრებელში, მათი ხელახ-ალი განსახლების შესახებ.** (როგორც ვხედავთ, **აფხაზეთში „ქართველთა**

**დემოგრაფიული ექსპანსიის" სათავეებთან არა ლავრენტი ბერია, არამედ იაკობ გოგებაშვილი დგას...?!)**

აფხაზეთი, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეები, ქართველურ ტომთა ისტორიული სამკვიდრებელია და, შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებას აქვს ისტორიული, სამართლებრივი უფლება, გაატაროს ისეთი დემოგრაფიული პოლიტიკა, როგორც ეს ქვეყნის ინტერესებს სჭირდება!

ქართველი ფსევდო-დემოკრატების მოთხოვნა: აფხაზეთში დაუშვებელია ომამდელი დემოგრაფიული მდგომარეობის აღდგენა, ამასთან, აფხაზეთიდან დევნილი ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილის ადაპტაცია უნდა მოხდეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, – არა მარტო ანტიისტორიულია, არამედ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებსაც. **"Полномасштабному урегулированию проблемы в значительной мере способствовала бы финансовая помочь международных организации, направленная на адантацию части изгнаных из Абхазии грузин в других регионах страны" ("Аспекты грузино-абхазского конфликта,~т. IV, გვ 92).** როგორც ვხედავთ, ჩვენი ფსევდო-დემოკრატები არაფრად მიიჩნევენ გაეროს და ეუთოს რეზოლუციებს, სადაც ცალსახად მინიშნებულია (ქაღალდზე მაინც?!) აფხაზეთში დევნილთა უპირობო და ღირსეული დაბრუნების შესახებ. და კიდევ ერთი: თუ ომამდელი დემოგრაფიული მდგომარეობის აღდგენა აფხაზეთში აპრიორია ე.წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საქმეში, როგორც ამაში გვარწმუნებენ ქართველი ფსევდო-დემოკრატები, იგივე „ჰუმანიზმს" რატომ არ იჩენენ სხვა ხალხებთან მიმართებაშიც:

**მოითხოვონ აშშ-ში კოლუბამდელი დემოგრაფიული მდგომარეობის აღდგენა;**

**აღდგეს ჩრდ. კავკასიაში, ვოლგისპირეთში, ციმბირში პირვანდელი დემოგრაფიული მდგომარეობა (ვიდრე რუსეთმა არ დაიპყრო ეს ტერიტორიები და არ ჩაასახლა იქ რუსი კოლონისტები);**

**1828-1829 წწ. მესხეთ-ჯავახეთში პასკევიჩმა ქართველებისაგან გამონთავისუფლებელ ტერიტორიაზე ჩაასახლა ათასობით სომეხი. 1914წ. თერქეთში სომეხთა გენოციდის შედეგად ათასობით სომეხი აიყარა ყაღიზმანის და ყარსის ტერიტორიიდან და ახალქალაქში**

ჩასახლდა! აღდგეს მესხეთ-ჯავახეთში დემოგრაფიული მდგომარეობა, რომელიც იყო პასკევიჩის მმართველობამდე;

და ბოლოს: რატომ მხოლოდ აფხაზეთში უნდა აღვადგინოთ „ომამდელი დემოგრაფიული მდგომარეობა“? ლ. ბერიას „ქართული საბჭოური დემოგრაფიული ექსპანსიის“ შედეგების ამოძირკვა იჭნებ დაგვეწყო თბილისიდან. 1926 წ. აღწერით თბილისში ქართველები მთელი მოსახლეობის ერთ მესამედს შეადგენდნენ. მოსახლეობის ორი მესამედი არაქართული, ძირითადად სომხური იყო. ლ.ბერიას მიერ განხორციელებული „ქართული საბჭოური დემოგრაფიული ექსპანსიის“ შედეგად თბილისი ქართული ქალაქი გახდა. ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მიზნით, თბილისში უნდა აღვადგინოთ ომამდელი დემოგრაფიული მდგომარეობა...

ფსევდო-დემოკრატ გ. ანჩაბაძეს დევნილების დაბრუნების „საკუთარი“ ვერსიაც გააჩნია: **"Может надо подумат о совмешении проблемы возрашения беженцев и проблемы признания независимости Абхазии? НЕЗАВИСИМОСТЬ-в обмен на возврашение беженцев"! ("Аспекты грузино-абхазского конфликта"** ,ტ. IV, გვ 126). სხვა კონცეფცია არც ჰქონია ვ. არძინბას!

ე.წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების ერთერთ მთავარ პირობად ქართველი ფსევდო-დემოკრატები მიიჩნევენ აფხაზეთის ტერიტორიულ გამიჯვნას ეთნიკური ნიშნის მიხედვით. ფსევდო-დემოკრატი გ. ანჩაბაძე აცხადებს: **"Есть еще вариант, о котором говорил Давид Бердзенишвили – раздел территории Абхазии. Но о разделе по Гумисте и речи быть не может. Думаю, что республиканцы на этот рубеж уже и не претендуют. Думаю, раздел по Кодори тоже нереален. Речь может идти о Гальском районе"** (იხ. **"Аспекты грузино-абхазского конфликта"**, -. IV, გვ. 127). როგორ არ უნდა განიმსჭვალო ქართველი ფსევდო-დემოკრატების მისამართით პატივისცემის გრძნობით, როდესაც ისინი გალს მაინც ელევიან ლტოლვილებისთვის?!

ე.წ. ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ქართველი ფსევდო-დემოკრატები მიიჩნევენ: **"... "реорганизации" абхазских школ, замене используемого в абхазской письменности латинского альфавита грузинским."** (იხ. **"Аспекты грузино-абхазского конфликта"**, ტ. IV, გვ. 35)

რა იგულისხმება ამ „რეორგანიზაციაში“, რომელმაც ასე უარყ-

ოფითად იმოქმედა აფხაზი ხალხის „განათლებაზე"?! როგორც ცნობილია, აფხაზურ სკოლებში სწავლება აფხაზურ ენაზე მხოლოდ დაწყებით კლასებში მიმდინარეობს, ხოლო მაღალ კლასებში-მხოლოდ რუსულ ენაზე. ლავრენტი ბერიას დაწყებული ე.წ. „რეორგანიზაციის" არსი მარტივი გახლდათ: აფხაზურ სკოლების მაღალ კლასებში სწავლება რუსულ ენაზე შეიცვალა ქართულით, ხოლო აფხაზური დამწერლობა ლათინურიდან გადაიყვანეს ქართულ გრაფიკაზე! ესა და ეს! ბერიას სიკვდილის შემდეგ აფხაზური დამწერლობა, დ. გულიას დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე, ქართულიდან რუსულ გრაფიკაზე გადაიყვანეს. **ქართველი ფსევდო-დემოკრატის დ. სილაგაძის ლოგიკით აფხაზებისთვის (იბერიულ-კავკასიურ ენაზე მოლაპარაკე ხალხისათვის) ქართულ ენაზე სწავლება და აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე გადაყვანა "преступление" ყოფილა, ხოლო რუსულ ენაზე სწავლება და რუსული ანბანი – ღვთის წყალობა!!!**

აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა პროფესორმა თ. გვანცელაძემ ( იხ. თ. გვანცელაძე. აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიისათვის. ჟურნ. „ბედია", 2000 წ. №6-7, გვ. 83-92). ცალსახად უნდა ითქვას, რომ 1937 წ. 4-5 დეკემბერს ქ. სოხუმში გამართულ საგანგებო თათბირზე მიღებულ გადაწყვეტილებას აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე გადაყვანის შესახებ აქტიურად დაუჭირა მხარი აფხაზ მეცნიერთა, მწერალთა და პედაგოგთა უდიდესმა ნაწილმა. რა მოუტანა აფხაზურ ენას ქართული ანბანის შემოღებამ? „რაც შეეხება აფხაზურ ენას, – წერს პროფ. თ. გვანცელაძე, – მისთვის ქართული გრაფიკის შერჩევას თან არ მოჰყოლია ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების წესების თავსმოხვევა, სხვა ენებიდან სიტყვათა სესხება ხდებოდა ბუნებრივი გზით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ნასესხები სიტყვები იწერებოდა ისე, როგორც აფხაზური ენის ნორმრები მოითხოვს და ა.შ. ამის გამო აფხაზურ ენაში გაცილებით ნაკლები რუსიზმი, სოვეტიზმი და ინტერნაციონალიზმი შევიდა, ვიდრე ვთქვათ, აბაზურ ენაში, ხოლო ქართველიზმები ძალზე მცირე რაოდენობით იქნა ნასესხები. ამ მიზეზთა გამო სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ აფხაზური ენისათვის ქართული გრაფიკის გამოყ-

ენების 16-წლიანმა პერიოდმა აფხაზური ენა გადაარჩინა რადიკალურ ცვლილებებს, შეანარჩუნებინა ბუნებრივი იერსახე და შეაყოვნა რუსიფიკაციის პროცესი (იხ. თ. გვანცელაძე. დას. ნაშრ. გვ. 91-92).

და კიდევ ერთი. ლავრენტი ბერიამდე აფხაზური სკოლების „რეორგანიზაციას" და აფხაზური დამწერლობის რუსულიდან ქართულ ანბანზე გადაყვანას მოითხოვდა იაკობ გოგებაშვილი. „სოხუმში მოიპოვებიან, როგორც ქართული, ისე აფხაზი პედაგოგები. ამათ ადვილად შეუძლიათ რამდენიმე თვის განმავლობაში შეადგინონ შეერთებული ძალით აფხაზური დედაენა და დაბეჭდონ იგი არა მახინჯური ანბანით, რომელიც შეუთითხნიათ პოლიტიკანებს, არამედ ისტორიული აფხაზური ანბანით, რომელიც ქართული ანბანიცაა... ეს ანბანი ხატავს ყოველ ხმას აფხაზური ენისას და ზედგამოჭრილია მასზე. იგი იხმარებოდა საუკუნეების განმავლობაში აფხაზეთში და შესისხლხორცებულია მასთან. ყველა ამის გამო ის მეტად გაუადვილებს აფხაზებს წერა-კითხვის შესწავლას, განათლების მიღებას და იხსნის მათ იმ მავნებელი განმარტოებისაგან, რომელსაც მათ უმზადებენ პოლიტიკანები მახინჯული ანბანით..." **როგორც ვხედავთ აფხაზური სკოლების „რეგიონიზაციის" ანუ გაქართველების და აფხაზური დამწერლობის რუსულიდან ქართულ ანბანზე გადაყვანის სათავეებთან ლავრენტი ბერია კი არა, იაკობ გოგებაშვილი დგას...?!**

ვინიცობაა აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანამ გააღარიბა და დაამუხრუჭა აფხაზური სალიტერატურო ენის განვითარება: **"Какого черта нужно занимается исследованием абхазского языка,** -წერდა აფხაზი ბოლშევიკების ლიდერი ნ. ლაკობა, **– когда надо передать, на этом языке то, что он не может дать, от него не возмешь больше того что он в состоянии дать. Ёсли в абхазском языке нет ГПУ, то пиши прямо ГПУ, но когда начинаешь придумывать для абхазского языка всякую чепуху, начинаешь переводить непереводимое спрашивается: кому это надо?**

**Начинаются профессорские переводы абхазских пословиц поговорок на русский язык-получается искажения смысла, абсурд, глупость...**

**Абхазский язык сам по себе прост,-он не терпит профессорских упражении.**

**Неужели этого до сих пор не поймут "научные" роботники абхазского языка?**

**Или еще так. Все время занимаются тем, что хотять докозать, что абхазская литература существовала еще до Адама.**

**Не было ее в истории и поставьте точку... ( Д. Гамахария, Б. Гогия. "Абхазия_ историческая область Грузии", Тб., 1977, გვ. 503)**

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

და ბოლოს: მიუხედავად ქართველი ფსევდო-დემოკრატების არაერთი მცდელობისა, ნებისმიერი კომპრომისის საფუძველზე მივაღწიოთ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას მოსკოვის მიერ მართვად ვ.არძინბას ფაშისტურ ხროვასთან – აფხაზი ხალხის მმართველი ელიტის პოზიცია ცალსახაა: **"Мне кажется абхазы давно уже честно ответили, и как бы тому-то ни было неприятно это слишать, но, в подавляющем большинстве своем, абхазское общество не хочет жить с грузинами"** (იხ. **"Аспекты грузино абхазского конфликта"**, ტ. IV, გვ. 165)

რატომ აქვთ აფხაზებს იდეა-ფიქსივით აკვიატებული, რომ ქართველებთან ერთად ცხოვრება პირდაპირი გზაა ასიმილაციისკენ! მაგრამ განა რუსებთან თანაარსებობა არის ყოველივე აფხაზურის შენარჩუნების გარანტი? რას უფრთხიან აფხაზები? რამდენად ობიექტურია მათი სიფრთხილე?

**1906 წ. ცარიზმმა მოუხსნა აფხაზებს „დამნაშავე ხალხის" იარლიყი და მათთან ურთიერთობაში „შემრიგებლურ" პოზიციაზე დადგა.** შესაბამისად, კრემლის შეკვეთის საფუძველზე აფხაზებისგან ეტაპობრივად (განსაკუთრებით საბჭოურ პერიოდში) ჩამოყალიბდა ეთნოკრატია, რომელსაც მხოლოდ ერთი ფუნქცია დაეკისრა: ანტიქართული საქმიანობა. ამრიგად, აფხაზური მოძრაობა, კრემლის მიერ მართვადი, მკაფიოდ გამოკვეთილი ანტიქართული ხასიათის მოძრაობაა.

აფხაზური მოძრაობის მესვეურებმა კარგად იციან, რომ დამოუკიდებელ საქართველოში აფხაზების ეროვნული თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების არანაირი საფუძველი არ არსებობს. მიზეზი მარტივია: საქართველოს ისტორიის, ქართული ენის, კულტურის და ქართული ეკლესიის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე აფხაზების (რომელიც თავის თავს აფსუას

უწოდებს) ისტორიულ აფხაზებთან იდენფიკაცია. ცნობისთვის: სწორედ აფხაზთა მეფეებმა ჩაუყარეს საფუძველი დასავლურ ქართულ სახელმწიფოს; აფხაზთა მეფეებმა გადაიტანეს დედაქალაქი ანაკოფიიდან ქუთაისში და, შესაბამისად, აფხაზთა დიდგვაროვანი საზოგადოება ვერ აცდა ასიმილაციას ქართველებთან; აფხაზთა მეფეებმა ბერძნული ენა განდევნეს საკანცელარიო და საეკლესიო ხმარებიდანაც და დანერგეს ქართული; აფხაზთა მეფეებმა მოშალეს ბერძნული საეპისკოპო კათედრები და დააარსეს ქართული საეპისკოპოსოები (ბედია, ბიქვინთა, ილორი, მოქვი); აფხაზთა მეფეების ძალისხმევით განხორციელდა მეცხრე საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ბიზანტიიდან გამოყოფა და მცხეთასთან შეერთება..

მთელი ადრინდელი და გვიანდელი შუა საუკუნეების განმავლობაში აფხაზ დიდგვაროვანთა პოლიტიკურ-კულტურული ცნობიერება ქართული იყო. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე აფხაზებმა ვერ მოახერხეს ვერც ეროვნული დამწერლობის და ვერც ეროვნული მწიგნობრული კულტურის შექმნა, ვერც ქრისტიანული რელიგიისათვის ეროვნული ელფერის მიცემა. ამის საშუალებას კი იძლეოდა აღმოსავლური ქრისტიანობა. პავლე მოციქული კორინთელთა მიმართებაში წერდა: **„რამეთუ სჯულსა წერილ არს, ვითარმედ უცხოითა ენითა და ბაგითა უცხოითა ვეტყოდი ერსა ამას, და არცაღა ესრეთ ისმინონ ჩემი, იტყვის უფალი“.**

**ამრიგად, შუა საუკუნეების მანძილზე არ მომხდარა აფხაზების ეთნიკური კონსოლიდაცია, არ ჩამოყალიბებულა აფხაზთა ეროვნული ცნობიერება და, შესაბამისად, საუბარი ე.წ. აფხაზურ ეროვნულ სახელმწიფოზე მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს.**

მაგრამ, როდესაც თანამედროვე აფხაზს არ სურს ამის გაგება, ამით ის უარყოფს ყოველგვარ ქართულს. ამასთან ერთად, უარყოფს თავის თავსაც: ჭეშმარიტი აფხაზის კულტურულ-ისტორიული წარსული ყოველთვის ქართული იყო. აქედან გამომდინარე, დღევანდელი აფხაზი თავად უარყოფს, რომ ის არის ისტორიული აფხაზის მემკვიდრე და შესაბამისად მიგრანტია თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, მოსული ჩრდ. კავკასიიდან. თუ თანამედროვე აფხაზი (ეთნიკური აფხაზი, ანუ ის ხალხი, ვინც ამჟამად საკუთარ ვინაობას „აფსუა“ სახელით აღნიშნავს) აღიარებს თავის თავს ისტორიული აფხაზის მემკვიდრედ, მაშინ ის აღიარებს, რომ თანამედროვე აფხაზი თავისი ისტორიულ-კულტურული (და არა ეთ-

ნიკური თვალსაზრისით) ქართველია. შესაბამისად, აფხაზებს ეცლებათ, როგორც სამართლებრივი, ასევე, ისტორიული საფუძველი იბრძოლონ, დამოუკიდებელი აფხაზეთისთვის. აქედან გამომდინარეობს მათი შეურიგებლობა ყოველგვარ ქართულთან და საქართველოსგან დამოუკიდებელი აფხაზური ეროვნული სახელმწიფოს შექმნის აკვიატებული სურვილი.

არსებობენ მკვდარი ენები და კულტურები, რადგანაც ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხები ფიზიკურად გადაშენდნენ. მაგრამ დედამიწის ზურგზე არ არსებობს ერი, რომელიც ფიზიკურად ცოცხალია, მაგრამ ისტორიულ წარსულში მის მიერ შექმნილი კულტურა, დამწერლობა მისთვის მკვდარი იყოს ე. ი. მოშლილი იყოს მემკვიდრეობითობის ფაქტორი ისტორიულ წარსულსა და თანამდეროვეობას შორის, ანუ ერი ვერ გრძნობდეს გენეტიკურ კავშირს ისტორიულ წარსულში შექმნილ კულტურასთან. ასეთ „გამონაკლისს" მხოლოდ აფხაზი ხალხი წარმოადგენს?! „აფხაზთა სამეფო" მოიცავდა ეროვნული სახელმწიფოსთვის ნიშანდობლივ ყველა ატრიბუტს: სოციალურ იერარქიას, სახელმწიფო ენას, დამწერლობას, ეროვნულ იდეოლოგიას, ეროვნულ ეკლესიას და ა. შ. ყველაფერი ეს „აფხაზთა სამეფოში" მხოლოდ ქართული იყო და არა აფხაზური. შესაბამისად, არ არსებობს არანაირი მემკვიდრეობითობა ისტორიულ აფხაზსა და თანამედროვე აფხაზს (თვითსახელწოდება „აფსუა") შორის ქართულის გარეშე (ვგულისხმობთ ისტორიულ-კულტურულ ფაქტორს და არა ეთნიკურს?!).

ამრიგად, აფხაზური მოძრაობა არ არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ის მკაფიოდ გამოხატული ანტიქართული მოძრაობაა, რომელიც დღესაც მხოლოდ კრემლის ინსტრუქციებს ასრულებს.

აფხაზური მოძრაობის კონცეფცია ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას გულისხმობს: **"Национальное государство в представлении абхазом является единственным гарантом их выживания как этноса"** (იხ. **"Аспекты грузино-абхазского конфликта"**, ტ. IV, გვ. 76). თუ გავიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანი არის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა ან დაკარგულის აღდგენა, შესაბამისად, იბადება შეკითხვა: როგორი ეროვნული სახელმწიფოს

შექმნა სურთ აფხაზური მოძრაობის მესვეურთ? ისტორიულად დადასტურებული რეალობაა, რომ ნებისმიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მთავარი მიზანია ამ სახელმწიფოს შემქმნელი ეთნოსის ფიზიკური არსებობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება: აქედან გამომდინარე, აფხაზური მოძრაობის მცდელობა ჩანასახშივე განიწირულია მარცხისთვის.

ე.წ. აფხაზური დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა, ბუნებრივია, შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის მფარველობით. მაგრამ იგი ვერასოდეს გახდება აფხაზთა, როგორც ეთნოსის ფიზიკური გადარჩენის გარანტი. და, აი, რატომაც:

I. რუსეთი, რომელმაც უზარმაზარი ფიზიკური მსხვერპლი გაიღო და დიდი დრო შეალია შავიზღვისპირეთის „გაწმენდას" კავკასიის მთის მოსახლეობისაგან, არ დაუშვებს აფხაზი მუჰაჯირების დაბრუნებას აფხაზეთში. რაც მთავარია: აფხაზ მუჰაჯირების დაბრუნებას მოჰყვება ცარიზმის მიერ დეპორტირებული მილიონობით ჩერქეზის, ვაინახის და დაღესტნების სამშობლოში დაბრუნებაც (რა თქმა უნდა, გაუთვალისწინებელი შედეგებითურთ რუსეთისათვის). ამასთან, რომელი აფხაზი მუჰაჯირი ჩავა დღეს საცხოვრებლად აფხაზეთში, იმ კუთხეში, სადაც, ღმერთმა უწყის, იქნება თუ არა შენარჩუნებული პოლიტიკური სტაბილურობა. შესაბამისად, ე. წ. დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფოდან გაძევებული ქართველების ადგილს რუსები დაიკავებენ და არა მუჰაჯირი აფხაზები;

II. ე. წ. დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში, რაც ავტომატურად მოასწავებს ყოველგვარი კონტაქტების გაწყვეტას ქართველ ერთან, აფხაზები საბოლოოდ დაკარგავენ თავიანთი გენოფონდის შევსების წყაროს (საუბარია ქართულ-აფხაზური შერეულ ქორწინებებზე). ცნობისთვის: თანამედროვე აფხაზების 70% ენობრივ-გენეტიკური წარმოშობით ქართველია;

III. ე.წ. აფხაზეთის დამოუკიდებლობის შემთხვევაში აფხაზებს ჩამოერთმევათ კრემლის მიერ დაკანონებული ის სოციალური პრივილეგიები, რომელსაც რუსი ანიჭებს ამა თუ იმ ხალხს ანტიეროვნული საქმიანობისათვის. შესაბამისად აფხაზი ხალხის ე.წ. დამოუკიდებლობა ვერ იქნება მყარი გარანტი მათი ეთნოსის ფიზიკური გადარჩენის საქმეში და, ამდენად, იგი განწირულია ასიმილაციისათვის.

ამრიგად, ე.წ. **დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფოს შექმნის საფუძველში დევს არა ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპი, არამედ სულმოკლე ბატივმოყვარეობა.** ამ ტიპის ნაციონალისტებისთვის საკუთარი ხალხის ეროვნული კულტურის თვითმყოფადობა, ეროვნული ენის ბუნებრივი იერსახის შენარჩუნებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მიზანი ცალსახაა: რაც უნდა დაუჯდეთ, მიიღონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, იყვნენ აღიარებულნი „დიდი ხალხების" და სუპერსახელმწიფოების მიერ (თუნდაც ეროვნული ვერაფერი შეინარჩუნონ). **"В таком национализме,** _ წერს ნ. ტრუბეცკოი, _ **самопознание никакой роли не играет, ибо его сторонники вовсе не желают быть самим собой", а наоборот, хотят именно быть «как другие», «как большие», как господа, не будучи по существу подчас ни большими, ни господами» (Н.С. Трубецкой. Об истинном и ложном национализме.** იხ. **«Россия между Европой и Азией. Евразийский соблазн." М.,** 1993, გვ. 42).

**აფხაზური მოძრაობის მიზანი გახლდათ კონსტიტუციური გზით იმ სოციალური პრივილეგიების დაკანონება, რომელიც მათ მოსკოვისგან მიიღეს ანტიქართული საქმიანობისათვის.** ამისთვის კი აუცილებელი გახდა აფხაზების, როგორც ქართველთაგან ჩაგრული ხალხის იმიჯის შექმნა მსოფლიო საზოგადოების თვალში. და აქ თავისი „ღირსეული" სიტყვა თქვა აფხაზურმა ინტელიგენციამ. დაიწყო საქართველოს ისტორიის ტოტალური გაყალბება. აფხაზი ხალხი გამოცხადდა კოლხეთის, ლაზიკის და „აფხაზთა სამეფოს" ერთადერთ და პირდაპირ მემკვიდრედ. უფრო მეტიც, აფხაზები გამოცხადდნენ ფინიკიური დამწერლობის შემქმნელებად, ქრისტიანული რელიგიის მისიონერებად ჩრდ. კავკასიაში. არადა შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ არ არსებობს არანაირი მემკვიდრეობითობა თანამედროვე აფხაზებსა და ძველი კოლხეთის, ლაზიკის, ეგრისის და „აფხაზთა სამეფოს" შემქმნელ ხალხებს შორის ქართულის გარეშე?!

აფხაზური მოძრაობის ლიდერები ნათლად ხედავენ, რომ აფხაზური ენა, კულტურა, რუსეთის „მფარველობის" ქვეშ, უპერსპექტივო და, შესაბამისად, განწირულია ახლო მომავალში ასიმილაციისათვის. ამიტომაც, დიდი მცდელობის მიუხედავად, აფხაზ ხალხს არ ძალუძს ავტონომიურ რესპუბლიკაში იყოს" **лидирующая титульная нация, которая «должна начать процесс духовного**

оздоровления общества...» (იხ. "Аспекты грузино-абхазского конфликта", ტ. IV, გვ. 70).

მაგრამ სულმოკლე პატივმოყვარეობა, ქართველებთან გატოლების აკვიატებული სურვილი აიძულებს აფხაზური მოძრაობის მესვეურთ, უარი თქვან თავიანთ კულტურაზე, ენაზე. მეტიც: იმის გამო, რომ ისინი დაფასებულნი იყვნენ დიდი ერის მიერ, დღესაც რუსული კულტურის ორგანულ ნაწილად აცხადებენ საკუთარ თავს: `мировосприятие и сознание абхазского народа формируются на основе русской культуры» (З. Ачба «Пора понять что Абхазия – Это Россия» იხ. გაზ. "Свободная Грузия", 11 декабря, 1992 г.).

აფხაზური მოძრაობა არ არის ეროვნული მოძრაობა, ის არ ისახავს მიზნად აფხაზური ენის, კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებას. აფხაზური მოძრაობა არის კრემლის მიერ მართვადი მოძრაობა, რომელსაც მხოლოდ ერთი დანიშნულება ჰქონდა: ეწარმოებინა ანტიქართული საქმიანობა.

# სარჩევი


**თავი პირველი. „საერთოკავკასიური სახლი“ მსოფლიო გეოპოლიტიკურ ჭრილში**

§1. ერთიანი ეკოლოგიური შეგნება და „საერთოკავკასიური სახლი“ 7

§2. ლინგვისტიკური და ეთნოგრაფიული ასპექტი ..... 10

§3. ინფორმაციული და კომუნიკაციური ასპექტი ..... 12

§4. ერთიანი ეკონომიკური სივრცე და „საერთოკავკასიური სახლი“ ..... 12

§5. „საერთოკავკასიური შეგნება“ ისტორიულ და კულტურულ ჭრილში ..... 18

§6 „რეგიონალური „დერჟავები“ და „საერთოკავკასიური სახლი“ ..... 25

§7. „საერთოკავკასიური სახლი“: გეოპოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტი ..... 37

**თავი მეორე. „პერესტროიკა“ და აფხაზური კარტის გათამაშება**

§1. სახელმწიფო ენა: დამოკლეს მახვილი აფხაზეთში ..... 49

§2. „მუჰაჯირობა“ ანუ რუსთა დამკვიდრება კავკასიაში ..... 70

§3. „საქართველოს საკითხი“ და ცრტა კიდევ მეტი ..... 77

§4. „პერესტროიკა“ – ქურთუკშებრუნებული ბოლშევიკური რუსიფიკაცია ..... 82

§5. „ბოლშევიკური სინდრომი“ თუ კეკლუცობანა კრემლთან?! ..... 88

**თავი მესამე. კონფლიქტი აფხაზეთში: ისტორიული კანონზომიერება თუ საბედისწერო შეცდომა?!.**

§1. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სათავეებთან ..... 95

§2. საქართველოს პარტიული ნომენკლატურის დაცვედანებული პოლიტიკა და განტევების ვაცი აფხაზეთში ..... 124

§3. როგორ „დანიშნა“ ზ. გამსახურდიამ ვ. არძინბა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ?!. ..... 141

§4. რატომ წავაგეთ იდეოლოგიური ომი აფხაზეთში ..... 157

§5. აფხაზეთის კონფლიქტი კავკასიის გეოპოლიტიკურ ჭრილში ..... 167

§6. აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება: ორსახოვანი იანუსი ..... 185

§7. „ბაკულას ღორების“ სინდრომი ანუ გაეროს ფაქტორი აფხაზეთის კონფლიქტში ..... 192

§8. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება ანუ „ტოლერანტობა ქართულად“ ..... 202


---


ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 12. 03

ქაღალდი ოფსეტი 65 გრ., 60X84, 1/16

სტამბა შპს „პოლიგრაფისტი“, სურამის ქ. №13